

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ქართული ლიტერატურა

ნანა უგრეხელიძე

მოკლე კითხვა-მიგებითი თხზულებები ძველ ქართულ საეკლესიო  
მწერლობაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

## დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები ს. მახარაშვილი  
და ე. კალანდარიშვილი



თბილისის  
უნივერსიტეტის  
განმაცემლობა

2009

## შესავალი

ჩვენი კვლევის საგანი, ზოგადად, არის მოკლე კითხვა-მიგებითი თხზულებები ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში.

საერთოდ, საეკლესიო ლიტერატურაში მეტად საინტერესო შემთხვევაა კითხვა-მიგებათა უანრი. იგი, ზოგადად, ეგზეგეტიკას განეკუთვნება, შინაარსობრივად ძალიან მრავალფეროვანია და თავისთავში შეიძლება ერთდროულად აერთიანებდეს სხვადასხვა დარგს ამავე მწერლობისას. მაგალითისათვის, ერთსა და იმავე ამ ტიპის თხზულებაში ხშირად განხილულია ფილოსოფია, დოგმატიკა, კანონიკა, ასკეტიკა, ზნეობრივ-მორალური საკითხები და ყოფითი ქცევის წესებიც კი. მართალია, თავისი კომპოზიციითა და თემატურობით შეკრული და კომპაქტური არ არის, მაგრამ სწორედ ესაა მისი უპირატესობა პრაგმატულობისა და პრობლემათა მრავალმხრივობის თვალსაზრისით.

ჩვენი მიზანია, გადმოვიწეროთ ყველა ასეთი ტიპის თხზულება ძველი ქართული ხელნაწერებიდან, დავადგინოთ ტექსტი და განვიხილოთ ძველქართულ ენობრივსა და ლიტერატურულ არეალში, ასევე თავის ძველბერძნულ ორიგინალთან მიმართებაში, მით უფრო, თუ იგი გამოქვეყნებული საერთოდ არ არის.

ამჯერად, ჩვენ შევეცდებით, ასე გავარჩიოთ ხუთი თხზულება სამი წმ. ანასტასი ანტიოქიელისა(აქედან მესამე წმ. კირილე ალექსანდრიელთან ერთად არის წარმოდგენილი), ერთი წმ. ტიმოთე ალექსანდრიელისა, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია(დიდი სჯულის კანონი, თბ, 1975), ოღონდ მხოლოდ ქართული ტექსტი, ძველბერძნული დედნის გარეშე, იგი 15 კითხვა მიგებას მოიცავს. ასევე გამოქვეყნებულია ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლოც(მრავალთავი, XVIII, 1999: 153), რომელშიც ძირითადად თეოლოგიური ასპექტებია წინ წამოწეული, მაგრამ ჩვენ ეს თხზულება უფრო ენობრივი, თარგმანისა და ტერმინოლოგიის თვალსაზრისით გვინტერესებს. იგი თითქოს ნაკლებად შეესაბამება ჩვენი თემის სათაურს, მაგრამ არსებობს ბევრი ხელნაწერი, რომელნიც სწორედ ამ თხზულებით იწყება, და რახან გადამწერმა ჩათვალა საჭიროდ, ტექსტი კითხვა-მიგებით თხზულებებში მოექცია, ჩვენც გადავწყვიტეთ, ამით დავინტერესებულიყავით.

პირველი ხელნაწერი ეგზეგეტიკური ხასიათისაა და შედგება 16 კითხვა-მიგებისგან, რომლებიც ეხება ქრისტიანული სწავლების ბევრ პრაქტიკულ საკითხს და თანამედროვე ადამიანისთვისაც ძალიან საინტერესოა. იგი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის, და ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება მისი პირველწყაროსთან, ანუ ძველბერძნულ დედანთან მიმართების საკითხი, მისი ენობრივი თავისებურებები და მისი ადგილი ძველქართულ ლიტერატურულ, კერძოდ, ჰაგიოგრაფიულ კონტექსტში. ასევე საინტერესოა მოცემული ტექსტის ტერმინოლოგიის დადგენა. ჩვენ შევეცადეთ ეს გაგვეკეთებინა.

თარგმანი არის გამოკრებული და შემოკლებული, ანუ, ქართული და ბერძნული ტექსტები ერთმანეთს ემთხვევა ნაწილობრივ და ფრაგმენტულად, გვხვდება განსხვავებული ტექსტი, რომლებიც ნაშრომის, ასე ვთქვათ, არგადატვირთვის მიზნით, ცალკე გრაფად არ გავიტანეთ. მაგალითისათვის, V პასუხის I ნახევრისა და VI პასუხის II ნახევრის ბერძნული დედნისეული მონაკვეთები არ არის(ან ჩვენს ხელთ არ არის), ხოლო XVI კითხვის იდენტური არის, მაგრამ პასუხად სრულიად განსხვავებული ტექსტი ფიქსირდება. ქართულის XI კითხვაზე მოტანილია ბერძნულის XIII კითხვის პასუხი (კითხვა-პასუხების ქართული და ბერძნული ნომრები ერთმანეთს არ ემთხვევა).

გამოყვავით ის ადგილები, სადაც ერთნაირი ტექსტები ვლინდება ორსავე ენაზე, ასევე მატება, კლება და პერიფრაზი. ეს ძირითადად, რადგან დაყოფა მეტნაკლებად პირობითია შესადარებელ მონაკვეთებში ერთდროულად შეიძლება იყოს ყველა ამ მოვლენის მაგალითები. ცალკეა რამდენიმე შემთხვევა, როცა ეს მკვეთრად შესამჩნევია.

ეს ტექსტი გვხვდება აგრეთვე XV საუკუნის ხელნაწერ A-67-ში ასეთი სათაურით: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა მიერ მიწერილთა მამისათა ილასეს კითხვა-მიგებათაგან გამიღებულნი რჩევით მცირენი კითხვა-მიგებანი თავნი“, მაგრამ თხზულება, მინის (Migne,t 89, 329-344) გამოცემის მიხედვით, ნამდვილად ანასტასი ანტიოქიელს ეკუთვნის. წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიწერილი თხზულება შედგება 9 კითხვა-მიგებისაგან, აქედან ემთხვევა, ისიც შემოკლებით, ჩვენი საკვლევი ტექსტის კითხვა-მიგებების I, III, IV, V,VI, VIII და XIV, ხოლო მე-8 და მე-9 სულ სხვა კითხვა-მიგებებია, მასში აშკარად შესამჩნევია საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი ენობრივი არასტაბილურობა.

არც მესამე და მეოთხე ტექსტებია ჯერჯერობით გამოქვეყნებული, ისინი XVIII საუკუნის ხელნაწერებია და, რა თქმა უნდა, საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს ბევრად უფრო მკვეთრად გამოავლენენ, ვიდრე წინა ორი. მათ, სამწუხაროდ, არ მოეპოვებათ თავიანთი ბერძნული დედნები, თუმცა ძალიან კონკრეტულად შეიძლება თქმა, და ეს სრულიად ლოგიკურია, რომ თარგმანები კალკირებულნი არიან ძველი ბერძნული ენიდან, და არა მარტო ენიდან, არამედ ლიტერატურიდანაც.

ხელნაწერის აღწერილობა: A-128, XII-XIII სს-ის კრებული, 457ფ., 32,5X24,  
ქაღალდი, რესტავრირებული,  
ლიდერინგადაკრული მუყაოს ყდა, თავ-  
ბოლონაკლული, ნუსხური, ქარაგმებით, შავი  
მელანი, სათაურები სინგურით.

კრებული შეადგინეს და მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა,  
თ. მაგლობლიშვილმა, მ. ქაეთარიაშვილმა, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჯღამაიამ,  
ელ. მეტრეველის რედაქციით.

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციისა, ტ.12, მეცნიერება, თბ, 1976.

კითხვა - მიგებად ვიეთმე მართლმორწმუნეთა კაცთა მიმართ, რომელთა  
ჰკითხეს ქუემოწერილთა სიტყუათათუს

**(827r)1.კითხვა: რად არს სასწაული ჭეშმარიტი ქრისტეანისად?**

**მიგებად:** 1. სარწმუნოებად მართალი და საქმენი კეთილნი, ვითარცა სხუამან ღირსმან მამამან თქუა, რამეთუ ქრისტეანე არს ჭეშმარიტი ტაძარი, ქრისტეს აღსარებითა მართლითა და მუშაკობითა სათნოებათადათა აღშენებული. 2. აწ უკუე, სარწმუნოებად თვნიერ საქმეთა მკუდარ არს, ვითარცა იგი საქმენი კეთილნი თვნიერ სარწმუნოებისა ამო და უხმარ არიან. ამისთუს ჯერ არს ყოვლითა ძალითა შეკრძალვად სულთა ჩუენთად ყოველთაგან საქმეთა ბოროტთა, რადთა არა ჩუენთუსცა ითქუას, ვითარმედ, ღმრთის მეცნიერებას აღასრულებენ, ხოლო საქმით უვარ-ჰყოფენ. 3. ამისთუს იტყუს უფალი: რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამან ჩემმან შეიყუაროს იგი და მოვიდეთ მისა და სავანე მის თანა ვყოთ. გუსწავიეს უკუე, ვითარმედ სარწმუნოებაითა მართლითა და საქმითა კეთილითა აღეშენების სახლი სულისა ჩუენისად და ესრეთ დაემკუდრების ღმერთი შორის ჩუენსა, 4. ვითარცა წერილ არს, ვითარმედ, დავემკუდრო და ვიქცეოდი მის შორის, ვითარცა მოციქული იტყუს, ანუ არა გიცნობიესა თავით თუსით, რამეთუ ქრისტე თქუენ შორის არს, გარნა თუ გამოუცდელ ხართ 5. ხოლო ეშმაკმან არა უწყის, თუ შინაგან გონებასა კაცისასა არს ქრისტე, არამედ იხილოს რად კაცი ანუ უჯეროდ მრისხანე, ანუ მაგინებელი, ანუ ცუდმოფიცავ, ანუ ანგაჰარ, ანუ ხენეშთა სიტყუათა მეტყუელ, ანუ ძმისმოძულე, ანუ ამჰარტავან და თავკედ, ანუ მოცინარ და განმცხრომელ, ანუ (827v) უდებ ლოცვისა, ანუ ბილწთა საქმეთა მოქმედ და სიკუდილსა არა მომკსენე, 6. სცნობს მათ სახეთაგან, ვითარმედ არა არს მის სულსა შინა მცველ და განმანათლებელი მისი ღმერთი. მაშინ, ვითარცა მჰარავი, შევიდის უკეთური იგი და განკრების სახლი იგი სულისად მის და იქმნის უკანადსკნელი მისი უძურეს პირველისა.

**2.კითხვა: ვინ არიან ჭეშმარიტნი იგი თაყუანისმცემელნი, რომელნი სულითა ჭეშმარიტებისადათა თაყუანისცემენ ღმერთსა?**

**მიგებად:** 1. ამისცა საქმისა ძალი სიტყუათაგან ღმერთშემოსილისა კაცისათა გამოგიცხადო, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: მოვიდა კაცი ვინმე მონაზონისა ვისმე დაყუდებულისა და ფრიად განშორებულისასა და ჰრქუა მას: 2. მიკურს, მამო,

ვითარ ჰზი აქა, განშორებული ეკლესიისაგან და წესთა და განგებათა საეკლესიოთა. 3. მიუგო ბერმან მან და ჰრქუა მას: ყოველნი დღესასწაულნი და წესნი და განგებანი საეკლესიონი ამისთვის არიან, ძმაო, რადთა განწმინდეს კაცი ცოდვათაგან და დაემკუდროს ღმერთი მის თანა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: დაემკუდრო და ვიქცეოდი მის შორის. 4. და სახარებასა შინა იტყვს: მე და მამად ჩემი მოვიდეთ და სავანე მის თანა ვყოთ, ხოლო ვინადგან კაცი ტადარ სულიერ ღმრთისა იქმნას, 5. მაშინ განეშორების ღმერთშემოსილი იგი სული ყოველისაგან სურვილისა ხილულთა მათ ეკლესიათა წესთა და განგებულთაგან და დღესასწაულთა, რომელთა კაცნი აღასრულებენ, 6. რამეთუ აქუს შინაგან თავსა შორის თუსა მკუდრად მამად ყოველისა მპყრობელი და მხოლოდშობილი ძე მისი, და მდღელთმოდღუარი იგი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, ვითარცა იტყვს მოციქული, და სული იგი ჭეშმარიტებისად. 7. შინაგან აქუნ ჭეშმარიტი მსხუერ(828r)ლი - გული წმიდად და სული მდაბალი, და საკურთხეველი შესაწირავისად, მიმტვევებელი ცოდვათად, სულიერი იგი ცრემლი, შინაგან აქუნ სასუფეველი ცათად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ, სასუფეველი ცათად შინაგან თქუენსა არს. 8. მიერთგან სულიერი იგი კაცი სულიერითა თუალითა ხედავენ ყოველსა და სულიერთა შესაწირავთა შესწირავნ, რამეთუ სული არს ღმერთი და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა ჭეშმარიტებისათა ჯერ არს თაყუანისცემად. 9. ამას რად წესსა მოიწიოს ღმერთშემოსილი იგი კაცი, მიერთგან არნ გულსა შინა მისსა, რად იგი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა ამათ საქმეთა გამოუცდელისათა არა მოუჭდა, 10. რომელი იგი განუმზადა და გამოუცხადა ღმერთმან მოყუარეთა თუსთა და რომელი ღირს იქმნას ამას საზომსა მიწევნად, და დაემკუდროს ღმერთი მის შორის, მარადის ხედავენ და თაყუანისცემნ მას და შესწირავნ მსხუერპლსა ქებისასა, 11. რამეთუ ხედავენ გუამსა თუსსა ტადარსა საყოფელ უხილავისა ღმრთისა, ხოლო ჟამითიჟამად, ოდესცა უფალმან გაუმარჯოს, ღირსებით ეზიაროს წმიდასა მას და პატიოსანსა კორცსა და სისხლსა ქრისტესასა და უმეტესი მადლი და განათლება მიეფინოს სულსა მისსა, 12. ხოლო სხუათა მათ წესთა გალობითა და განგებითა და დღესასწაულთა საეკლესიოთა დაკლება არა არს სავნებელ ესევითარისა მის, რამეთუ ყოველნივე იგი სახენი ესევითართა განგებათანი სულსა შინი მისსა არიან და მის თანამკუდრ არს მშუდობად სამებისა წმიდისა.

13. აჰა, ესერა სიტყუათა მათგან ღმერთშემოსილისა გამოცხადნა, თუ ვინ არიან ჭეშმარიტნი იგი თაყუანისმცემელნი, რომელნი სულითა და ჭეშმარიტებითა თაყუანისცემენ ღმერთსა. 14. ესევეთარი დაყუდებად მშობელი (828v) არს ყოველთა სათნოებათა და მიზეზი მრავალთა კეთილთა. ამისთვისცა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ესევეთარისა სახისა დაყუდებასა გუასწავებს და იტყვს: 15. შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად და მამად შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად, 16. და ესაიადს მიერ იტყვს: ვის მივხედნე, გარნა მდაბალსა და მყუდროსა და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა.

**3. კითხვა: უკეთუ ვინმე ცოდოს და შეინანოს, და კუალად შევარდეს ცოდვასა მას შინა, ცუდ იქმნებისა სინანული იგი და შრომად, რომელი აჩუენა უფროისად, უკუეთუ ცოდვასა მას შინა მოკუდეს.**

**მიგება:** 1. ამის პირისათვის იტყვს ეზეკიელ წინაწარმეტყუელი: უკეთუ მიაქციოს მართალმან სიმართლისაგან თვისისა და ქმნეს ბოროტი ყოველისა მისებრ უსჯულოებისა, რომელ ქმნა უსჯულომან, ყოველნი სიმართლენი მისნი, რომელ ქმნა, არა მოვიცენო შეცოდებითა მისითა, რომელ ქმნა ცოდვათა შინა მისთა, რომელ ცოდა, უკუეთუ მას შინა მოკუდეს. 2. აწ ისმინეთ, სახლო ისრაელისაო, უკეთუ მიაქციოს მართალმან სიმართლისაგან თვისისა და ქმნეს ცოდვად და მოკუდეს ცოდვასა მას შინა თუსა, რომელ ქმნა, მას შინაცა მოკუდეს. 3. უკეთუ მიაქციოს უსჯულომან უსჯულოებისაგან თვისისა, რომელ ქმნა და იქმოდის სიმართლესა და განკითხვასა, ამან სული თუსი დაიმარხა და მოიქცა ყოველთაგან უღმრთოებათა თუსთა, რომელ ქმნა, [ცხორებით ცხონდეს], სადა არა მოკუდეს. 4. და კუალად იტყვს: სიმართლემან მართლისამან არა გამოიკვნას იგი, უკეთუ მიაქციოს ცოდვად უსჯულომან, თუ მიაქციოს ყოველთაგან უსჯულოებათა მისთა, რომელ ქმნა და მერ(829r)მე დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი ჩემნი, რადთა ქმნას სიმართლე და მოწყალებად, ცხორებით ცხონდეს და არა მოკუდეს და ყოველნი ცოდვანი მისნი არა მოვიცენნე, სიმართლითა მისითა, რომელ ქმნა, მით ცხონდეს. 5. არა ნებითა ვინებო სიკუდილი ცოდვილისად, იტყვს უფალი ღმერთი, არამედ მოქცევა მისი გზისა მისგან ბოროტისა და ცხორება მისი. 6. და დავითცა წამებს: რომელთა გარდააქციონ გულარძნილებად, მოიყვანნეს ივინი უფალმან მოქმედთა თანა უსჯულოებისათა, 7. ხოლო თავადი უფალი და მეუფე ჩუენი იესუ ქრისტე



ბრძანებს: არავინ დასდვის ჰელი ერქუანსა და მართლუკუნ ხედავს და წარემართის იგი სასუფეველსა ცათასა.

**4. კითხვად: უკუეთუ ვინმე იყოს ბერ და უძღურ და სულმოკლე და ვერ ეძღოს მონაზონებისა წესთა მოღუაწებათა აღსრულებად, ვითარ ეძღოს სინანული ცოდვათა თვისთად?**

**მიგებად:** 1. ამის პირისათვის თქუა მამათაგან მან ვინმე ღმრთივსრულმან, ვითარმედ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ბრძანებს, ვითარმედ: უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვრთი ჩემი მცირე. 2. აწ, უკუეთუ ვინმე ბერ იყოს და უძღურ, უკუეთუ ხოლო ენებოს, არარად არს დამაყენებელ დამარხვად მცნებათა მისთა, რამეთუ, ვითარცა წერილ არს, წრფელ არს სიტყუად უფლისად, ყოველნი საქმენი მისნი სიმართლით არიან, უყუარს წყალობად და სამართალი უფალსა. 3. წყალობითა უფლისადთა სავსე არს ქუეყანად, წრფელ არიან გზანი უფლისანი და მართალნი ვიდოდენ მათ შინა, ხოლო უსჯულონი მოუძღურდენ, 4. რამეთუ სახიერმან და მრავალმოწყალემან უფალმან არა თქუა განჩინებით, რადთა ყოველთა ქალწულებად და უქორწინებლობად დაიმარხონ, არცა განშორებად სოფლისაგან განჩინებით განაწესა, არამედ კაცადკაცადისა ბუნებისა მიუშუა ამათ საქმეთათვის. 5. არამედ ბრძანებითა განჩინებით (829v) გუამცნო სიყუარული ღმრთისად და მოყუასისად, სიმდაბლე და მოწყალება, სიმშუდე და მშუდობად, ძვრუსენებლობად, ჭეშმარიტებად, ღმობიერებად, ლოცვად, მოთმინებად. 6. ამათ მცნებთა აღსრულებად არცა სიბერე აყენებს და არცა უძღურებად. 7. ჭეშმარიტად ტკბილ არს უღელი უფლისად და ტვრთი მისი სუბუქ და მცირე, თუ ვინმე გულსმოდგინებად აჩუენოს, არარად არს დამაყენებელ მისა სათნოყოფად უფლისა. 8. აწ უკუე, რომელსა ვერ ეძღოს მონაზონებად, განშორებად, მარხვად, ფრიადი ზედგომად დამე ყოველ, მუკლმოდრეკით გალობად და სხუანი იგი საჭირონი მოღუწებანი, ზემოწერილნი იგი მცნებანი აღასრულენ და არა შორს იყოს სასუფეველისაგან. 9. ვითარცა იტყვს ნეტარი მოციქული პავლე, ვითარმედ: გლოცავ თქუენ, რადთა ღირსად ხუდოდეთ ჩინებასა მას, რომელსაცა ჩინებულ ხართ, ყოველითა სიმდაბლითა, სიმშუდითა და სულგრძელებითა თავს-იდებლით ურთიერთას. 10. სიყუარულით ისწრაფდით დამარხვად ერთობასა მას სულისასა სიმტკიცითა მშუდობისადთა, განიშორეთ ტყუილი, იტყოდით ჭეშმარიტსა კაცადკაცადი მოყუსისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთარს [ასოებ. გული გიწყრებოდენ და ნუ სცოდავთ] 11. მზე ნუ დაგასწრობს განრისხებასა თქუენსა, ნუ სცემდით ადგილსა ეშმაკსა, მპარავი ნუ იპარავს,

არამედ უფროდღა შურებოდინ და იქმოდენ ჳელითა თვისითა კეთილსა, რადთა აქუნდეს ვის იგი უნდეს მიცემად ყოველი. 12. სიტყუად უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ, არამედ იგი იყოს კეთილი აღსაშენებელად საჳმრისა მის, რადთა მისცეს მადლი მსმენელთა მათ და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითა აღიბეჭდენით დღედ გამოჳსნისა.

**5. კითხვად: კეთილ არს აღსარებაჲ ცოდვათაჲ (8320r) ... წინაშე, ანუ იქმნების თუნიერ აღსარებისა სინანული და მიტეგებაჲ ცოდვათაჲ?**

**მიგებაჲ:** 1. აღსარებაჲ ცოდვათაჲ პირველითგანვე განწესებულ არს, რამეთუ იოანე ნათლისმცემელი მოვიდა რად ნათლისცემად, განვიდეს მისა და ნათელ იღებდეს და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა, და 2. ეგრეთვე წმიდათა მიციქულთა განაწესეს ბრძანებითა უფლისაჲთა, რამეთუ ყოველივე მოქმედი ცოდვისაჲ თანამდებ არს საუკუნესა მას სირცხულსა, რომელ იგი უძურეს არს ყოველთაჲვე სატანჯველთა. 3. ამისთვის სახიერმან და მრავალმოწყალემან ღმერთმან განაწესა რად აქავე მცირედი სირცხვილი თავს იღვას კაცმან, ერთსა წინაშე მსგავსისა თვისისა განაქიქოს მის წინაშე ცოდვაჲ თვისი. 4. და მცირედითა ამით დიდსა მას და საშინელსა სირცხულსა წინაშე ანგელოზთა და კაცთა განქიქებასა განერეს. 5. ხოლო კაცთა არს უკუე აღსარებაჲ სარგებელ ფრიად, გარნა არა ჯერ არს უმეცართა და გამოუცდელთა თანა აღსარებაჲ, 6. რადთა არა უგუნურთა აღსუბუქებითა კანონისაჲთა შეურაცხებაჲ და სიმცირე ცოდვისაჲ ასწაონ, ანუ უზომოდთა დამძიმებითა სასოებაჲ წარუკუეთონ. 7. ხოლო ჳპოო თუ კაცი სულიერი, გამოცდილი და შემძლებელი კურნებად, აღუვარე მას ყოველი ბრალი შენი ურცხუენელად და სარწმუნოებით, არა ვითარცა კაცსა, არამედ ვითარცა წინაშე ღმრთისა იტყოდე. 8. რამეთუ წერილ არს, სულისა შენისაჲ ნუ გრცხუენის, რამეთუ არს სირცხული მომატყუებელი ცოდვისაჲ და არს სირცხული დიდებაჲ და მადლი სულისაჲ, ნუ თუალ აღებ სულსა ზედა შენსა და ნუ გრცხუენიან აღსარებაჲ ცოდვათა შენთა. 9. რამეთუ წმიდაჲ იოანე მახარებელი და ღმრთისმეტყუელი იტყვს, უკუეთუ აღუვა(830v)რნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს ღმერთი და მართალ, რადთა მოგვეტევენს ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ჩუენ ყოველისაგან სიცრუვისა.

**6. კითხვად: ზიარებაჲ ქრისტეს საიდუმლოთაჲ ზედადსზედა ჯერ არსა თუ ჟამითიჟამად.**

**მიგება:** 1. წმიდა მოციქული პავლე იტყვს: გამოიცადენ კაცადკაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგანი ჭამე და სასუმელისა მისგანი სუნ, 2. რამეთუ რომელი არადირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს, რამეთუ ვერ გამოიკითხნა ჳორცნი უფლისანი. ამისთვის ფრიად არიან თქვენ შორის უძღურ და სნეულ და ჳრულის მრავალთა.

3. უკუეთუმცა თავთა თვისთაგან ვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით, ხოლო გან-  
თუ-ვიკითხვით ქრისტეს მიერ, განვისწავლებით, რადთა არა სოფლისა თანა  
დავისაჯნეთ. 4. ამათ სიტყუათაგან საცნაურ არს, ვითარმედ ჳერ არს წინაფთვე  
განწმედათ თავისა თვისისადა ყოვლისაგან ბილწებისა სულისა და ჳორცთადა და  
ესრეთ მიახლებად წმიდათა მათ საიდუმლოთა, რადთა არა დასასჯელ სულისა და  
ჳორცთა გუექმნას. 5. ხოლო რად არს სიტყუად იგი მოციქულისადა, რომელ თქუა,  
ვითარმედ, ამისთვის ფრიად არიან თქვენ შორის უძღურ და ჳრულის მრავალთა, 6.  
ამას მოასწავებს, ვითარმედ უღირსად ჳიარებადა არა ხოლო თუ სულისა დასასჯელ  
ექმნების, არამედ ჳორციელთა სენტა მოაწევს და უჳამოთა სიკუდილთა. 7. აწ  
უკუე, არათუ ჳამი და დღე საძიებელ არს ჳიარებისათვის, არამედ ღირსებადა და  
სიწმიდე. რომელი ღირსებით ეზიარებოდის, ოდესცა ეზიაროს, განათლდების სული  
მისი და ჳორცნიცა, 8. ხოლო რომელი არა ღირს იყოს, განეყენენ, ვიდრემდის  
ცრემლ(831r)ითა და აღსარებითა და სინანულითა ღირსებადა მიიღოს და მერმელა  
მიიღენ წმიდათა იგი საიდუმლოთა. 9. რამეთუ ესრეთ იტყვს წმიდათა იოვანე ოქროპირი,  
ვითარმედ მრავალნი წმიდათა მას მსხუერპლსა ერთგზის წელიწადსა შინა  
ეზიარებიან, და სხუანი ორგზის, და სხუანი - მრავალგზის. 10. აწ უკუე, ჩემი  
სიტყუად წმიდათა მიმართ არს, არა აქა ხოლო მყოფთა, არამედ მათთა შინა და  
უდაბნოთა მსხდომარეთა, რომელნი იგი ერთგზის წელიწადსა შინა და ოდესმე  
ორსა წელიწადსა შინა ეზიარებიან. 11. აწ უკუე, რომელნი საქებელ არიან,  
რომელნი წელიწადსა შინა ერთგზის ეზიარებიან, ანუ რომელნი ორგზის, ანუ  
რომელნი მრავალგზის. 12. არცა იგინი საქებელ არიან და არცა იგინი, არამედ  
რომელნი ღირსებითა და გონებითა წმიდითა ეზიარებოდინ, რომელნი შემკობილ  
არიან სათნოებითა და საქმითა კეთილითა. 13. ესევეთარნი მარადის ეზიარებოდინ  
განსაწმედელად სულთა და ჳორცთა, ხოლო რომელნი უღირს იყვნენ და  
შებდალულ ცოდუათაგან, იგინი ნუცა ერთგზის იკადრებენ მიახლებად საშინელსა  
მას საიდუმლოსა, რათა არა ექმნას დასასჯელად. 14. რამეთუ ვითარცა საზრდელი  
რად მიიღის სტომაქმან ხაშმმან და უძღურმან, უფროდსად სავენებელ იქმნას

არაძლებსა მისგან სტომაქისა. ეგრეთვე სულსა ცოდვილსა და ვნებითა განფრდილსა შევიდის რად ცეცხლი იგი წმიდათა საიდუმლოთაჲ, შეიწუების და დაისჯების ცოდვილი სული. 15. აწ უკუე, რომელსა ენებოს წმიდათა საიდუმლოთა ზიარებად, პირველად განიწმიდენ თავი თვისი აღსარებითა და სინანულითა და ცრემლითა მკურვალითა ყოველთაგან ცოდვათა და სხუთა ყოვლი(831v)თა სათნოებითა შეამკვენ თავი თვისი და ეგრეთ მოუკედინ დიდებულსა მას ტრაპეზსა, 16. და მიერთგან კეთილად დაიცვიენ თავი თვისი ყოვლისაგან ცოდვისა, რადთა არა კუალად წაერიოს ბოროტთა საქმეთა.

**7. კითხვაჲ: რაგდენისა პირისაგან იქმნებიან კაცთა ზედა ბრძოლანი სიძვისანი და ძილსა შინა დინებანი?**

**მიგებაჲ:** 1. ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა, ოთხთა პირთაგან იქმნების: სიმკურვალისაგან ბუნებითისა, რომელი აღეტყინების ჭამისაგან და სუმისა, ძილისა და უქმობისაგან, ანუ ზუაობისაგან ანუ განკითხვისაგან მოყუსისა, ანუ შურისაგან ეშმაკთაჲსა, ოდეს გუხილნენ წარმართებასა შინა საღმრთოსა. 2. და შეემთხუევის კაცსა უძღურებისაგანცა და დაჰკვნის ძილსა უცნებაჲ იგი დინებისაჲ ძილსა შინა და კუალად ფრიადისაცა ჩუეულებისაგან ბოროტისა ჳორცთაჲსა მოიწევის, რამეთუ ორნი დინებანი [ა]რიან კაცსა თანა არსებითნი: 3. ერთი იგი შემაგინებელი და ერთი იგი განმწმედელი დინებაჲ იგი თესლისაჲ და დინებაჲ იგი ცრემლთაჲ. და ვითარცა ყოველი ცოდვაჲ, რომელი ცოდოს კაცმან, გარეშე ჳორცთაჲსა არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, ჳორცთაგან თვისთა მისცემს რეცა შესაწირავად თესლსა მას. 4. ეგრეთ[ვე] ყოველი საქმე კეთილი, რადცა ქმნას კაცმან, გარეშე ჳორცთა არს, ხოლო ცრემლნი არსებისაგან გუამისა ჩუენისა შეიწირვიან ღმრთისა, ვითარცა იგი სისხლი წმიდათა მოწამეთაჲ შეიწირა. 5. ამისთვის, ჳერ არს ყოველად სინანულისა [და] ცრემლთა დათხევისა დაცვაჲ თავთა ჩუენთაჲ ცოდვათაგან, რადთა არა კუალად შევაგინეთ სულნი და ჳორცნი ჩუენნი, 6. რამეთუ ძნელ არს, უკუეთუ ვინმე დაეჩუვოს განრცხად სამოსელისა მის სული(832r)სასა, რომელ არიან ჳორცნი, და კუალად შებღალვად. 7. რამეთუ მრავალგზის განრცხად და კუალად შებღალვად განცუეთილ ძუელ - ჳყოფს მას და მერმე, ოდეს დაძუელდის და დაბერდის, განრცხადცა ვერარა ეძლოს. 8. რამეთუ ვიხილენ კაცნი მოხუცებულნი და ასწლად მიახლებულნი და ვერშემძლებელნი განყენებად ჳორციელთ ცოდვათაგან ფრიადისა მისგან ჩუეულებისა, რამეთუ ესრეთ ყოველთავე ვნებათა არს უძურეს ბოროტი ჩუეულებაჲ.

8. კითხვა: რაოდენნი სახენი არიან ღმრთისგან მიშუებისა და დატევებისანი, რომლისაგან მივეცემით განსაცდელთა სულიერთა, გინა ჳორციელთა, ანუ ცოდვასა შთავეარდით, ანუ სნეულებანი და უძღურებანი შეგუემთხუნიან და ვითარ ვცნათ, თუ რომელი არს ღმრთისა მიერ საწურთელად ჩუენდა მოვლინებული, ანუ რომელი არს ეშმაკისაგან მოწვენული განსაცდელი.

მიგება: 1. მრავალსახე არიან და მრავალფერად იქმნების მიშუებად და დატევებად ღმრთისა მიერ, ხოლო უმეტესი ორსახე არს: მიშუებითა ღმრთისადათა მიზეზი, ანუ მოსაქცევებად ჩუენდა ცოდვათაგან და სასწავლებლად, ვითარცა იტყვს: ნეტარ არს კაცი, რომელი განსწავლო შენ, უფალო, რამეთუ ვითარცა წურთინ მამად შვილსა, 2. ანუ გარემიქცევითა პირისა მისისადათა და რისხვითა, ვითარცა ჳრისხავნ მეფე მტერთა, ვითარ იგი იყო იუდაისი უკანადასკნელ, რამეთუ ოდეს უკურნებელ იპოვა ბოროტი იგი გონებად მისი, დაუტევა იგი ქრისტემან. 3. იყო მიშუებად ღაზარე გლახაკისადაცა, კუაღად განრღუეულისად მის მისატევებელად ცოდვათა, ვითარცა ჳრქუა: აჰა ესერა, განიკურნე, ნუღარა სცოდავ, და 4. მიეცა პავლეცა განსაცდელთა და ტანჯვათა, არამედ სიმრავლისათუს სათნოებათა (832V) მისთადას, ვითარცა გარდარეულითა მით გამოცხადებითა. ამისთუს, რადათა არა ავიმადლო, მომეცა მე საწურტელი ჳორცთად, ჳირნი იგი და განსაცდელნი იყვნეს საწურტელ. 5. განისწავლა არამედ ამისთუს, რადათა უმეტესდა მართალ და წმიდა იპოოს, ვითარცა იგი ჳრქუა მას ღმერთმან: ანუ ჳგონება, თუ სხუად რადმე გამოიცადე, არამედ რადათა გამოსჩნდე მართლად. 6. და მიეცნეს წინაწარმეტყუელნიცა ტყუეობად წესად და სარგებელად ერისა მის. 7. და სხუანიცა მრავალნი სახენი არიან მიშუებისა ღმრთისანი ჩუენ მიერ უცნაურნი, ვითარცა მან მხოლომან უწყნის მიუწდომელითა განკითხვითა თუსითა, ხოლო ოდეს მოიწიოს კაცსა ზედა მიშუებითა ღმრთისადათა განსაცდელი, უკმს გამოძიებად თავსა შორის თუსა მიზეზსა მას მიშუებისასა და განმართლებად. 8. რამეთუ უკუეთუ არა ეცეს ჩუენ მიერ მიზეზი, არა მოიწევს ჩუენ ზედა მიშუებად შთავრდომისა განსაცდელად გინა თუ სულიერად, გინა თუ ჳორციელად. 9. რამეთუ ანუ ამპარტავანებისაგან და ზუაობისა, ანუ განკითხვისაგან სხუათადასა, ანუ ძურისკსენებისაგან, ანუ ბრალობისაგან მოყუსისა და არა თავთა თუსთა, ანუ პირველქმნილთა ცოდვათ ჩუენთათუს მოიწევინ ჩუენ ზედა განსაცდელნი მართლმსაჯულისა უფლისა მიშუებითა, ანუ ვნებათა სულიერთა შთავრდომად ანუ ჳორციელთა. 10. ვითარცა იტყვს მოციქული: უკუეთუცა თავთა ჩუენთა განვიკითხვიდით, არამცა განვიკითხენით, ხოლო გან-თუ-

ვიკითხვით, ღმრთისა მიერ განვისწავლებით, რაფთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ. 11. რამეთუ მრავალგზის ცოდავნი რაფთა კაცი და არა ინანის, მოუვლინნის ღმერთმან განსაცდელნი და ჭირნი და გან(833r)საცდელისა მის მიერ მოვიდის მეცნიერებად, ვითარცა შეემთხვა ნაბუქოდონოსორს და მანასეს, ვითარცა წერილ არს: ჭიმიტა და აღვრიტა ქცევად ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ. 12. ესე უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოწვევული კაცსა ზედა სწავლა და განსაცდელი უმჯობესისათვის არაოდე წარუკუეთს სულისაგან კეთილსა მას სასოებასა, ვითარცა იყო იობ, რომელი ყოველთა მათ მიუთხრობელთა ჭირთა შინა სასოებასა მას კეთილსა არა წარჰკუეთდა, ვითარცა აჩუენე შენ თვთოსახედ სხუთა მისთა გონიერად მადლობანი. 13. ხოლო რომელი მიშუებითა ღმრთისაფთა ეშმაკისა მიერ მოვიდეს განსაცდელი, რისხვითა და მწუხარებითა და უსასოებითა აღავსებს სულსა კაცისასა.

**9. კითხვად: ვხედავთ ვიეთმე მორწმუნეთა, რომელნი იქმან კორციელთა ცოდვათა და საქმენი საწუთროსანი განემარჯუებიან და განსაცდელთაგან გამოიგნის ღმერთი. ვითარ არს საქმე ესე?**

**მიგებად:** 1. სამართალნი და განკითხვანი ღმრთისანი მიუწდომელ არიან და გამოუთქუმელ. ამისთვის არა ჯერ არს განკითხვად კაცისად, ვიდრე მუნ დღედმდე. 2. რამეთუ უფალმან უწყის კაცადკაცადისა დაფარული, რამეთუ მრავალნი ჩანან მოქმედად რათმე, ხოლო ფარულად აქუნდის მრავალი კეთილი წინაშე ღმრთისა. 3. სხუანი კუალად ლოცვითა მშობელთა მათთაფთ განმარჯუებულ არიან და შეწყალებულ, ვითარცა სოლომონ დავისთვს, ვითარცა ჰრქუა მას ღმერთმან. 4. ვინაფთგან არა დაიმარხენ მცნებანი ჩემნი და ბრძანებანი, რომელი გამცენ შენ, განიხეთქოს მეფობა შენი კელთაგან შენთა და მივსცე მონასა შენსა, გარნა დღეთა შენთა არა ვყო ესე დავითისათვის, მამისა შენისა. 5. კუალად იყვნიან აწ უკეთურ, ხოლო ეგულებინ უკანაფსკენელ ჭეშმარიტისა სინანულისა კელყოფად და ამისთვის (833v) უწყის ესე უფალმან, დაჰფარავს მათ, ვითარ იგი ქმნა ნეტარისა პავლეს ზე. სხუათა კუალად განუმარჯუებს ღმერთი, რაფთა მისცეს მათ მიზეზი სინანულისად. 6. ხოლო უგულისკმო და გუღფიცხელ თუ იპონენ, უძვრესად იტანჯნენ, ვითარცა შეემთხვა მდიდარსა მას, რომელ ლაზარეს სწუნობდა, ვითარცა იტყვს მოციქული: ვითარ ვერ გიცნობიეს, რამეთუ სულგრძელებად ღმრთისად სინანულად მიგიყვანებს. 7. ხოლო შენ, სიფიცხლითა შენითა და შეუნანებელითა გულითა, იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღესა მას რისხვისასა

და გამოჩინებასა სიმართლისა სჯულისა ღმრთისასა, რომელმან მიაგოს კაცადკაცადსა საქმეთა მათთაებრ. 8. და დავით იტყვს: ნუ გშურნ მათი, რომელთანი წარმართებულ არიან გზანი მათნი კაცისა თანა, რომელი იქმოდის უსჯულოებასა, რამეთუ, აჰა ესერა, ცოდვილნი წარწყმდენ, ხოლო მტერნი უფლისანი დიდებასა ოდენ მათსა და ამადლებასა მოაკლდენ, და ვითარცა კუამლი განქარდენ. 9. არამედ ნუ გეშინინ, რაჟამს განმდიდრდეს კაცი ცოდვილი და განმრავლდეს დიდებაჲ სახლისა მისისაჲ, რამეთუ ვითარცა თიგაჲ მსთუად განკმეს, და ვითარცა მხალი მწუანვილისაჲ აღრე წარკდეს. 10. ამათ ყოველთა ზემოკსენებულთა მრავალფერთა მიზეზთაგან რომელნიმე განმარჯუებულ და წარმართებულ არიან სოფელსა ამას, და რომელნიმე ჭირვეულ გამოუთქუმელითა განკითხვითა უფლისაჲთა. 11. ვითარცა იტყვს ნეტარი იოანე ოქროპირი, ვითარმედ: რადესტუს აბრაჰამ მდიდარ იყო და იაკობ ნაკლულევანი, არა იგიცა მართალ იყო, ვითარ უკუე იგი მდიდარ იყო და ესე გლახაკ უფროდს. 12. არამედ ესე გულისკმა-ჰყავ, ვითარ ესავ ბილწ იყო და სიმდიდრე ფრიად აქუნდა, ხოლო იაკობ შრომით (834r) და რუდუნებით ცხონდებოდა კეთილად, ვითარ ისაკ ფლობით გარდაიკადნა დღენი თუსნი და ფართობით, ხოლო იაკობ ჭირვეულად და იწროებით, 13. ვითარცა იტყოდა, ვითარმედ: მცირე და ბოროტ არიან დღენი ცხორებისა ჩემისანი. რადესატუს დავით ყოველი ცხორებაჲ თუსი შრომით და ძნელუვანად აღასრულა მრავლითა ჭირითა და მწუხარებითა, ხოლო ძემან მისმან სოლომონ ორმეოცი წელი უმეტეს ყოველთა კაცთა შუებითა და დიდებითა გარდაიკადა. 14. და ვითარ წინაწარმეტყუელთა შორის რომელთამე უმეტესნი და რომელთამე უმცირესნი ჭირნი შეემთხვნეს და ეგრეთვე სხუათა ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა სჯულისათა. 15. ვინ უწყის ამის ყოველისა საიდუმლოდ სხუამან, გარეშე შენსა, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო. ამისტუს ყოველსა ზედა ჯერ არს დადადებაჲ სიმართლენი შენნი, ვითარცა მ...ნი..., ღმერთო, [გან]კითხვანი შენნი, ვითარცა უფსკრულნი მრავალნი.

**10. კითხვაჲ: იტყვს ღმერთი წინაწარმეტყუელისა ანგიაჲს მიერ: ჩემი არს ოქროჲ და ვეცხლი და ვითარცა მენებოს, მივსცე იგი. აწ უკუე, ყოველსა კაცსა მდიდარსა ღმრთისა მიერ აქუსა სიმდიდრე.**

**მიგებაჲ:** 1. კუალად უკუე, ვითარ ისაკ ფლობით გარდაიკადა დღენი მისნი, ხოლო იაკობ ჭირით. ესე სხუად: ჩემი არს ოქროჲ და ვეცხლი, არს წერილთა შინა. 2. ხოლო ესე, თუ ვისიცა მენებოს, მივსცე იგი, არა წერილ არს, არამედ უგუნურთა

და ვეცხლისმოყუარეთა კაცთაგან შერთოლ არს, რომელთა ჰნებაჲს მოტაცებაჲ სხუათაგან. 3. რამეთუ ბრძოლითა და სისხლთა დათხევითა, და პარვითა, ცრუ ფიცითა, ტაცებითა და ქრთამის აღებითა, და ყოველითა უსამართლოებითა სიმდიდრე მოუგია, ვერ ჰველეწიფების თქუმაჲდ, თუ ღმრთისა მიერ გან(834v)..., [ეშ] მაკისა მიერ და ცოდვისა [თუ]სისა. 4. არამედ იგინი ხოლო, რომელნი შეიკრებენ სიმართლისა გზათაგან და უცოდველთა საქმეთაგან, შემძლებელ არიან თქუმაჲდ იობს თანა: უფალმან მომცა და უფალმანცა მიმიღო, 5. ვითარცა უფალსა უნდა, ეგრეცა იქმნა, ხოლო... ღართა და მტაცებელთა ნუმცა აცთუნებს გონებაჲდ, თუ ღმრთისგან არს სიმდიდრე მათი. 6. ვითარცა იტყვს წმიდაჲ იოვანე ოქრიპირი, ვითარმედ იტყვან, [ვითარმედ] თუ, ვინაჲ არს სიმდიდრე მდიდართაჲდ, რამეთუ წერილ არსო, სიმდიდრე და სიგლახაკე ღმრთისა მიერ არსო. 7. ვჰკითხო უკუე ესევეითარისა სიტყვსა მეტყუელთა: ყოველი სიმდიდრე და სიგლახაკე ღმრთისა მიერ არსა. ნუ იყოფინ, ვინმცა თქუა გონიერმან ესე სიტყუაჲ. 8. რამეთუ ვხედავთ მრავალთა ტაცებითა და პარვითა, და სამარეთა მკრეხელობითა, გრძნებითა და სხუთა ესევეითარისა ბოროტისა მიზეზითა განმდიდრებულთა, რომელნი იგი არა ღირს არიან ყოვლადვე ცოცხალყოფად. 9. აწ, ესევეითარი იგი სიმდიდრე ღმრთისაგან მოცემულად ვთქუათა, ნუ იყოფინ, გარნა ცოდვისა და ურწულეობისაგან, რამეთუ მეძაენიცა ბოროტითა მით საქმითა მრავალგზის განმდიდრდიან, ვითარ უკუე ვინ იკადროს თქუმაჲდ, თუ ღმრთისაგან არს სიმდიდრე იგი. 10. რამეთუ ამას სოფელსა კაცი თვთმფლობელ არს და ვითარცა ენებოს, მოქალაქობს. რომელთა შეიწყნარეს ცოდვაჲდ, ცოდვისა მისგან გინათუ განმდიდრდენ, გინათუ დაგლახაკდენ, არაჲდ არს ღმრთისაგან საქმე მათი. 11. ვითარცა წერილ არს, რამეთუ შენ ღმერთი არა ეგრე ხარ, ვითარმცა გინდა უსჯულოებაჲდ. ხოლო ღმრთისამიერი მოცემული სიმდიდრე არს, ვითარ იყო აბრაჰამისი, ისაკისი და ... იობისი და (835r) სხუათა ესევეითართაჲდ, რომელნი ღმრთი[ს]მოშიშებით და სიმართლით მოიგებენ და სათნოდ ღმრთისა წ[ა]რაგებენ.

**11. კითხვაჲ: რაჲ არს მონაჲ იგი სიცრუვისაჲ?**

**მიგებაჲ:** 1. უსჯულონი იგ წარმართნი ძეთა და ასულთა თუსთა დაუკლვიდეს შესაწირავად ეშმაკთა. აწ უკუე, ჩუენმცა რაჲ მიზეზი გუაქუნდა საფასეთა და მონაგებთა შეწირვისათუს, 2. რამეთუ უკუეთუ თაენიცა ჩუენნი შევწირნეთ ღმრთისა, არცა მაშინ ღირსად აურაცხელთა მათ კეთილთა წილ ვიქმთ რას, რომელნი სახიერსა მას მოუნიჭებიან ჩუენდა.



**12. კითხვა:** რომელსა ესუას ცოლი და შვილნი, და საქმეთა სოფლისათა ზრუნვიდეს, ვითარ შეუძლოს მან სათნოყოფად ღმრთისა, დამარხვად მცნებათა მისთა?

**მიგება:** 1. უკუეთუმცა არა მრავალნი სათნოყოფილ იყვნეს ღმრთისა სოფელსა შინა სიმდიდრესა და ქორწინებასა მყოფნი, აქუნდამცა სიტყუად ესევეითარისა მის მიზეზისა მეტყუელთა. 2. ხოლო, აწ ესერა, ვხედავთ წმიდათა შინა წერილთა მოყუარეთა ღმრთისათა, რომელნი იყვნეს სოფელსა შინა მეუღლეთა და შვილთა თანა და სიმდიდრესა შინა სათნო ეყვნეს ღმერთსა. 3. ვითარ იგი იყო აბრაჰამ, ისაკ, იაკობ, დავით და მსგავსნი მათნი, რომელნი ვერ დააბრკოლნა სიმდიდრემან მონაგებთამან და შვილთა სათნოყოფად ღმრთისა, რამეთუ არათუ სიმდიდრე არს ბოროტ, არამედ ბოროტად კმარებად არს წარმწყმედ[ელ]. 4. რომელმან კეთილად იკმაროს და მცნებანი ქრისტესნი დაიმარხნეს, მიემთხვოს ცხორებასა საუკუნესა.

**13. კითხვა:** სადა ჯერ არს და უმჯობეს მიცემა საფასეთად ეკლესიათა ანუ გლახაკთად?

**მიგება:** 1. ვითარცა სახარებასა შინა წერილ არს, კურთხევასა მას მარჯუენით მდგომარეთასა, ოდეს ჰრქუა: მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო. ა[რარ]ას სხუასა ავსენებს, გარნა გლა(835v)ხაკთა, უცხოთა და შიშველთა, უძლურთა და პყრობილთა. 2. მათ ზედა ქმნილი ქველისსაქმე თუსად შეჰრაცხა უფალმან. გარნა არიან ეკლესიანიცა ნაკლ[ულ]ევანნი, რომელთა არა აქუს სათანადოდ სახმარი ეკლესიისად და კეთილ არს მათცა მოღუაწებად, ხოლო მდიდართა ეკლესიათა რომელი შესწირვიდეს საფასეთა, არა უწყის, რად ყოფად არს მუნ შეკრებული იგი. 3. რამეთუ მრავალთა ეკლესიათა შეიკრიბეს ფრიადი საფასე და დიდძალი ჭურჭელი, და ვერ კეთილად განგებთა ანუ განირყუნა სიძველითა, ანუ მპარავთაგან და წარმართთა განიკრება. 4. საცნაურ არს, ვითარმედ გლახაკთა მოწყალებად უადრეს არს, რამეთუ ყოველი, რომელი გლახაკთა მიეცეს კვლითა შენითა, ღმრთისა თანა დამარხულ არნ. 5. ამისთვის იტყვს იოანე ოქროპირი, ვითარმედ: ეკლესიათა არა შემკობისათუს არავინ სადა ბრალეულ იქმნა ღმრთისაგან, ხოლო გლახაკთა არა წყალობისათუს გეჰქენიად განმზადებულ არს, ცეცხლი უშრეტი და დასჯად ეშმაკთა თანა.

**14. კითხვა:** ძრვანი და ტყუეობანი და რაოდენი ძური შეემთხუევის კაცთა წარმართთა მიერ, ბრძანებითა ღმრთისადათა იქმნებისა.

**მიგება:** 1. კაცთმოყუარე და მართლმსაჯული ღმერთი, რაჟამს გუხედვიდეს ცოდვათა და უსჯულოებათა შინა, მოაწევს განსაცდელთა, რათა ვიწუართნეთ და მოვიქცეთ მისა. 2. ამისთვის სხუათა თანა განსაცდელთა მოიწევს წარმართთა მიერცა წურთად ჩუენი, არა წარწყმედად, არამედ რაჟთა განვისწავლნეთ, ვითარცა ეტყოდა იერუსალიმსა იერემიადს მიერ: 3. ერო ჩემო, მიეყიდენით წარმართთა, არა წარსაწყმედელად, არამედ რამეთუ განარის(836r)ხეთ უფალი ღმერთი თქუენი და მიეცენით მტერთა 4. ხოლო მტერთა მიეცეს რად კელმწიფებად, არა კმა ყვიან ზომითი წურთად, არამედ მორჩილებითა თვისითა უკეთურებისადთა ქმნიან ტყუეთა მათ ზედა მრავალი ბოროტი, რად იგი არა სთნავს ღმერთსა, რომლისათვის თანამდებ არიან იგინი საუკუნეთა მათ სატანჯველთა. 5. ხოლო ჩუენ, ესევითარი ოდეს რადმე შეგუემთხვოს, უწყითმცა, რამეთუ ცოდვათა ჩუენთათვის მივეცემით კელთა მტერთა ჩუენთასა სამართლითა მით სასჯელითა ღმრთისადთა, 6. რამეთუ ურჩულოებანი ჩუენნი მოაწევნ ჩუენ ზედა განსაცდელთა, ვითარცა იტყვს ესაია იერუსალიმელთათვის: 7. ვინ მისცა იავარისყოფად და წარწყმედად იაკობი კელთა მტერთა მისთასა, არათუ ღმერთმან, რომელსაცა შესცოდა და არ[ა] ინება სლვად გზათა მისთასა. 8. ეგრეთვე ეზეკიელის მიერ იტყვს იერუსალიმელთათვის: ცანთ ყოველთა წარმართთა, რამეთუ ცოდვათა მათთვის ტყუე იქმნა სახლი ისრაელისად, რამეთუ შეურაცხ-მყვეს მე და ქმნეს წინაშე ჩემსა ბოროტი, რად იგი არა მენება, გამოირჩიეს, 9. და გარემივაქციე პირი ჩემი მათგან და მივსცენ იგინი კელთა მტერთა მათთასა, და დაეცნეს მახვლითა, არაწმიდებათა დაუსჯულოებათა მათთაებრ შეემთხვა. 10. საცნაურ არს, რამეთუ რადენი ძური შეემთხვოს მტერთაგან, მართლმსაჯულებითა ღმრთისადთა შეემთხუევის ცოდვათა ჩუენთათვის, რამეთუ თვთმფლობელ გუყვნა ღმერთმან და კელმწიფებად გუაქუს ცხორებისა ჩუენისად და წარწყმედისად... 11. ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ღმერთმან დაჰბადა კაცი და დაუტევა იგი კელთა შინა ზრახვისა მისისათა და წინაშე კაცისა არს ცხორებად და სიკუდილი, და რომელიცა სათნო-იყოს, იგიცა მოეცემის მას.

**15. კითხვა:** რად არს ბედი ანუ ჯუარსა ქრისტეანეთაგან აღსა(836v )რებად ბედისად?

**მიგება:** 1. ბედი წარმართთა მიერ თქუმულ არს, რომელთა იგი არა ჰრწამს ცხოველი ღმერთი, არამედ ჰმსახურებენ კერპთა და ვარსკულაფთა თაყუანის-სცემენ. 2. ხოლო ქრისტეანენი ღმერთსა აღვიარებთ დამბადებელსა და განმანათლებელსა სოფლისასა. 3. ხოლო რომელი ირწმუნებდეს ბედსა, დაკლებულ არს იგი წესისაგან

და სარწმუნოებისა ქრისტიანეთაჲსა მსგავსად წარმართთაჲსა, რომელნი იგი, რადცა შეემთხვოს კაცთა, ბედსა და ვარსკულაეთა მიაჩემებენ უგუნურებით. 4. გულსავე უკუე იყავნ ყოველი კაცი, ვითარმედ არს ბედი, არამედ განგებითა ღმრთისაჲთა მიუთხრობელითა მით და მიუწდომელითა განკითხვითა მისითა განუწესებეს ყოველივე. 5. ხოლო ესე საქმენი ზმნად ბედისად და დღესა შობისასა ვარსკულავთმრიცხუელობად, და ყოველნი მისნობანი და ზმნანი, ძუელსა და ახალსა სჯულსა შინა უსჯულოებად შერაცხილ არიან, 6. და ყოველთა წმიდათა მიერ განგდებულ არს და ძაგებულ საქმე ესე, და არარად ესევეთარი ჯერ არს შეწყნარებად, არამედ ღმრთისა მიმართ მიგდებად თანა-გუაც და ვედრებად მისი, რად შეწევნად მისი მოაგლინოს ჩუენ ზედა, და უმჯობესი ჩუენი განაგოს სახიერებითა თვისითა.

**16. კითხვაჲ: რომელნი ცოდვანი შეენდობვიან მიცვალებულთა ჟამისწირვითა ... და ლოცვითა და მოწყალებითა, რომელნი აღესრულებიან მათთვის მეგობართა და თუსთა მათთაგან.**

**მიგებაჲ:** 1. საქმე ესე შესუენებულთა კსენებისად, და უსისხლოდსა მსხუერპლისად მათთვის შეწირვად, და ქველისსაქმისა მათთვის ქმნად, და ლოცვად ღმრთისა მიმართ და ვედრებად, პირველითგანვე განწესებულ არს. 2. წმიდათა მოცი(837r)ქულთა მიერ მადლითა და სულისა წმიდისაჲთა სარწმუნო არს და ჭეშმარიტ, და სარგებელი დიდი მიცვალებულთა მათ სულთად. 3. უკუეთუ არა, ვითარმედ რადმე ტვრთმძიმე იყოს ვინ, ვითარცა იტყვს წმიდაჲ დიონისიოს, და ბოროტთა და ძნელუვანთა ცოდვათა შინა განფრდილ იყოს ცხორებად მისი და არარად მიზეზი წყალობისა მიეცეს ღმრთისადა. 4. ხოლო რომელნი ღირს არიან წყალობასა, დაღაცათუ ბრძოლათაგან ეშმაკისათა და უძღურებისაგან ბუნებისა მისისა შთავრდომილ არს ცთომათა და უმეცრებათა შინა, 5. აღადგენს ღმერთი შემდგომად სიკუდილისა მისისა თუსთა და მეგობართა მისთა ლოცვითა და წმიდისა ჟამისწირვისა მადლითა და მოწყალებითა გლახაკთაჲთა ითხოვენ მისთვის წყალობასა. 6. ხოლო სახიერი და ჯერმჩინებელი წყალობისად ღმერთი, რომელი იგი მზა არს შეწყალებად დაბადებულთა თუსთა, შეიწირნის ვედრებანი იგი მვედრებელთა მისთანი და ყვის წყალობად მიცვალებულთა ზედა. 7. ანუ სრულიად განათავისუფლნის პერობილობისაგან ჯოჯოხეთისა, ანუ ლხინებად ყვის სატანჯველთა მათგან და ნუგეშინისცემაჲ დიდი მიანიჭის. 8. ვითარცა იტყვს წმიდაჲ დიონისიოს, ვითარმედ ლოცვანი და ვედრებანი წმიდათანი დიდად სარგებელ ექმნებიან არა ხოლო

ცოცხალთა, არამედ შესუენებულთაცა, რომელნი ღირს იყვნენ წყალობასა ღმრთისასა, 9. რამეთუ საღმრთოდ იგი მღვდელთმოდუარი ქადაგი არს სიმართლისა და მოწყალებისა ღმრთისად, და მეცნიერ არს, რამეთუ სარწმუნოებით და ღმრთისმსახურებით აღსრულებულთა მიენიჭების მისაგებელი კეთილი შემსგავსებულად მოქალაქობისა მათისა და 10. შეენდობვიან ლოცვითა მათითა და ვედრებითა ბრალნი იგი, რომელნი უძღურებისაგან კაცობრივისა მის ბუნებისა შეხუდეს, რამთუ, ვითარცა წერილ არს: არავინ (837v) არს წმიდა ყოვლისავე ბიწისაგან, დაღაცათუ ერთ დღე იყოს სოფელსა შინა. 11. ამისთვის შესწირავს წმიდად იგი მღვდელთმოდუარი დიდებულსა მას მსხუერპლსა და ითხოვს ლხინებასა და წყალობასა და შენდობასა ცოდვათასა ღმრთისმსახურებით აღსრულებულთათვის, რამეთუ უწყნის აღთქუმანი სახიერისა მის მეუფისანი ესევეითართა მათთვის. 12. ხოლო უსჯულოთათვის და ბილწთა არა იკადრებს თხოვად, რად იგი მეუფესა არა სთნდეს, ხოლო რომელთათვის მეცნიერ არს, ვითარმედ ჯერ-უჩნს სახიერსა მას წყალობად მათი, მათთვის შესწირავს ვედრებასა და მიემთხუევის თხოვასა მისისა აღსრულებისასა, ესე ესრე გურწამს და ვქადაგეთ. 13. თუნიერ ჯერ არს და სამართალ, რადთა კაცადკაცადმან, ვიდრეღა ვართ სოფელსა ამას შინა, არაქმნილ არს განყოფად სულისად ჳორცთაგან, განვიწმიდნეთ თაენი ჩუენნი ცოდვათაგან აღსარებითა და ცრემლითა და სინანულითა, ვიდრეღა კვლეგუეწიფების სინანული. 14. რამეთუ ესე უეჭუელ არს და ცხად თავით თვისით სინანული, ვიდრეღა ცოცხალ ვიყვნეთ, ხოლო თუ ამიერ თუ ტვრთმძიმენი განვიდეთ და აქა მყოფთა ვპოთ ლხინებად და წყალობად, დაღაცათუ ჳეშმარიტ არს წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ განწესებული. 15. გარნა არა ჯერ არს ამის საქმისა მინდობითა უდებებით და უნანელად გარდაჭდად ცხორებისა ჩუენისად და უხილავისა საქმისა სასოებითა ცხადისა მის და დასტურისა უდებყოფად, 16. რამეთუ ვინ უწყის, თუ შემდგომად სიკუდილისა ჩუენისა იპოს ვინ მოწილედ და ღმობიერად მოურნე სულისა ჩუენისად, ანუ კადნიერად მეოხი უფლისა მიმართ, და რად მოკლედ ვთქუა, ესე სარწმუნო არს და ჳეშმარიტ. 17. რომელ ლოცვად და ჟამისწირვად და ქველისსა(838r)ქმე სულთა მათ შესუენებულთა ქრისტეანეთა მართლმადიდებელთა ღმრთისმსახურთა დიდად სარგებელ ექმნების, ხოლო ურწმუნოთა და მწვალებელთა არა ერგების, 18. დაღაცათუ ყოვლისა სოფლისა საფასენი ვინ მისცნეს მათთვის, რამეთუ რომელნი იგი ცხორებასა მათსა მტერ იყვნეს ღმრთისა და სძაგდეს იგინი უფალსა, იგინი

შემდგომად სიკუდილისაცასადაგელ არიან უფლისა. 19. არამედ რომელთა ღმრთისმსახურებით და მართლმადიდებლობით აღასრულნეს დღენი თვისნი და აქუნდა მათცა მოწყალება და სახიერება, მათ მიეცემის წყალობად ღმრთისა მიერ. 20. ლოცვითა და ჟამისწირვითა და ქველისსაქმითა გარნა უმჯობეს არს და უეჭუელ, რადთა კაცადკაცადმან თვთ იღუაწოს სული თვისი, ვიდრედა არს სოფელსა ამას შინა, 21. და ვიდრედა სავაჭროდ დგას და სასყიდელი სინანულისად და კეთილთა საქმეთად უეჭუელად მიეცემის მიეცემის ვიდრე ორთა წულილთამდე, ვითარცა ქურივისა მის და ვიდრე სასუმელისა ერთისა გრილისა წყლისამდე, რომლისა სასყიდელი არა წარწყმდეს ბრძანებისაებრ უფლისა. 22. ნეტარ არს უკუე კაცი იგი, რომელმან ამასვე ცხორებასა განაბნოს ყოველი ტურთი ცოდვათა თვისთად და განიწმიდოს თავი თვისი ყოვლისაგან ბილწებისა სულისა და კორცთადასა, და მოიგოს საგზალი კეთილი, საუკუნოდსა გზისათვის განემზადოს და არა შეძრწუნდეს. 23. ნეტარ არს, რომელმან გან-თუ-იძარცოს სამოსელი ესე კორცთად ამათ მოკუდავთად, ვითარცა იტყვს წმიდად მოციქული, არავე შიშეულ იპოს, არამედ შეიმოსოს სამკაული იგი ცხორებისად. 24. რამეთუ ესერა აწ არს დღე შეწყნარებისად, და რამეთუ ესერა, აწ არს ჟამი ცხორებისად. 25. წარუდგ(838v)ინნეთ თავნი თვისნი, ვითარცა ღმრთისმსახურთა, მოთმინებითა მრავალითა ჭირთა შინა და იწროებათა, შრომათა და მღუძარებითა, მარხვითა და სიწმიდითა, მეცნიერებითა, სულგრძელებითა, სიტკბოებითა და სულითა წმიდითა, სიყუარულითა შეუორგულელებითა და სიტყვთა ჭეშმარიტებისადთა და ძალითა ღმრთისადთა, 26. რომელსა ჰნებავს ყოველთა კაცთა ცხორებად და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად, რამეთუ სახიერ არს და მრავალმოწყალე, და კურთხეულ არს სახელი მისი უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## ენობრივი ანალიზი

თხზულების ქართული თარგმანი დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით. მისი ენობრივი ანალიზისას გასათვალისწინებელია ის, რომ ეს არის პერიოდი ქართული ენის ისტორიისა, რომელიც მეცნიერთა მიერ სახელდებულია საშუალ ქართულ ენად. იგი ხასიათდება იმით, რომ მთელი რიგი გრაფემებისა, ფონემებისა,

მორფემებისა, სინტაქსური და ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც გამოიყენებოდა ძველ ქართულ ძეგლებში, ამ დროისათვის უკვე აღარ იხმარება, და თუკი იხმარება, ხშირად—არაშესაბამისად. ზოგადად რომ ითქვას, წარმოდგენილი ტექსტი ძირითადად ეყრდნობა ძველქართულ გრამატიკულ ნორმებს, მასში არც ისე ხშირია წესიდან გადახვევის შემთხვევები.

ფონეტიკური პროცესები თითქმის არ გვხვდება:

დისიმილაცია: ჭურჭელი 13.3; ურჩულოებანი 10.9; 14.5.

რედუქცია: უქორწინებლობა 4.1; საკმრისა 4.12; მართლად 8.5; ახლისა 9.14; ყოვლისა 9.15; ღმრთისაგან 10.9.

ბგერის დაკარგვა: იპოს 16.14; 16.23; ჰპოო 5.6; გან-თუ-იძარცოს 16.25.

დაკარგულია წ: ძე 2.6.

დაკარგულია დ: საწუთროსანი IX; წინაწარმეტყუელთა 9.14.

ზედმეტია რ: ურთიერთარს 4.10.

მოშლილია წრფელობითი ბრუნვა შედგენილ შემასმენელში: მშობელი არს 2.14; არს მომატყუებელი 5.8; არს მოვლინებული VIII; არს ... განწესებული 16.14.

არაწესისამებრ იხმარება წ: უკუწ 1.2; 1.3...; მეტყუელ 1.5; მსხუშრპლ 2.6; 2.10. აჩუწნოს 4.7; უშუწრი 2.12; წარუკუწთონ 5.6; ურცხუწნელად 5.7; მომატყუებელი 5.8; გრცხუწნიან 5.8; გუწქმნას 6.4; თქუწს 7.1; შეემთხუწვის 7.2; ჩუწლებისაგან 7.2; განცუწთილ ძუწლ—ჰყოფს 7.7; ჩუწულებისა 7.8; ჩუწულება 7.8; მიშუწბისა VIII; 8.1; შეგუწმთხუწვიან VIII; განრღუწულისა 8.3; ტყუწობად 8.6; უკუწთუ 8.8; 16.3; უკუწთუმცა 8.10; აჩუწნე 8.12; განმარჯუწბულ 9.3; შუწბითა 9.13; წინაწარმეტყუწლთა 9.14; ძუწლსა 9.14; მეტყუწლთა 10.6; შესუწნებულთაცა 16.8; მიემთხუწვის 16.2; უეწუწლად 16.21.

ეს მოვლენა ყველაზე თვალსაჩინოა საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი ამ ტექსტში.

S2 O3-ის ნიშნებისათვის:

ა) ზედმეტია: უვარ-ჰყოფენ 1.2; სცნობს 1.6; დაჰფარავს 9.5; სწუნობდა 9.6; შეჰრაცხა 13.2; დაჰბადა 14.9.

ბ) აკლია: ცოდოს III; ცოდა 3.1; ცოდოს 7.3; ცოდავენ 8.11.

ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ნ სუფიქსი დონიან ვნებითებში (განწმიდნეს 2.3; გამოცხადნა 2.13), მაგრამ არის ახალი ფორმაც (განმდიდრდეს; განმრავლდეს 9.9),

ასევე პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშანი (დაიმარხნეს 1.3; 3.4; აღუარნეთ 5.9; გამოიკითხნა 6.2; ქმნა 3.1; მოვიკსენნე 3.4; მოუვლინნის 8.11; გარდაიკადნა 10.1; დააბრკოლნა 11.3; განათავისუფლნის 16.7; მისცნეს 16.18; წარუდგინნეთ 16.25 და ა.შ.), სუბიექტის ნარიანი მრავლობითის ნიშანი ვნებით გვარში: მოგვეტევენეს 5.9; განვიკითხენით 6.3; 6.3; დავისაჯნეთ 6.3; 8.10; ვიწუართნეთ 14.1; განვისწავლნეთ 14.2; მიეყიდენით 14.3; მიეცენით 14.3.

წყვეტილის მწკრივში გახენილია ახალი სუფიქსი: მოგეახლნენ 8.12.

ინკლუზივ-ექსკლუზივი: შევედ 2.15; გუამცნო 4.5; გუასწავებს 2.14; გუექმნას 6.4; მოვედით 13.1; გუხედვიდეს 14.11; შეგუემთხვოს 14.5; გუაქუს 14.10; გუყენა 14.10; გურწამს 16.12.; კელგუეწიფების 16.3.

იკარგვის ემფატიკური ა: ცხორებით ცხონდეს 3.4; ღმრთის მეცნიერებასა 1.2; ვის მიხედნე 2.16; ღმრთისგან VIII; დავითისთვის 9.3.

მოშლილია ზმნისწინი: გაუმარჯოს 2.11; ავიმადლო 8.4.

უ-ს ენაცვლება ვ: ცოდვა 3.1...; ღოცვა 4.9...; შიშველ 13.11; 16.23.

ო-ს ენაცვლება ვ: რავდენისა VII.

ჩნდება ახალი, პირიანი ზმნური ფორმა შედლება ზმნასთან დაკავშირებით: შეუძლოს XII; ეძლოს IV.

შინაარსი უპირატესად გადმოცემულია შედგენილი შემასმენლებით, ძირითადად აღწერილობითი ფორმებით, რომელნიც შედგებიან მეშველი ზმნებისაგან „ყოფა“ და „ქმნა“, და სახელზმნებისაგან, ასევე სახელებისაგან (რაც უთუოდ ბერძნული ენის გავლენის შედეგია).

მკუდარ არს 1.2; ამო და უკმარ არიან 1.2; ჯერ არს 1.2; გამოუცდელ ხართ 2.4; სავანე ... ვყოთ 2.4; ტაძარ ქმნა 2.5; ღირს ქმნა 2.10; არს სავნებელ 2.12; თანამკუდარ არს 2.11; მშობელი არს 2.14; ქმნეს ბოროტი 3.1; ეძლოს... აღსრულებად IV; არს დამაყენებელ 4.2; წერილ არს 4.2; წრფელ არს 4.2; კეთილ არს 13.2; თანამდებ არს 5.2; უძურეს არს 5.2; არს ...სარგებელ 5.5; არს მომატყუებელი 5.8; სარწმუნო არს 5.9; საცნაურ არს 6.4; დასასჯელ ... გუექმნას 6.4; არს სიტყუად 6.5; დასასჯელ ექმნების 6.6; ღირს იყოს 6.8; საქებელ არიან 6.11; შემკობილ არიან 6.12; უღირს იყვნენ 6.13; იქმნებიან ბრძოლანი VII; ძუელ-ჰყოფს 7.7; არს უძურეს 7.8; არს მოვლინებული VIII; მოსლვა მეცნიერებად 8.11; მიუწდომელ არიან და გამოუთქუმელ 9.11; განმარჯუებულ არიან და შეწყალებულ 9.3; იყენიან უკეთურ 9.5; განმარჯუებულ და წარმართებულ არიან 9.9; მდიდარ იყო 9.11; ბილწ იყო 9.12; მცირე და ბოროტ

არიან 9.13; შემძლებელ არიან 10.4; თვთმფლობელ არს 10.11; სათნო ეყვნეს 12.2; კმა ეყიან 14.4; თანამდებ არიან 14.4; ტყუე იქმნა 14.8; ქმნეს... ბოროტი 14.8; თვთმფლობელ გუყვნა 14.10; თქუმულ არს 15.1; დაკლებულ აარს 15.3; გულსაგსე იყავნ 15.4; შერაცხილ არიან 15.5; ქველისსაქმისა ქმნად 16.1; განწესებულ არს 16.1; სარწმუნო არს და ჭეშმარიტ 16.2; ტვრთმძიმე იყოს ვინ 16.3; შთავრდომილ არს 16.4; მზა არს 16.6; ლხინებად ევის 16.7; სარგებელ ექმნებიან 16.8; ქადაგი არს 16.9; მტერ იყვნეს 16.18.; არს წმიდა 16.10; ჯერ უჩნს 16.12; უმჯობეს არს და უეჭუელ 16.20; უეჭუელ არს და ცხად 16.14; საძაგელ არიან 16.18.

ძირითადად სახელადი ნაწილი წრფელობით ბრუნვაში დგას, იგი და მეშველი ზმნა ერთმანეთისაგან გათიშულია წინადადების სხვა წევრებით.

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართება პოსტპოზიციურიც არის და პრეპოზიციურიც. ხანდახან ისინი განცალკევებულნი არიან ერთმანეთისგან ართრონიოთ (ესეც ბერძნული ენის გავლენის კიდევ ერთი ნიშანია), არის თანდებულიანი ფორმებიც, არის ორმაგი ბრუნებაც, საზღვრული ხშიად წრფელობით ბრუნვაში დგას. ის გვხვდება შეთანხმებულიც, მართულიც, მართულ-შეთანხმებულიც, მირთულიც.

აპოსტროფიციური წყობა:

სარწმუნოებად მართალი1.1; საქმენი კეთილნი 1.1; უდებ ლოცვისა 1.5; საქმეთა ბოროტთა 1.2; მცნებანი ჩემნი 1.3; მამამან ჩემმან 1.3; სარწმუნოებითა მართლითა 1.3; სახლი სულისა ჩუენისა 1.3; სახლი იგი სულისა 1.6; სულითა ჭეშმარიტებისა 1.6; მონაზონისა ვისმე დაყუდებულისა 2.1; ტადარ სულიერ ღმრთისა 1.4; მღღელთმოდუარი იგი დიდი 1.6; სული იგი ჭეშმარიტებისა 1.6; გული წმიდა 1.6; სული მდაბალი 1.7; საკურთხეველი ჭეშმარიტებისა 1.7; სასუფეველი ცათა 1.7; სულითა ჭეშმარიტისათა 1.8; მოყუარეთა თვსთა 1.8; მამისა შენისა 2.14; მამად შენი 2.14; სახლო ისრაელისა 3.1; უღმრთობათა თვსთა 3.3; შეცოდებითა მისითა 3.1; გზისა მისგან ბოროტისა 3.5; მოქმედთა თანა უსჯულოებისა 3.6; სასუფეველსა ცათასა 3.7; უღელი ჩემი 4.1; ტვრთი ჩემი 4.1; მცნებათა მისთა 4.1; სიტყუად უფლისა 4.2; გზანი უფლისანი ; სიყუარული ღმრთისა და მოყუსისა 4.5; უღელი უფლისა 4.7; სიმტკიცითა მშუღობისა 4.10; ბრძანებითა უფლისა 5.2; მსგავსისა თ სისა 5.3; სიმცირე ცოდვისა 5.5; კაცი სულიერი 5.7; მომატყუებელი ცოდვისა 5.8; მადლი სულისა 5.8; ცოდვანი ჩუენნი 5.8; კორცნი უფლისანი 6.2; გონებითა წმიდითა 6.12; სტომაქმან ხაშმმან და უძღურმან 6.14; სულსა ცოდვილსა 6.14; ცეცხლი იგი



წმიდათა საიდუმლოთაჲ 6.14; ცრემლითა მჭურვალთა 6.15; ბრძოლანი სიძვისანი VII; სიმჭურვალისაგან ბუნებითისა 7.1; განკითხვისაგან მოყუსისა 7.1; შურისაგან ეშმაკთასა 7.1; ჩუეულებისაგან ბოროტისა კორცთაჲსა 7.1; სულნი და კორცნი ჩუენნი 7.5; სამოსლისა სულისასა 7.6; კაცნი მოხუცებულნი 7.8; განსაცდელთა სულიერთა VIII; მიშუებითა ღმრთისაჲთა 8.1; სიმრავლისათჳს სათნოებათა მისთაჲსა 8.4; საწერტელი კორცთაჲ 8.4; მიზეზსა მას მიშუებისასა 8.7; მიშუებაჲ შტავრდომისა 8.8; განკითხვისაგან სხუათაჲსა 8.9; ბრალობიაგან მოყუსისა 8.9; საქმენი საწუთროსანი IX; სამართალნი და განკითხვანი ღმრთისანი 9.1; განკითხვაჲ კაცისაჲ 9.1; მეფობაჲ შენი 9.4; მიზეზი სინანულისაჲ 9.5; სულგრძელებაჲ ღმრთისაჲ 9.6; გამოჩინებასა სიმართლისა სჯულისა ღმრთისასა 9.7; გზანი მათნი 9.8; მტერნი უფლისანი 9.8; კაცი ცოდვილი 9.9; მხალი მწუანვილისაჲ 9.9; დღენი თ სნი 9.12; დღენი ცხორებისა ჩემისანი 9.13; სიმართლენი შენნი 9.15; უფსკრულნი მრავალნი 9.15; დღენი მისნი 10.1; თავნიცა ჩუენნი XI; მსგავსნი მათნი 12.3; სიმდიდრემან მონაგებთამან 12.3; მცნებანი ქრისტესნი 12.4; მიცემაჲ საფასეთაჲ XIII; ეკლესიანიცა ნაკლულევანნი 13.2; ჴელითა შენითა 13.3; ცეცხლი უშრეტი 13.5; ბრძანებითა ღმრთისაჲთა XIV; წურთაჲ ჩუენი 14.2; უფალი ღმერთი თქუენი 14.2; ცოდვათა ჩუენთათჳს 14.5; მტერთა ჩუენთასა 14.5; ურჩულოებანი ჩუენნი 14.6; მტერთა მისთასა 14.7; სჯული მისი 14.7; ჳრახვისა მისისატა 14.11; აღსარებაჲ ბედისაჲ XV; სარწმუნოებისა ქრისტიანეთაჲსა 15.3; განგებითა ღმრთისაჲთა 15.4; ჳმნაჲ ბედისაჲ 15.5; დღესა შობისასა 15.5; სახიერებითა თ სითა 15.6; სარგებელი იდი 16.2; ბრძოლათაგან ეშმაკისათა 16.4; სიკუდილისა მისისა 16.5; მოწყალებითა გლახაკთაჲთა 16.5; ვედრებანი იგი მავედრებელთა მისთანი 16.6; პერობილოობისაგან ჯოჯოხეთისა 16.7; ნუგეშინისცემაჲ დიდი 16.7; ვედრებანი წმიდათანი 16.8; წყალობისა ღმრთისასა 16.8; მოწყალებაჲ ღმრთისაჲ 16.9; მისაგებელი კეთილი 16.9; მოქალაქობისა მათისა 16.9; შენდობასა ცოდვათასა 16.11; განყოფაჲ სულისაჲ 16.13; გარდაჴდაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ 16.14; სასყიდელი სინანულისაჲ 16.21; საგზალი კეთილი 16.22; სამოსელი ესე კორცთაჲ ამათ მოკუდავთაჲ 16.23; სამკაული იგი ცხორებისაჲ 16.23; დღე შეწყნარებისაჲ 16.23; ჟამი ცხორებისაჲ 16.24; სიტყუთა ჴეშმარიტებისაჲთა 16.25; ძალითა ღმრთისაჲთა 16.25; ერთობასა მას სულისასა 4.10.

ბ) პრეპოზიციური წყობა:

ღირსმან მამამან 1.1; ხენეშთა სიტყუათა მეტყუელ 1.5; ჴეშმარიტი ტაძარი 1.1; ბილწთა საქმეთა მოქმედ 1.5; მცველ და განმანათლებელი მისი ღმერთი 1.5;

ჭეშმარიტნი იგი თაყუანისმცემელნი II; საქმისა ზალი 2.1; ყოველნი დღესასწაულნი 1.3; ღმერთსემოსილი იგი სული 1.5; ჭეშმარიტი მსხუერპლი 1.7; სულიერი იგი ცრემლი 1.7; სულიერი იგი კაცი 1.8; სულიერთა თუალითა 1.8; სულიერთა შესაწირავთა 1.8; საყოველ უხილავისა ღმრთისა 2.11; უმეტესი მადლი და განათლებაჲ 2.11; ესევეთარი დაყუდებაჲ 2.14; მრავალთა კეთილთაჲ 2.14; ესევეთარისა სახისა დაყუდებასა 2.14; სახიერმან და მრავალმოწყალებან უფალმან 4.4; ზემოწერილნი იგი მცნებანი 4.8; სხუად უშუერი 4.12; წმიდათა მოციქულთა 5.2; ყოველივე მოქმედი ცოდვისაჲ 5.2; მცირედი სირცხული 5.3; ანგელოზთა და კაცთა განქიქებასა 5.4; უზომოთა დამძიმებითა 5.6; ყოვლისაგან სიცრუვისა 5.9; კორციელთა სენტა 6.6; უჟამოთა სიკუდილთა 6.6; წმიდაჲ იგი საიდუმლოჲ 6.15; ცოდვილი სული 6.14; წმიდათა საიდუმლოთა 6.15; დიდებულსა მას ტრაპეზსა 6.15; ბოროტთა საქმეთა 6.15; ოთხთა პირთაგან 7.1; ორნი დინებანი 7.2; ერთი იგი შემაგინებელი და ერთი იგი განმწმედელი 7.3; ყოველი ცოდვაჲ 7.3; რაოდენი სახენი VIII; მოწვეწული განსაცდელი VIII; მრავალნი სახენი 8.7; მოიუწდომელითა მით განკითხვითა 8.7; მიუთხრობელთა ჭირთა 8.12; კაცადკაცადისა დაფარული ; მრავალი კეთილი 9.2; ჭეშმარიტისა სინანულისა 9.5; შეუნანებელითა გულითა 9.7; ზემოცხენებულთა მრავალფერთა მიზეზთაგან 9.10; მრავლითა ჭირითა და მწუხარებითა 9.13; უმცირესნი ჭირნი 9.14; ყოველთა წმიდათა 9.14; ყოვლისა საიდუმლოჲ 9.15; უგუნურთა და ვეცხლისმოყუარეთა კაცთაგან 10.1; ქრთამის აღებითა 10.3; ყოვლითა უსამართლოებითა 10.3; სიმართლისა გზათაგან 10.4; უცოდველთა საქმეთაგან 10.4; ესევეთარისა სიტყუსა მეტყუელთა 10.7; ყოველი სიმდიდრე და სიგლახაკე 10.7; ესევეთარისა ბოროტისა მიზეზითა 10.8; ესევეთარი იგი სიმდიდრე 10.9; ღმრთისამიერი მოცემული სიმდიდრე 9.10; სხუათა ესევეთართაჲ 9.10; აურაცხელთა მათ კეთილთა XI; ესევეთარისა მის მიზეზისა 12.1; სათანადოდ სახმარი 13.2; მდიდართა ეკლესიათა 13.2; მრავალთა ეკლესიათა 13.3; ფრიადი საფასე 13.3; დიდძალი ჭურჭელი 13.3; გლახაკთა მოწყალებაჲ 13.3; რაოდენი ძური XIV; მართლმსაჯული ღმერთი IV; ზომითი წურთაჲ 14.2; მრავალი ბოროტი 14.4; საუკუნეთა მათ სატანჯველთა 14.4; ყოველთა წარმართთა 14.8; ცხოველი ღმერთი 15.1; ყოველი კაცი 15.4; ყოველნი მისნობანი და ზმნანი 15.5; ძუელსა და ახალსა სჯულსა 15.5; ყოველთა წმიდათა 15.6; რომელნი ცოდვანი XIV; უსისხლოსა მსხუერპლისაჲ 16.1; ბოროტთა და ძნელუვანთა ცოდვათა 16.3; უამისწირვისა მადლითა 16.5; საღმრთოდ იგი მდღელთმოდღუარი 16.9; ერთ დღე 16.10;

წმიდა იგი მღვდელთმოდუარი 16.11; დიდებულსა მას მსხუერპლსა 16.11; ამის საქმისა მინდობითა 16.15; უხილავისა საქმისა სასოებითა 16.15; ყოვლისა სოფლისა საფასენი 16.18; საუკუნოდსა გზისათჳს 16.22; მრავალთა ჭირთა 16.25; ყოველთა კაცთა ცხორებად 16.25.

კ) შერეული წყობა:

ქრისტეს აღსარებითა მართლითა 1.1; ყოველი ბრალი შენი 5.7; ზიარებად ქრისტეს საიდუმლოთად VI; ყოველნი ცოდვანი მისნი 3.4; ყოველნი საქმენი მისნი 4.1; მიუწდომელითა მით განკითხვითა თუსითა 8.7; პირველქმნილთა ცოდვათა ჩუენთათჳს 9.8; გამოუთქუმელითა განკითხვითა უფლისადათა 9.10; ყოველი ცხორებად თუსი 9.13; ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა სჯულისათა 9.14; ყოველსა კაცსა მდიდარსა X; მორჩილებითა თუსითა უკეთურებისადათა 14.4; საქმე ესე უსისხლოდსა მსხუერპლისადა 16.1; მიუწდომელითა განკითხვითა მისითა 15.4; მოურნე სულისა ჩუენისადა 16.17.

მართვა: ღმრთისმსახურებით აღსრულებულთა 16.9; ღმრთისმსახურებით აღსრულებულთათჳს 16.11; თავით თუსით სინანული 16.4.

მირთვა:

ღმრთისა მიერ მოწევნული 8.12; წმიდათა მოციქულთა ... მიერ განჩინებული 16.14

როგორც ვხედავთ, თარგმანი, მართალია, მიეკუთვნება ქართული ენის ისტორიის გარდამავალ პერიოდს, მაგრამ საკმაოდ კონსერვატიულია ძველქართული ენობრივი ნორმების მიმართ.

საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი, არცთუ ისე ბევრი მოვლენა ფიქსირდება მასში: არ არის თვისობრივი ფონეტიკური მოვლენები; რამდენიმე ადგილას მოშლილია ემფატიკური ა და ზმნისწინი, ასევე წრფელობითი ბრუნვა შედგენილ შემასმენელში; ყველაზე მეტად შესამჩნევი არის ც-ს არაშესაბამისი ხმარება; გვხვდება წყვეტილის ფორმისა და დონიანი ვნებითის ახალი წარმოება; მსაზღვრელ საზღვრულის ურთიერთმიმართება, პრეპოზიციურიცა და პოსტპოზიციურიც, თანაბრად აღინიშნება; უმნიშვნელო დარღვევაა III ირიბობიექტური და II სუბიექტური პირების გამოყენების მხრივ.

მთარგმნელი უფრო მეტად ძველი ქართული ენის წესებს იცავს, წესის დარღვევის შემთხვევები თხზულებაში ბევრი არ არის.

ბერძნული ენის გავლენის შედეგია მიმდებარე (ინფინიტივი) კონსტრუქციები:

მრისხანე, მაგინებელი ცუდმოფიცავ 1.5; მეტყუელ, ძმისმოძულე 1.5; მოცინარ, განცხრომილ 1.5; მოქმედ 1.5; 5.2; მომკსენე 1.5; მცველ და განმანათლებლ 1.5; განშორებული 2.1; მიმტვევებელი 2.7; დამაყენებელ 4.2; დამაბრკოლებელ 4.7; აღსაშენებელად 4.12; განწესებულ 5.1; ნათლისცემად 5.1; თანამდებ 5.2;14.4; შემძლებელ 5.7; მომატყუებელი 5.8; განსაწმედელად 6.13; დასასჯელად 6.13; შემაგინებელი 7.3; განმწმედელი 7.3; შესაწირავად 7.3; საწურთელად VIII; მოსაქცევად 8.1; უკურნებელ 8.2; განრღუეულისაჲ 8.3; მისატყეებელად 8.3; სარგებელად 8.6; განმართლებად 8.7; მიუწლომელ და გამოუთქუმელ 8.1; განმართლებულ და შეწყალებულ 9.3; წარმართებულ 9.8; განმარჯუებულ და წარმარტებულ 9.10; ჭირვეულ 9.10; ჭირვეულად 9.12; შერთოლ 10.8; შემძლებელ 10.4; მოცემულად 10.9; განმზადებულ 13.5; თვთმფლობელ 10.10; კურთხეულნო 13.1; ქმნილი 13.2; განმზადებულ 13.5; დამზადებელსა და განმანათლებელსა 15.2; დაკლებულ 15.3; განგდებულ 15.6; ძაგებულ 15.6; განფრდილ 16.3; ჯერმჩინებელი 16.6; შემსგავსებულად 16.9; აღსრულებულთათჳს 16.11; ქმნილ 16.2; მყოფთა 16.4; განწესებული 16.4; უნანელად 16.15; კურთხეულ 16.26.

წინდებულები და უკუდებულები:

ღმერთი შორის ჩუენსა 1.3; შინაგან გონებასა 1.5; სულსა შინა 1.6; მის თანა 1.4; შინაგან თავსა შორის თ სა 1.6; სულსა შინა მისსა 2.12; მამისა შენისა მიმართ 2.15; ცოდვასა მას შინა III; მათ შინა 6.10; ერთისა წინაშე 5.3; წინაშე ღმრთისა 5.7; სულსა ზედა შენსა 5.8; სოფლისა თანა 6.3; მათა შინა 6.10; წელიწადსა შინა 6 11; ძილსა შინა 7.2; კაცსა თანა 7.2; გარშე კორცთაჲსა 7.3; ღმრთისა მიერ 8.1; 8.7... ; თავსა შორის თჳსა 8.7; ჩუენ მიერ 8.8; ჩუენ ზედა 8.8; განსაცდელისა მის მიერ 8.11; კაცსა ზზედა 8.7;8.12; ჭირთა შინა 8.12; კაცისა თანა 9.8; წინაწარმეტყუელთა შორის 9.14; იობს თანა 10.4; წმიდათა შინა წერილთა 12.2; სოფელსა შინა 12.2; შვილთა თანა 12.2; სახარებასა სინა 13.1; გარნა გლახაკთა 13.1; მათ ზედა 13.2; ღმრთისა თანა 13.4; ეშმაკთა თანა 13.4; წარმართთა მიერ XIV; უსჯულოებათა შინა 14.1; სჯულსა შინა 15.5; ღმრთისა მიმართ 15.6; მოციქულთა მიერ 16.1; ცოდვათა შინა 16.3; უმეცრებათა შინა 16.4; სოფელსა ამას შინა 16.13; უფლისა მიმართ 16.14; მის თანა 1.3; შინაგან თქუენსა 2.7.

პირის, კუთვნილებითი და უკუქცევითი ნაცვალსახელების ჭარბი ხმარება:

სულთა ჩუენთად 1.2; ჩუენთუსცა ითქუას 1.2; მცნებანი ჩემნი 1.3; მამამან ჩემმან 1.3; სულისა ჩუენისა 1.3; უყუარდე მე 1.3; გიცნობიეს თავით თუსით 1.4; თქუენ შორის 1.4; მის სულსა 1.6; განმანათლებელი მისი 1.6; მე და მამად ჩემი 2.4; შინაგან თავსა შორის თუსა 2.6; ძე მისი 2.6; შინაგან თქუენსა 2.7; გულსა სინა მისსა 2.9; კარი შენი 2.14; მამისა შენისა 2.15; მამად შენი 2.14; მოგაგოს შენ 2.15; სიტყუათაგან ჩემთა 2.16; შეცოდებითა მისითა 3.1; ცოდვასა მას შინა თუსა 3.2; მას შინაცა 3.2; უსჯულოებისაგან თუსისა 3.3; უღმრთობათა თუსთა 3.3; უსჯულობათა მისთა 3.4; სული თუსი 3.3; ცოდვანი მისნი 3.4; სიმართლითა მისითა 3.4; მეუფე ჩუენი 3.7; წარემართის იგი 3.7; ცოდვათა თუსთად IV; უფალი ჩუენი 4.1; უღელი ჩემი 4.1; ტვრთი ჩემი 4.1; მცნებათა მისთა 4.2; საქმენი მისნი 4.2; დამაბრკოლებელ მისა 4.7; კვლითა თ სიტა 4.11; განვიდეს მისა 5.1; აღუვარე მას 5.7; სულისა შენისა 5.7; ცოდვათა შენთა 5.8; განგუწმიდნეს ჩუენ 5.9; გამოიცადენ ... თავი თუსი 6.1; დასასჯელად თავისა თუსისა 6.2; თავთა ჩუენთაგან ვიკითხევდით 6.3; განწმედათ თავისა თუსისა 5.4; სული მისი 6.7; რომელნი იკადრებენ 6.12; განიწმიდენ თავი თ სი 6.15; შეამკვენ თავნი თუსნი 6.15; დაიცვიენ თავი თ სი 6.16; გუამისა ჩუენისა 7.4; დაცვათ თავთა ჩუენთად 7.5; ჳორცნი ჩუენნი 7.5; გამოძიებათ თავსა შორის თუსა 8.7; თავთა ჩუენთა განვიკითხვიდით 8.10; შენ ... მიგეახლნენ 8.11; აჩუენე შენ 8.12; მცნებანი ჩემნი 9.4; გამცენ შენ 9.4; მეფობათ შენი 9.4; კვლთაგან შენთა 9.4; მონასა შენსა 9.4; დღეთა შენთა 9.4; დაჳფარავს მათ 9.5; სიფიცხლითა მაგით შენითა 9.7; თავისა შენისა რისხვასა 9.7; დიდებასა ოდენ მათსა 9.8; დიდებათ სახლისა მისისა 9.9; ცხორებათ თუსი 9.13; ძემან მისმან 9.13; გარეშე შენსა 9.14; დღენი მისნი 10.1; სიმდიდრე მათი 10.5; საქმე მათი 10.10; შენ ღმერთი 10.11; თავნიცა ჩუენნი 14.5; გზათა მისთა 14.7; სჯული მისი 14.3 პირი მისი 14.7; მტერთა მისთასა 14.6; ცხორებისა ჩუენისა 14.10; სიკუდილისა მისისა 16.5; თავნი ჩუენნი 16.13; სიკუდილისა ჩუენისა 16.6; სულისა ჩუენისა 16.6; ცხორებასა მათსა 16.18; სული თუსი 16.20; წარემართის იგი 3.7.

ეს სიტყარბე განსაკუთრებულად თვალსაჩინოა ჳმნასთან მიმართებაში, რადგან ქართული ჳმნა თავისთავად უკვე გამოხატავს პირს.

არტიკლი სრულიად უცხოა ქართული ენისათვის, ჩვენებითი ნაცვალსახელების ამ ფუნქციით გამოყენება ბერძნული ენიდან გადმოღებულია.

იგი საქმენი 1.2; მათ სახეთაგან 1.6; იგი თაყუანისმცემელნი II; ამისცა საქმისა 2.1; კაცი ვინმე 2.1; იგი სული 2.5; მათ... წესთა 2.5; მღღელთმოდუარი იგი 2.5; სული

იგი 2.6; იგი ცრემლი 2.7; იგი კაცი 2.8; ამათ საქმეთა 2.9; იგი სახენი 2.12; სინანული იგი და შრომაჲ III; მამათაგან მან 4.1; ამათ საქმეთათჳს 4.4; იგი ... მოღუწებანი 4.8; იგი მცნებანი 4.8; ერთობასა მას 4.10; საკმრისა მის 4.12; მას სირცხულსა 5.2; რომელ იგი 5.2; მცირედითა ამით 5.4; ამათ სიტყუათაგან 6.4; მათ საიდუმლოთა 6.4; იგი საიდუმლოდ 6.8; მას მსხუერპლსა 6.9; ცეცხლი იგი 6.14; მას ტრაპეზსა 6.15; უცნებაჲ იგი 7.2; ერთი იგი 7.3; იგი სისხლი 7.4; ჭირნი იგი 8.4; მას სასოებასა 8.12; მათ... ჭირთა 8.12; სიფიცხლითა მაგით 9.7; დღესა მას 9.7; სოფელსა ამას 9.10; რომელნი იგი 10.8; 16. 18; იგი სიმდიდრე 10.9; მით საქმითა 10.9; სიმდიდრე იგი 10.9; მონაჲ იგი XI; უსჯულონი იგი 11.1; მათ კეთილთა 11.1; მის მიზეზსა 12.1; მათ სატანჯველთა 14.4; მით სასჯელითა 14.5; გზათა მისტა 14.7; მით... განკითხვითა 16.2; მათ სულთაჲ 16.2; ვედრებანი იგი 16.6; იგი მღდელთმოდღუარი 16.9; ბრალნი იგი 16.10; მის ბუნებისა 16.10; სახიერისა მის 16.11; სახიერსა მას 16.2; ცხადისა მის და დასტურისა 16.15; სულთა მათ 16.17; ამთ მოკუდავთაჲ 16.23.

ბერძნული ენიდან შემოტანილი ფრაზეოლოგიური გამოთქმები:

ამის პირისათჳს 3.1;4.1; რავდენისა პირისაგან VII; ოთხთა პირთაგან 7.1; გარემიქცევითა პირისა მისისაჲთა 8.2; მივეცემით ჳელთა მტერთა ჩუენტასა 14.5; ჳელთა მტერთა მისთასა 14.7; გარემივაქციე პირი ჩემი 14.9; ჳელთა მტერთა მათთასა 14.9; ჳელთა შინა ზრახვასა მისთასა 14.11.

პარონომაზიები:

სიმართლემან მართლისამან 3.4; მართალმან სიმართლისაგან თჳსისა 3.1; ნებითა ვინებო 3.5; უსჯულომან უსჯულოებისაგან 3.3; ცხორებით ცხონდეს 3.4.

კომპოზიციები: ღმერთშემოსილი 2.5; თუთმფლობელ 10.10; 14.10

აღწერილობითი ფორმები და პასიური კონსტრუქციები:

აღეშენების 1.3; დაემკვდრების 1.3; იქმნის უკანადასკნელი 1.6; განწმიდნეს 2.3; იქმნას 2.4; განეშორების 2.5; ტაძარ... იქმნას 2.4; ღირს იქმნას 2.10; საენებელ იქმნას 2.14; იქმნებისა სინანული III; იყოს აღსაშენებელად 4.12; ექმნას დასასჯელად 4.13; იქმნების ... სინანული V; დასასჯელ ექმნების 6.6; განათლდების 6.7; მოიწვევის 7.1; დაძუელდის და დაბერდის 7.7; განიკურნე 8.3; მოიწიოს 8.8; განვისწავლებით 8.10; მიეცა 8.4; იქმნებიან ... ბრძოლანი VII; სათნო ეყენეს 12.2; ბრალეულ იქმნა 13.5; ტყუე იქმნა 14.8; განფრდილ იყოს 16.3; სარგებელ ექმნებიან 16.8; ღირს იყენენ 16.8; სარგებელ ექმნების 16.17.

ენობრივი თვალსაზრისით, თარგმანი მკვეთრ გავლენას განიცდის ბერძნული ენისას, რაც უპირატესად გამოიხატება სინტაქსურ კალკებში - ინფინიტიურ და, განსაკუთრებულად, მიმდებარე, წინდებულიან, პასიურ კონსტრუქციებსა და აღწერილობით ფორმებში, ასევე არტიკლისა და პირის ნაცვალსახელების ჭარბ ხმარებაში.

დეფექტური ადგილები იშვიათად, მაგრამ მაინც არის:

თვნიე 1.2; ვართ ურთიერთარს ასოება გულისწყრომასა 4.10 (ვართ ურთიერთარს ასოებ. გული გიწყობოდენ, და ნუ სცოდავთ ასეთი სახე აქვს ამ ფრაზას სახარებაში(პავლე, ეფეს., 4.25-26)); უცუდეგელთა 10.4; ჩნანან 9.2; მსუთუად 9.9; იპოს 8.5—ეს უკანასკნელი კონტექსტის მიხედვით ვნებითი გვარის ზმნად აღიქმება; განისწავლა არამედ ამისთვის, რადთა უმეტესადლა მართალ და წმიდა იპოს...”, მაგრამ ბერძნულ ვარიანტში იგი ძველი აღთქმის იობს გულისხმობს: „*Ἐπαιδέσθε ἰσῶβ, ἵνα δικαιότερος γένηται.*

ტმესი იშვიათია: გან-თუ-ვიკითხვით 6.3; გან-თუ-იძარცოს 16.23.

სახელთა საძიებელი:

აბრაჰამ *Ἀβραάμ* 9.11; 12.3

დავითი *Δαβὶδ* 9.13 *Δαυιδ* 12.3

დიონისე 16.3; 16.8

ეზეკიელ წინაწარმეტყუელი *ὁ Θεὸς Ἰεζεκιήλ* 3.1 14.8

ესაია 2.16; 14.6

ესავი *Ἡσαΐ* 9.12

იაკობ *Ἰακωβ* 9.11 9.12 14.7

იერემია 14.2

იოანე მახარებელი 5.9

იოანე ნათლისმცემელი 5.1

იოანე ოქროპირი 6.9; 9.11; 10.6; 13.5; 16.6

იობი 10.4; 10.11

იუდა *Ἰουδα* 8.2

ისაკ *Ἰσαάκ* 9.12 10.1  
ლაზარე 8.3  
მანასე *ὁ Μανασσῆς* 8.11  
ნაბუქოდონოსორ *ὁ Ναβουχοδονόσορ* 8.11  
პავლე *ὁ Παῦλος* 4.9; 6.1; 8.4  
სოლომონ 9.4  
ქრისტე 1.5; 2.14; 3.7; 4.1

მინაწერები:

მე-10 კითხვა-მიგების ბოლოს წერია: სულსა შიოსა შეიწყალენ ღმერთმან ამინ, უფალო.

მე-16 კითხვის აშიაზე: აქ რად სიტყუად აქუსთ ფრანგებს, ვითარცა მათი დაბნელება.

ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, სახეობრივი და შინაარსობრივი  
მსგავსებები ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებთან

ტექსტი ყველანაირი ნიშნით იმეორებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ძველი ქართული მწერლობისათვის არის დამახასიათებელი. მთარგმნელი კარგად განსწავლული ყოფილა ქართულ სიტყვიერებაში. მას ნაყოფიერად გამოუყენებია ყველა ის ფრაზა, გამოთქმა, ლექსიკური თუ სტილისტური, შინაარსობრივი



ტენდენცია, რომლებიც ქართულმა ლიტერატურამ საუკუნეთა განმავლობაში შეიმუშავა.

ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ვაჩვენოთ წარმოდგენილი თხზულების იდეურ-მხატვრული სახე ძველქართულ ლიტერატურულ კონტექსტში, და საამისოდ ყველაზე შესაფერი ამოვიჩიეთ საეკლესიო მწერლობის უანრებს შორის ჰაგიოგრაფია. შევეცადეთ შეგვედარებინა თხზულება ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისთვის, და ეს ფრიად მოკრძალებული მცდელობაა.

**სავანე მის თანა ვყოთ 1.2** — სავანე განუმზადეთ (ქართული პროზა 1982: 119); სავანე ყავ ჩუენ თანა (ქართული პროზა 1982: 369); სავანე ვყოთ სახლსა მისსა (27, 341); არაოდეს უდებ ჰყოთ ვანისმყოფთა ამათთვის ქართული პროზა 1982: 256).

**ღმრთის მეცნიერებასა აღასრულებენ 1.2** - ღმერთსა ვერ შეგამეცნიერნა (ქართული პროზა: 175); ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ (ქართული პროზა 1982: 133); მოვაკლდი მეცნიერებისაგან (ქართული პროზა 1982: 117); უფალი მეცნიერ ყოფდა მას (ქართული პროზა 1982: 127); მეცნიერებასა ღმრთისასა მიგაწია (ქართული პროზა 1982: 95); მეცნიერ იყო იგი ყოველსავე განგებულებასა ქრისტესსა (ქართული პროზა 1982: 189); მეცნიერებად ღმრთეებისა მისისა (ქართული პროზა 1982: 198); ნათელი თვისისა მეცნიერებისად (ქართული პროზა 1982: 211).

**ჭეშმარიტნი იგი თაყუანისმცემელნი II** - თაყუანის ეც ღმერთსა (ქართული პროზა 1982: 199); თაყუანისცემად ღმრთისა (ქართული პროზა 1982: 194); სული წმიდად იხარებნ შორის მათსა თაყუანისცემულნი (ქართული პროზა 1982: 121).

**შინაგან გონებასა კაცისასა არს ქრისტე 1.5** — გონებად ჩემი ქრისტეს თანა არს (ქართული პროზა 1982: 138); აღმწერელი მათი გონებითა მოაქვდა (ქართული პროზა 1982: 350); ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებად პოვის ჩუენ შორის და ოდესმე--ეშმაკთა (ქართული პროზა 1982: 227).

**აღვშენების სახლი სულისა ჩუენისად 1.2** — ფრიად აღვშენდი ამათითა ხილვითა (ქართული პროზა 1982: 522); ფრიად აღშენებულ იქმნა ხილვითა... მისითა (ქართული პროზა 1982: 488); სულიერად და ხორციელად აღაშენნეს(ქართული პროზა 1982: 387).

**დამკვდრების ღმერთი შორის ჩუენსა 1.2** — უფალსა ჰნებავს დამკვდრებად ასოთა შინა თქვენთა (ქართული პროზა 1982: 119); იგივე თავადი უფალი მკვდრ არს შენ თანა (ქართული პროზა 1982: 223).

**ტაძარ სულიერ ღმრთისა იქმნას 2.4** — ტაძარმან მან ქალწულებისამან (ქართული პროზა 1982: 425); განწმიდა თავი თვისი და ტაძარი ღმრთისა ცხოველისად ყო იგი (ქართული პროზა 1982: 156).

**ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითა აღიბეჭდენით დღედ გამოცხნისა 4.12** — აღბეჭდულ ვართ სულითა წმიდითა (ქართული პროზა 1982: 165).

**საქმენი საწუთროსანი IX—საქმე საწუთროსად** (ქართული პროზა 1982: 81); განაგებდა საქმეთა საწუთროსათა (ქართული პროზა 1982: 68).

**ცოდვათა შინა განფრდილ იყოს ცხორებად მისი 16.3** — ცოდვათა შინა განფრდილისა სულისა ჩემისა (ქართული პროზა 1982: 388); ცოდვასა ზედა დადგრომილმან (ქართული პროზა 1982: 59).

**სამართალნი და განკითხვანი უფლისანი მიუწდომელ არნ 9.1** განაწესებს მიუწდომელითა სახიერებითა თვისითა (ქართული პროზა 1982: 370); მიუწდომელ არს დაბადებულთაგან მეცნიერებად მისი (ქართული პროზა 1982: 8).

**სარწმუნოებად მართალი 1.1** — მართალი სარწმუნოებად ქრისტესი (ქართული პროზა 1982: 211); სარწმუნოებად ჭეშმარიტი (ქართული პროზა 1982: 211); სარწმუნოებისათვის მართლისა (ქართული პროზა 1982: 460); სარწმუნოებად მართალი და ჭეშმარიტი (ქართული პროზა 1982: 83).

**წესნი და განგებანი საეკლესიონი 2.1** — წესნი და განგებანი დაესხნეს (ქართული პროზა 1982: 396); განგებად და წესი (ქართული პროზა 1982: 387); ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი (ქართული პროზა 1982: 445); წესნი და კანონნი საეკლესიონი (ქართული პროზა 1982: 351).

**მიშეებითა ღმრთისადთა მიზეზი 8.1** — მიშეებითა ღმრთისადთა სამხილებელად (ქართული პროზა 1982: 170); მიშეებითა ღმრთისადთა გამოიღო და ტყვე ყო (ქართული პროზა 1982: 480); მიშეებისათვის ცოდვათა ჩვენთადსა (ქართული პროზა 1982: 469); მიშეებითა ღმრთისადთა აღუძრა მეფე სარკინოზი (ქართული პროზა 1982: 159); რად-იგი შემთხვევად იყო მისა მიშეებითა ღმრთისადთა (ქართული პროზა 1982: 104); მიშეებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისადთა (ქართული პროზა 1982: 616).

**ბრძანებითა ღმრთისადათა XIV** – ბრძანებითა ღმრთისადათა განილაშქრა სპარსთა ზედა (ქართული პროზა 1982: 169); განგებითა ღმრთისადათა (ქართული პროზა 1982: 89); ნებითა ღმრთისადათა (ქართული პროზა 1982: 250).

**მივსცენ იგინი კვლთა მტერთა მათასა 14.9** — მივცე შენ ხელთა მტერთა შენთასა (ქართული პროზა 1982: 65).

**განიხეთქოს მეფობაჲ შენი კვლთაგან შენთა 9.4** — ღმერთს განეხეთქა მეფობაჲ იგი მისი (ქართული პროზა 1982: 160).

**შემსგავსებულად მოქალაქობისა მათისა 16.10** — მოქალაქობაჲ ნეტარისა მის (ქართული პროზა 1982: 157); სათნოდთა მოქალაქობითა წარმართებულთა (აბიბოს ნეკრესელის წამება, გვ.250, ქართ. მწერლობა).

**გან-თუ-იძარცოს სამოსელი ესე ჳორცთაჲ ამათ მოკუდავთაჲ 16.23** — განიძარცვნა უკვე ტყავისა იგი სამოსელნი (ქართული პროზა 1982: 140); რადთა განვიძარცო შიში ხორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა (ქართული პროზა 1982: 135).

**ვიდრელა ვართ სოფელსა ამას 16.3; ტვრთმძიმენი განვიდეთ 16.4** — ეს გამოთქმები შინაარსობლივად იგივეა, რაც: განვალ ცხორებისაგან (ქართული პროზა 1982: 211); ხორცთა შინა მყოფი (ქართული პროზა 1982: 198); მცირედლა ყოფად არს ჩემი ხორცთა შინა ყოფად (ქართული პროზა 1982: 225); ხორცთა შინა ყოფასა მისსა (ქართული პროზა 1982: 630); მიახლებულ ხორცთაგან განსვლად (ქართული პროზა 1982: 538); ხორცთა საპყრობილით განვალ (ქართული პროზა 1982: 318); დაღაცათუ ხორცთაგან განვიდეს იგი (ქართული პროზა 1982: 293); დაუტევა კრეტსაბმელი იგი ხორცთა თუსთაჲ (ქართული პროზა 1982: 500); დატევებაჲ უბადრუკთა ამათ ჳორცთა ჩემთაჲ (ქართული პროზა 1982: 22); მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი ხორცთა ამათგან (ქართული პროზა 1982: 23); ხორცთაღა შინა იყო (ქართული პროზა 1982: 21); განსლვაჲ არს ჩემი ხორცთაგან (ქართული პროზა 1982: 460); ამიერ სოფლით მიცვალებად (ქართული პროზა 1982: 468)...

**აღსაშენებულად საჳმრისა მის 4.12** — საჳმრისა მიცემაჲ (ქართული პროზა 1982: 409).

**სულიერითა თვალითა 2.8** — თვალნი სულისანი (ქართული პროზა 1982: 442).

**ღმერთშემოსილი იგი კაცი 2.9** — კაცი იყო იგი წმიდაჲ და ღმერთშემოსილი (27, 108); კაცნი ღმერთშემოსილნი (ქართული პროზა 1982: 71).

რად იგი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა ამათსაქმეთა გამოუცდელისათა არა მოუჭდა 2.9 — თუალთ მიერ განცდითა და ყურთა სმენითა (ქართული პროზა 1982: 426); რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა (ქართული პროზა 1982: 45).

**გარემივაქციე პირი ჩემი 14.9** — პირი ღმრთისად იტყვს (ქართული პროზა 1982: 63); მრცხვენის პირისაგან მამისა შენისა (ქართული პროზა 1982: 99); თანა მაც სივლტოლად პირისაგან მამისა შენისა (ქართული პროზა 1982: 99).

**ამის პირისათვის იტყვს ეზეგიელ წინაწარმეტყუელი 3.1** — ბრალეულ ვიქმნე ამის პირისათვის (ქართული პროზა 1982: 371); ესე პირი მოეწერა (ქართული პროზა 1982: 376); ნუ მაიძულეებთ ამის პირისათვის (ქართული პროზა 1982: 377); მწუხარე ვიყავ ამის პირისათვის (ქართული პროზა 1982: 390).

**საუკუნოდსა გზისთვის განემზადოს 16.22; წრფელ არიან გზანი უფლისანი 4.3; წარმართებულ არიან გზანი მათნი 9.8** — წარემართა საღმრთოსა მას გზასა (ქართული პროზა 1982: 236); გარდადრიკენს გზისგან სიმართლისა (ქართული პროზა 1982: 190); მისწრაფებით ვიწროდ და საჭირველი გზად (ქართული პროზა 1982: 327).

**გარნა გლახაკთა, უცხოთა და შიშველთა, უძღურთა და პყრობილთა 13.1** — მოღუწებანი უცხოთა და გლახაკთა (ქართული პროზა 1982: 330); სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა (ქართული პროზა 1982: 473); მამად არს ობოლთად და მსაჯული ქურივთად (ქართული პროზა 1982: 141); შეიყვარნა ესრეთ გლახაკნი და უცხონი (ქართული პროზა 1982: 510); მისცემს იღუმალ გლახაკთა, უცხოთად უღონოთა, მშიერთა, შიშველთა (ქართული პროზა 1982: 67).

**ღმერთსა აღვიარებთ დამბადებელსა და განმანათლებელსა სოფლისასა 15.2** — მსახურებად ღმრთისა მხოლოისად, რომელმან დაჰბადნა ყოველნი დაბადებულნი (ქართული პროზა 1982: 70); ღმერთი მხოლოდ იცანთ, რომლისა მიერ დაებადა ყოველი აბიბოს ნეკრესელის წამება, გვ.249, ქართ. მწერლობა).

**ამისთვის იტყვს იოანე ოქროპირი, ვითარმედ ეკლესიათა არა შემკობისთვის არავინ სადა ბრალეულ იქმნა ღმრთისაგან, ხოლო გლახაკთა არა წყალობისთვის გეჰენიად განმზადებულ არს ცეცხლი უშრეტი და დასჯად ეშმაკთა თანა 13.5** — რამეთუ არათუ ამას გეტყვის ღმერთი, ვითარმედ ეკლესიანი არა შეამკევენითო, არამედ, რამეთუ: მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი, ვითარცა იტყვს იოანე ოქროპირი (ქართული პროზა 1982: 476).

ისაკ ფლობით გარდაიცვანა დღენი მისნი 10.1 — იქმნა ფლობად თქუენი ჩუენ ზედა (ქართული პროზა 1982: 173).

ამა სიტყუსა ძალი სიტყუათაგან ღმერთშემოსილისა კაცისათა გამოგიცხადო 2.1 ძალმან სიტყუსამან გამოგიცხადოს (ქართული პროზა 1982: 476).

ვითარცა კუამლი განქარდენ 9.7—ვითარცა კუამლი განქარდების (ქართული პროზა 1982: 50).

ვითარცა თიგად მსუთუად განკმეს, და ვითარცა მხალი მწუანვილისად, ადრე წარკდეს 9.9 ესე ყოველი ცხორებად ვითარცა ყვავილი ველთად, წარმავალ არს და დაუდგრომელ (ქართული პროზა 1982: 24).

უკეთუ ვინმე ბერ იყოს და უძღურ IV—ბერნი და უძღურნი იყვნენ (ქართული პროზა 1982: 397).

რად მოკლედ ვთქუა 16.16—პირველსავე სიტყუასა მივიდეთ (ქართული პროზა 1982: 430); სარბიელსავე სიტყუათა ჩენთასა ვიდოდი (ქართული პროზა 1982: 432); კვალად აღვედინ სიტყუად ჩუენი პირველდაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი შემდგომად (ქართული პროზა 1982: 359).

ვხედავთ ვიეთმე მორწმუნეთ, რომელნი იქმან ვორციელთა ცოდვათა და საქმენი საწუთროსანი განემარჯუებიან და განსაცდელთაგან გამოიჯსნის ღმერთი IX— ვხედავთ მრავალთა ურჩთა შვებითა, ხოლო მორჩილთა ვხედავთ, რამეთუ ჭირითა და მწუხარებითა განვლენ სოფლისა ამისგან (ქართული პროზა 1982: 79).

იქედან გამომდინარე, რომ თეოლოგი ავტორისათვის შემოქმედებითი სიახლე ნაკლებად საგულისხმოა, სრულიად ბუნებრივია ასეთი სახის მსგავსებები წინამდებარე თხზულებასა და ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებს შორის. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ უმეტესობას ამ თხზულების აქ წარმოდგენილი ფრაზებიდან, მოეპოვება თავისი ზედმიწევნითი ბერძნული დედნისეული შესატყვისი, და ჩვენ ვასკვნით, რომ ქართული ჰაგიოგრაფია ლექსიკური, სტილისტური თუ სახეობრივი თვალსაზრისით განიცდის ბერძნული ლიტერატურის ძლიერ გავლენას.

## სახისმეტყველება

ცნობილია, რომ თეოლოგიური ხასიათის თხზულებები არ გამოირჩევიან სახე სიმბოლოების ორიგინალობისა და ნოვატორობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, არათუ არ გამოირჩევიან, არამედ წესიდან გადახრადაც კი ითვლება ახალი ფორმის

შემოტანა, ყოველ შემთხვევაში, ავტორი ამას ყოველთვის თავს არიდებს, რადგან ამ დროს ის შეიძლება არც ისე შორს აღმოჩნდეს ერესისაგან. ეს თხზულებები, თანამედროვე ტერმინს თუ ვიხმართ, სრულიად ინტერტექსტუალური არიან სადღოთ წერილიდან. აქ მეტაფორები, შედარებანი სიმბოლოები ცალსახაა და ერთმნიშვნელოვანი, ისინი მხატვრული პარადიგმებია, განსხვავებით თანამედროვე ლიტერატურისაგან, სადაც მხატვრული სახე მარგინალურია და ათასგვარ ტრანსფორმაციას განიცდის. მაგალითისათვის, ჩვენ შეგვიძლია დიდხანს ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ვარდის სახე უახლეს პროზასა თუ პოეზიაში, მაგრამ ყველამ ძალიან კონკრეტულად ვიცით, რას გულისხმობს ავტორი, როცა აბო ტფილელს მიმართავს: „ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია“(ქართული პროზა 1982: 116). ვხედავთ, თუ რა მეტამორფოზას გადის შინაარსი ფორმამდე, როცა შეურაცხ და დამცირებულ მდგომარეობაში მყოფ წმინდანს მშვენიერების ნიშნით წარმოვიდგენს, ანდა, რატომ არის წინდა შუშანიკი, „დამშრშალი და დაბუშებული ტირილითა“(ქართული პროზა 1982: 19), „შუენიერი“ სძალი ქრისტესი.

თეოლოგი ავტორისთვის გამოგონილი, ზოგადი რეალობა არ არსებობს, მისთვის თავისთავადი, თვითკმარი ღირებულებისაა თავად ფაქტი. „ჩვენ თვით თვისით არარად აღგვიწერიან“(ქართული პროზა 1982: 371) - ამბობს გიორგი მთაწმინდელი და ეს კონიუნქტურაა. აქ სიტყვა არის არა „სარკე და სახე“(ქართული პროზა 1982: 501), არამედ -- ემპირიული სინამდვილე. თუკი, თანამედროვე ლიტმცოდნეობის მიხედვით, „სიმბოლო მთლიანად დამოკიდებულია ინტერპრეტატორზე და ინტერპრეტაციის გარეშე, როგორც ნიშანი, დანიშნულებას კარგავს“(სემიოტიკა 2007: 203), თეოლოგიური თხზულებების ყოველი სიტყვის ინტერპრეტაცია უკვე ძველი აღთქმის წიგნებშივეა მკაცრად დადგენილი და განსაზღვრული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიმბოლოს მიმართებით ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებზე ლაპარაკი ნაკლებად საგულისხმოდ მიგვაჩნია. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის, თუ რა სემანტიკურ-სტრუქტურულ სახეცვლილებას განიცდის აზრი ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლისას და შევეცდებით ქართული ნათარგმნი ტექსტის სახისმეტყველება წარმოვიდგინოთ თავის ძველ ბერძნულ დედანთან მიმართებაში.

თხზულება ეგზეგეტიკურია და ვერ იქნება გამორჩეული სახე სიმბოლოების მრავალფეროვნებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი უაღრესი ემოციურობითა და აზრის სიახლით აღიქმებიან, შინაარსობრივად მეტად მეტყველნი და ესთეტიკურად სრულყოფილნი არიან. აქ სიმბოლოა არა მარტო სიტყვა, არამედ მთელი შესიტყვება. აღსანიშნავია და აღმნიშვნელს შორის კავშირი მეტად მჭიდროა, რეალობა და სიტყვა აბსოლუტურად მოიცავს ერთმანეთს, ისე, რომ ხანდახან სიმბოლოს დადგენაც კი ჭირს. ისინი ძირითადად ადამიანის შინაგან სამყაროს წარმოაჩენენ და ღმერთთან მიმართებაში განიხილავენ მას. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, პარალელური ფაქტები აღვნიშნოთ და ვნახოთ, როგორ ეთანადება ერთმანეთს ორი ავტორის სამყაროსეული აღქმა:

**ამისთვის იტყვს უფალი: რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამან ჩემმან შეიყუაროს იგი და მივიდეთ მისა და სავანე მის თანა ვყოთ. 1.3**

*Ἐάν τις ἀγαπᾷ με, τοὺς λόγους μου τηρήσει, καὶ ὁ Πατήρ μου ἀγαπήσει αὐτόν, καὶ πρὸς αὐτὸν ἔλευσόμεθα, καὶ μονήν παρ’ αὐτῷ ποιησόμεθα.*

ბერძნულში არ არის ქართულის განმაზოგადებელი პირველი წინადადება. დედნის მომავალი დროის ფორმებს თარგმანში II კავშირებითის ფორმები შეესაბამება(τηρήσει-დაიმარხნეს; ἀγαπήσει-შეიყუაროს; ἔλευσόμεθα-მივიდეთ; ποιησόμεθα-ვყოთ),ბოლო ორ შემთხვევაში გვარი ვნებითად იცვლება. ბერძნულში პირდაპირი ობიექტის ფარდი, როგორც წესი, ქართულის სახელობითი ბრუნვაა(τοὺς λόγους-მცნებანი; αὐτόν-იგი; μονήν- სავანე). დინამიკა გამოხატულია ბრალდებითი ბრუნვის წინდებულებით(πρὸς αὐτόν-მისა), ხოლო სტატიკა მიცემითი ბრუნვის წინდებულებით(παρ’ αὐτῷ-მის თანა), რომელიც კალკირებულია.

შდრ.:(იოანე 14.2).



ადეშენების სახლი სულისა ჩუენისაჲ და ესრეთ დაემკვდრების ღმერთი შორის ჩუენსა. 1.3

*Οικοδομείται ὁ οἶκος τῆς ψυχῆς, καὶ οὕτως οἰκεῖ ὁ Θεὸς ἐν ἡμῖν.*

პასიური ფორმა *οικοδομείται* ქართულ თარგმანში ასევეა გადმოსული ადეშენების შინაარსობრივი თვალსაზრისით, მთარგმნელისათვის დამკვდრება და დასახლება სინონიმებია(*οἰκεῖ* - დაემკვდრების). კალკირებულია წინდებუდიანი კონსტრუქციაც: *ἐν ἡμῖν* - შორის ჩუენსა. ზუსტადაა გადმოტანილი დედნისეული მხატვრული სახე - სახლი სულისა ჩუენისაჲ - *ὁ οἶκος τῆς ψυχῆς*.

სახლი ღმერთია (უძღები შვილის შინდაბრუნების იგავი, ლუკა,15.), მსგავსება (შექმნა ღმერთმან კაცი ხატად და მსგავსად თუსა, დაბადება, 1.26), მზაობა (ათი ქალწულის იგავი, მათე, 25.1).

ქრისტეანე არს ჭეშმარიტი ტაძარი, ქრისტეს აღსარებითა მართლითა და მუშაკობითა სათნოებათაჲთა აღშენებული. 1.1

*Χριστιανὸς γὰρ ἐστὶν ἀληθινὸς οἶκος Χριστοῦ, δι' ἔργων ἀγαθῶν καὶ δογμάτων εὐσεβῶν συνιστάμενος.*

სპარსული სიტყვა ტაძარი სახლს ნიშნავდა ჯერ კიდევ V საუკუნეში: დაუტევა ტაძარი თუსი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა“(„მუშანიკის წამება“, ქართული პროზა, გვ.8, თბ, 1982). მისი ფარდი ორიგინალში არის *οἶκος Χριστοῦ*, რაც პირდაპირ ითარგმნება, როგორც „ქრისტეს სახლი“. თარგმანი ზედმიწევნითია.

ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: დავემკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის, ... , ანუ არა გიცნობიეს თავით თუსით, რამეთუ ქრისტე თქუნ შორის არს. 1.4

*Ἐνοικῆσα γὰρ, φησὶ, καὶ ἐμπεριπατήσω. Εἰ οὐκ ἐγινώσκετε, ὅτι ὁ Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν.*

საღმრთო წერილის სიტყვები ორიგინალში მოცემულია ერთი სიტყვით *φησὶ*, და ეს ბერძნული ტექსტის ტენდენციას, ისევე როგორც ქართულის „ვითარცა წერილ არს“, თუმცა ესეც ბერძნული ენის კალკია - *γεγραπται*. ქართულში არ არის განმარცობი სიტყვა *δελῶν* (ცხადი, მნიშვნელოვანი). ძველი ბერძნულის დასახლება, დამკვიდრება ზმნა თარგმანში აღიქმება როგორც მყოფობა, ყოფნა - *ὁ Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν*-ქრისტე თქუნ შორის არს. პირველი წინადადების პირველი ზმნა ქართულში I სერიის II კავშირებითით არის გადმოცემული, ხოლო ბერძნულში მომავალი დროით(დავემკვდრო-*ἐνοικῆσα*), ხოლო მეორე ზმნა უწვევტლის ხოლმეობითთა და ასევე მომავალი დროით(ვიქცეოდი-*ἐμπεριπατήσω*).რაც შეეხება ბოლო ზმნას, I თურმეობითს ახლანდელი დრო შეეფარდება(გიცნობიეს-*ἐγινώσκετε*).

შდრ.: (პავლე, 2 კორინთ., 13,5 და 6.16)

**შინაგან გონებასა კაცისასა არს ქრისტე. 1.5**

*Πότερον ἔσω ἐστὶν ἐν τῇ διανοίᾳ σου ὁ οἰκοδεσπότης Χριστός.*

ქართულში გამოყენებულია III პირისადმი მიმართება(კაცისასა), ბერძნულში მეორისადმი(σου). ბერძნული სიტყვა *οἰκοδεσπότης*, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, სახლის მმართველს, განმგებელს ნიშნავს, მაგრამ ცხადია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ყოვლისმპყრობელის მნიშვნელობით იხმარება.

შდრ.: (პავლე, 2 კორინთ. 13.5)

**მის სულსა შინა მცველ და განმანათლებელი მისი ღმერთი. 1.6**

*Ἔστιν ἐν τῇ ψυχῇ σου ὁ φυλάσσων σε καὶ φρονιζῶν θεός.*

ბერძნული ენისათვის ასე დამახასიათებელი მიმღეობები ქართულშიც მიმღეობებად წარმოგვიდგება(მცველ - *φυλάσσων*, განმანათლებელი - *φρονιζῶν*). ქართულის ეს მონაკვეთი გავრცობილია(მათ სახეთაგან) და ნახმარია მესამე პირის ნაცვალსახელი (მის სულსა შინა, მისი) ბერძნულის მეორე პირის სანაცვლოდ (*ἐν τῇ ψυχῇ σου,σε*), და ესეც ერთი ტენდენციაა წარმოდგენილი თხზულებისა. ქართულში არ არის დროის ზმნიზება *τότε*. ბერძნულის წინდებუდიანი კონსტრუქცია ქართულში კალკირებულია უკუდებულთ (*ἐν τῇ ψυχῇ* - სულსა შინა).

ასევე კალკირებულია ორი მიმღეობა(მცველ და განმანათლებელი - *φυλάσσων καὶ φρονιζῶν*).

**ვითარცა მპარავი, შევიდის უკეთური იგი და განკრეხის სახლი იგი სულისაჲ მის. 1.6**

*Καὶ οὕτω λοιπὸν καθάπερ κλέπτῃς εἰσελθὼν ὁ πονηρὸς, ... ,σὺλᾶ τὸν οἶκον τῆς ψυχῆς σου.*

ზუსტად არის თარგმნილი სახლი სულისაჲ - *τὸν οἶκον τῆς ψυχῆς σου*, აქ ბერძნული ვარიანტი პირდაპირი დამატების ბრუნვით არის გადმოცემული, ასევე ქართულიც, მოგეხსენებათ, ქართულში იგი ორია. უწყვეტლის ხოლმეობითის ზმნა ქართულისა დედანში მიმღეობაა(შევიდის-*εἰσελθὼν*).

შდრ.: (ლუკა 12.33; მათე 6.20)

**ღმერთშემოსილი კაცი. 2.1**

*Τίς ἱερός.*

აქ, ცხადია, სამოსელის სახე ფიგურირებს. იგი კალკირებული კომპოზიცია ბერძნული სიტყვისა *θεοφόρος*, რომელიც, თავის მხრივ, თავისთავში ღმრთისა და ტარება ზმნის(*φορεῖ*) შინაარსს მოიცავს.

**დაემკვდროს ღმერთი მის თანა. 2.3**

*οἰκίση ἐν αὐτῷ ὁ Θεός.*

I აორისტის ფორმა კავშირებითი კილოთი თარგმანში II კავშირებითი მწკრივითაა გამოხატული(*οἰκίση*-დაემკვდროს), ხოლო შეცვლილია წინდებულებიანი კონსტრუქციის შინაარსი - *ἐν αὐτῷ* უფრო ნიშნავს მასში, და არა მის თანა.

თარგმანი ისევ ზედმიწევნითია.

**კაცი ტაძარ სულიერ ღმრთისა იქმნას. 2.4**

*Ὁ ἄνθρωπος ναὸς ἔμψοχος γενήσεται τοῦ Θεοῦ.*

თარგმანი ზმნის დროშიც კი ემთხვევა ორიგინალს. სიტყვა ტაძრის სახელი უკვე აქ არის *ναὸς*, რაც მისი საკუთრივი დასახელებაა. აღწერილობითი ფორმა მომავლის დროისა *γενήσεται*, ისევ II კავშირებითითაა წარმოდგენილი ქართულში იქმნას. მ მწკრივის ხშირი გამოყენება ტექსტში თხზულების ეგზეგეტიკურ ხასიათს უნდა უკავშირდებოდეს.

შდრ.:(იოანე, 14,23)

აქუს შინაგან თავსა შორის თვსა მამად ყოვლისა მპყრობელი და მხოლოდშობილი ძე მისი, და მღვდელთმოდღუარი იგი დიდი, რომელმან განგლნა ცანი, ვითარცა იტყვს მოციქული, და სული იგი ჭეშმარიტებისა. 2.6

*Ἐνδον γὰρ ἔχει ἐν ἑαυτῷ τὸν Πατέρα, καὶ τὸν Υἱὸν ἀρχιερέα, καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἀληθινὸν πῦρ*

ქართულის თავსა შორის თვსას შეესაბამება ბერძნული უკუქცევითი ნაცვალსახელი მიცემით ბრუნვაში წინდებულებით - *ἐν ἑαυτῷ*, და იგი ბერძნული ენის კალკია. თარგმანი გავრცობილია(რომელმან განგლნა ცანი, ვითარცა იტყვს მოციქული), მაგრამ არ გვხვდება ბერძნული სიტყვა *πῦρ*, რაც ქართულად ცეცხლს ნიშნავს.

შინაგან აქუნ ჭეშმარიტი მსხუერპლი გული წმიდა და სული მდაბალი და საკურთხეველი ჭეშმარიტებისა, მიმტევებელი ცოდვათა, სულიერი იგი ცრემლი. 2.7

*Ἐνδον τὴν ἀληθὴν θυσίαν τῷ Θεῷ, πνεῦμα συντετριμμένον, ἔνδον τὸ θυσιαστήριον, καὶ τὸ ἴλασθήριον ἁμαρτιῶν τὸ πνευματικὸν δάκρυον.*

უმნიშვნელო განსხვავებების მიუხედავად მონაკვეთები იგივეობრივნი არიან. მდაბალს ბერძნულ ვარიანტში გამოხატავს მიმღეობა *συντετριμμένον*(*συντριβω*), რაც ტანჯვას, დანგრევას, გატეხვას, განგმირვას გულისხმობს, ანუ, სინანულისაგან

დატანჯულ სულს უნდა აღნიშნავდეს. გული წმიდა ძველბერძნულ დედანში არ არის.

### შინაგან აქუნ სასუფეველი ცათაჲ. 2.7

*Ἐνδον τῆν ἀνω βασιλείαν, καὶ Ἱερουσαλήμ.*

ქართულში არ არის ნახსენები ღერუსალიმი. წინდებული წინდებულადვე არის გადმოტანილი თარგმანში: *ἐντὸς ἰμῶν* - შინაგან თქუნესა.

### მიერთიგან სულიერი იგი კაცი სულიერთა თუალითა ხედავს ყოველსა და სულიერთა შესაწირათა შესწირავს. 2.8

*Καὶ λοιπὸν, ὡς πνευματικὸς τοῖς ὀφθαλμοῖς πνευματικὰς θυσίας προσάγει.*

ქართულში ჩამატებულია კაცი ... ხედავს ყოველსა, ხოლო სიტყვა შესწირავს უფრო საკრალურია და მას დედანში შეესაბამება სიტყვა *προσάγει* (*προσάγω*), რაც ბუკვალურად მიტანას, მიძღვნას ნიშნავს. ზმნები ქართულში აწმყოს ხოლმეობითი გადმოიცემა (ხედავს, შესწირავს).

### ხედავს გუამსა თვისსა ტაძარსა საყოფელ უხილავისა ღმრთისა. 2.11

*Ὁρῶν αὐτοῦ τὸν ναὸν, τὸν τοῦ σώματος θυσιαστήριον Θεοῦ ὑπάρχοντα.*

წინადადების მეორე ნაწილში განსხვავებული ტექსტია: საყოფელ უხილავისა ღმრთისა - *τοῦ σώματος θυσιαστήριον θεοῦ ὑπάρχοντα*. ბერძნული ტექსტი სხეულის ღმრთის სამსხვერპლოზე მიტანას გულისხმობს, რა თქმა უნდა, მისტიკური თვალსაზრისით. სიტყვა გუამი ძველ ქართულში პიროვნებას, პიპოსტასს, პირს აღნიშნავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ვვარაუდობთ, რომ იგი სხეულს უნდა ნიშნავდეს. ბერძნულ წინადადებას მიმდებარე მართავს შესაბამისი პირდაპირი ობიექტის ბრალდებითი ბრუნვითა (*τὸν ναὸν, τὸν... ὑπάρχοντα*) და მისი განსაზღვრებითი ნათესაობითი ბრუნვით (*τοῦ σώματος θυσιαστήριον Θεοῦ*), ხოლო ქართულში პირიანი ზმნა მართავს წინადადებას ირიბი ობიექტის მიცემითი ბრუნვითა და მისი განსაზღვრებითი ნათესაობითი ბრუნვით.

შდრ.: (პავლე, კორინთელთა მიმართ, I, 3-4)

### არავინ დასდვის ხელი ერქუანსა და მართლუკუნ ხედავს და წარემართის იგი სასუფეველსა ცათასა. 3.7

*Οὐδεὶς βαλὼν τὴν χεῖρα αὐτοῦ ἐπ' ἄρτρον, καὶ στραφεὶς εἰς τὰ ὀπίσω, εὐθეტὸς ἐστιν εἰς τὴν βασιλείαν τῶν οὐρανῶν.*

ორიგინალის ზმნა მიმდებარეობს არის მიცემული, ხოლო პირდაპირი ობიექტი, შესაბამისად, ბრალდებითი ბრუნვით (*βαλὼν τὴν χεῖρα* - დასდვის ჳელი). წარემართის

ამ სიტყვას თავისი პირდაპირი შესატყვისი არ აქვს, იგი მთარგმნელის მოძებნილი შესაბამისია - *εὐθετός ἐστιν* და უფრო ითარგმნება, თუ ძველი ქართულის ტერმინით ვიტყვით, როგორც შემძლებელყოფა. ქართულში უგულვებელყოფილია ბერძნულის წინდებულის კონსტრუქციები.

შდრ.: (ლუკა, 9,62)

უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვრთი ჩემი მცირე. 4.1

*Ὁ ζυγός μου χρεστός, καὶ τὸ φορτίον μου ἐλαφρόν ἐστιν.*

წყალობითა უფლისაჲთა სავესე არს ქუეყანაჲ, წრფელ არიან გზანი უფლისანი და მართალნი ვიდოდენ მას შინა, ხოლო უსჯულონი მოუძღურდენ. 4.3

*Εὐθεῖαι ὁδοὶ Κυρίου, καὶ δίκαιοι πορεύονται ἐν αὐταῖς.*

ქართულ მონაკვეთში აღინიშნება ტექსტის მატება.

ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდისა ღმრთისასა, რომლითა აღიბეჭდენით დღედ გამოკსნისა. 4.12

*Μὴ λυπεῖτε τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον τοῦ Θεοῦ, ἐν ᾧ ἐσφραγίσθητε εἰς ἡμέρον ἀπολυτρώσεως.*

ბერძნულის წინდებული ქართულში მოქმ. ბრ.-ით არის გადმოცემული (რომლითა - *ἐν ᾧ*).

I აორისტის ვნებითი გვარის *ἐσφραγίσθητε* შესაბამისი ვნებითი გვარის წყვეტილით არის გადმოსული ქართულში აღიბეჭდენით.

შდრ.: (პავლე, ეფეს., 4,29-30)

სათნოებითა შეამკვენ თავი თვისი და ეგრეთ მოუკვდინ დიდებულსა მას ტრაპეზსა. 6.15

რამეთუ ძნელ არს, უკუეთუ ვინმე დაეჩვიოს განრცხად სამოსლისა სულისასა, რომელ არნ კორცნი, და კუალად შებღალვად, 7.6

რამეთუ მრავალგზის განრცხად და კუალად შებღალვად განცუეთილ ძუელ-ჰყოფს მას და მერმე, ოდეს დაძუელდის და დაბერდის, განრცხადცა ველარა ეძლოს. 7.7.

*Χαλεπὸν γὰρ τὸ συνεθῆσαι πλύνειν τὸ ἱμάτιον τοῦ σώματος, καὶ πάλιν μολύνειν αὐτό. Τὸ γὰρ πολλάκις πλυνόμενον καὶ κατατριβόμενον, σαθρὸν καὶ ἀχρηστον γίνεται, καὶ λοιπὸν γηράσαν καὶ παλαιωθῆν, οὐδὲ πλυσθῆναι δύναται.*

თარგმანში არის სამოსელი სულისა, ორიგინალში კი - სამოსელი ჯორცისა(τὸ ἱμάτιον τοῦ σώματος). ბერძნული ენის ინფინიტივი *συνεθίσαι* ქართულში დამოკიდებული წინადადების ზმნით არის მოწოდებული(დაეჩვოს) და შემდეგ მოსდევს მას ისევ ინფინიტივი *πλύνειν*, რაც საწყისია ქართულშიც, ვითარებითის ბრუნვის ფორმით განრცხად, ასევეა საწყისი *μολύνειν* - შებლაღვად.

მეორე მონაკვეთში ბერძნულის ბრალდებითი ბრუნვის მიმდებარე ქართულში საწყისია(*πλυσόμενοι* -განრცხად). კალკირებულია განრცხადცა ვეღარა ეძლოს - *οὐδὲ πλυσθῆναι δύναται*. ქართულ მონაკვეთში ლექსიკური ერთეულების სინტაქსური ფუნქცია შეცვლილია.

შდრ.:(ფსალმ., 4,9)

**ნეტარ არს კაცი, რომელი განსწავლო შენ, უფალო, რამეთუ ვითარცა წურთინ მამად შვილსა. 8.1**

**ანუ გარემიქცევითა პირისა მისისადათა და რისხვითა, ვითარცა ჰრისხავნ მეფე მტერთა. 8.2**

*ἢ κατὰ ἀποστροφῆν, ὡς βασιλεὺς πρὸς ἐχθρόν.*

თარგმანში ისევ აღინიშნება ტექსტის მატება. ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი უზმნო წინადადებები ქართულში, ბუნებრივია, ზმნებითაა გადმოსული. სხვადასხვაა წინადადებების სინტაქსური აგებულება ორივე ენის ვარიანტში.

**განსაცდელისა მის მიერ მოვიდის მეცნიერებად, ვითარცა შეემთხვა ნაბუქოდონოსორს და მანასეს, ვითარცა წერილ არს: ჭიმითა და აღვრითა ქცევად დაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ. . 8.11**

*Καὶ διὰ τῶν πειρασμῶν ἔρχεται εἰς ἐπίγνωσιν, ὡς περ ἔπαθεν ὁ Ναβουχοδονόσορ καὶ ὁ Μανασῆς. Ἐν κημῶ, φησὶ, καὶ χαλιμῶ τὰς σιαγόνας αὐτῶν ἀγξαις τῶν μὴ ἐγγιζόντων πρὸς σέ.*

ისევ უგულებელყოფილია წინდებულებიანი ფორმა (*εἰς ἐπίγνωσιν*-მეცნიერებად, *ἐν κημῶ, καὶ χαλιμῶ* - ჭიმითა და აღვრითა), არც მიმდებარე კონსტრუქციასა შენარჩუნებული(*ἐγγιζόντων*-მოგეახლნენ).

შდრ.: ფსალმუნი(4.9).

**განიხეთქოს მეფობად შენი კველთაგან შენთა და მივსცე მონასა შენსა. 9.4**

*Διαρρήσων διαρρήξω τὴν βασιλείαν ἐκ χειρὸς σου, καὶ δώσω αὐτὴν τῷ δούλῳ σου.*

ბერძნულში ჯანიკეთქოს ორმაგი აღნიშვნაა - *διάρρησων διάρρηξω*. ქართულში იგი ვნებითი გვარისაა, ხოლო ბერძნულში მოცემულია მიმღეობითა და მოქმედებითი გვარის მომავალი დროის I პირით. *ἐντετελάμι (εντελλω)* დაგალებას, ბრძანებას ნიშნავს, ქართულში კი გადმოცემულია ზმნით გამცენ. მთელი მონაკვეთი კალკირებულია.

შდრ.: (მესამე მეფეთა, 11.11-12)

**იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღესა მას რისხვისასა. 9.7**

*Θεσαυρίζεις σεαυτῶ ὀργήν ἐν ἡμέρα ὀργῆς.*

*ἀμαρτανόητον* ქართულში გადმოტანილია, როგორც შეუნანებელი. სიფიცხლე, ბერძნულში *σκληρότητα (σκληρυσω)*, უფრო უღმობელობას, სისასტიკეს ნიშნავს, ზუსტი შინაარსობრივი და გრამტიკული თარგმანია იუნჯებ - *θησαυρίζεις*, და შეგროვებას გულისხმობს, ასევე ზუსტია მიაგოს შესაბამისად *ἀποδώσει*, და მიცემას ნიშნავს.

შდრ.: პავლე, რომ., 2,5-6.

**ვითარცა თივაჲ მსთუად განკმეს, და ვითარცა მხალი მწუნავილისაჲ ადრე წარკდეს. 9.9**

*Ὡσεὶ χόρτος ταχὺ ἀποξηραθήσονται.*

თარგმანი კვლავ გაგრცობილია.

შდრ.: (მათე, 6.30); ფსალმ.(36,2)

**რომელი გლახაკთა მიეცეს კელითა შენითა, ღმრთისა თანა დამარხულ არს. 9.13.**

**უწყითმცა, ცოდვათა ჩუენთათუს მივეცემით კელთა მტერთა ჩუენთასა სამართლითა მით სასჯელითა ღმრთისათა. 14.5**

*διὰ τὰς ἀμαρτίας ἡμῶν παραδιδόμεθα πολλάκις, ὡς εἴρεται, εἰς χεῖρας ἐχθρῶν ἀνόμων, κατὰ δικαίαν κρίσιν Θεοῦ.*

საშუალ-ვნებითი გვარის *παραδιδόμεθα*, ამავე გვართვე არის გადმოსული ქართულში მივეცემით. *πολλάκις* სიტყვა, რაც ნიშნავს ხშირად, თარგმანში არ არის. ცოდნა(უწყითმცა) ზმნის ფარდი დედანში არის *ὡς εἴρεται*, და ითარგმნება როგორც ითქვა, გულისხმობს საღვთო წერილს. თარგმანი ზუსტია.

**გარემივაქციე პირი ჩემი მათგან და მივსცენ იგინი კელთა მტერთა მათთასა. 14.9**

*Ἀπέστρεψα τὸ πρόσωπόν μου ἀπ' αὐτῶν, καὶ παρέδωκα αὐτοὺς εἰς χεῖρας ἐχθρῶν αὐτῶν.*

თარგმანი იგივეობრივია. I აორისტის მხოლოდითი რიცხვის I პირი წყვეტილითვეა გადმოცემული ქართულშიც(ἀπείσπρα - გარემივაქციე). ἐν μαχαίρα ბუკვალურად ნიშნავს მახვილში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთარგმნელი ქართულისათვის ლოგიკურ ფორმას არჩევს და იგი მოწოდებულია უბრალო დამატებად მოქმედებით ბრუნვაში.

**კელთა შინა ზრახვისა მისისათა. 14.11**

*Ἐν χειρὶ διαβόλου αὐτοῦ.*

თარგმანი იდენტურია ორიგინალისა. იგი ბერძნულის ქართული ფრაზეოლოგიური კალკია.

**შთავრდომილ არს ცთომათა და უმეცრებათა შინა. 16.4**

ეს შესიტყვება, მთლიანად, ბერძნული ენის კალკია.

**ტვრთმძიმენი განვიდეთ. 16.14**

უადრესად მეტყველი სიმბოლოა და ცოდვილი სულის სხვა განზომილებაში გადასვლაზე გველაპარაკება.

**ცეცხლი იგი წმიდათა საიდუმლოთაჲ, შეიწუების და დაისჯების ცოდვილი სული.**

16.14

ვიდრედა სავაჭროდ დგას და სასყიდელი სინანულისაჲ და კეთილთა საქმეთაჲ უეჭუელად მიეცემის ვიდრე ორთა მწუილილთაჲმდე, ვითარცა ქურივისა მის და ვიდრე სასუმელისა ერთისა გრილისა წყლამდე, რომლისა სასყიდელი არა წარწყმდეს. 16.2

ამ მონაკვეთის არქექტიპი სახარებისეული ორი იგავია ქურივისა, რომელმაც გულით შესწირა ორი მწუილილი(ლუკა, 2.21) და ლაზარესა და მდიდრის(ლუკა, 19-31) იგავი.

ამასვე სოფელსა განაბნოს ყოველი ტვრთი ცოდვათა თუსთაჲ, და განიწმიდოს თავი თუსი ყოვლისაგან ბილწებისა სულისა და კორცთაჲსა, და მოიგოს საგზალი კეთილი, საუკუნოჲსა გზისათუს განემზადოს და არა შეძრწუნდეს. 16.22

ამ რამდენიმე სტრიქონში რამდენიმე მეტად ღრმა სიმბოლოა ტვრთი ცოდვათაჲ, თავისი თავის განწმედა, საგზალი კეთილი, საუკუნო გზა.

**გან-თუ-იძარცოს სამოსელი ესე კორცთაჲ ამათ მოკუდავთაჲ, ... , არავე შიშველ იპოს, არამედ შეიმოსოს სამკაული იგი ცხორებისაჲ. 16.23**



ეს ნაწილი თხზულებისა პირდაპირ უკავშირდება სახარებისეულ უძღვებში შვილის შინდაბრუნების იგავს: გამოიღეთ სამოსელი იგი პირველი და შეჰმოსეთ მას.(ლუკა, 15.22) შეიმოსოს სამკაული იგი ცხორებისად. გარდა ამისა, იგი შეიძლება იყოს აღუზია „აბო ტფილელის წამებიდან“: „განვიძარცო შიში ხორცთა ამათ ჩემთად, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა“(ქართული პროზა, გვ.136, თბ, 1982).

### **მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად. 16.26**

ასევე სიტყვა მოსლვად ბერძნული კალკი უნდა იყოს.

როგორც ვხედავთ, თხზულების სახისმეტყველება ეგზეგეტიკური თხზულებისათვის დამახასიათებლად სტანდარტულია. ეს არის საღვთო წერილიდან პირდაპირ ციტირებული და პერიფრაზირებული სახეები, რომლებიც ხშირად მთელ ფრაზასაც მოიცავენ და ახალი ემოციით იკითხებიან.

რაც შეეხება თარგმნის სპეციფიკას, ვხედავთ, რომ თარგმანი იდენტურია დედნისა, და ამის თქმა მთელ თხზულებასთან მიმართებაში უფრო დაბეჯითებით შეიძლება. მთარგმნელი ცდილობს ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი მიმდებარე და ინფინიტივური, ასევე წინდებულებიანი კონსტრუქციები ასევე გადმოიტანოს, რამდენადაც კი ამის შესაძლებლობას ქართული ენის თავისებურებები აძლევს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ბერძნულის უზმნო წინადადება ქართულში ზმნის პირიანი ფორმით არის გადმოცემული. თხზულება არის სინთეზი დედანსა და მხატვრულ თარგმანს შორის ეკვივალენტურობის ორი, ფორმალურ-სტრუქტურული და დინამიკური, მოდულაციურ-ადაპტური ტიპისა. მართალია, გვხვდება ბევრი მონაკვეთი თარგმანისა, რომლის ბერძნული დედანი არ არის(ან ჩვენს ხელთ არ არის), მაგრამ რაც არის, იმის მიხედვით ჩვენ ვასკვნით, რომ მთარგმნელი ეფრემ მცირის ელინოფილური სკოლის ტრადიციების გამგრძელებელი უნდა იყოს.

ქართული თარგმანი ეთანხმება ორიგინალის ჩვენებას:

**რად არს სასწაული ჭეშმარიტი ქრისტიანისა?1.1**

*τί ἐστὶ τὸ σεμνιον τοῦ τελείου Χριστιανοῦ*

აქ ჭეშმარიტის შესაბამისად მოტანილია სიტყვა *τελείος*, რაც ბუკვალურად სრულს, დასრულებულს ნიშნავს, ხოლო ზუსტია სიტყვის *τὸ σεμνιον* შინაარსი ქართულში სასწაული.

**სარწმუნოებად მართალი და საქმენი კეთილნი, ვითარცა სხუამან ღირსმან მამამან თქუა. 1.1**

*Οὐ μὲν φασι, ὅτι πίστις ὀρθή, καὶ ἔργα εὐσεβῆ.*

დამოწმება ქართულ ვარიანტში კონკრეტულია, რაც ბერძნულში ზოგადად, მრავლობითი რიცხვით არის გადმოცემული (*οὐ μὲν φασι*), ხოლო სიტყვა კეთილი გადმოცემულია სიტყვით *εὐσεβῆ*, და უფრო საკრალური შინაარსისაა.

**რამეთუ ქრისტიანე არს ჭეშმარიტი ტაძარი, ქრისტეს აღსარებითა მართლითა და მუშაკობითა სათნოებათაჲთა აღშენებული.1.1**

*Χριστιανὸς γὰρ ἐστὶν ἀλεθινὸς οἶκος Χριστοῦ, δι' ἔργων ἀγαθῶν καὶ δογμάτων εὐσεβῶν συνιστάμενος.*

ვიციოთ, რომ სპარსული სიტყვა ტაძარი, ჯერ კიდევ V საუკუნეში საცხოვრებელი სახლის შინაარსის ფუნქციას ატარებდა. ამ შემთხვევაში, ბერძნულ დედანში მისი საკრალური და მისტიკური მნიშვნელობა ღმერთის სახელით არის გამკვეთრებული და ხაზგასმული: *οἶκος Χριστοῦ* - იგი ბუკვალურად ითარგმნება, როგორც სახლი ქრისტესი. ზუსტადაა გადმოტანილი ბერძნულის საშუალ-მოქმედებითის მიმღეობა *συνιστάμενος* - აღშენებული, ხოლო წინდებულის კონსტრუქციას ნათესაობითი ბრუნვისას ქართულის მოქმედებითი ბრუნვა ენაცვლება: *δι' ἔργων ἀγαθῶν καὶ δογμάτων εὐσεβῶν* - აღსარებითა მართლითა და მუშაკობითა სათნოებათაჲთა.

**ვითარმედ ღმრთის მეცნიერებას აღასრულებენ, ხოლო საქმით უვარ-ჰყოფენ. 1.2**

*Οὐδὲν ὁμολογοῦσιν εἰδέναι. τοῖς δὲ ἔργοις ἀρνοῦνται.*

ძმნას აღასრულებენ შეესაბამება საწყისს *εἰδέναι*, რაც თავისთავად გულისხმობს ჩვენებას, წარმოდგენას, მიმსგავსებას. მეორე ზმნა კი ქართულში მოქმედებითი გვარისა, ბერძნულში ვნებითი გვართაა წარმოდგენილი იმავე შინაარსით (უვარ-ჰყოფენ - *ἀρνοῦνται*).

ამისთვის ჯერ არს ყოველითა ძალითა შეკრძალება სულთა ჩუენთა ყოველთაგან საქმეთა ბოროტთა, რათა არა ჩუენთვისცა ითქუას. 12

*Διὸ χρὴ πάση δυνάμει ἀσφαλῶς τερεῖν ἑαυτοὺς καθαρὸς ἀπὸ ῥυπαρῶν ἔργων, ἵνα μὴ καὶ περὶ ἡμῶν λεχθῆ.*

ზუსტი თარგმანია დასაწყისი აღწერილობითი ფორმით(διὸ χρὴ-ამისთვის ჯერ არს), ხოლო შემდეგ თარგმანის ასევე ზუსტ შიონაარსობრივ ექვივალენტს მოქმედებითი ბრუნვისას, დედანში მიცემითი ბრუნვა შეესაბამება(ყოველითა ძალითა-πάση δυνάμει). ἀσφαλῶς τερεῖν(უსაფრთხოდ დაცვა) ამ ფრაზის შინაარსი ქართულში, ასე ვთქვათ, ერთ სიტყვაში დაეცია და იგი საწყისითვეა გადმოცემული შეკრძალება. უკუქცევითი ნაცვალსახელი ἑαυτοὺς, რომელსაც განავრცობს განსაზღვრება შესაბამის ბრუნვაში(καθαρὸς-სუფთა, წმინდა), პიროვნებას აღნიშნავს, ქართულში იგი უფრო კონკრეტულად არის გამოხატული სულთა ჩუენთა. საინტერესოა, რომ დედანში ინფინიტივი ზმნის პრიმატით გვევლინება და სახელს პირდაპირი ობიექტის ბრალდებითი ბრუნვით მართავს, ხოლო თარგმანში მას ზედსართავი სახელის ფუნქცია უფრო აკისრია და სახელს ნათესაობით ბრუნვაში წარმოადგენს. წინდებულებიანი ფორმა მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვით(ἀπὸ ῥυπαρῶν ἔργων), იმავე ბრუნვითა და რიცხვით, ოღონდ უკუდებულებითა და თან გავრცობილი სახითაა გადმოსული(ყოველთაგან საქმეთა ბოროტთა). პასიური ფორმა ასევეა გადმოცემული თარგმანშიც, კავშირებითის შინაარსით: ითქუას - λεχθῆ.

აწ უკუვე, სარწმუნოებად თვნიერ საქმეთა მკუდარ არს, ვითარცა იგი საქმენი კეთილნი თვნიერ სარწმუნოებისა ამო და უხმარ არიან 12

*Ἡ οὖν ἀληθὴς πίστις χωρὶς τῶν ἔργων νεκρά ἐστίν, ὡς ἔργα δίχα πίστεως.*

ბერძნულში არ არის განსაზღვრება კეთილნი, არც - ამო და უხმარ. ზუსტი გრამატიკული წარმოებით არის გადმოტანილი თვნიერ საქმეთა - χωρὶς τῶν ἔργων, ასევე შედგენილი შემასმენელიც - νεκρά ἐστίν, და საერთოდ, მთელი ფრაზა.

შდრ.: ... სარწმუნოებად თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს.(იაკობ მოციქული 2,26)  
ამისთვის იტყვს უფალი: რომელსა უყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამან ჩემმან შეიყუაროს იგი და მივიდეთ მისა და სავანე მის თანა ვყოთ. 13

*ὁ θεὸς φησὶν ὁ Κύριος· Ἐάν τις ἀγαπᾷ με, τοὺς λόγους μου τηρήσει, καὶ ὁ Πατήρ μου ἀγαπήσει αὐτὸν, καὶ πρὸς αὐτὸν ἔλευσόμεθα, καὶ μονὴν παρ' αὐτῷ ποιησόμεθα.*

დედნისეული მომავალი დრო მოქმედებითი გვარისა(Τηρήσει, ἀγαπήσει) თარგმანში II კავშირებითია(დაიმარხნეს, შეიყუაროს). საშუალო გვარის მომავალი დროის ფორმებია ἐλευσόμεθα ποιησόμεθα, რომლებიც ასევე II კავშირებითია წარმოდგენილი თარგმანში (მივიდეთ, ვყოთ). შენარჩუნებულია წინდებუდიანი კონსტრუქციები: πρὸς αὐτὸν(მისა) παρ' αὐτῶ(მის თანა). თარგმანი ზედმიწევნით იდენტურია.

შდრ.: ... უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ(იოანე 14,23).

**გვსწავიეს უკუე, ვითარმედ სარწმუნოებითა მართლითა და საქმითა კეთილითა აღეშენების სახლი სულისა ჩუენისაჲ და ესრეთ დაემკვდრების ღმერთი შორის ჩუენსა. 13**

*Οὐκοῦν διὰ τούτων μαυθαίνομεν, ὅτι διὰ τῆς ὀρθῆς πίστεως καὶ τῶν καλῶν ἔργων οἰκοδομεῖται ὁ οἶκος τῆς ψυχῆς, καὶ οὕτως οἰκεῖ ὁ Θεὸς ἐν ἡμῖν.*

წარსული დრო(III სერიის I თურმეობითი) გამოყენებული თარგმანში ორიგინალის ახლანდელი დროის შესაბამისად(გვსწავიეს - μαυθαίνομεν), ხოლო წინდებული საერთოდ უგულვებელყოფილია. პასიური ფორმა οἰκοδομεῖται ქართულ თარგმანში ასევეა გადმოსული აღეშენების, II ხოლმებითით. იგივე მწკრივია შენარჩუნებული დედნის ახლანდელი დროის ზმნის ფარდად: დაემკვდრების - οἰκεῖ. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მთარგმნელისათვის დამკვდრება და დასახლება სინონიმებია(οἰκεῖ - დაემკვდრების). კალკირებულია წინდებუდიანი კონსტრუქცია: ἐν ἡμῖν - შორის ჩუენსა. ზუსტადაა გადმოტანილი დედნისეული მხატვრული სახე - სახლი სულისა ჩუენისაჲ - ὁ οἶκος τῆς ψυχῆς.

**ვითარცა წერილ არს, ვითარმედ, დავემკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის, ვითარცა მოციქული იტყვს, ანუ არა გიცნობიეს თავით თვსით, რამეთუ ქრისტე თქვენ შორის არს, გარნა თუ გამოუცდელ ხართ. 14**

*Ἐνοικῆσα γὰρ, φησὶ, καὶ ἐμπεριπατήσω.Καὶ τοῦτο δηλῶν ὁ Ἀπόστολος ἔλεγεν·Εἰ οὐκ ἔγινώσκετε, ὅτι ὁ Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν, εἰ μὴ τι ἄρα ἀδόκιμοί ἔστε.*

საღმრთო წერილის სიტყვები ორიგინალში მოცემულია ერთი სიტყვით φησὶ, და ეს ბერძნული ტექსტის ტენდენციაა, ისევე როგორც ქართულის „ვითარცა წერილ არს“, თუმცა ესეც ბერძნული ენის კალკია - γεγραπται. ქართულში არ არის განმვრცობი სიტყვა δελῶν (ცხადი, მნიშვნელოვანი). ძველი ბერძნულის დასახლება, დამკვიდრება ზმნა თარგმანში აღიქმება როგორც მყოფობა, ყოფნა -

ὁ Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν-ქრისტე თქვენ შორის არს. პირველი წინადადების ზმნები ქართულში I სერიის II კავშირებით არის გადმოცემული, ხოლო ბერძნულში მომავალი დროით.

შდრ.: „ანუ არა უწყნითა თავნი თვისნი, რამეთუ ქრისტე თქვენ შორის არს, გარნა თუ რადმე გამოუცდელ ხართ“. (პავლე, 2 კორინთ., 13.5); „ვითარცა თქუა ღმერთმან: დავემკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის“. (პავლე, 2 კორინთ., 6.16)

არამედ იხილოს რაჲ კაცი უჯეროდ მრისხანე, ანუ მაგინებელი, ანუ ცუდმოფიცავ, ანუ ანგაჰარ, ანუ ამპარტავან და თავკვედ, ანუ მოცინარ და განცხრომილ, ანუ უღებ ლოცვისა, ანუ ბილწთა საქმეთა მოქმედ და სიკუდილსა არა მომგსენე. 1.5

*ὅταν δὲ ἴδῃ σε ὀργιζόμενον, ἢ κραυγάζοντα, ἢ ὀμνύοντα, ἢ αἰσχρολογοῦντα, ἢ φέγοντα, ἢ ὀνειδίζοντα, ἢ μεμφόμενον, ἢ λοδοροῦντα, ἢ κατακρίνοντα, ἢ μισοῦντα, ἢ ἀδικοῦντά τινας, ἢ ὑπερηφανευόμενον, ἢ ἀλαζονευόμενον, ἢ γελῶντα πολλὰ καὶ μετewριζόμενον, ἢ οὐ συνεχῶς προσευχόμενον, καὶ τοῦ θανάτου μνημονεύοντα.*

ბერძნულ ნაწილში მრავლად არის მოხმობილი სინონიმები, ვიდრე ქართულში. კარგად ფიქსირდება ბერძნული ენის ერთი ძირითადი თვისება მიმღეობური კონსტრუქციების სიჭარბე, და მთარგმნელიც ერთგულად ცდილობს ბერძნული ტექსტის ენობრივად ზუსტად გადმოტანას. მან პირველი განსაზღვრების შინაარსი ვითარების გარემოებით გაამკვეთრა(ὀργιζόμενοι -უჯეროდ მრისხანე), ხოლო დანარჩენი მიმღეობა-განსაზღვრებები მეტნაკლები სემანტიკური ვარირებით იმეორებენ დედანს. ზმნა ორივე შემთხვევაში კავშირებითი კილოთია გამოხატული(ἴδῃ-იხილოს), და შესაძლებლის შინაარსით მოქმედების გამოხატვა, გამომდინარე თხზულების განმარტებითი ხასიათიდან, ნიშანდობლივია ამ ტექსტისათვის ორივე ენაზე.

ქართულში მხოლოდითი რიცხვის III პირი ფიქსირდება პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელად, ხოლო ბერძნულში II პირი, რაც, შესაბამისად, ბრალდებითი ბრუნვით არის გამოხატული ნაცვალსახელშიც(σε) და მის მომდევნო მიმღეობებშიც, რომლებიც, ზოგნი მოქმედებითი გვარისანი არიან, ზოგნიც ვნებითისა.

საინტერესოა, რომ უარყოფის ნაწილაკი οὐ არ ვრცელდება ბოლო წინადადებაზე დედნისა, რაც თარგმანში ასე მკვეთრადაა ხაზგასმული. მაგრამ, ამ წინადადებაში იგი იგულისხმება მხოლოდ იმიტომ, რომ არის მის წინა წინადადებაში.

**ხოლო ეშმაკმან არა უწყის, თუ შინაგან გონებასა კაცისასა არს ქრისტე. 15**

*Οὐκ οἶδε τοῖσιν ὁ διάβολος, πότερον ἔσω ἔστιν ἐν τῇ διανοίᾳ σου ὁ οἰκοδεσπότης Χριστός, ἢ οὐ.*

ქართულში გამოყენებულია III პირისადმი მიმართება(კაცისასა), ბერძნულში მეორისადმი(σου). ბერძნული სიტყვა *οἰκοδεσπότης*, თავისი ვიწრო მნიშვნელობით, სახლის მმართველს, განმგებელს ნიშნავს, მაგრამ, ცხადია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ყოველისმპყრობელის მნიშვნელობით იხმარება.

შდრ.: ... რამეთუ იესუ ქრისტე თქუენ შორის არს?(პავლე, 2 კორინთ. 13.5)

**სცნობს მათ სახეთაგან, ვითარმედ არა არს მის სულსა შინა მცველ და განმანათლებელი მისი ღმერთი. 16**

*τότε νοεῖ, ὅτι οὐκ ἔστιν ἐν τῇ ψυχῇ σου ὁ φυλάσσων σε καὶ φρονιζῶν θεός.*

ქართულის ეს მონაკვეთი გაგრცობილია(მათ სახეთაგან) და ნახმარია მესამე პირის ნაცვალსახელი (მის სულსა შინა, მისი) ბერძნულის მეორე პირის სანაცვლოდ (*ἐν τῇ ψυχῇ σου,σε*), და ესეც ერთი ტენდენციაა წარმოდგენილი თხზულებისა. ქართულში არ არის დროის ზმნიზედა *τότε*. ბერძნულის წინდებულებიანი კონსტრუქცია ქართულში კალკირებულია უკუდებულებით (*ἐν τῇ ψυχῇ* - სულსა შინა).

ასევე კალკირებულია ორი მიმღეობა(მცველ და განმანათლებელი - *φυλάσσων καὶ φρονιζῶν*).

**ვინ არიან ჭეშმარიტნი იგი თაყუანისმცემელნი, რომელნი სულითა ჭეშმარიტებისაჲთა თაყუანის-ცემენ ღმერთსა? II**

*Τίνες εἰσὶν οἱ ἀληθινοὶ προσκυνηταί, οἱ ἐν πνεύματι καὶ ἀλεθείᾳ προσκυνοῦντες τῷ Πατρὶ*

მთარგმნელი, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს სიტყვასიტყვით და ზუსტად გადმოიტანოს დედნის შინაარსი, გვერდს ვერ აუვლის ქართული ენის ბუნებას და ბერძნული მიმღეობა (*προσκυνοῦντες*) ზმნით გადმოაქვს (თაყუანის-ცემენ). ასევე არ იყენებს წინდებულებიან კონსტრუქციას და მოქმედებითი ბრუნვითაა გადმოცემული უბრალო დამატება - სულითა ჭეშმარიტებისაჲთა, რაც დედანში ადგილის გარემოებაა(*ἐν πνεύματι καὶ ἀλεθείᾳ*).

შდრ.: ჭეშმარიტნი თაყუანის-მცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა... იოვანე,4.23.

**მოვიდა კაცი ვინმე მონაზონისა ვისმე დაყუდებულისა და ფრიად განშორებულისასა და პრქუა მას: 2.1**

*Παραγεϊόμενος γάρ τις ποτε πρὸς ἄνδρα ἀναχωρητὴν ἡσυχά ζῶντα, φησὶ πρὸς αὐτόν.*

მთარგმნელი უბადლო ოსტატობით ართმევს თავს ქართულ-ბერძნული ენების განსხვავებულობას, ენობრივ სცილასა და ქარიბდას შორის უაღრესი გამომხატველობით აფიქსირებს აზრს, დედნის თანამიმდევრული გადმომცემიც არის და მშობლიური ენის ბუნების გამთვალისწინებელიც. მიმღეობა ისევე ზმნით არის გადმოსული(*παραγεϊόμενος* - მოვიდა), მაგრამ შემდეგ მას ორი მიმღეობა მოსდევს: დაყუდებულისა და განშორებულისა. ბერძნულის წინდებულისანი ფორმა ბრალდებითი ბრუნვით(*πρὸς ἄνδρα*) ქართულში ნათესაობითი ბრუნვით არის გამოსატული(მონაზონისა). ბერძნულში არ არის ვითარების გარემოება ფრიად, არც ქართულშია ცხოვრება ზმნის მიმღეობა *ζῶντα*. შინაარსობრივად, შესიტყვების, ფრიად განშორებულის ფარდი დედანში არის *ἡσυχά ζῶντα* და ბუკვალურად მშვიდად ცხოვრებას გულისხმობს.

**მიკვრს, მამაო, ვითარ ჰზი აქა განშორებული ეკლესიისაგან და წესთა და განგებათა საეკლესიოთა? 2.2**

*Θαυμάζω, Πάτερ, πῶς οὕτω διακαρτερεῖς κεχωρισμένος τῆς ἁγίας Ἐκκλησίας καὶ ἀπεχόμενος τῶν ἁγίων συνάξεων.*

ერთი და იმავე ცნების გადმოსაცემად ბერძნული ტექსტი პარალელურ ფორმებსა და განმარტებებს არ იშურებს (ქვემოთ, ბერი - *ὁ δοῦλος τοῦ Θεοῦ*), რის გამოც იგი უფრო განვრცობილი ჩანს, მაგრამ ქართული ტექსტი გამოირჩევა ლაკონურობითა და კომპაქტურობით. აქ არ არის მიმღეობა განშორებულის პარალელური აღნიშვნა, განსხვავებით ბერძნულისაგან(*κεχωρισμένος* და *ἀπεχόμενος*), საერთოდ არ არის ნათესაობითი ბრუნვის მიმღეობის შესტყვისი (*τῶν ἁγίων συνάξεων*), რაც, თავისი შინაარსით, შეკრებულობას ნიშნავს, მის ნაცვლად ჩასმულია არსებითი სახელები იმავე ბრუნვითა და რიცხვით(წესთა და განგებათა საეკლესიოთა). საინტერესოა, რომ ჰზი ზმნა ბერძნულში, შინაარსობრივად, დაახლოებით, თავის შეკავებად არის მოცემული(*διακαρτερέω*).

**მიუგო ბერმან მან და ჰრქუა მას: ყოველნი დღესასწაულნი და წესნი და განგებანი საეკლესიონი ამისთვის არიან, ძმაო, რათა განწმიდნეს კაცი ცოდვათაგან და დაემკვდროს ღმერთი მის თანა, ვითარცა წერილ არს: დავემკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის. 2.3**

*Πρὸς ὃν ἀπεκρίθη ὁ δοῦλος τοῦ Θεοῦ, καὶ εἶπε· Πᾶσαι αἱ συνάξεις, καὶ λειτουργίαι, καὶ ἔορται διὰ τοῦτο γίνονται, ὡς ἄνθρωπε, ὅπως καθαρῆς ὁ ἄνθρωπος τῶν ἀμαρτιῶν αὐτοῦ, καὶ οἴκησιν ἐν αὐτῷ ὁ Θεὸς, ὡς γέγραπται, ὅτι „Ἐνοικήσω ἐν αὐτοῖς, καὶ ἐμπεριπατήσω.*

ქართული თითქმის იმეორებს ბერძნულს ერთი მცირე განსხვავებით - ძმაღს ფარდად ნახმარია სიტყვა ὡς ἄνθρωπε. სიტყვა ბერძნულში შინაარსი ბერძნულში გავრცობილია - ὁ δοῦλος τοῦ Θεοῦ, და ღმრთის მონას ნიშნავს. წინდებულებიანი ფორმა *πρὸς ὃν* ჩვენებითი ნაცვალსახელია(მას). აღწერილობითი *γίνονται* თარგმანში იმავე ფორმითაა(არია), იქვეა კალკირებული პასიური ფორმა(*καθαρῆς* - განწმინდეს), დაკლებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაში(*αὐτοῦ*).

I აორისტის კავშირებითი კილო II კავშირებითის მწკრივითვეა თარგმანში(*οἰκίση* -დაემკვდროს), კავშირებითითვეა მომავალი დროის ზმნა *ἐνοικήσω*-დაემკვდრო, მაგრამ ასევე მომავალი დროის *ἐμπεριπατήσω* უკვე II ხოლმეობითის ფორმით გვევლინება ვიქციოდი. შენარჩუნებულია წინდებულებიანი კონსტრუქციები(*ἐν αὐτῷ*-მის თანა, *ἐν αὐτοῖς*-მათ შორის).

**მე და მამა ჩემი მოვიდეთ და სავანე მის თანა ვყოთ, ხოლო, ვინაფთვან კაცი ტაძარ სულიერ ღმრთისა იქმნას. 2.4**

*Ἐλευσόμεθα, ἐγὼ καὶ ὁ Πατήρ, καὶ μονήν παρ' αὐτῷ ποιησόμεθα. Ἐπ' αὐτῷ ὁ ἄνθρωπος νὰ ἂν εἴη ὁ Θεὸς γεινησεται τοῦ Θεοῦ.*

ბერძნული სინტაქსის ტენდენცია, ზმნის წინადადების თავში მოქცევისა ქართულში, ამ შემთხვევაში, დარღვეულია. სიტყვა ტაძრის სახელი უკვე აქ არის *νὰ ἂν*, რაც მისი საკუთრივი დასახელებაა. აღწერილობითი ფორმა მომავლის დროისა *γεινησεται*, ამავე დროითაა წარმოდგენილი ქართულში იქმნას. ქართულში, აქაც, ზმნები კავშირებითის მწკრივის ფორმით წარმოგვიდგება.

შდრ.: ...ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ... პავლე, 2 კორინთ., 6.16

**მაშინ განეშორების ღმერთშემოსილი იგი სული ყოველისაგან სურვილისა ხილულთა მათ ეკლესიათა წესთა და განგებულთაგან და დღესასწაულთა, რომელთა კაცნი აღასრულებენ. 2.5**

*ἀφίσταται ἢ Θεοφόρος ψυχὴ ἀπὸ παντὸς πόθου Ἐκκλησιῶν αἰσθητῶν, καὶ συνάξων, καὶ ἔορτῶν ἀθρησιῶν.*

ქართულის ბოლო წინადადებას ბერძნულში მხოლოდ ერთი სიტყვა



წარმოადგენს კუთვნილებითი ფორმით მრ. რიცხვში - *ἀπορραπισίαν*. სურვილი გადმოცემულია სიტყვით *πόθος*, ხოლო ხილული მთარგმნელისეული დაკონკრეტებაა. ღმერთშემოსილი(*θειοφόρος*) ბერძნულიდან კალკირებული კომპოზიცია და მისი ლექსიკური კომპონენტებიდან პირველი ნაწილი იდენტურია ორივე ენაში, ხოლო მეორე ნაწილი სამოსელის სემანტიკას უნდა უკავშირდებოდეს ქართულში, *φορεω* ზმნა კი ტარებას ნიშნავს ძველ ბერძნულში. ვნებითი გვარის შინაარსი შენარჩუნებულია თარგმანშიც(განეშორების -*ἀφίσταται*).

შინაგან აქუნ ჭეშმარიტი მსხვერპლი გული წმიდაა და სული მდაბალი და საკუთხეველი შესაწირავისაჲ, მიმტევებელი ცოდვათაჲ, სულიერი იგი ცრემლი 2.7 *ἔνδον τὴν ἀληθῆ θυσίαν τῷ Θεῷ, πνεῦμα συντετριμμένον, ἔνδον τὸ θυσιαστήριον, καὶ τὸ ἐλ αστήριον ἄμαρτιῶν τὸ πνευματικὸν δάκρυον.*

უმნიშვნელო განსხვავებების მიუხედავად მონაკვეთები იგივეობრივნი არიან. მდაბალს ბერძნულ ვარიანტში გამოხატავს მიმდგომა *συντετριμμένον*(*συντριβω*), რაც ტანჯვას, დანგრევას, გატეხვას, განგმირვას გულისხმობს, ანუ, სინანულისაგან დატანჯულ სულს უნდა აღნიშნავდეს. გული წმიდაა ძველბერძნულ დედანში არ არის.

შინაგან აქუნ სასუფეველი ცათაჲ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ, სასუფეველი ცათაჲ შინაგან თქუენსა არს. 2.7

*ἔνδον τὴν ἀνω βασιλείαν, καὶ Ἱερουσαλήμ. Ἡ βασιλεία γὰρ, φησὶ, τῶν οὐρανῶν ἐντὸς ὑμῶν ἐστὶ.*

ქართულში არ არის ნახსენები ღერუსალიმი. წინდებული წინდებულადვე არის გადმოტანილი თარგმანში: *ἐντὸς ὑμῶν* - შინაგან თქუენსა.

მიერთგან სულიერი იგი კაცი სულიერთა თუალითა ხედავს ყოველსა და სულიერთა შესაწირავთა შესწირავნ. 2.8

*Καὶ λοιπὸν, ὡς πνευματικὸς τοῖς ὀφθαλμοῖς πνευματικὰς θυσίας προσάγει.*

ქართულში ჩამატებულია კაცი ... ხედავს ყოველსა, ხოლო შესიტყვებას შესაწირავთა შესწირავნ დედანში შეესაბამება ასევე ორი სიტყვა *θυσίας προσάγει*, რაც, ბუკვალურად, მსხვერპლად მიტანას, მიძღვნას ნიშნავს. ბოლო ზმნის აწმყოს მწკრივი(*προσάγει*) აქ აწმყოს ხოლმეობითია(შესწირავნ).

რამეთუ სული არს ღმერთი და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა ჭეშმარიტებისათა ჯერ არს თაყუანისცემაჲ. 2.8

*Πνεῦμα γὰρ ὁ Θεός, καὶ τοὺς προσκυνῶντας αὐτὸν, ἐν πνεύματι καὶ ἀληθείᾳ δεῖ προσκυνεῖν.*

კალკირებულია მოდალური კონსტრუქციაც: ჯერ არს თაყუანისცემაჲ - *δεῖ προσκυνεῖν* - მოქმედება საწყისითა და დამხმარე ზმნით არის გადმოცემული. ბერძნულის ბრალდებითი ბრუნვა მრ. რიცხვისა ქართულში მიცემით ბრუნვაში დგას ამავე რიცხვით(*τοὺς προσκυνῶντας* - თაყუანისმცემელთა), ხოლო დედნისეული ადგილის გარემოება თარგმანში უბრალო დამატებაა(*ἐν πνεύματι* - სულით).

შდრ.: სულ არს ღმერთი, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანისცემაჲ(იოანე 4,24).

**შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად. 2.15**

*Σὺ δὲ ὅταν προσεύχη, εἰσελθε εἰς τὸ ταμείον σου, καὶ κλείσας τὴν θύραν σου, πρόσευζαι τῷ Πατρὶ σου, τῷ ἐν τῷ κρυπτῷ.*

ქართულში არ არის განმაზოგადებელი პირველი წინადადება. დედნისეული მიცემითი ბრუნვა თარგმანში ნათესაობითის თანდებულებით არის ჩანაცვლებული(*τῷ Πατρὶ σου*-მამისა შენისა მიმართ). პირველი და მესამე გარდაუვალი ზმნები ბერძნულშიც საშუალ-მოქმედებითი გვართაა(*εἰσελθε*-შევედ, *πρόσευζαι*-ილოცე), ხოლო მეორე გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარის აორისტიოთ(*κλείσας*-დაჰკაშ). პირი და რიცხვი სამივე შემთხვევაში მეორეა და მხოლოდითი. ბერძნულის წინდებულებიანი კონსტრუქცია ქართულში ვითარებითი ბრუნვით არის მოცემული: *ἐν τῷ κρυπτῷ* - ფარულად. საინტერესოა, რომ წინა წინადადების ართრონი *τῷ* ბოლო წინადადებაშიცაა. საინტერესოა, რომ ქართულში ფიქსირდება წინდებულებიანი ფორმა, ხოლო ბერძნულში არა(მამისა შენისა მიმართ-*τῷ Πατρὶ σου*).

შდრ.: ... შევედ საუნჯესა შენსა და დაჰკაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად(მათე 6.6).

**და მამაჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად. 2.15**

*Καὶ ὁ Πατήρ σου, ὁ βλέπων ἐν τῷ κρυπτῷ, ἀποδώσει σοι ἐν τῷ φανερῷ.*

მოარგმნელს ამჯერადაც ზმნით გადმოაქვს ბერძნულის მიმღეობა(*βλέπων* - ხედავს), უგულვებელყოფილია აგრეთვე ბერძნული წინდებულებიანი კონსტრუქცია და ორიგინალის ადგილის გარემოება. პირველ შემთხვევაში, თარგმანში პირდაპირი დამატებაა (*ἐν τῷ κρυπτῷ* - დაფარულთა),

ხოლო მეორე შემთხვევაში - ვითარების გარემოება(ἐν τῷ φαιερώ - ცხადად). მომავლის შინაარსი დედანში საკუთრივ ამ დროის მხოლოდითი რიცხვის III პირის ფორმით არის გამოსატული ἀποδώσει(αποδομι), თარგმანში II სერიის II კავშირებითის იმავე პირითა და რიცხვით(მოგაგოს).

შდრ.: და მამად შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად(მათე 6.6)

და ესაიას მიერ იტყვს: ვის მივხედნე, გარნა მდაბალსა და მყუდროსა, და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა. 2.16

*ὄθειν καὶ διὰ Ἡσαΐου φησὶν· Ἐπὶ τίνα ἐπιβλέψω, ἀλλ' ἢ ἐπὶ τὸν ταπεινὸν, καὶ ἡσύχιον, καὶ τρέμοντά μου τοὺς λόγους.*

აქ ქართული ტექსტი თითქმის იგივეობრივია ბერძნულისა. ბერძნულის მიმღეობა(ბრალდებითი ბრუნვით) ისევ დამოკიდებული წინადადების ზმნით(ხოლმეობითის ფორმით) არის ნაჩვენები თარგმანში(τρέμοντά - ძრწოდის). რიცხვი შესაბამისია.

უკეთუ ვინმე ცოდოს და შეინანოს, და კუალად შევარდეს ცოდვასა მას შინა, ცუდ იქმნებისა სინანული იგი და შრომაჲ, რომელი აჩუენა, უფროჲსად, უკუეთუ ცოდვასა მას შინა მოკუდეს? III

*Ἐάν τις ἀμαρτήσας μετανοήσῃ, καὶ πάλιν εἰς τὴν ἀμαρτίαν πέσῃ, ἄρα ἡ μετάνοια καὶ οἱ κ ὅποι ἐκεῖνοι ἀπώλονται,καὶ μάλιστα εἰ μετὰ τὴν ἀμαρτίαν ἀπέθανεν.*

ბერძნულ მონაკვეთში არ არის მხოლოდ რომელი აჩუენა. I აორისტის მიმღეობის ფარდი ქართულში ზმნაა(ἀμαρτήσας - ცოდოს), ხოლო ბერძნულის შინაარსობრივი კალკია შევარდეს ცოდვასა მას შინა - *εἰς τὴν ἀμαρτίαν πέσῃ*. ართრონისა და წინდებულისანი ფორმის სინთეზი ცოდვასა მას შინა, დედანში არის *μετὰ τὴν ἀμαρτίαν* - შეცოდების შემდეგ. ამაოების, არაფრობის აზრი ქართულში გადმოცემულია ფრაზით ცუდ იქმნების, ხოლო ბერძნულში მას დაღუპვის, განადგურების, დანგრევის შინაარსი აქვს(ἀπώλονται), ზმნები II კავშირებითის ფორმით არის მოწვდილი ქართულში, ხოლო ბერძნულში - I აორისტის კავშირებითი კილოთი პირველ ორ შემთხვევაში(μετανοήσῃ,πέσῃ), იმპერფექტის საშუალ-ვნებითი გვარის მრავლობითით (მესამე შემთხვევაში(ἀπώλονται)) და მოქმედებითი გვარის იმავე დროის მხოლოდითით(მეოთხე შემთხვევაში(ἀπέθανεν)). პირი ყველა შემთხვევაში მესამეა.

ამის პირისათვის იტყვს ეზეკიელ წინაწარმეტყველი: უკეთუ მიაქციოს მართალმან სიმათლისაგან თვისისა და ქმნეს ბოროტი ყოვლისა მისებრ უსჯულოებისა, რომელ ქმნა უსჯულომან, ყოველი სამართალნი მისნი, რომელ ქმნა, არა მოვიწსენო შეცოდებითა მისითა, რომელ ქმნა, ცოდვათა შინა მისთა, რომელ ცოდა, უკუეთუ მას შინა მოკუდეს. 3.1

*Περὶ τῶν τοιούτων φησὶν ὁ Θεὸς Ἰεζεκιήλ· Ἐν τῷ ἀποστρέφεισθαι δίκαιον ἐκ τῆς δικαιοσύνης αὐτοῦ, τοῦ ποιῆσαι ἀνομίαν, κατὰ πάσας τὰς ἀνομίας, ἃς ἐποίησεν ὁ ἀνομος, πᾶσαι αἱ δικαιοσύναι αὐτοῦ, ἃς ἐποίησεν, οὐ μὴ μνησθῶσιν, ἀλλ' ἐν τῷ παραπτώματι αὐτοῦ, ᾧ παρέπεσε, καὶ ἐν ταῖς ἀμαρτίαις αὐτοῦ, αἷς ἤμαρτεν, ἐν αὐταῖς ἀποθανεῖται.*

თარგმანში წინასწარმეტყველის ატრიბუცია იტვირთებს სიტყვა *Θεὸς* შინაარსს, რაც, დაახლოებით, ღმრთის რჩეულს, წარმოგზავნილს, მისგან ხელდასხმულს ნიშნავს. ამჯერად ზმნით ბერძნულის ინფინიტივია გადმოცემული თარგმანში (*ἀποστρέφεισθαι* – მიაქციოს, *ποιῆσαι* - ქმნეს). პირდაპირი კალკია: *ἐν ταῖς ἀμαρτίαις αὐτοῦ* - ცოდვასა მას შინა, *ἐν αὐταῖς* - მას შინა. მაგრამ აქვე, ქართულისათვის უფრო ბუნებრივი მოქმედებითი ბრუნვითაა გამოხატული ძველი ბერძნულის წინდებულებიანი ფორმა: *ἐν τῷ παραπτώματι* - შეცოდებითა მისითა. საინტერესოა, რომ ზმნა ბერძნულში კავშირებითი კილოს ვნებითი გვარის აორისტის III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმითაა მოცემული (*μνησθῶσιν*), ქართულში II კავშირებითის I პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმით, თანაც მოქმედებითი გვარის ზმნაა. თარგმანი, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვითია.

შდრ.: (ეზეკიელი, 3,20)

არავინ დასდვის ჳელი ერქუანსა და მართლუკუნ ხედაგნ და წარემართის იგი სასუფეველსა ცათასა. 3.7

*οὐδεὶς βαλὼν τὴν χεῖρα αὐτοῦ ἐπ' ἄρτρον, καὶ στραφεῖς εἰς τὰ ὀπίσω, εὐθეტὸς ἐστὶν εἰς τὴν βασιλείαν τῶν οὐρανῶν.*

ორიგინალის ზმნა მიმღებობით არის მიცემული, ხოლო პირდაპირი ობიექტი, შესაბამისად, ბრალდებითი ბრუნვით (*βαλὼν τὴν χεῖρα* - დასდვის ჳელი). წარემართის

ამ სიტყვას თავისი პირდაპირი შესატყვისი აქ არ აქვს, იგი მთარგმნელის მოძებნილი შესაბამისია - *εὐθეტὸς ἐστὶν* და უფრო ითარგმნება, თუ ძველი ქართულის ტერმინით ვიტყვით, როგორც შემძლებელყოფა. მთლიანად

უზულგებელიყოფილია

წინდებულებანი

ფორმები(ἐπ' ἀρτρον-ერქუანსა, εἰς τὴν βασιλείαν- სასუფეველსა).

შდრ.: ... არავინ დასდვის ჳელი საჳნველსა და ხედავენ იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა(ლუკა 9,62).

**უკუეთუ ვინმე ბერ იყოს და უძღურ და სულმოკლე და ვერ ეძღოს მონაზონებისა წესთა მოღუაწებათა აღსრულებად, ვითარ უძღოს სინანული ცოდვათა თვსთა? IV**  
*Ἐὰν τις ἐστὶ γέρω, ἢ ἀδύνατος καὶ ὀλιγόψυχος, καὶ οὐ δύναται μονάσαι, ἢ τὰ τοῦ μοναχοῦ ποιῆσαι, πῶς οὗτος δυνήσεται μετανοῆσαι, καὶ σωθῆναι.*

სულმოკლე(ὀλιγόψυχος) ბერძნულის შინაარსობრივი კალკია. თარგმანი განვრცობილია (მონაზონებისა წესთა მოღუაწებათა აღსრულებად - τὰ τοῦ μοναχοῦ ποιῆσαι), ვხედავთ, საწყისი საწყისითევა გადმოცემული, ვითარებითი ბრუნვით. ბერძნულის მომავლის მოდალურ ფორმას თარგმანში შეესაბამება II კავშირებითის იმავე შინაარსის ფორმა(δυνήσεται-ეძღოს), და არ არის საწყისი *σωθῆναι* - ხსნა.

**უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ბრძანებს, ვითარმედ: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვრთი ჩემი მცირე“. 4.1**

*Τοῦ Κυρίου λέγοντος ὅτι „Ὁ ζυγὸς μου χρεστὸς, καὶ τὸ φορτίον μου ἐλαφρόν ἐστιν.*

უფლის სახელი თარგმანში უფრო კონკრეტულად და განვრცობილადა წარმოდგენილი, ვიდრე ორიგინალში. ეს ერთი მახასიათებელია ამ ტექსტების ურთიერთმიმართებისათვის. ბერძნულის ნათესაობითი ბრუნვის სახელისა და მიმღეობის კონსტრუქციის ფარდი ქართულში სახელობითი ბრუნვის ქვემდებარისა და ზმნის კონსტრუქციაა(τοῦ Κυρίου λέγοντος-უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ბრძანებს).

შდრ.: რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვრთი ჩემი სუბუქ არს. მათე, 11.30  
**განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჳეშმარიტსა კაცადკაცადი მოყუსისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთას ასოებ 4.10**

*Ἀποθემένοι τὸ ψεῦδος, λαλεῖτε ἀλήθειαν ἕκαστος μετὰ τοῦ πλησίον αὐτοῦ, ὅτι ἐσμὲν ἀλλήλων μέλη.*

მიმღეობა *med-pass*-ისა (*ἀποθემένοι*) ისევ და ისევ ზმნით არის გადმოცემული, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი *ἕκαστος*(ყოველი) ასევე ზოგადი ნაცვალსახელით - კაცადკაცადით.

„ამისთვის განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჳეშმარიტსა კაცადკაცადი მოყუსისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთარს ასოებ“. (პავლე, ეფესელთა მიმართ, 4,25)

მზე ნუ დაგასწრობს განრისხებასა თქვენსა, ნუ სცემდით ადგილსა ეშმაკსა, მპარავი ნუ იპარავნ, არამედ უფროდსა შურებოდენ და იქმოდენ კეთილთა თვისთა კეთილსა, რადთა აქუნდეს ვის იგი უნდეს მიცემად ყოველი. 4.11

*ὁ ἥλιος μὴ ἐπιδύετω ἐπὶ τῷ παροργισμῷ ὑμῶν. Μὴ δὲ δίδοτε τόπον τῷ διαβόλῳ· ὁ κλέπτων μηκέτι κλεπτέτω, μᾶλλον δὲ κοπιᾶτω, ἐργαζόμενος τὸ ἀγαθὸν ταῖς ἰδίαις χερσίν, ἵνα ἔχῃ μὲταδιδόναι τῷ χρείαν ἔχοντι.*

დაგასწრობს გადმოცემულია ბრძანებითის ფორმით *ἐπιδύετω*(*epidyw*) და ნიშნავს მზის ჩასვლას. პავლეს ეპისტოლეში გამოყენებულია სიტყვა „დაჰვალნ“(ებრ., 4,25-30); სცემდით-διδოτε(*didote*) მიცემას ნიშნავს. ინფინიტივი ასევეა ქართულშიც, ვითარებით ბრუნვაში(*μεταδιδόναι* - მიცემად). ბერძნულში არ არის ვის იგი უნდეს, ხოლო ქართულში მიმღეობა ნათესაობითი ბრუნვისა(*τῷ χρείαν ἔχοντι*). დედნიეული ზმნები იმპერატივის ფორმით ასევეა თარგმანშიც(*κλεπτέτω-იპარავნ, κοπιᾶτω-შურებოდენ*). როგორც ხშირად ხდება, ბერძნულის მიმღეობა ზმნაა ქართულში(*ἐργαζόμενος-იქმოდენ*).

შდრ.: „გული გიწყრებოდენ და ნუ სცოდავთ: მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქვენსა. ნუ სცემთ ადგილ ეშმაკსა. მპარავი ნულარა იპარავნ, არამედ უფროდსა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თვისთა კეთილთა, რადთა აქუნდეს მიცემად, ვის იგი უკმდეს“. (პავლე, ეფესელთა მიმართ, 4.26-28)

სიტყუა უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ, არამედ იგი იყოს კეთილი აღსაშენებელად საკმრისა მის, რადთა მისცეს მადლი მსმენელთა მათ და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითა აღიბეჭდენით დღედ გამოკსნისა. 4.12

*Πᾶς λόγος σαπρὸς ἐκ τοῦ στόματος ὑμῶν μὴ ἐκπορευέτω, ἀλλ' εἰ τις ἀγαθὸς πρὸς οἰκοδομὴν τῆς χρείας, ἵνα δῶ χάριν τοῖς ἀκούοις. Μὴ λυπεῖτε τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον τοῦ Θεοῦ, ἐν ᾧ ἐσφραγίσθητε εἰς ἡμέρον ἀπολυτρώσεως.*

ბერძნულის წინდებული ქართულში მოქმ. ბრ.-ით არის გადმოცემული (რომლითა - *ἐν ᾧ*), ბერძნულის ბრძანებითის ფორმა ქართულში აწმყოს ხოლმეობითით გადმოიცემა(*ἐκπορευέτω* - გამოვალნ)

„ყოველი სიტყუა უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ, არამედ რად-იგი იყოს კეთილი აღსაშენებელად საკმრისა მის, რადთა მისცეს მადლი მსმენელთა მათ. და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდისა ღმრთისასა, რომლითაცა-იგი აღიბეჭდენით დღედ გამოკსნისა“. (პავლე, ეფესელთა მიმართ, 4.29-30)

ხოლო კაცთა არს უკუე აღსარებაჲ სარგებელ ფრიად, გარნა არა ჯერ არს უმეცართა და გამოუცდელთა თანა აღსარებაჲ 5.5

*Τοῦτο καλόν ἐστι λίαν, καὶ πάντα ὠφέλιμον. ἀλλὰ μὴ τοῖς ἀπίρως, καὶ ἰδιωτικῶς περὶ τὰ τ  
οιαῦτα διακειμένοις*

სიტყვა κაცთა ბერძნულ დედანში არ არის.

ხოლო ჰჰოთ თუ კაცი სულიერი, გამოცდილი და შემძლებელი კურნებად, აღუვარე მას ყოველი ბრალი შენი ურცხუნენლად და სარწმუნოებით, არა ვითარცა კაცსა, არამედ ვითარცა წინაშე ღმრთისა იტყოდე. 5.7

*Ἐὰν οὖν εὐρησῇ ἀνδρα πνευματικόν, ἔμπειρον, δυνάμειον σε ἰατρῆσαι, ἀνεπαισχύντως, καὶ μετὰ πίστεως ἐξομολόγησαι αὐτῷ, ὡς τῷ Κυρίῳ, καὶ οὐκ ἀθρώπῳ.*

პირველი ზმნა ორივე ენაში კავშირებითის შინაარსითაა(εὐρησ-ჰჰოთ). დამატებულია: ყოველი ბრალი შენი, ხოლო ზმნა ინფინიტივით არის გამოხატული(აღუვარე - ἐξομολογησαι), ასევე წინდებული წინაშე და შესაბამისად, სახელი ნათესაობითი ბრუნვით გვევლინება, ნაცვლად დედნისეული ირიბი დამატების მიცემითი ბრუნვისა, შინაარსი გამკვეთებულია აზრობრივი გამეორებით(იტყოდე). მიმღეობისა და ინფინიტივის კონსტრუქცია ასევე გვევლინება თარგმანშიც(δυνάμειον σε ἰατρῆσαι - შემძლებელი კურნებად), ოღონდ ბრალდებითი ბრუნვის კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარეშე. საინტერესოა, რომ წინდებულიანი კონსტრუქცია არ ფიქსირდება ბერძნულ ვარიანტში, და ქართულში არის(ὡς τῷ Κυρίῳ-ვითარცა წინაშე ღმრთისა). ეს მხოლოდდამხოლოდ ქართულ ენაზე ძველი ბერძნული ენის დიდ გავლენას მიანიშნებს.

ზიარებაჲ ქრისტეს საიდუმლოთაჲ ზედადსხედა ჯერ არსა, ანუ უამითიჟამად. VI

*Καλόν ἐστιν ἄρα τὸ κοινωνεῖν συνεχῶς, ἢ ἐκ διαλείμματος*

წმიდაჲ მოციქული პავლე იტყვს: გამოიცადენ კაცადკაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგანი ჭამე და სასუმელისა მისგანი სუნ. 6.1

*Τοῦ Ἀποστόλου λέγοντος· Δοκιμαζέτω ἄνθρωπος ἑαυτὸν, καὶ οὕτως ἐκ τοῦ ἄρτου ἐσθιέτω, καὶ ἐκ τοῦ ποτηρίου πινέτω.*

მოციქულის სახელი ორიგინალში ნახსენები არ არის. ნათესაობითი ბრუნვის აწმყოს მიმღეობას ქართულში ზმნა შეესაბამება ამავე დროით(λέγοντος - იტყვს). ზმნები ორსავე ტექსტში ბრძანებითის ფორმით გადმოიცემა, ჩვენი აზრით, ზმნა ჭამას აკლია ბრძანებითის ნიშანი ნ.

პავლე მოციქულის სიტყვების ციტირება აქაც ზუსტია: გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სასუმელისა მისგან სუნ. (I კორინთ. 11.28)

რამეთუ რომელი არადირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს, რამეთუ ვერ გამოიკითხნა ჯორცნი უფლისანი. ამისთვის ფრიად არიან თქვენ შორის უძღურ და ჰრულის მრავალთა. 6.2

*Ὁ γὰρ ἀναζῶας ἐσθίωσιν, καὶ πίνωσιν, κρῖμα ἕαυτῷ ἐσθίει καὶ πίνει, μὴ διακρίνωσιν τὸ σῶμα καὶ αἷμα τοῦ Κυρίου. Καὶ διὰ τούτων ἐν ὑμῖν πολλοὶ ἀσθενεῖς, καὶ ἀρρώστοι, καὶ κοιμῶνται ἰκανοί.*

ბერძნულში ორი სინონიმია ქართული უძღურის შესაბამისი (*ἀσθενεῖς, καὶ ἀρρώστοι*), ხოლო მიძღვობები დამოკიდებული წინადადებით არის გადმოცემული (*ἐσθίωσιν, καὶ πίνωσιν* - რომელი ... ჭამდეს და სუმიდეს), ეს ერთი, ასე ვთქვათ, სტაბილური ნიშანია ამ ორი ტექსტის, და შესაბამისად, ამ ორი ენის ურთიერთმიმართებისათვის.

შდრ.: „ხოლო რომელი არადირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს, რამეთუ ვერ გამოიკითხნა ჯორცნი უფლისანი. ამისთვის მრავალ არიან თქვენ შორის უძღურ და სნეულ და წვანან მრავალნი.“ (პავლე, I კორინთ., 11,29-30).

შინაარსობრივი განსხვავება მხოლოდ ერთ სიტყვაშია ხელნაწერის ჰრულის სანაცვლოდ, სახარებაში გვხვდება წვანან სიტყვა.

უკუეთუმცა თავთა თვისთაგან ვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით, ხოლო გან-თუ-ვიკითხვით ქრისტეს მიერ, განვისწავლებით, რადთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ. 6.3

*Εἰ γὰρ ἑαυτοὺς ἐκρίνομεν, οὐκ ἂν ἐκρινώμεθα. Κρινόμενοι δὲ ὑπὸ Κυρίου παιδευσόμεθα, ἵνα μὴ ἡ σὺν τῷ κόσμῳ κατακριθῶμεν.*

პირველი წინადადება ორივე მონაკვეთში ვნებითი გვარის ზმნებით გადმოიცემა, ისინი, შეიძლება ითქვას, ზედმიწევნით იგივეობრივნი არიან. საგულისხმოა, რომ ზმნის გრამატიკული ფორმა, მხედველობაში გვაქვს გვარი, პირი და რიცხვი, ერთი და იგივეა ორსავე ვარიანტში (*κατακριθῶμεν* - დავისაჯნეთ). პრდაპირი თარგმანია - სოფლისა თანა (*σὺν τῷ κόσμῳ*), თუმცა დედნის წინდებულებიან ფორმას მიცემითი ბრუნვით თარგმანში თანდებულებიანი რედუქციული ფორმა ნათესაობითი ბრუნვით წარმოადგენს. უფლად ხელნაწერში ქრისტეს სახელია.



შდრ.: „რამეთუ უკუეთუმცა თავთა თვსთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით, ხოლო გან-თუ-ვიკითხვით, უფლისა მიერ განვისწავლებით, რათა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ“. (პავლე, I კორინთ. 11,31-32)

ამათ სიტყუათაგან საცნაურ არს, ვითარმედ ჯერ არს წინათვე განწმედათ თავისა თვისისა ყოვლისაგან ბილწებისა სულისა და კორცთაჲსა და ესრეთ მიახლებად წმიდათა მათ საიდუმლოთა, რათა არა დასასჯელად სულისა და კორცთა გუეკმნას. 6.4

*εὐδελον. ὅτι χρὴ προαγίνξειν, καὶ προκαθαίρειν ἑαυτοὺς ἀπὸ πάσης ἐναντίας πράξεως, καὶ οὕτως προσιέναι τῇ θείᾳ μυσταγωγίᾳ, ἵνα μὴ εἰς ὄλεθρον ψυχῆς, καὶ σώματος γένηται.*

ქართულის პირველი შესავალი წინადადება ბერძნულში ერთი სიტყვაა: *εὐδελον* - ცხადია. აზრობრივი და გრამატიკული თვალსაზრისით, ზუსტად არის თარგმნილი მთელი მონაკვეთი, თუმცა დედანში არ არის სულისა და კორცთაჲსა, ბილწება ქართულში გადმოტანილია როგორც სამტრო, საწინააღმდეგო(*ἐναντίας*), ხოლო საერთოდ არ ჩანს ნათესაობითის ფორმა *πράξεως*(*η* *πραξίς*-საქმე), დასჯის შინაარსს ეთანადება დაღუპვის, დაკარგვის, განადგურების, უბედურების შინაარსი(*ὄλεθρον*) დამხმარე ზმნასთან ერთად გუეკმნას(*ὄλεθρον γένηται*).

რავდენისა პირისაგან იქმნებიან კაცთა ზედა ბრძოლანი სიძვისანი და ძილსა შინა დინებანი? VII

*Ἐκ πόσων τρόπων ἡ πορνεία, καὶ οἱ ἐνοπιασμοὶ ἐν τῷ ἀνθρώπῳ γίνονται*

პირდაპირი თარგმანია რავდენისა პირისაგან(*ἐκ πόσων τρόπων*) და ნიშნავს თვისებას, სახეს, ჩვეულებას, ხასიათს, იქმნებიან - *γίνονται* და კაცთა ზედა - *ἐν τῷ ἀνθρώπῳ*, ბერძნული ენის გრამატიკული კალკებია. თარგმანი გავერცობილია ბერძნულის ერთი სიტყვის გადმოსაცემად ქართულში მთელი ფრაზებია გამოყენებული - ბრძოლანი სიძვისანი(*ἡ πορνεία*), ძილსა შინა დინებანი(*οἱ ἐνοπιασμοὶ*).

ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა, ოთხთა პირთაგან იქმნების: სიმჭურვალისაგან ბუნებითისა, რომელი აღეტყინების ჭამისაგან და სუმისა, ძილისა და ზუაობისაგან, ანუ განკითხვისაგან მოყუისა, ანუ შურისაგან ეშმაკთასა, ოდეს გიხილნენ წარმართებასა შინა საღმრთოსა. 7.1

*Καθὼς οἱ Πατέρες φασὶν, ἐκ τεσσάρων· ἐκ ψυσικῆς πυρώσεως ἐξαπτομένης, ἐκ πολυφαγίας καὶ πολυποσίας, καὶ πολυπνίας καὶ ἀργίας. ἢ ἐξ ὑψηλοφροσύνης, ἢ ἐκ τοῦ κρίνειν ἑτέρουσ ἀμαρτάνοντας, ἢ ἐκ φθόνου δαιμόνων, ὅταν ἴδοσιν ἡμᾶς κατὰ Θεὸν προκόπτοντας.*

ქართულში არ არის გადმოტანილი ბერძნული med-pass-ის ნათესაობითი ბრუნვის მიმღეობა *ἐξαπτομένης* (დაკავშირებული), ასევე არ არის მიმღეობა *ἀμαρτάνιοντας* (მცოდნეული), მაგრამ არის სიტყვა მოყუასი. არ არის *ημας* - I პირის ნაცვალსახელი ბრალდებით ბრუნვაში, ასევე გამოტოვებულია სიტყვა *εκ...ἀργίας* - რისხვისაგან. ობიექტური წყობის ზმნა კავშირებითის შინაარსით უნდა იყოს მეორე პირისადმი მიმართებით(გიხილნენ), ამავე შინაარსითაა მეორე ზმნაც, ოღონდ I პირისადმი მიმართებით(*ἴδοσιν ἡμᾶς*). ბერძნულის წინდებულის კონსტრუქციაა გამოყენებული ქართულში, მაგრამ არა თავისი პირდაპირი თარგმანით(წარმართებასა შინა საღმრთოსა - *κατὰ Θεὸν προκόπτοιτας*).

ერთი იგი შემაგინებელი და ერთი იგი განმწმედელი დინებაა იგი თესლისა და დინებაა იგი ცრემლთაა. და ვითარცა ყოველი ცოდვამ, რომელი ცოდოს კაცმან, გარეშე ვორცთაჲს არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, ვორცთაგან თუსთა მისცემს მტერსა რეცა შესაწირავად თესლსა მას. 7.3

*μία πολλάκις μολύνουσα, και μία ἀγιάζουσα, τούτέστιν, ἡ σπορά, και τὸ δάκρουν. Καὶ ὡσπερ πάντα ἀμαρτία, ἦν ἂν ποιήσῃ ἄνθρωπος, ἐκτὸς τοῦ σώματος ἐστιν. ὁ δὲ πορνεύων ἄσται εἰ κ τῆς ἰδίας σαρκὸς προσάγει θυσίαν τῷ πονηρῷ τῆν ἑαυτοῦ σποράν.*

ქართულ ტექსტში არ არის *πολλάκις*(ხშირად), *ἄσται*(ვითომც), *τούτέστιν* - დაკონკრეტება. დედნისეული მიმღეობები მიმღეობებადვე არის თარგმანშიც(*μολύνουσα*-შემაგინებელი, *ἀγιάζουσα*-განმწმედელი), ხოლო ბერძნული მიმღეობა *πορνεύων* დამოკიდებული წინადადებითაა გადმოცემული (რომელი ისიძვიდეს).

ეგრეთვე, ყოველი საქმე კეთილი, რაცა ქმნას კაცმან, გარეშე ვორცთა არს, ხოლო ცრემლნი არსებისაგან გუამისა ჩუენისა შეიწირვიან ღმრთისა, ვითარცა იგი სისხლი წმიდათა მოწამეთაა შეიწირა. 7.4

*οὕτω και ὅσα ἂν ἀγαθὰ ποιήσῃ ἄνθρωπος, ἐκτὸς τοῦ σώματος ἐστι. Τὸ δὲ δάκρουν ἐξ αὐτῆς τῆς οὐσίας ἡμῶν προσάγεται τῷ Θεῷ, καθάπερ και τὸ τῶν μαρτύρων αἷμα.*

ბერძნულის I აორისტის კავშირებითი კილოს III პირის ზმნა *ποιήσῃ* ქართულში II ხოლმეობითის III პირით არის გადმოტანილი(ქმნას). ეს შეიმჩნეოდა წინა მონაკვეთშიც, მაგრამ პერიფრაზით(*ποιήσῃ* - ცოდოს).

ახლანდელი დროის საშუალებებითი გვარის III პირის მხოლოდობითი რიცხვის ზმნა *προσάγεται*(*προσαγω*) ვნებითი გვართვე და იმავე დროითა და პირით, ოღონდ მრავლობითი რიცხვით გვევლინება თარგმანში(შეიწირვიან). უნდა ითქვას, რომ

ბერძნული ზმნის შინაარსში საკუთრივ შეწირვა არ დევს, იგი უფრო მიყვანას, მიტანას გულისხმობს. ქართულ ვარიანტში ემოცია გაძლიერებულია იმავე ზმნის გამეორებით(შეიწირა.)

შდრ.: „ყოველი ცოდვაჲ, რომელი ქმნეს კაცმან, გარეშე ჳორცთა არს“. (პავლე, I კორინთ., 6,18)

ამისთვის ჯერ არს ყოვლად სინანულისა და ცრემლთა დათხევისა, დაცვაჲ თავთა ჩუენთაჲ ცოდვათაგან, რადთა არა კუალად შევაგინეთ სულნი და ჳორცნი ჩუენნი.7.5

*”Ὅθεν χρῆ, μετά τὴν μετάνοιαν, καὶ τὰ δάκρυα παραφυλάττεσθαι τῆς ἁμαρτίας, καὶ μὴ πάλιν μολύνειν τὴν ψυχὴν, καὶ τὸ σῶμα.*

ბერძნულის საშუალ-ვნებითის საწყისი *παραφυλάττεσθαι* ქართულში ასევე საწყისითა და უკუქცევითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული. ნიშანდობლივია, რომ ბერძნული ზმნის მოქმედების საკუთარ თავზე განხორციელებულობის შინაარსი მთარგმნელმა არ დაკარგა.

რამეთუ ძნელ არს, უკუეთუ ვინმე დაეჩუვოს განრცხად სამოსლისა სულისასა, რომელ არიან ჳორცნი, და კუალად შებღალვაჲ. 7.6

*χαλεπὸν γὰρ τὸ συνεθίσαι πλύνειν τὸ ἱμάτιον τοῦ σώματος, καὶ πάλιν μολύνειν αὐτό.*

თარგმანში არის სამოსელი სულისა, ორიგინალში კი - სამოსაელი ჳორცისა(τὸ ἱμάτιον τοῦ σώματος). ბერძნული ენის ინფინიტივი *συνεθίσαι* ქართულში დამოკიდებული წინადადების ზმნით არის მოწოდებული და შემდეგ მოსდევს მას ისევე ინფინიტივი *πλύνειν*, რაც ასევეა ქართულშიც, ვითარებითის ბრუნვის ფორმით განრცხად.

რამეთუ მრავალგზის განრცხად და კუალად შებღალვაჲ განცუეთილ ძუელ-ჰყოფს და მერმე, ოდეს დაძუელდის და დაბერდის, განრცხადცა ვეღარა ეძლოს. 7.7

*τὸ γὰρ πολλάκις πλυνόμενον καὶ κατατριβόμενον, σαθρὸν καὶ ἄχρεστον γίνεται, καὶ λοιπὸν γηράσαν καὶ παλαιωθέν, οὐδὲ πλυσθῆναι δύναται.*

ქართულში უფრო გამკვეთრებულია მოვლენა(კუალად შებღალვაჲ). საინტერესოა, რომ საწყისებად გვევლინება თარგმანში ორიგინალისეული მიმდებობები(განრცხად-*πλυνόμενον*, შებღალვაჲ-*κατατριβόμενον*). ბერძნული კალკია განრცხადცა ვეღარა ეძლოს - *οὐδὲ πλυσθῆναι δύναται*, ასევე პერიფრაზირებული განცუეთილ ძუელ-ჰყოფს - *σαθρὸν καὶ ἄχρεστον γίνεται*.

იყო იგი მიშუებად ღაზარე გლახაკისა, აცადა კუალად განრღუეულისა მის მისატევებელად ცოდვათა, ვითარცა ჰრქუა: „აჰა, ესერა, განიკურნე, ნულარა ცოდავ“. 8.3

*Ἐγκαταλείφθη Λάζαρος, καὶ ὁ παραλυτικὸς εἰς ἀφεσιν ἁμαρτιῶν. Φησὶ γάρ· Ἴδὲ ὑγιῆς γέγονας, μεκέτι ἁμαρτάνε*

*ἀφεσιν*(*აფეუა*) დაწვას ნიშნავს, ქართულში იგი მისატევებელად სიტყვითაა გადმოსული, ხოლო პასიურ კონსტრუქციას *ὑγιῆς γέγονας* შეესაბამება ზმნა განიკურნე. მიტოვებულობის შინაარსი ერთ სიტყვაშია გადმოცემული ვნებითი გვართ ბერძნულში, ხოლო თარგმანში იგივე შინაარსი საწყისითა და დამხმარე ზმნით გადმოვიდა(*ἐγκαταλείφθη*-იყო იგი მიშუებად). ესეც კიდევ ერთი გამოვლინება ბერძნული ენის დიდი გავლენისა ქართულ ენაზე.

შდრ.: აჰა, ცოცხალ იყავ და ნულარა სცოდავ, რადთა არა უძვრესი რადმე გეყოს შენ. იოვანე, 5.15

*Ἴδὲ ὑγιῆς γέγονας, μεκέτι ἁμαρτάνε ἵνα μὴ χεῖρόν σοί τι γένηται* - ასეთი სახე აქვს მას ბერძნულ სახარებაში.

**და მიეცნეს წინაწარმეტყუელნიცა ტყუეობად წესად და სარგებელად ერისა მის.**

## 8.6

*Παρεδόθησαν καὶ οἱ προφῆται εἰς αἰχμαλωσίαν πρὸς τύπον, καὶ ὠφέλειαν λαοῦ.*

II კავშირებითის ვნებითი გვარის ზმნას დედანში I აორისტის ფორმა შეესაბამება ამავე გვართ(მიეცნეს-*παρεδόθησαν*). ისევე უგულვებელყოფილია წინდებულებიანი კონსტრუქცია და იგი ქართულისათვის სპეციფიკური ბრუნვით არის მოცემული(*εἰς αἰχμαλωσίαν πρὸς τύπον... -ტყუეობად წესად...*). სახელი არტიკლით გვევლინება ქართულ ვარიანტში(ერისა მის).

**უხმს გამოძიება თავსა შორის თვსა მიზეზსა მის მიშუებისასა და განმართლებად.**

## 8.7

*Χρὴ τοῖνυν τὸν ἐγκαταλιμπανόμενον ἐρευνᾶν εἰς ἑαυτὸν τὴν αἰτίαν τῆς ἐγκαταλείψεως, καὶ διορθοῦσθαι ταύτην.*

ბერძნული საწყისი *διορθοῦσθαι* ქართულშიც საწყისით არის გადმოცემული ვით. ბრ.-ში. ასევე ბერძნულის კალკია უკმს გამოძიებად, თუმცა ეს სიტყვა ორიგინალში საერთოდ არ ჩანს. ასევე კალკირებულია, როგორც ეს უმეტეს შემთხვევებში ხდება, წინდებულებიანი კონსტრუქცია(თავსა შორის თვსა-*εἰς ἑαυτὸν*).

ვითარცა იტყვს მოციქული: „უკუეთუმცა თავთა თვსთა ჩუენთა განვიკითხვიდით, არამცა განვიკითხენით, ხოლო გან-თუ-ვიკითხვით, ღმრთისა მიერ განვისწავლებით, რადთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ. 8.10

*Εἰ γὰρ ἑαυτοὺς, - φησὶν, - ἐκρίνομεν, οὐκ ἂν ἐκρινόμεθα κρινόμενοι δὲ, ὑπὸ Κυρίου παιδεύομεθα, ἵνα μὴ σὺν τῷ κόσμῳ κατακριθῶμεν.*

ეს ორი მონაკვეთი დროებშიც კი ემთხვევა ერთმანეთს.

რამეთუ მრავალგზის ცოდავენ რადთა კაცი და არა ინანის, მოუვლინის ღმერთმან განსაცდელნი და ჭირნი და განსაცდელისა მის მიერ მოვიდის მეცნიერებად, ვითარცა შეემთხვა ნაბუქოდონოსორს და მანასეს, ვითარცა წერილ არს: „ჭიმითა და აღვრითა ქცევად ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ. 8.11

*πολλάκις γὰρ τὸν ἀμαρτάνοντα, καὶ μὴ μετανοῦντα, περιβάλλει ὁ Θεὸς εἰς πειρασμοὺς, καὶ Θλίψεις, καὶ διὰ τῶν πειρασμῶν ἔρχεται εἰς ἐπίγνωσιν, ὡσπερ ἔπαθεν ὁ Ναβυχοδοноόσορ καὶ ὁ Μανασσῆς. Ἐκ κημῶ, φησὶ. καὶ χαλιμῶ τὰς σιαγόνας αὐτῶν ἀγχαῖς τῶν μὴ ἐγγυζόντων πρὸς σέ.*

ორივე მონაკვეთი იგივეობრივია ქართული და ბერძნული ენების თავისებურებების გათვალისწინებით. ხოლმეობითის შინაარსითაა ქართულში ზმნები, რომელთაც პირველ წინადადებაში დედნისეული ბრალდებითი ბრუნვის მიმღეობები შეესატყვისება(ცოდავენ-ἀμαρτάνοντα, μετανοῦντα-ინანის). წყვეტილის ფორმას(შემთხვა) შეესაბამება I აორისტის ἔπαθεν. საინტერესო შესიტყვებაა კალკი მოვიდის მეცნიერებად - ἔρχεται εἰς ἐπίγνωσιν.

შდრ.: ჭიმითა და აღვრითა უქცინე ღაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნეს(ფსალმ.,4.31)

ხოლო რომელი მიშუებითა ღმრთისადათა ეშმაკისა მიერ მოვიდეს განსაცდელი, რისხვითა და მწუხარებითა და უსასოებითა ადავსებს სულსა კაცისასა. 8.13

*Ὁ δὲ ἐκ τοῦ διαβόλου, κατὰ συγχώρεσιν Θεοῦ, ἐπερχόμενος πειρασμὸς, ἀθυμίας, καὶ ὀργῆς, καὶ ἀνεμπιστίας πληροῖ τὴν ψυχὴν.*

ზუსტი შინაარსობრივი თარგმანია პირველი წინადადება, მაგრამ საინტერესოა, რომ საწყისს მიშუებითა, დედანში აზრობრივად ეფარდება მიცემითის მიმღეობა *συγχώρεσιν συχωρεω* ზმნიდან და იგი გზის დათმობას ნიშნავს. ქართულის ზმნა ისევ მიმღეობაა ბერძნულში საშუალი გვარის იდენტობით (მოვიდეს - ἐπερχόμενος).

სამართალნი და განკითხვანი ღმრთისანი მიუწდომელ არიან და გამოუთქუმელ. ამისთვის არა ჯერ არს განკითხვაჲ კაცისაჲ, ვიდრე მუნ დღედმდე. 9.1

*τὰ τοῦ Κυρίου κρίματα ἀκατάληπτά εἰσιν, καὶ ἀνερεύετα. καὶ διὰ τοῦτο οὐ χρὴ κατακρίνει ν ἄνθρωπον, ἕως τῆς ἡμέρας ἐκείνης.*

ბერძნულში არ არის სიტყვა სამართლის შესაბამისი. *ἀνερεύετα* (გამოუკვლეველი), მისი ფარდია ქართულში გამოუთქუმელ. მსახდვრელ-სახდვრულის ურთიერთმიმართება დედანში პრეპოზიციურია, თარგმანში პოსტპოზიციური. ზუსტადაა გადმოსული სიტყვა მიუწდომელის სემანტიკა (*ἀκατάληπτά*). აღწერილობითი ფორმითაა გამოხატული მოქმედება ორსავე ტექსტში (არა ჯერ არს განკითხვაჲ - *οὐ χρὴ κατακρίνειν*). თარგმანი ზედმიწევნითია. ვინაფთჲან არა დაიმარხენ მცნებანი ჩემნი და ბრძანებანი, რომელ გამცენ შენ, განიხეთქოს მეფობაჲ შენი ჳელთაგან შენთა და მივსცე მონასა შენსა, გარნა დღეთა შენთა არა ვყო ესე დავითისათვის, მამისა შენისა. 9.4

*Ἄνθ' ὧν οὐκ ἐφύλαξας τὰς ἐντολάς μου, καὶ τὰ προστάγματα μου, ἃ ἐνετειλάμην σοι, διαρρήσων διαρρήξω τὴν βασιλείαν ἐκ χειρός σου, καὶ δώσω αὐτὴν τῷ δούλῳ σου. Πλὴν ἐν ταῖς ἡμέραις σου οὐ ποιήσων τοῦτο, διὰ Δαβὶδ πατέρα σου.*

წინადადება ქართულში იწყება მიზეზის ზმნიზედით ვინაფთჲან, ხოლო ბერძნულში ვითარების გარემოებით *ἀνθ' ὧν*, რომელიც ითარგმნება, როგორც ნაცვლად. დედნის მიმღეობა ორიგინალში ისევ და ისევ ზმნა, ოღონდ იგივე გრამატიკული დროით, წყვეტილით (დაიმარხენ-*ἐφύλαξας*). ბერძნულში განიჳეთქოს ორმაგი აღნიშვნაა - *διαρρήσων διαρρήξω*. ქართულში იგი ვნებითი გვარისაა, ხოლო ბერძნულში მოცემულია მიმღეობითა და მოქმედებითი გვარის მომავალი დროის I პირით. *ἐνετειλάμην* (*ειπελλω*) დავალებას, ბრძანებას ნიშნავს, ქართულში კი გადმოცემულია ზმნით გამცენ. წინდებული შენარჩუნებულია (*ἐκ χειρός σου* - ჳელთაგან შენთა).

შდრ.: (მესამე მეფეთა, 11.11-12)

ხოლო შენ, სიფიცხლითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა, იუნჯებთავისა შენისა რისხვასა დღესა მას რისხვისასა და გამოჩინებასა სიმართლისა სჯულისა ღმრთისასა, რომელმან მიაგოს კაცადკაცადსა საქმეთა მათთაებრ. 9.7

*κατὰ δὲ τὴν σκληρότητά σου, καὶ ἀμαρτανόητον καρδίαν θησαυρίζεις σεαυτῷ ὀργὴν ἐν ἡμέρα ὀργῆς, καὶ ἀποκαλύψεως, καὶ δικαιοκρισίας Θεοῦ, ὅς ἀποδώσει ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ.*

*ἀμαρτανόητοι* ქართულში გადმოტანილია, როგორც შეუნანებელი. სიფიცხლე, ბერძნულში *σκληρότητα(σκληρυνω)*, უფრო უღმობელობას, სისასტიკეს ნიშნავს, ზუსტი შინაარსობრივი თარგმანია იუნჯებ - *θησαυρίζεις*, და შეგროვებას გულისხმობს, ასევე ზუსტია მიაგოს შესაბამისად *ἀποδώσει*, და იგი მიცემაა.

პავლე მოციქული აფრთხილებს რომაელებს: „ხოლო სიფიცხლითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღესა მას რისხვისა და გამოჩინებასა და მართლმსაჯულებისა ღმრთისასა. რომელმან მიაგოს კაცადკაცადსა საქმეთა მისთაებრ“. (პავლე, რომაელთა მიმართ, 2,5-6).

როგორც ვხედავთ, ციტირება ზუსტია.

იტყვს ღმერთი წინაწარმეტყუელისა ანგიადს მიერ: „ჩემი არს ოქროჲ და ვეცხლი და ვითარცა მენებოს, მივსცე იგი. აწ უკუჲ, ყოველსა კაცსა მდიდარსა ღმრთისა მიერ აქუსა სიმდიდრე. X

*Τοῦ Θεοῦ λέγοντος διὰ τοῦ προφήτου Ἀγγίου· Ἐμὸν ἐστὶ τὸ ἀργῦριον, καὶ τὸ χρυσίον. καὶ ᾧ ἐὰν θέλω, δώσω αὐτῷ. Ἄρα λοιπὸν πᾶς ἄνθρωπος πλουτήσας, ἐκ τοῦ Θεοῦ ἐπλούτησεν.*

ნათესაობითი ბრუნვისა და მიმღეობის განსაზღვრებით კონსტრუქციას ქართულში ქვემდებარისა და შემასმენლის კონსტრუქცია ანაცვლებს პირველ წინადადებაში(*τοῦ Θεοῦ λέγοντος*-იტყვს ღმერთი). შენარჩუნებულია წინდებული(*διὰ τοῦ προφήτου Ἀγγίου*-წინაწარმეტყუელისა ანგიადს მიერ). მომავალი დროის ფორმები(*θέλω, δώσω*) III და II კავშირებითის ფორმებითაა გადმოსული ქართულში(მენებოს, მივსცე). ნიშანდობლივია, რომ ქართულში გამოყენებულია პასიური კონსტრუქცია, ხოლო ბერძნულში არა(აქუსა სიმდიდრე - *ἐπλούτησεν*). მიმღეობაა სიტყვა მდიდარი(*πλουτήσας*).

რამეთუ ბრძოლითა და სისხლთა დათხევითა, და პარვითა, ცრუ ფიცითა, ტაცებითა და ქრთამის აღებითა, და ყოვლითა უსამართლოებითა სიმდიდრე მოუგია, ვერ ჰელ ეწიფების თქუმად, თუ ღმრთისა მიერ გან[მდიდრდა, არამედ ეშმაკისა და ცოდვისა. 10.3

*Πλὴν οὐδεὶς ἀπὸ πολεμίων καὶ αἰχμαλώτων, καὶ κλοπῶν, καὶ ἐπιρκιῶν, καὶ ἀρπαγῶν, καὶ δωροδοκιῶν, καὶ ἀδικιῶν συνάξας πλοῦτον, δύναται εἶπειν, διὰ τοῦ Θεοῦ ἐπλούτησεν. ἀλλὰ, διὰ τοῦ πονεροῦ καὶ τῆς ἀμαρτίας.*

მსგავსება ზედმიწევნითია. კავებში ჩასმული მონაკვეთები ბერძნული ტექსტის მეშვეობით დავადგინეთ. ისევ უგულვებელყოფილია ბერძნულის წინდებულიანი კონსტრუქცია და იგი ქართულში მოქმედებითი ბრუნვითაა

გადმოცემული(ἀπό πολέμων - ბრძოლითა). თარგმანში არ არის ტყვეობის (αἰχμαλώτων) აღმნიშვნელი სიტყვა, დედანში არ არის სისხლთა დათხვევითა, მოუგია ზმნას შეესაბამება მიმღეობა *συνάξας, συναγα* ზმნიდან და შეგროვებას, თავი მოყრას გულისხმობს, უმეტესწილად, ვიცით, რომ ბერძნულის მიმღეობა ქართულში დამოკიდებული წინადადებაა. ისევ ზუსტად კალკირებულია ჰელ ეწიფების თქუმად - *δύναται εἰπεῖν*. ვხედავთ, რომ ბერძნული ინფინიტივი ქართულში ხშირად ვითარებითი ბრუნვის ფორმით გვხვდება. ჰელ უარყოფითი ნაწილაკის შინაარსობრივი შესაბამისი დედანში პირველი წინადადების უარყოფითი ნაცვალსახელია(*οὐδείς*). ჩვენი აზრით, თარგმანში მიმართებითი ნაცვალსახელი აკლია.

არამედ იგინი ხოლო, რომელნი შეიკრებენ სიმართლისა გზათაგან და უცოდველთა საქმეთაგან, შემძლებელ არიან თქუმად იობს თანა: „უფალმან მომცა და უფალმანცა მიმიღო. 10.4

*Μόνοι δὲ οἱ ἀπὸ δικαίων καὶ ἀναμαρτήτων πόνων συνάξαντες δύναται μετὰ Ἰὼβ εἰπεῖν, ὅτι „Ὁ Κύριος ἔδωκεν, ὁ Κύριος ἀφείλατο“*

კალკირებულია წინდებული, მაგრამ ჩამატებულია სიტყვა გზის სემანტიკა(ἀπό δικαίων-სიმართლისა გზათაგან). ზმნა შეიკრებენ ისევ მიმღეობითაა მოცემული, მრავლობითი რიცხვის ფორმით(*συνάξαντες*), ხოლო ზუსტად არის გადმოტანილი შედგენილი შემასმენელი დედნისა(შემძლებელ არიან თქუმად - *δύναται... εἰπεῖν*), ოღონდ მრავლობითი რიცხვით, მხოლობითის სანაცვლოდ. წყვეტილითვე I აორისტი წარმოდგენილი(მომცა-*ἔδωκεν*).

უსჯულონი იგ წარმართნი ძეთა და ასულთა თვსთა დაუკლვიდეს შესაწირავად ეშმაკთა. აწ უკუე, ჩუენმცა რად მიზეზი გუაქუნდა საფასეთა და მონაგებთა შეწირვისათვს (11.1), რამეთუ უკუეთუ თავნიცა ჩუენნი შევწირნეთ ღმრთისა, არცა მაშინ ღირსად აურაცხელთა მათ კეთილთა წილ ვიქმთ რას, რომელნი სახიერსა მას მოუნიჭებიან ჩუენდა. 11.2

*Τῶν Ἑλλήνων καὶ ἀνόμων τοὺς ἰδίους υἱοὺς, καὶ τὰς θυγατέρας αὐτῶν, τοὺς θεοὺς αὐτῶν θυσάντων (μᾶλλον δὲ τοὺς δαιμονίους) ποίαν λοιπὸν ἡμεῖς εὐεργεσίαν ἔχομεν. Ὅταν γὰρ καὶ αὐτὴν ἡμῶν τὴν σάρκα προσενέγκωμεν τῷ Θεῷ, οὐδὲν ἀξιὸν τῶν δωρεῶν, ὧν ἐχαρίστο ἡμῖν, πεποιήκαμεν.*

ქართულში *τοὺς θεοὺς*-ის შესაბამისად გვევლინება ეშმაკთა, მიმღეობა *θυσάντων*, რაც შინაარსობრივად მსხვერპლად შეწირვას ნიშნავს, გადმოსულია II



სერიის უწყვეტელით დაუკლვიდეს. თავნიცა ჩუენნი ბერძნულში სორცის, სხეულის მნიშვნელობით არის მოცემული *τῆν σάρκα(η σαρκωσις), τῶν δαρεῶν(η δαρεα)* სიტყვის შესაბამისი, რაც საჩუქარს მოიაზრებს, გავრცობილი თარგმანია - აურაცხელთა მათ კეთილთა. თარგმანის მეორე მონაკვეთი იდენტურია დედნისა ამ ორი ენის თავისებურებების მეტნაკლებობის გათვალისწინებით, მაგრამ საინტერესოა პირველი წინადადების სინტაქსი, იმიტომ რომ ქართულის სახელობითი ბრუნვისა და ზმნური კონსტრუქციის შესაბამისად დედანში წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვისა და მიმღეობის კონსტრუქცია, თანაც ნაკლებად იგრძნობა ემოციური რიტორიკაც.

**რომელსა ესუას ცოლი და შვილნი, და საქმეთა სოფლისათა ზრუნვიდეს, ვითარ შეუძლოს მან სათნოყოფად ღმრთისა, დამარხვად მცნებათა მისთა? XII**

*Ἐάν τις γυναῖκα ἔχων, καὶ τέκνα, καὶ βιωτικῶν πραγμάτων φροντίζων, πῶς οὗτος δύναται εὐαρεστήσαι τῷ Θεῷ καὶ φυλάξαι τὰς ἐντολάς.*

ახლანდელი დროის მიმღეობას *φροντίζων(φροντιζων)* თარგმანში I კავშირებითის III მსოფლობითი რიცხვის ზმნა(ზრუნვიდეს) ეთანადება. პირდაპირი კალკია ბერძნულიდან სათნოყოფად ღმრთისა - *εὐαρεστήσαι τῷ Θεῷ*, ასევე - დამარხვად მცნებათა მისთა(*φυλάξαι τὰς ἐντολάς*), აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ბერძნულის ინფინიტივი ზმნისებრ მართავს სახელს და იგი პირდაპირი ობიექტის ბრალდებით ბრუნვაში გვევლინება(*τὰς ἐντολάς*) მაშინ, როცა ქართულში საწყისი ვითარებით ბრუნვაში დგას და სახელიც განსაზღვრებად არის ქცეული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით(დამარხვად მცნებათა მისთა). საინტერესო და იდენტური აზრობრივი ჩანაცვლებაა *ἔχων(ἔχω-ყოლა, ქონა, ფლობა* მიმღეობისა II კავშირებითის ფორმით ესუას.

**ხოლო აწ ესერა ვხედავთ წმიდათა შინა წერილთა მოყუარეთა ღმრთისათა, რომელნი იყვნეს სოფელსა შინა მეუღლეთა და შვილთა თანა და სიმდიდრესა შინა სათნო-ეყვნეს ღმერთსა. 12.2**

*Νῦν δὲ ὁρῶμεν ἐν ταῖς Θείας Γραφαῖς, πάντας σχεδὸν τοὺς τῷ Θεῷ προσφιλεῖς ἐν κόσμῳ, καὶ πλούτῳ, καὶ τέκνοις τῷ Θεῷ εὐαρεστήσαντας.*

წმიდათა შინა წერილთა, სოფელსა შინა, სიმდიდრესა შინა ბერძნული კალკებია. საინტერესოა, რომ ბერძნული წინდებულის შინაარსი ქართულში შეცვლილია(*ει...τέκνοις* -შვილთა თანა), და გავრცობილია(მეუღლეთა). მრავლობითი

რიცხვის ზმნიტაა გადმოცემული ორიგინალისეული მრავლობითი რიცხვისავე მიმღეობა(სათნო-ეყენეს ღმერთსა - τῶ Θεῷ εὐαρεστήσαντας).

სადა ჯერ არს და უმჯობეს მიცემა საფასეთა, ეკლესიათა ანუ გლახაკთა? XIII

*Ποῦ συμφέρει προσφέρειν τὰ χρήματα, ἐν ἐκκλησίας, ἢ εἰς πένητας.*

თარგმანი, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად იგივეობრივია, ოღონდ უმჯობეს სიტყვა დედანში არ გვხვდება.

ვითარცა სახარებასა შინა წერილ არს, კურთხევასა მას მარჯუენით მდგომარეთასა, ოდეს პრქუა: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო“. არარასა სხუასა აკსენებს, გარნა გლახაკთა, უცხოთა და შიშველთა, უძღურთა და პერობილთა. 13.1

*Ὁ Κύριος ἐπαινῶν τοὺς ἐκ δεξιῶν, καὶ λέγων, „Δεῦτε, οἱ εὐλογημένοι τοῦ Πατρὸς μου, οὐδ ἐνὸς ἄλλου ἐμνημόνευσεν, εἰ μὴ τῆς εἰς τοὺς πτωχοὺς, καὶ ξένους, καὶ γυμνοὺς, καὶ ἐν φυλακῇ ἐλεημοσύνης.*

მცირედი განსხვავება მხოლოდ დასაწყისშია: დედანში არ არის სახარებისეული დამოწმება, არც თარგმანშია უფლის სახელი ნახსენები, არ არის ახლანდელი დროის მიმღეობა *ἐπαινῶν(επαινω)* და იგი კეთილგანწყობას, მოწონებას ნიშნავს. ქართულში არ არის ასევე სიტყვა *ἐλεημοσύνης*, რაც მოწყალებას, სიბრალულს გულისხმობს. მიმღეობა *ἐπαινῶν* თარგმანში საწყისითაა გადმოსული (კურთხევასა), მისი სინონიმი ამ მონაკვეთში არის მრავლობითის მიმღეობა *εὐλογημένοι(ευλογεω)*. მეორე მიმღეობა(*λέγων*), თარგმანში ზმნაა(პრქუა). ქართულის მიმღეობა მდგომარეთასა, ბერძნულ დედანში საერთოდ არ არის(როგორც ვიცით, ზმნის გამოტოვება წინადადებაში ამ ენის ერთი მახასიათებელი ნიშანია). წყვეტილი ბერძნულისა ქართულში აწმყო დროითაა მოცემული(აკსენებს - *ἐμνημόνευσεν*). დედანში არ არის სიტყვა უძღურის შესაბამისი.

შდრ.: მაშინ პრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო...(მათე 25,34).

რამეთუ მრავალთა ეკლესიათა შეიკრიბეს ფრიადი საფასე და დიდძალი ჭურჭელი, და ვერ კეთილად განგებითა, ანუ განირყუნა სიძუელითა, ანუ მპარავთაგან და წარმართთა განიკრესა. 13.3

*Πολλοὶ γὰρ ἐκκλησίαι ἀπλήστως συνάξασαι, καὶ μὴ καλῶς αὐτὰ διοικήσασαι ὑστερον, ἢ διεφθάρησαν ἀμεληθέντα, ἢ ὑπὸ κλεπτῶν, ἢ βαρβάρων ἀφηρεθήσαν.*

ბერძნული *ἀμεληθέντα*(მოუვლელი) ქართულში ჩანაცვლებულია სიტყვა სიძველით, ხოლო სიტყვა *ὑστερον*(ბოლოს) აქ საერთოდ არ არის. ბერძნული ენის ინფინიტივური კონსტრუქციები ქართულში ზმნებითაა გადმოცემული. ბერძნულის ვითარების ზმნიზებას *ἀπλήστως*, რაც გაუმაძღრობას, სიხარბეს ნიშნავს, მთარგმნელი ევფემიზმს უძებნის, თან გაერცობილად ფრიადი საფასე და დიდძალი ჭურჭელი, ყოველივე ამას ბერძნულში ერთი საწყისი გამოხატავს *συνάξασαι, συναγα* ზმნიდან და შეკრებას, მოგროვებას გულისხმობს. ზუსტად არის თარგმნილი მეორე წინადადება, ანუ, საწყისი ასევეა გადმოტანილი(ვერ კეთილად განგებითა - *μη καλῶς αὐτὰ διοικήσασαι*), ხოლო ქართულის ვნებითი გვარის ზმნებს(განირყუნა, განიკრება) დედანში I აორისტის III მრავლობითი შეესაბამება(*διεφθάρησαν, ἀφῆρέθησαν*).

**ხოლო ჩუენ, ესევითარი ოდეს რადმე შეგუემთხვოს, უწყითმცა, რამეთუ ცოდვათა ჩუენტათვს მივეცემით ჳელთა მტერთა ჩუენტასა სამართლითა მით სასჯელითა ღმრთისაჲთა. 14.5**

*ἡμεῖς δὲ ὀφείλομεν εἰδέναι, ὅτι διὰ τὰς ἀμαρτίας ἡμῶν παραδιδόμεθα πολλάκις, ὡς εἴρηται, εἰς χεῖρας ἐχθρῶν ἀνθρώπων, κατὰ δικαίαν κρίσιν Θεοῦ.*

ბერძნული მონაკვეთი უფრო იმპერატიულია(*ὀφείλομεν εἰδέναι*). აქ არ არის ოდეს რადმე შეგუემთხვოს. საშუალ-ვნებითი გვარის *παραδιδόμεθα*, ამავე გვართვე არის გადმოსული ქართულში მივეცემით. *πολλάκις* სიტყვა, რაც ნიშნავს ხშირად, თარგმანში არ არის. ცოდნა(უწყითმცა) ზმნის ფარდი დედანში არის *ὡς εἴρηται*, და ითარგმნება როგორც ითქვა, გულისხმობს საღვთო წერილს. თარგმანი მაინც ზედმიწევნითია.

**და გარემივაქციე პირი ჩემი მათგან და მივსცენ იგინი ჳელთა მტერთა მათთასა, და დაეცნენ მახვილითა, არაწმიდებათა და უსჯულოებათა მათთაებრ შეემთხვა. 14.9**

*καὶ ἀπέστρεψα τὸ πρόσωπόν μου ἀπ' αὐτῶν, καὶ παρέδωκα αὐτοὺς εἰς χεῖρας ἐχθρῶν αὐτῶν, καὶ ἔπεσαν πάντες ἐν μαχαίρᾳ, καὶ κατὰ τὰ ἀνομήματα αὐτῶν ἐποίησα αὐτοῖς.*

I აორისტის მხოლობითი რიცხვის I პირი წყვეტილითვეა გადმოცემული ქართულშიც(*ἀπέστρεψα* - გარემივაქციე). *ἐν μαχαίρᾳ* ბუკვალურად ნიშნავს მახვილში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთარგმნელი ქართულისათვის ლოგიკურ ფორმას არჩევს და იგი მოწოდებულია უბრალო დამატებად მოქმედებობ ბრუნვაში.

ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ღმერთმან დაჰბადა კაცი და დაუტევა იგი ჭელთა შინა ზრახვისა მისისათა და წინაშე კაცისა არს ცხორებაჲ და სიკუდილი, და რომელსაცა სათნო-ეყოს, იგიცა მიეცემის მას. 14.11

*ὡς γέγραπται, ὅτι Ἐξ ἀρχῆς ὁ Θεὸς ἐποίησεν ἄνθρωπον, καὶ ἀφῆκεν αὐτὸν ἐν χειρὶ διαβουλίου αὐτοῦ. Καὶ Ἐναντι ἀνθρώπων ἢ ζῶῃ, καὶ ὁ θάνατος, καὶ ὃ ἐὰν εὐδόκησεν, δοθήσεται αὐτῷ.*

ზუსტი ფორმულაა - ვითარცა წერილ არს ბერძნულის ამ კონსტრუქციისა - *ὡς γέγραπται*. მთარგმნელი ერთი სიტყვით ამბობს დაჰბადა, სანაცვლოდ ასეთი შესიტყვებისა - *ἐξ ἀρχῆς...ἐποίησεν*. ფრაზეოლოგიური კალკია ჭელთა შინა ზრახვისა მისისათა - *ἐν χειρὶ διαβουλίου αὐτοῦ*. თარგმანის სათნო-ეყოს შესაბამისი დედანში არის I აორისტის ზმნა *εὐδόκησεν(δοκεω)*, და უფრო დაფიქრებას, მიზანშეწონილად ჩათვლას, გადაწყვეტას გულისხმობს. ვნებითი გვართევა მოცემული ზმნა მიეცემის - *δοθήσεται*.

**ხოლო ქრისტიანენი ღმერთსა აღვიარებთ დამბადებელსა და განმანათლებელსა სოფლისასა. 15.2**

*Ὁ δὲ Χριστιανὸς Θεὸν ὁμολογεῖ διοικοῦντα καὶ προνοοῦμενον ἅπαντα.*

ქართულში მრ. რიცხვშია ქვემდებარე, ბერძნულში მხ. რიცხვში. ქართულში I პირია, ხოლო ბერძნულში III. ბერძნულის მიმღეობა *διοικοῦντα, διοικεω* ზმნიდან, უფრო განმგებელად ითარგმნება, ვიდრე დამბადებელად, არც მეორე მიმღეობა, *προνοοῦμενοι(προνοεω)* არის ზუსტი ექვივალენტი განმანათლებელ სიტყვისა, იგი წინასწარ განჭვრეტას, წინასწარ დანახვას მოიაზრებს თავისთავში. კიდევ უფრო პერიფრაზირებულია სიტყვა სოფლის შინაარსი ორიგინალთან მიმართებაში, მის ნაცვლად იქ არის *ἅπαντα*, და ყოველივეს ნიშნავს.

**ხოლო რომელი ირწმუნებოდეს ბედსა, დაკლებულ არს იგი წესისაგან და სარწმუნოებისა ქრისტიანეთადსა მსგავსად წარმართთადსა, რომელნი იგი რაჲცა შეემთხვოს კაცთა, ბედსა და ვარსკულაგთა მიაჩემებენ უგუნურებით. 15.3**

*Εἰ δὲ καὶ αὐτὸς ὁμολογήσει τύχην, ἐξέπεσε τοῦ τῶν Χριστιανῶν δόγματος καὶ φρονήματος, ὡς οἱ ματαιόφρονες Ἕλληνες, ἐκεῖνοι γὰρ πάντα τὰ συμβαίνοντα τοῖς ἀνθρώποις τύχην καὶ ἄστροις ἀνοήτως ἐπιγράφουσι.*

საინტერესოა სიტყვის *ὁμολογήσει(ομολογεω)* აზობრივი ექვივალენტი თარგმანში ირწმუნებოდეს. დედნისეული ზმნა გულისხმობს უფრო შეთანხმებას, შეპირობებას, შესაბამისობას, მიღებას, დაშვებას, აღიარებას, თარგმანში კი, ამ

კონკრეტული შემთხვევისათვის, წინ წამოწეულია რწმენის შინაარსი. *ἐπιγράφουσι(επιγραφα)* ნიშნის დადების, აღნიშვნის, მიწერის(მიეწერება) სემანტიკა შესაშური იდენტურობით არის მიგნებული სიტყვაში მიანემებენ. გრამატიკული კატეგორიებიც კი შენარჩუნებულია.

ქართულში არ არის სიტყვა *ματαιόφροινες*, რაც განუსჯელობას ნიშნავს. მსგავსად ამ სიტყვის ფარდი ბერძნულში არის *ᾤσ*, ზუსტი თარგმანია *ἐξέπρεσε(εκπιπτω)* - დაკლებულ არს, ზმნა შეემთხვოს მიმღეობით არის წარმოდგენილი(*συμβαίνουσα*), და ასეთი შემთხვევა, როგორც ვიცით, ჩვეულებრივია არა მარტო ამ ორი ტექსტის ურთიერთმიმართებისათვის, არამედ ამ ორი ენის ურთიერთმიმართებისათვისაც.

თარგმანი გავრცობილია, ანუ შენიშნება ტექსტის მატება:

და სახარებასა შინა იტყვს. 2.4

*καὶ ὅτι.*

რამეთუ აქუს შინაგან თავსა შორის თუსა მკუდრად მამაჲ ყოვლისა მპყრობელი და მხოლოდშობილი ძე მისი, და მდღელთმოდუარი იგი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, ვითარცა იტყვს მოციქული, და სული იგი ჭეშმარიტებისაჲ. 2.6

*ἔνδον γὰρ ἔχει ἐν ἑαυτῷ τὸν Πατέρα, καὶ τὸν Υἱὸν ἀρχιερέα, καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἄληθινόν π  
ῆρ.*

ტრადიციული კალკია შინაგან თავსა შორის თუსა - წინდებულისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის კომბინაცია - *ἐν ἑαυτῷ*, სიტყვა მკუდრად დედანში არ არის, არც ორიგინალშია სიტყვა ცეცხლი - *πῆρ*.

შდრ.: „მივის ჩუენ მღვდელთმოძღუარი დიდი, რომელმან განვლნა ცანი...“

(პავლე, ებრ., 4,14)

ამას რაჲ წესსა მოიწიოს ღმერთშემოსილი იგი კაცი, მიერთგან არნ გულსა შინა მისსა, რათა იგი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა ამათ საქმეთა გამოუცდელისათა არა მოუჭდა. 2.9

*ἐστι ... ἐν καρδίᾳ τοῦ θεοφόρου, ἡ ὀφθαλμὸς οὐκ εἶδε, καὶ οὐς οὐκ ἤκουσε, καὶ ἐπὶ καρδίᾳ ν ἀνθρώπου οὐκ ἀνέβη, τοῦ μὴ πειθαρχεύοντος.*

ქართულში პერიფრაზია: გულსა ამათ საქმეთა გამოუცდელისათა - *ἐπὶ καρδίαν ἀνθρώπου ... τοῦ μὴ πειθαρχεύοντος*, ეს უკანასკნელი უფრო დამორჩილებას გულისხმობს. ტრაფარეტული კალკია კომპოზიტი ღმერთშემოსილი(*θεοφόρος*),

შდრ.: „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუჭდა...“ (პავლე, I კორინთ., 2,9)

რამეთუ ხედავენ გუამისა თუსისა ტაძარსა საყოფელ უხილავისა ღმრთისა, ხოლო ჟამითიჟამად, ოდესცა უფალმან გაუმარჯოს, ღირსებით ეზიაროს წმიდანსა მას და პატიოსანსა ჳორცსა და სისხლსა ქრისტესასა და უმეტესი მადლი და განათლებად მოეფინოს სულსა მისსა. 2.11

*ὁρῶν αὐτοῦ τὸν ναὸν, τὸν τοῦ σώματος θυσιαστήριον θεοῦ ὑπάρχοντα, ... οὕτω τοίνυν πασῶ ν τῶν ἀρετῶν ἡ ἰσυχία μεγίστη καθέστηκεν.*

როგორც წესი, ბერძნულის მიმღეობა ქართულში ზმნითაა გადმოცემული *ὁρῶν* - ხედავენ. იქ უკუქცევითი ნაცვალსახელია მიმღეობასთან ერთად - *ὁρῶν αὐτοῦ*. აქედან კალკირებული ამ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვა გუამისა თუსისა. ვიცით, რომ ძველ ქართულში ეს სიტყვა პიროვნებას, პირს, ჰიპოსტასს აღნიშნავდა, და ამ მნიშვნელობითაა ბერძნულშიც მოცემული(*αὐτοῦ*), მაგრამ ქართულში იგი სხეულს უნდა გულისხმობდეს.

ხოლო თავადი უფალი და მეუფე ჩუენი იესუ ქრისტე ბრძანებს: 3.7

*Καὶ ὁ Κύριος.*

აწ, უკუეთუ ვინმე ბერ იყოს და უძღურ, უკუეთუ ხოლო ენებოს, არარაჲ არს დამაყენებელ დამარხვად მცნებათა თვისთა, რამეთუ, ვითარცა წერილ არს, და წრფელ არს სიტყუად უფლისაჲ, ყოველნი საქმენი სიმაართლით არიან, უყუარს წყალობაჲ და სამართალი უფალსა. 4.2 წყალობითა უფლისაჲთა საესე არს ქუეყანაჲ, წრფელ არიან გზანი უფლისანი და მართალნი ვიდოდენ მას შინა, ხოლო უსჯულთნი მოუძღურდენ. 4.3

*εὐδελον, ὅτι καὶ ὁ γέρω, καὶ ὁ ἀδύνατος δύναται φυλάξαι τὸν νόμον αὐτοῦ. γέγραπται γάρ, ὅτι· Εὐθεῖαι ὁδοὶ Κυρίου, καὶ δίκαιοι πορεύσονται ἐν αὐταῖς·... καὶ ὅτι· Εὐθὺς ὁ λόγος τοῦ Κυρίου, καὶ πάντα τὰ ἔργα αὐτοῦ ἐν πίστει.*

4.2 და 4.3 ქართული მონაკვეთები გავაერთიანეთ, რათა არ დაგვერღვია ბერძნული შესაბამისი მონაკვეთის თანამიმდევრობა. *εὐδελον*(ცხადი) ამ სიტყვის ფარდი ქართულ ტექსტში უნდა იყოს აწ. თარგმანში დაკლებულია აღწერილობითი ფორმა *δύναται φυλάξαι τὸν νόμον αὐτοῦ*, სამაგიეროდ, იგივე შესიტყვება უკვე მთარგმნელისეულ აზრობრივ ტრანსფორმაციაში გამოიყენება - დამაყენებელ დამარხვად მცნებათა თვისთა, ამისდა შესაბამისად, ჩამატებულია უკუეთუ ხოლო ენებოს. არ ფიქსირდება კალკი, მაგალითად, ამ შემთხვევაში - *ἐν πίστει* - სიმაართლით.

რამეთუ სახიერმან და მრავალმოწყალებან უფალმან არა თქუა განჩინებით, რადთა ყოველთა ქალწულებად და უქორწინებლობად დაიმარხონ, არცა განშორება სოფლისაგან განჩინებით განაწესა, არამედ კაცადკაცადისა ბუნებისა მიუშუა ამათ საქმეთათჳს. 4.4

*ὅπτε γὰρ ἀγαμίαν ἡμῖν ἄρισεν, ὅπτε τῶν πάντων, τῶν ἐν τῷ κόσμῳ ἀναχάρεσιν.*

*ἄρισεν*(*ωραω*) (ხედვა, ჩათვლა, მიჩნევა) აორ. III პ. ქართულში ამავე დროით, წყვეტილითაა გადმოსული, ოღონდ უფრო იმპერატიულია და ახლავს ვით. ძმნიზედა თქუა განჩინებით, განჩინებით განაწესა. შეიძლება ითქვას, სხვა ტექსტია, ბერძნული მხოლოდ ანახორეტების უქორწინებლობას გულისხმობს, ქართული კი უფრო ზოგად შინაარსს გადმოსცემს.

არამედ ბრძანებითა განჩინებით გუამცნო სიყუარული ღმრთისაჲ და მოყუსისაჲ, სიმდაბლე და მოწყალებაჲ, სიმშუდე და მშუდობაჲ, ძვრუსხენებლობაჲ, ჭეშმარიტებაჲ, ღმობიერებაჲ, ღოცვაჲ, მოთმინებაჲ. 4.5

*ἀλλὰ ἀγαπᾷν τὸν Θεόν, καὶ τὸν πλησίον, ταπεινοφροεῖν, συμπαθεῖν, προσεύχεσθαι, ὑπομένειν τὰς θλίψεις, πρᾶον εἶναι, εἰρηνικόν, μὴ μνησικακεῖν, μὴ κατακρίνειν, μὴ ψεῦδεσθαι.*

ბერძნული ტექსტი სულ საწყისებითაა გაჯერებული. ზმნისა და ბრალდებითი ბრუნვის კონსტრუქცია ქართულში სახელითა და ნათესაობითი ბრუნვით გადმოვიდა ἀγαπᾷ τὸν Θεόν - სიყვარული ღმრთისად, თარგმანში არ არის სიტყვა ტყუილი, გამკვეთრებულია მშჯღობის შინაარსი. დედანში არ არის სიტყვები - ჭეშმარიტება, ღმობიერება, მოწყალება. საწყისი συμπαθεῖν უფრო თანაგრძობას, ხოლო ὑπομένειν τὰς θλίψεις მწუხარედ დარჩენას გულისხმობს.

კეთილ არს აღსარება ცოდვათა ... წინაშე, ანუ იქმნების თვნიერ აღსარებისა სინანული და მიტევება ცოდვათა. V

*Καλόν ἐστὶν ἄρα τὸ ἐξομολογεῖσθαι τὰ ἀμαρτήματα ἡμῶν πνευματικοῖς ἀνδράσιν.*

ძველი ბერძნული დედნის კლასიკური კალკია - კეთილ არს აღსარება(*Καλόν ἐστὶν ἄρα τὸ ἐξομολογεῖσθαι*), დამხმარე ზმნისა და, ამ შემთხვევისათვის, საწყისის ერთობლიობა.

რამეთუ წმიდად იოანე მახარებელი და ღმრთისმეტყველი იტყვს: უკუეთუ აღუვარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს ღმერთი და მართალ, რათა მოგვეტევენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ჩუენ ყოვლისაგან სიცრუვისა. 5.9

*Καὶ Ἰωάννης· Ἐὰν γὰρ, φησὶν, ὁμολογῶμεν τὰς ἀμαρτίας ἡμῶν, πιστὸς ἐστὶ, καὶ δίκαιος ὁ Θεός, ἵνα ἀφῆ ἡμῖν τὰς ἀμαρτίας, καὶ καθάρισῃ ἡμᾶς ἀπὸ πάσης ἀδικίας.*

ევანგელისტი აქ მხოლოდ სახელითაა ნახსენები. *ἀδικίας*, თავისთავად, უსამართლობას ნიშნავს, მაგრამ ქართულში გადმოტანილია, როგორც სიცრუე.

ხოლო არს სიტყუად იგი მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ: ამისთვის ფრიად არიან თქუენ შორის უძღურ და სნეულ და ჰრულის მრავალთა 6.5. ამას მოასწავებს, ვითარმედ უღირსად ზიარება არა ხოლო თუ სულისა დასასჯელ იქმნების, არამედ ჯორციელთა სენთა მოაწევს და უჟამთა სიკუდილთა. 6.5; 6.6

*Ἔνθεν γὰρ καὶ ὁ Ἀπόστολος λέγει πρὸς τοὺς ἀναξίως κοινωνοῦντας, ὡς εἴρεται· Ὅτι διὰ τοῦτο ἐν ὑμῖν πολλοὶ ἀσθενεῖς, καὶ ἀρρώστοι, καὶ κοιμῶνται ἱκανοί, τουτέστιν, ἀσθενοῦσι, καὶ τελευτῶσι.*

ორიგინალის შესაბამისი ნაწილი იმდენად კომპაქტური და კომბინირებული იყო, გადავწყვიტეთ 6.5 და 6.6 გაგვეერთიანებინა. ხოლო კავშირის შესაბამისად დედანში გვევლინება *ἐνθεν*(ამიტომ, მაშინ). თარგმანში დაკლებულია *πρὸς τοὺς ἀναξίως κοινωνοῦντας*(რაც, დაახლოებით, ასე ითარგმნება: უღირსად მაზიარებელთა მიმართ).



რაოდენნი სახენი არიან ღმრთისაგან მიშუებისა და დატევებისანი, რომლისაგან მივეცემით განსაცდელთა სულიერთა გინა ვორციელთა, ანუ ცოდვასა შთავვარდით, ანუ სნეულებანი და უბლურებანი შეგუემთხვიან და ვითარ ვცნათ, თუ რომელი არს ეშმაკისაგან მოწვევული განსაცდელი. VIII

*Πόσοι τρόποι ἐγκαταλείψεως εἰσιν, εἴτε εἰς θλίψεις, ἢ καὶ εἰς ἀσθειάς, ἢ καὶ εἰς ἀμαρτίας, καὶ πῶς γινώσκωμεν τὴν ἐκ τοῦ Θεοῦ παιδείαν, ἢ τὸν ἐκ διαβόλου πειρασμόν.*

ორიგინალში ერთი სიტყვითაა გადმოცემული ქართულის მთელი შესიტყვება(ἐγκαταλείψεως-ღმრთისაგან მიშუებისა და დატევებისანი), გამოტოვებულია ზმნა და მის ფუნქციას წინდებულისანი კონსტრუქცია იტვირთებს(εἰς θλίψεις, ἢ καὶ εἰς ἀσθειάς), εἰς ἀμαρτίας უკვე იდენტურია ქართულის ცოდვასა შთავვარდით, თუ გავითვალისწინებთ იმავე ბერძნული ენისათვის მეტად ნიშანდობლივ ზმნის კლებას. მაგრამ, ეს შესიტყვება ისედაც შინაარსობრივი კალკია ბერძნული ენიდან (πεζευω ზმნიდან, რაც ბიჯებას, სვლას ნიშნავს) და ძველ ქართულ სიტყვიერებას იგი ორგანულად შეუთვისებია. თარგმანში არ ჩანს ღმრთისაგან განსწავლის შინაარსი (ἐκ τοῦ Θεοῦ παιδείαν), სამაგიეროდ, არც ბერძნულშია მიმღეობა მოწვევული. შენარჩუნებულია წინდებულისანი კონსტრუქცია(ეშმაკისაგან-ἐκ διαβόλου).

მრავალსახე არიან და მრავალფერად იქმნების მიშუება და დატევება ღმრთისა მიერ, ხოლო უმეტესი ორსახე არს: მიშუებითა ღმრთისაათა მიზეზი, ანუ მისაქცევებად ჩუენდა ცოდვათაგან და სასწავლად, ვითარცა იტყუს: ნეტარ არს კაცი, რომელი განსწავლო შენ, უფალთ, რამეთუ ვითარცა წურთინ მამა შვილსა.

8.1

*Πολλοὶ μὲν καὶ διάφοροί εἰσιν ἐγκαταλείψεως τρόποι. Κατὰ δύο δὲ σκοποὺς τοῦ Θεοῦ, πάντα αἱ ἐγκαταλείψεις γίνονται, ἢ πρὸς ἐπιστροφήν κατὰ σωφροτισμόν, ὡς πατὴρ πρὸς υἱόν.*

ისევ არ არის სიტყვა მიშუება, სახის ექვივალენტი დედანში არის ბრალდებითის ფორმით *σκοποῦς(ο σκοπος)*, და უფრო ნიშანს გულისხმობს. დედანში ისევ არ არის ზმნა, განსხვავებით თარგმანისაგან(ვითარცა წურთინ მამა შვილსა - ὡς πατὴρ πρὸς υἱόν). ეს სახე, რა თქმა უნდა, ფსალმუნის ციტირებაა.

ანუ გარემიქცევითა პირისა მისისაათა და რისხვითა, ვითარცა პრისხვან მეფე მტერთა, ვითარ იგი იყო იუდაისი უკანადასკნელ, რამეთუ ოდეს უკუბრუნებულ იპოვა ბორღტი იგი გონება მისი, დაუტევა იგი ქრისტემან. 8.2

ἢ κατὰ ἀποστροφὴν, ὡς βασιλεὺς πρὸς ἐχθρὸν, οἷα ἦν τοῦ Ἰούδα ὑπὸ Χριστοῦ ὑστερον ἔγκα τάλειψις.

ორიგინალში არ არის სიტყვა რისხვითა, არ არის ზმნა, რომელიც მეფის მტრისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. ბერძნულში არტიკლსა და სახელს შორის მთელი წინადადებაა მოქცეული, რისი აზრიც ქართულში დამოკიდებული წინადადებებით ნაწევრდება.

მიეცა პავლეცა განსაცდელთა და ტანჯვათა, არამედ სიმრავლისათვის სათნობათა მისთაჲსა, ვითარცა გარდარეულითა მით გამოცხადებოთა. ამისთვის, რაჲთა არა ავიმაღლო, მომეცა მე საწერტელი კორცთაჲ, ჭირნი იგი და განსაცდელნი იყვნეს საწერტელ. 8.4

Ἐπαδέρθη ὁ Παῦλος δι' ὄγκον κατορθωμάτων, ἵνα μὴ ὑπεραίρωμεν, φησί.

ბერძნულის ვნებითი გვარის ზმნა ამავე გვართაა გადმოსული ქართულშიც (Ἐπαδέρθη - მიეცა), მაგრამ παιδεύω ზმნა უფრო განსწავლას, დასჯასაც ნიშნავს. ქართული ზმნა მიეცა ასევე ბერძნულის შინაარსობრივი კალკია და კარგად ადაპტირებული ორიგინალურ ლიტერატურაშიც კი. ეს შესიტყვებები, ცხადია, პავლეს ეპისტოლეებიდან არის აღებული. ამაღლება ზმნა მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი(ὑπεραίρωμεν). შესიტყვებები, ცხადია, პავლეს ეპისტოლეებიდან არის აღებული.

შდრ.: ...რაჲთა არა აღვიმაღლო, მომეცა მე საწერტელი კორცთაჲ... პავლე, კორინთ., 12.7

რამეთუ ანუ ამპარტავენებისაგან და ზუაობისა, ანუ განკითხვისაგან სხუათაჲსა, ანუ ძვრისკსენებისაგან, ანუ ბრალობისაგან მოყუსისა და არა თავთა თვისთა, ანუ პირველქმნილთა ცოდვათა ჩუენთათვის მოიწვევიან ჩუენ ზედა განსაცდელნი მართლმსაჯულისა უფლისა მიშუებითა, ანუ ვნებითა სულიერთა შთავრდომაჲ, ანუ კორციელთა. 8.9

Πολλάκις γὰρ, ἢ ἐξ ὑπερφανείας, καὶ μεγαλαυχίας, ἢ ἐκ τοῦ κρίνειν ἄλλους, ἢ μνησικακεῖν, ἢ ἐκ τοῦ μὴ μέμφεσθαι ἑαυτοῦς καὶ κατακρίνειν, ἢ ἐκ προλαβόντων ἁμαρτημάτων παραδι δόμενα εἰς ψυχικὰ καὶ σωματικὰ πάθη.

მოყუსის ფარდი ორიგინალში არის ἄλλους(სხვა). საშუალ-ვნებითის ინფინიტივი და უკუქცევითი ნაცვალსახელი μὴ μέμφεσθαι ἑαυτοῦς საწყისი და ნაცვალსახელია ქართულშიც ბრალობისაგან... არა თავთა თვისთა, ხოლო ბრალობისაგან მოყუსისა, ამ გამოთქმას ცალკე სიტყვა აქვს დედანში - κατακρίνειν.

პერიფრაზირებულია წინდებულის კალკირებული სახით მოიწვევიან ჩუენ ზედა, ასევე კალკირებულია მთელი ჩამონათვალი(ἔξ ὑπερφανείας...-ამპარტავნებისაგან...). საწყისს შთავრდომად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავისი პირდაპირი შესატყვისი არ მოეძებნება, მაგრამ იგი, თავისთავად, ბერძნული ენის კალკია.

ესე უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოწვევნილი კაცსა ზედა სწავლაჲ და განსაცდელი უმჯობესისათჳს, არაოდეს წარკუეთს სულისაგან კეთილსა მას სასოებასა, ვითარცა იყო იობ, რომელი ყოველთა მათ მიუთხრობელთა ჭირთა შინა სასოებასა მას კეთილსა არა წარკუეთდა, ვითარცა აჩუენე შენ თვთოსახედ სხუთა მისთა გონიერად მადლობანი. 8.12

*Καὶ ἡ μὲν ἐκ Θεοῦ παιδεία, καὶ ὁ πειρασμὸς, πρὸς τὸ συμφέρον ἐπερχόμενοι τῷ ἀνθρώπῳ, οὐδέποτε τῆν ἀγαθὴν ἐλπίδα ἀποκόπτουσιν ἐκ τῆς ψυχῆς, οἷος ἦν ὁ Ἰωβ.*

დედანში მოკლედ მოწოდებული *ἐκ Θεοῦ παιδεία*, თარგმანში ბევრად უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი, წინადადების ბოლო ბერძნულისა, ქართულში შუა ტექსტშია ჩართული.

ვხედავთ ვიეთმე მორწმუნეთა, რომელნი იქმან ჳორციელთა ცოდვათა და საქმენი საწუთროსანი განემარჯუებიან და განსაცდელთაგან გამოიჯსნის ღმერთი. ვითარ არს საქმე ესე? IX

*Πόθεν ὀρώμεν τινὰς πιστοὺς, σωματικὰ πταίσματα ποιοῦντας, ὑπὸ Θεοῦ δὲ εὐεργετούμενους, καὶ κινδύνων διασωζομένους.*

ბერძნული ტექსტი მიმდებარებით არის გამართული. პირდაპირ დამატებასთან არის დაკავშირებული იქმან ჳმნის შესაბამისი მიმდებარე დედანში(*ποιοῦντας*), არა მარტო იგი, არამედ მთელი წინადადება ბრალდებითი ბრუნვით წარმოდგენილ განსაზღვრებებს გადმოსცემს. ქართულში იგივე შინაარსი პირიან ფორმებში ნაწილდება. თარგმანი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანწილად პერიფრაზირებულია.

რამეთუ უწყის უფალმან კაცადკაცადისა დაფარული, რამეთუ მრავალნი ჩანან მოქმედად ბოროტთა რათმე, ხოლო ფარულად აქუნდის მრავალი კეთილი წინაშე ღმრთისა. 9.2

*Τινὲς μὲν γὰρ θεωροῦνται ἰσως ἐλαττώματά τινα ἔχοντες, κρυπτῶς μεγάλα κατορθώματα πρὸς Θεὸν ἐργαζόμενοι.*

საინტერესოა ჳმნათა შენაცვლება თარგმანსა და დედანს შორის. ჩანან ჳმნას ბერძნულში შეესაბამება *θεωροῦνται*(*θεωρεω*), და იგი დანახვას, დაკვირვებას,

განჭვრეტას, განსჯას, მოაზრებას გულისხმობს. *ἐλαττώματα* უფრო უსარგებლოს, ფუჭს ნიშნავს, ქართულში კი ბოროტის მოქმედად არის გადმოსული, დედანში ქონა ზმნა ბოროტის აზრობრივ კონტექსტს უკავშირდება, თარგმანში კი - კეთილის, ისევე როგორც მოქმედი ბერძნულში დაკავშირებულია კეთილთან, ხოლო თარგმანში - ბოროტთან. წინაშე ღმრთისა პირდაპირ არის გადმოთარგმნილი - *πρὸς Θεόν*.

არამედ ნუ გეშინინ, რაჟამს განმდიდრდეს კაცი ცოდვილი და განმრავლდეს დიდებამ სახლისა მისისაჲ, რამეთუ ვითარცა თივამ, მსთუად განჯმეს, და ვითარცა მხალი მწუანვილისაჲ, ადრე წარვდეს. 9.9

*Διὸ· „Μὴ φοβοῦ, ὅταν πλουτήσῃ ἀνθρώπος, καὶ πληθυνθῇ ἡ δόξα αὐτοῦ. Ὅτι „ὥσει χόρτος ταχὺ ἀποξηραθήσονται.*

I ბრძანებითის ფორმას გეშინინ, ბერძნულში ასევე med-pass -ის II imp-ის *φοβοῦ* ეთანადება. ვნებითი გვართოვება ვნებითი გვარის ზმნა გადმოტანილი(განმრავლდეს - *πληθυνθῇ*). *διο*-ს შესაბამისი, რაც ქართულად, დაახლოებით, აქედან გამომდინარე ითარგმნება, ჩანაცვლებულია არამედ კავშირით. ზუსტადაა გადმოსული მსწრაფლ განჯმეს - *ταχὺ ἀποξηραθήσονται*, დროც კი შესაბამისია.

შდრ.: რამეთუ ვითარცა თივამ მსთუად განჯმენ და ვითარცა მხალი მწუანვილისაჲ ადრე დამოცვენ(ფსალმ. 36,2).

და ვითარ წინაწარმეტყუელთა შორის რომელთამე უმეტესნი და რომელთამე უმცირესნი ჭირნი შეემთხვნეს და ვგრეთვე სხუათა ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა სჯულისათა, 9.14

*Τί δήποτε καὶ ἐν τοῖς προφήταις, ὁ μὲν μειζόνως, ὁ δὲ ἕλαττον θλίβεται.*

*δήποτε* ც ნაწილაკის როლს უფრო ასრულებს ბერძნულ წინადადებაში. კალკად ვლინდება ამ კონკრეტულ მონაკვეთში წინაწარმეტყუელთა შორის - *ἐν τοῖς προφήταις*. სასუაღ-ვნებითი გვარის პირიანი ფორმა *θλίβεται*, თარგმანში შედგენილი შემასმენელია - ჭირნი შეემთხვნეს.

კუალად უკუე, ვითარ ისაკ ფლობით გარდაიჭადნა დღენი მისნი, ხოლო იაკობ ჭირით. ესე სხუაჲ თუ: ჩემი არს ოქროჲ და ვეცხლი, - არს წერილთა შინა. 10.1

*Τὸ μὲν· „Ἐμὸν τὸ ἀργύριον, καὶ ἐμὸν τὸ χρυσίον, εἶρεται.*

ბოლო წინადადება ბერძნულისა, რაც ერთი სიტყვაა(εἶρεται) εἶρεω ზმნიდან და თქმას, შეპირობებას ნიშნავს, ქართულში მთელი წინადადებაა, თუმცა კი ბერძნული ენის ფრაზეოლოგიური კალკი.

შდრ.:(დაბ.35.28-29); (ანგია წინასწარმ. 2.8)

**ხოლო ესე თუ: ვისიცა მენებოს, მივსცე იგი, არა წერილ არს, არამედ უგუნურთა და ვეცხლისმოყუარეთა კაცთაგან შერთოლ არს, რომელთა ჰნებავს მოტაცებად სხუათაგან. 10.2**

*τὸ δέ, Ὁ ἐὰν θέλω, δώσω αὐτῷ, οὐ γέγραπται. Τῆς γὰρ τῶν ἀφρόνων καὶ φιλαργύρων ἀνθρώπων προσθήκης ἐστὶ τοῦτο.*

მატება უმნიშვნელოა. ისევ ქართული ფორმულა ბერძნულის ვნებითი გვარის, ასევე საღვთო წერილის აღმნიშვნელი სტანდარტული *γέγραπται*-ს ნაცვლად ვითარცა წერილ არს. ქართულში ფიქსირდება პირდაპირი დამატება იგი, ხოლო ბერძნულში - ირიბი (*αὐτῷ*). ბერძნულის შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მთელი წინადადება ვლინდება - *Τῆς ... προσθήκης*, რაც, როგორც წესი, ქართულში დამოკიდებული წინადადებებით გამოიხატება.

**მათ ზედა ქმნილი ქველისსაქმე მათ ზედა თუსად შეჰრაცხა უფალმან. გარნა არიან ეკლესიანიცა ნაკლულევანნი, რომელთა არა აქუს სათანადოდ საკმარი ეკლესიისა და კეთილ არს მათცა მოღუაწებად, ხოლო მდიდართა ეკლესიათა რომელი შესწირვიდეს საფასეთა, არა უწყის, რად ყოფად არს მუნ შეკრებული იგი. 13.2**

*Πλὴν εἰς καὶ ἐκκλησίαι λειπόμεναι σκευῶν τισῶν ἀναγκαίων, αἷς δεῖ προσφέρειν. Ἐπεὶ ὁ εἶς εὐπόρους ἐκκλησίας προσάγων, οὐκ οἶδε τί μετὰ ταῦτα γίνονται τὰ ἐκεῖσε συναγόμενα.*

გარნა - მისი შესატყვისი დედანში უნდა იყოს *Πλὴν*(ამას გარდა, მაგრამ)მრავლობითი რიცხვის მიმღეობის *λειπόμεναι* ზუსტი აზრობრივი ექვივალენტია ნაკლულევანნი, იგი გავრცობილია დამოკიდებული წინადადებით ბერძნულის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის სამაგიეროდ (*σκευῶν τισῶν ἀναγκαίων*). ბერძნული ტექსტი უფრო კატეგორიული და იმპერატიულია - *αἷς δεῖ προσφέρειν*(დაახლოებით ასე ითარგმნება რომელთაც სჭირდებათ შესაწირავი), მისი აზრობრივი ადეკვატი უნდა იყოს - კეთილ არს მათცა მოღუაწებად. ისევ ბერძნულის მიმღეობითი კონსტრუქცია ქართულის დამოკიდებული წინადადებით არის მოწვდილი(III წინადადება ბერძნულისა) და ისევ აღწერილობითი ფორმაა კალკირებული თარგმანში(ბოლო წინადადება). აქ ერთდროულად აღინიშნება მატებაც და პერიფრაზიც.

ამისთვის იტყვს იოანე ოქროპირი, ვითარმედ ეკლესიათა არა შემკობისათვის არაგინ სადა ბრალეულ იქმნა ღმრთისაგან, ხოლო გლახაკთა არა წყალობისათვის გეჭვინაი განმზადებულ არს, ცეცხლი უშრეტი და დასჯაი ეშმაკთა თანა. 13.5

*Ἵπὲρ μὲν γὰρ τοῦ μὴ ἐκκλησίας καλλωπίσαι, οὐδεὶς ἐνεκλήθη ποτέ. Ἵπὲρ δὲ τοῦ πένητας μὴ ἐλεῆσαι καὶ γέενα ἠπείληται, καὶ πῦρ ἀσβεστον, καὶ ἡ μετὰ δαιμόνων τιμορία.*

ქართულში რამდენიმე ადგილას, ხოლო ბერძნულში საერთოდ არ არის დამოწმება იოანე ოქროპირის სახელით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ შეგვხვედრია). ესეც ერთი ნიშანია მოცემული ტექსტებისა. წინდებულებიანი ფორმა ზუსტად არის გადმოტანილი (შემკობისათვის- Ἵπὲρ... καλλωπίσαι), ἐνεκλήθη ვნებითი გვართ აღწერილობითი ფორმით გვევლინება თარგმანში - ბრალეულ იქმნა. ἐλεῆσαι, I აორისტის ინფინიტივი ελεεω ზმნიდან, თანაგრძობას, სიბრალულს გულისხმობს, რაც ქართულში წყალობად არის გადმოტანილი. ბოლო წინადადება ზუსტი თარგმანია.

კაცთმოყუარე და მართლმსაჯული ღმერთი, რაჟამს გუხედვიდეს ცოდვათა და უსჯულოებათა შინა, მოაწევს განსაცდელთა, რათა ვიწუართნეთ და მოვიქცეთ მისა. 14.1

*Ὁ μὲν φιλόανθρωπος καὶ δίκαιος κριτῆς[ἀμαρτανόντων ἡμῶν] παραδίδωσιν ἡμᾶς πολλάκις τοῖς ὑπειναντίοις.*

მოაწევს განსაცდელთა აქ პერიფრაზის სახითაა და ფარდია ბერძნულის მიგვცემს მტერთა - παραδίδωσιν ... τοῖς ὑπειναντίοις. ღმერთის სახელი ორიგინალში არ გვხვდება, ფრჩხილებშია ჩასმული ჩვენი ცოდვები მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვით.

ამისთვის სხუათა თანა განსაცდელთა მოიწევს წარმართთა მიერცა წურთაი ჩუენი, არა წარწყმედად, არამედ რათა განგისწავლნეთ, ვითარცა იტყოდა იერუსალიმსა იერემიამს მიერ. 14.2

*οὐκ εἰς ἀπώλειαν, ἀλλ' εἰς παιδείαν, ὡς διὰ Ἱερემίου πρὸς τὸν Ἰσραὴλ φησι.*

წინდებულებიანი ბრალდებითი ბრუნვის არსებითი სახელებით არის გადმოცემული ბერძნულში ის, რაც ქართულში გადმოსულია საწყისად ვითარებით ბრუნვაში და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად.

ხოლო მტერთა მიეცეს რაი ელმწიფებაი, არა კამა-ყვიან ზომითი წურთაი, არამედ მორჩილებითა თვისითა უკეთურებისაიდათა ქმნიან ტყუეთა ზედა მრავალი ბორცტი.

რად იგი არა სთნავს ღმერთსა, რომლისათვის თანამდებ არიან იგინი საუკუნეთა მათ სატანჯველთა. 14.4

*Οἱ δὲ ἔχθροὶ καὶ ἄνομοι, καὶ ἀσβεῖς, οἰκεία πονερίᾳ δουλεύοντες, τὰ δεινὰ ἡμῖν καὶ μὴ ἀρέσκοντα τῷ Θεῷ διαπράττουσιν· ὑπὲρ ὧν πάντως τὴν αἰώνιαν κόλασιν κομίσονται.*

ქართულში დაკლებულია მტრის სინონიმები(ἀνομοι, ἀσβεῖς). მრავლობითი რიცხვის მიმდევობას(δουλεύοντες), თარგმანში ენაცვლება საწყისი მოქმედებითი ბრუნვით(მორჩილებითა), ხოლო οἰκεία დასახლებას, დამკვიდრებას ნიშნავს და ქართულში იგი არ არის. ტყუეთა ზედა პერიფრაზია ორიგინალის I პირისა(τὰ δεινὰ ἡμῖν), ხოლო თანამდებ არიან აღწერილობითი ფორმა დედანში ვნებითი გვარის ზმნაა κομίσονται, κομιζω ზმნიდან და მიგვრას, მიღებას, მიყვანას, მოპოვებას ნიშნავს. აქ ერთდროულად აღინიშნება პერიფრაზი და ტექსტის მატება.

რამეთუ ურჩულოებანი ჩუენნი მოაწევვენ ჩუენ ზედა განსაცდელთა, ვითარცა იტყვს ესაია იერუსალიმელთათვის. 14.6

*Φεσὶ γὰρ Ἡσαΐας πάλιν περὶ τοῦ Ἰσραήλ.*

ვინ მისცა იავარსყოფად და წარწყმედად იაკობი ველთა მტერთა მისთასა, არათუ ღმერთმან, რომელსაცა შესცოდა და არ[ა] ინება სლვად გზათა მისთა, არცა ისმინა სჯული მისი, ამისთვის გარემიაქცევა პირი მისი და მისცნა ველთა მტერთა მისთასა. 14.7

*Τίς ἔδωκεν εἰς διαρπαγὴν Ἰακώβ, καὶ Ἰσραὴλ τοῖς προνομεύσασιν αὐτόν· οὐχὶ ὁ Θεὸς, ᾧ ἡ μάρτοσαν αὐτῷ, καὶ οὐκ ἐβούλοντο ἐν ταῖς ὁδοῖς αὐτοῦ πορευέσθαι, οὐδὲ ἀκούειν τοῦ νόμου αὐτοῦ.*

საინტერესოა, რომ სახელი იაკობი მოცემულია არა წრფელობითი, არამედ სახელობითი ბრუნვით, რაც გარდამავალი პერიოდის ნიშანი უნდა იყოს. I აორისტის ἔδωκεν პირიანი ფორმა წყვეტილითვეა ქართულშიც(მისცა). მისი მნიშვნელობა, *δωκα* ზმნიდან, უფრო უახლოვდება განდევნის, გადაგდების, დევნის, დადანაშაულების შინაარსს. *η διαρπαγη* გაძარცვას ნიშნავს, ქართულში იგი განადგურებად, იავარყოფად გადმოვიდა, მრავლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში და *προνομεύσασιν* გამანადგურებელს გულისხმობს. წინდებულთურთ იგი უნდა იყოს პერიფრაზი შესიტყვებისა მისცნა ველთა მტერთა მისთასა, რომელიც, თავისთავად, უკვე ბერძნულის ფრაზეოლოგიური კალკია. ქართულში ისრაელი არ არის ნახსენები,

აქედან გამომდინარე, ზმნები მხოლოდით რიცხვშია, ნაცვლად ბერძნულის მრავლობითი რიცხვისა. ინება - *ἐβούλιτο(βουλεσα)* უფრო განსჯას, ფიქრს გულისხმობს. წინდებულიანი კონსტრუქცია ქართული ენის ბუნებისდა შესაბამისად შეცვლილია, მაგრამ შენარჩუნებულია საწყისი - *ἐν ταῖς ὁδοῖς πορεύεσθαι* - სლვად გზათა მისთა. იქვე უგულვებელყოფილია საწყისი და მოქმედება ზმნით გადმოიცემა *οὐδὲ ἀκούειν τοῦ νόμου αὐτοῦ* - არცა ისმინა სჯული მისი.

ქართულ თარგმანში აღინიშნება ტექსტის კლება:

მაშინ, ვითარცა მპარავი, შევიდის უკეთური იგი და განკრეხის სახლი სულისად მის და იქმნის უკანადსკნელი მისი უძვრეს პირველისა. 16



*Καὶ οὕτω λοιπὸν καθάπερ κλέπτης εἰσελθὼν ὁ πονηρὸς, ὡς μὴ ὄντος θείου λύχνου ἐν τῇ καρδίᾳ σου, σιγή τὸν οἶκον τῆς ψυχῆς σου, καὶ γίνεται τὰ ἔσχατά σου χεῖρονα τῶν πρώτων.*

უძვრეს გადმოცემულია ბერძნულში შედარებითი ხხარისხით *χειρονα*, რაც ნიშნავს იძულებითს, დამორჩილებულს. ზუსტად არის თარგმნილი სახლი სულისა = *τὸν οἶκον τῆς ψυχῆς σου*, აქ ბერძნული ვარიანტი პირდაპირი დამატების ბრუნვით არის გადმოცემული, ასევე ქართულიც, მოგეხსენებათ, ქართულში იგი ორია. ბერძნულის საშუალ-მოქმედებითი III პირი *γίνεται*, ქართულში უწყვეტელის ხოლმეობითით გადმოდის იქმნის. დაკლებულის შინაარსი დაახლოებით ასეთია: როგორც კი არ იქნება ღმრთის ნათელი შენს გულში.

ამისცა საქმისა ძალი სიტყუათაგან ღმერთშემოსილისა კაცისათა გამოგიცხადო, რამეთუ იტყვს, ვითარმედ. 2.1

*Ἐκ διαλέξεως ἀνδρὸς τινοῦ ἱεροῦ, ἀμυδρῶς πᾶς σαφῶς τὸ εἰρημένον ποιήσομαι.*

ქართულში ჩამატებულია ამისცა საქმისა ძალი. *ἱερός* იგივეა, რაც *θεοφορος*, ღმერთშემოსილი ამჯერად საკუთრივი ლექსიკური ერთეულით არის გადმოცემული. *ἡ διαλέξις* საუბარს, განსჯას გულისხმობს, ქართულში იგი სიტყვა სიტყვით არის გადმოცემული. დაკლებული ადგილი, დაახლოებით ნიშნავს გაურკვევლის გარკვეულად თქმას, ცხადყოფას, ხოლო *εἰρημένον ποιήσομαι* - სიტყვიერად გადმოცემას I პირში.

ამისთვისცა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ესევითარისა სახისა დაყუდებისა გუასწავებს და იტყვს. 2.14

*Διὸ δὴ καὶ αὐτὸς ὁ Κύριος πάλιν τὸν τῆς ἡσυχίας τρόπον ἐκπαιδεύων, καὶ τὸν ἐξ αὐτῆς καρπὸν, τῷ ταύτῃ ἐραστῇ (ὑπεκφαίνων) λέγει·*

ზუსტი თარგმანია *τὸν τῆς ἡσυχίας τρόπον* - ესევითარისა სახისა დაყუდებისა, *ἡσυχία*, თავისთავად სიმშვიდეს გულისხმობს, მიმდგობა ისევ და ისევ ზმნით გვევლინება თარგმანში (*ἐκπαιδεύων* - გუასწავებს), დაკლებული ადგილი, დაახლოებით, თავისი სიბრძნით სამწყსოს უწყებას გულისხმობს.

რამეთუ წერილ არს: სულისა შენისა ნუ გრცხუენის, რამეთუ არს სირცხვლი მომატყუებელი ცოდვისა და არს სირცხვლი დიდება და მადლი სულისა, ნუ თუალ-აღებ სულსა ზედა შენსა და ნუ გრცხუენიან აღსარება ცოდვათა შენთა. 5.8 *Φησὶ γὰρ ὁ Σοφὸς· Περὶ τῆς ψυχῆς σου μὴ αἰσχυσθῆς. Ἔστι γὰρ αἰσχύνη, ἣ ἐπάγει ἁμαρτίαν, καὶ ἔστιν αἰσχύνη, δόξα καὶ χάρις. Καὶ μὴ λάβῃς πρόσωπον κατὰ τῆς ψυχῆς σου, καὶ μὴ ἐντραπῆς εἰς πᾶσιν σου. Καὶ μὴ αἰσχυσθῆς ὁμολογῆσαι ἐφ' ἁμαρτίας σου.*

საინტერესოა დამოწმება: ქართულში სენტენციის წყაროდ საღვთო წერილი სახელდება, ხოლო ბერძნულში იგი უფრო ზოგადია - *ὁ Σοφός*(ბრძენი). მომატყუებელი ბერძნულში არის *ἐπάγει*, რაც მოყვანას ნიშნავს, ქართულში გავრცობილია მაღლი სულისა(*χάρις*), ხოლო თუალ-ლება ზმნის, რომელიც თავისთავად შეკრძაღვის, მორიდების, მიკერძოების შინაარსს ატარებს, იდენტური დედანში არის *λάβης πρόσωποι*, ამ შედგენილი შემასმენლის ზმნა აღებას ნიშნავს, ხოლო არსებითი სახელი - პიროვნებას. დაკლებული ადგილის აზრი, დაახლოებით, ასეთია: და ნუ მიიქცევი შენი დაცემისაკენ.

და შემთხვევის კაცსა უძლურებისგანცა და დაჰქსნის ძილსა უცნებაჲ იგი დინებისაჲ ძილსა შინა და კუალად ფრიადისაცა ჩუეულებისაგან ბოროტისა კორცთაჲსა მოიწვევის, რამეთუ ორნი დინებანი არიან კაცსა თანა არსებითნი. 7.2

*Ἔστι δὲ καὶ ἀπὸ χαυσότητος, καὶ ἀσθενούσας δυνάμεως ὑπομῆναι ἐνσπνσιασμόν καὶ ἔστι πάλιν ἐκ ποιητῆρας συνθεσίας τῆς σαρκός, συνθεΐσα εἰς μολυσμὸν καὶ πορνείαν. Δύο γὰρ εἰσι ῥύσεις ἐνσπύστατοι ἐκ τοῦ σώματος.*

ქედმაღლობა(*χαυσότητος*), თარგმანში არ არის, შემთხვევის შესაბამისად ბერძნულში გვხვდება დამხმარე ზმნა არის(*ἔστι*) და *ἀπο*(გან) წინდებული, ხოლო საწყისი *ὑπομῆναι*(*υπομεινω* დარჩენას გულისხმობს) ქართულში არის ზმნა დაჰქსნის. კაცსა თანა არსებითნი პერიფრაზირებულია და მას დედანში შეესაბამება *ἐκ τοῦ σώματος* - სხეულებრივი, ხორციელი. დაკლებული ადგილი, დაახლოებით, სიბილწისა და ავხორცობის ერთობლიობას მოიაზრებს.

რამეთუ ვიხილენ კაცნი მოხუცებულნი და ასწელად მიახლებულნი და ვერშემძლებელნი განყენებად კორციელთა ცოდვათაგან ფრიადისა მისგან ჩუეულებისა, რამეთუ ესრეთ ყოველთავე ვნებათა არს უძერეს ბოროტი ჩუეულებაჲ. 7.8

*Καὶ γὰρ ἑώρακα ἀνδρας εκατοντατεις ἀδυνατους, καὶ ὁλω σχεδὸν σωματι τρεμοντας, ἀποστηναι δὲ τῆς σωματικῆς ἀμαρτίας μὴ δυνήθεντας, δια τῆν χροιαὶν συνηθειαν(Οὕτω χαλεποτερὰ πάντων ἐστὶ τῶν παθῶν ἡ κακὴ συνηθεια).*

კაცნი მოხუცებულნი - მისი ფარდი დედანში უნდა იყოს *ἀνδρας...ἀδυνατους*, მიმღეობა მიმღეობითვე არის გადმოტანილი მეორე ტექსტშიც ვერშემძლებელნი და *μὴ δυνήθεντας*, სიტყვა ფრიადი ენაცვლება სიტყვა ხანგრძლივს, დროსთან დაკავშირებულს - *δια τῆν χροιαὶν συνηθειαν*. ადეკვატური შინაარსია გადმოტანილი

სიტყვიდან სიტყვაში (ვნებათა - *παθω*). დაკლებული ადგილი, დაახლოებით, ასეთია: რომლებიც თითქმის კანკალებდნენ.

განისწავლა არამედ ამისთვის, რადთა უმეტესდა მართალ და წმიდა იპოს, ვითარცა იგი ჰრქუა მას ღმერთმან: ანუ ჰგონება, თუ სხუად რადმე გამოიცადე, არამედ რადთა გამოსწინდე მართლად. 8.5

*Ἐπαδεύθη Ἰωβ, ἵνα δικαιότερος γένηται, ὡς φησιν ὁ Θεὸς πρὸς αὐτὸν· Μὴ ἀποποιῶ μου τὸ κρίμα, μὴ δὲ οἶσιν με ἄλλως σοι κεχρηματικέιναι, ἢ ἵνα ἀναφανῆς δίκαιος.*

ამ მონაკვეთში განსაკუთრებული გაუგებრობა იქნეს თავს: თარგმანში არ არის ორიგინალის *ἰωβ*, მის ნაცვლად ჩასმულია ზმნა II სერიის II კავშირებითისა იპოს. უგულვებელყოფილია წინდებულებიანი კალკი *φησιν ὁ Θεὸς πρὸς αὐτὸν* - ჰრქუა მას ღმერთმან. საწყის *κεχρηματικέιναι* ფარდი ქართულში არის ვნებითი გვარის ზმნა გამოიცადე, და არის *χρᾶω* ზმნის perf.inf., და საჭიროებას ნიშნავს დაკლებული ადგილი, დაახლოებით, ასეთია: ნუ უკუაგდებ ჩემს განაჩენს.

და დავით იტყვს: ნუ გშურნ მათი, რომელთანი წარმართებულ არიან გზანი მათნი კაცისა თანა, რომელი იქმოდის უსჯულოებასა, რამეთუ, აჰა ესერა, ცოდვილნი წარწყმდენ, ხოლო მტერნი უფლისანი დიდებასა მათსა და ამაღლებასა მოაკლდენ, და ვითარცა კუამლი განქარდენ. 9.8

*Καὶ τοῦτο εἰδὼς ὁ Θεὸς Δαβὶδ, παραινεῖ λέγων· Μὴ παραζήλου ἐν τῷ κατευδουμένῳ, ἐν τῇ ὁδῷ αὐτοῦ, ἐν ἀνθρώπῳ ποιοῦντι παρανομίαν. Καὶ· Ὅτι οἱ ἄμαρτοιοὶ ἀπολοῦνται, καὶ οἱ ἐχθροὶ τοῦ Κυρίου, ἀμὰ τῷ δοξασθῆναι αὐτοὺς, καὶ ὑψωθῆναι, ἐκλείποντες ὡσεὶ καπνὸς ἐξέλιπον.*

*εἰδὼς*, საერთოდ, სახეს გულისხმობს, ხოლო *παραινεῖ*(*παραινεω*) - შეგონებას, *παραζήλου*(*παραζηλωω*) - უფრო გაღიზიანებას, ეჭვიანობას, *κατευδουμένῳ* (*κατευδω*) - უქმობას. ბერძნულის წინდებულები ქართულში უკუდებულებით არის გადმოტანილი, კაცისა თანა - *ἐν ἀνθρώπῳ*, ხოლო დედნისეული მიმღეობა თარგმანში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა(*ποιοῦντι παρανομίαν* -რომელი იქმოდის უსჯულოებასა).

შდრ.: ნუ გშურნ უკეთურთაჲ ნუცა გშურნ მათი, რომელნი იქმან უსჯულოებასა(ფსალმ., 36,1); რამეთუ ცოდვილნი წარწყმდენ, ხოლო მტერნი უფლისანი დიდებასა ოდენ მათსა და ამაღლებასა მოაკლდენ და ვითარცა კუამლი განქარდენ(ფსალმ., 36,20).

ვითარცა იტყოდა, ვითარმედ: მცირე და ბოროტ არიან დღენი ცხოვრებისა ჩემისანი, რადესათვის დავით ყოველი ცხოვრება თვისი შრომით და ძნელუვანად აღასრულა მრავლითა ჭირითა და მწუხარებითა, ხოლო ძემან მისმან სოლომონ, ორმეოცი წელი უმეტეს ყოველთა კაცთა შუებითა და დიდებითა გარდაიჰადა. 9.13

*διὸ ἔλεγεν· „Αἱ ἡμέραι τῆς ζωῆς μου μικραὶ καὶ ποιηραί. Διὰ τὸ μὲν Δαβὶδ, προφήτης ὦν, τὸν ἅπαντα χρόνον αὐτοῦ ἐν κινδύνοις καὶ πόνοις ἔζησεν, ὁ δὲ υἱὸς αὐτοῦ Σολομῶν, τεσσαράκοντα ἔτη, πάντων ἀνθρώπων ἀδεέστερος διήγεν εἰρήνης ἀπολαύων βαθείας, δόξης, τιμῆς, καὶ τρυφῆς ἅπαν εἶδος ἐπινοῶν.*

ამავდროულად, არის ტექსტის მატებაც. ბერძნულ ნაწილში აკლია მრავლითა ჭირითა და მწუხარებითა. ცხოვრების შესაბამისი დედანში დროა (χρόνιοι), ძნელუვანის შესაბამისი კი - *ἐν κινδύνοις*, რაც ნიშნავს საფრთხეში. *ἔζησεν* - I aor. *ζαω* ზმნიდან და გულისხმობს ცხოვრებას, მისი ფარდი თარგმანში არის აღწერილობითი ცხოვრება... აღასრულნა, ხოლო ჭირითა და მწუხარებითა, ჩამატებულია. დაკლებული ადგილი, დაახლოებით, ასეთია: უსაფრთხოდ გემება მშვიდობისა, პატივისა და განცხრომისა.

უკუეთუმიცა არა მრავალნი სათნოყოფილ იყვნეს ღმრთისა სოფელსა შინა სიმდიდრესა და ქორწინებასა მყოფნი, აქუნდამცა სიტყუად ესევეთარისა მის მიზეზისა მეტყუელთა. 12.1

*Εἰ μὲν μὴ ἐσηρέστησαν τῷ Θεῷ καθ' ἐκάστην γενεὰν τοιοῦτοι ἄνδρες, λέγω δὴ, ἐν κόσμῳ καὶ πλούτῳ, καὶ γάμῳ, καὶ ἐξουσίᾳ, καὶ ἀπολαύσει ὑπάρχοντες, τάχα ἂν εἶχον ἀπολογίαὺν τι νὰ οἱ τὰς τοιαύτας προφάσεις προφασίζόμενοι ἐν ταῖς ἀμαρτίαις αὐτῶν.*

ბერძნულის I აორისტის ზმნა *ἐσηρέστησαν* ქართულში აღწერილობითი ფორმაა - სათნოყოფილ იყვნეს, სიტყვას შეესაბამება *ἀπολογία*, რაც თავის მართლებას, საპასუხო სიტყვას ნიშნავს. მიზეზისა მეტყუელთა მისი ადეკვატია მრავლობითი რიცხვის *προφασίζόμενοι*. დაკლებული ადგილები, დაახლოებით, ბოლო წინადადებაში ნიშნავს: თავის ცოდვებში.

ერო ჩემო, მიეყიდენით წარმართთა არა წარსაწყმედელად, არამედ რამეთუ განარისხეთ უფალი ღმერთი თქუენი და მიეცენით მტერთა. 14.3

*Θαρσεῖτε, λαὸς μου, μνημόσυνον Ἰσραήλ. ἐπράθητε τοῖς ἔθνεσιν, οὐκ εἰς ἀπώλειαν, διὰ δὲ τὸ παροργίσει ὑμᾶς τὸν Θεόν, παρεδόθητε τοῖς ὑπεναντίοις.*

დაკლებული პირველი სიტყვა, *Θαρσεῖτε* (*θαρσεω*), გაბედვას, სიმამაცეს გულისხმობს, ხოლო მეორე, *μνημόσυνον* - ხსოვნას. ზუსტი თარგმანია სიტყვა

მიეყიდებით, იგი ნაცვალია დედნისეული სიტყვისა *ἐπράθητε, πιπρασκω* ზმნიდან და გაყიდვას, გაცემას, ასევე გაწირვას, დამონებას ნიშნავს. ორსავე ტექსტში სწორედ ამ ბოლო ორი ზმნის შინაარსი დევს.

საცნაურ არს, რამეთუ რაოდენი ძვრი შეემთხვოს მტერთაგან, მართლმსაჯულებითა ღმრთისაჲთა შეემთხუევის ცოდვათა ჩუენთათჳს, რამეთუ თვთმფლობელ გუყვნა ღმერთმან და კვლმწიფებაჲ გუაქუს ცხორებისა ჩუენისაჲ და წარწყმედისაჲ. 14.10

*Οὐδὲν τοίνυν τῶν συμβαινόντων ἡμῖν σκυθραπῶν, ἀμαρτανόντων ἀδίκως ἐκέρχεται, ἀλλὰ πάντα κατὰ δίκαιαν κρίσιν Θεοῦ, καὶ αἱ ἀδικίαι ἡμῶν προξενῶσιν ἐφ' ἡμῶν τὰ κακά ... Ἀυτεξούσιοι γάρ ἐσμεν τῆς ἑαυτῶν σωτηρίας καὶ ἀπολείας.*

ჩართულს, საცნაურ არს ბერძნულის *τοίνυν* უნდა შეესაბამებოდეს, დედნის მიმღეობა ისევ ზმნა თარგმანში - *συμβαινόντων* - შეემთხვოს. აღწერილობითი კვლმწიფებაჲ გუაქუს, დედანში სხვა ტიპის აღწერილობითი ფორმითაა გადმოცემული *Αυτεξούσιοι γάρ ἐσμεν*. დაკლებული ადგილი გულისხმობს, დაახლოებით, ამას: ჩვენი უსამართლოებანი მოგვეგვრის ჩვენ ბოროტს.

## პერიფრაზი

მარადის ხედავნი და თაყუანისცემენ მას და შესწირავენ მსხუერპლსა ქებისასა.  
*λοιπον τον Θεον εν εαυτω προσκυνει, και λειτουργει.*

აწ, ისმინეთ სახლო ისრაელისაო, უკეთუ მიაქციოს მართალმან სიმართლისაგან თვისისა და ქმნეს ცოდვად და მოკუდეს ცოდვასა მას შინა თვსა, რომელ ქმნა, მას შინაცა მოკუდეს. 3.2. უკუეთუ მიაქციოს უსჯულომან უსჯულოებისაგან თვისისა, რომელ ქმნა და იქმოდის სიმართლესა და განკითხვასა, ამან სული თვისი დამარხა და მოიქცა ყოველთაგან უღმრთოებათა თვსთა, რომელ ქმნა, [ცხორებით ცხონდეს], სადა არა მოკუდეს. 3.3. და კუალად იტყვს: სიმართლემან მართლისამან არა გამოიკსნას იგი, უკეთუ მიაქციოს ცოდვად უსჯულომან, თუ მიაქციოს ყოველთაგან უსჯულოებათა მისთა, რომელ ქმნა და მერმე დაიმარხნეს ყოველნი მცნებანი ჩემნი, რადთა ქმნას სიმართლე და მოწყალება, ცხორებით ცხონდეს და არა მოკუდეს და ყოველნი ცოდვანი არა მოვიკსენნე, სიმართლითა მისითა, რომელ ქმნა, მით ცხონდეს. 3.4. არა ნებითა ვინებო სიკუდილი ცოდვილისა, იტყვს უფალი ღმერთი, არამედ მოქცევად მისი გზისა მისგან ბოროტისა და ცხორებად მისი. 3.5.

*Kai pálin· Dikaiosýnē dikáiou ós mē éxēleítai autón, én hēi an héméra plaiñthē. Kai ánoμία áσεβοῦς οὐ μὴ κακώσει αὐτόν. Ἐν hēi an héméra áποστραφῆ ἀπὸ τῆς áνομίας αὐτοῦ. Ἐκαστον ἐν ταῖς ὁδοῖς ὑμῶν, κρινῶ ὑμᾶς, οἶκος Ἰσραήλ.*

მდრ.(ეზეკიელი, 3,20)

და დავითცა წამებს: რომელთა გარდააქციონ გულარძნილებად, მიიყვანნეს იგინი უფალმან მოქმედთა თანა უსჯულოებისათა. 3.6

*Τοὺς δὲ ἐκκλίνοντας εἰς τὰς στραγαλιὰς, ἀπάξει Κύριος μετὰ τῶν ἐργαζομένων τὴν áνομίαν*

მდრ.: ხოლო რომელთა გარდააქციონ გულარძნილებად, მიიყვანნეს იგინი უფალმან მოქმედთა თანა უსჯულოებისათა(ფსალმ., 124,5).

რადთა არა უგუნურთა აღსუბუქებითა კანონსადათა შეურაცხებად და სიმცირე ცოდვისადა ასწაონ, ანუ უზომოდთა აღსუბუქებითა სასოებად წარუკუეთონ. 5.6

*ἵνα μὴ διὰ τῆς ἀλόγου συμπαθείας, καὶ οἰκονμίας, ἢ διὰ τῆς ἀκαίρου, καὶ ἀνεπιστήμονος παραστάσεως τῶν ἐπιτιμίων καταφρονητὴν οἰκονομίας ἀνάλητον, ἢ ῥάθυμον, καὶ παρειμένον σε ἀπειργάσηται.*

სხუანი კუალად, ღოცვითა მშობელთა მათთადათა განმარჯუებულ არიან და შეწყალებულ, ვითარცა სოლომონ დავითისათვს, ვითარცა ჰრქუა მას ღმერთმან. 9.3

*Τινὲς δὲ ἐξ εὐχῶν προγονικῶν, ὡς Σωλομῶν διὰ τοῦ Δαβὶδ, φιλανθρωπίας ἀξιῶνται. Φησὶ γὰρ ὁ Θεὸς πρὸς αὐτόν.*

ვითარცა იტყვის ნეტარი იოანე ოქროპირი, ვითარმედ: რაღსთვს ბრაჰამ მდიდარ იყო და იაკობ ნაკლულეგანი. არა იგიცა მართალ იყო, ვითარ უკუე იგი მდიდარ იყო და ესე გლახაკ უფროდს. 9.11

*Τίνος ἔνεκεν Ἀβραὰμ ἐπλούτει, ὁ δὲ Ἰακώβ ἄρτου ἐδείτο· Οὐχὶ δίκαιος ἦν καὶ οὗτος.*

აკ შეინიშნება ტექსტის მატებაც.

არამედ ესე გულისკმა-ყავ, ვითარ ესავ ბილწ იყო და სიმდიდრე ფრიად აქუნდა, ხოლო იაკობ შრომით და რუღუნებით ცხონდებოდა კეთილად, ვითარ ისაკ ფლობით გარდაიკადნა დღენი თვისნი და ფართოებით, ხოლო იაკობ ჭირვეულად და იწროებით. 9.12

*μᾶλλον δὲ, ὅΥ μὲν Ἡσαῦ ἐπλούτει βέβηλος ὦν, ὁ δὲ Ἰακώβ ἐν δουλείᾳ ἦν τοσαύτη, Διὰ τί δ' ἐ πάλιν ὁ μὲν Ἰσαὰκ μετὰ ἀδείας ἔζησε τὸν ἅπαντα χρόνον τῆς ζωῆς αὐτοῦ, ὁ δὲ Ἰακώβ ἐν μόχθοις καὶ ταλαιπορίαις.*

ვითარ იგი იყო ბრაჰამ, ისაკ, იაკობ, დავით და მსგავსნი მათნი, რომელნი ვერ დააბრკოლნა სიმდიდრემან და მონაგებთამან და შვილთა სათნოყოფად ღმრთისა, რამეთუ არათუ სიმდიდრე არს ბოროტ, არამედ ბოროტად კმარებაჲ არს წარმწყმედელ. 12.3

*φημί δὲ τοὺς περὶ τὸν Ἀβραὰμ, καὶ ἰωβ, καὶ Δαυὶδ, καὶ τοὺς ὁμοίους, Ἀγαθὸ γὰρ, φησὶ, ὁ πλοῦτος, ὃ μὴ ἔστιν ἁμαρτία.*

აკვე აღინიშნება ტექსტის მატებაც.

ძრვანი და ტყუეობანი, და რაოდენი ძვრი შეემთხუევს კაცთა წარმართთა მიერ, ბრძანებითა ღმრთისაჲთა იქმნებისა. XIV

*Ἄρα πάντα τὰ κακὰ, ὅσα ποιοῦσιν ἡμῖν τὰ ἔθνη, κατὰ κέλευσιν θεοῦ ποιοῦσιν.*

ქართულში მიმართება მესამე პირისაღმია (კაცთა), ბერძნულში პირველისაღმი (ჴმუნ). ეს, როგორც წესი, ამ ორი ვარიანტისათვის.

ეგრეთვე ეზეკიელის მიერ იტყვს იერუსალიმელთათვის: ცანთ ყოველთა წარმართთა, რამეთუ ცოდვათა მათთვის ტყუე-იქმნა სახლი ისრაელისაჲ, რამეთუ შეურაცხ მყვეს მე და ქმნეს წინაშე ჩემსა ბოროტი, რად იგი არა მენება, გამოირჩიეს. 14.8

*Ὅμοίως δὲ καὶ ὁ Ἐζέκιηλ ἐκ προσώπου Θεοῦ φησι... Καὶ γνώσονται πάντα ἔθνη, ὅτι διὰ τὰς ἀμαρτίας ἠχμαλωτίσθησαν οἴκοι Ἰσραὴλ ἀπὸ ἡμέτερον εἰς ἐμέ.*

შდრ.:(ეზეკიელი, 5,6)

ეს მოვლენები იდენტურობა, მატება, კლება, მეტნაკლებად პირობითია, რადგან ერთსა და იმავე მონაკვეთში შეიძლება ფიქსირდებოდეს ეს სამივე შემთხვევა.

ე.წ. შერეული მონაკვეთები



რომელი იგი განუმზადა და გამოუცხადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა და რომელი ღირს-იქმნას ამა საზომსა მიწევნად, და დაემკვდროს ღმერთი მის შორის. 2.10

*τὰ τοιαῦτα, ἃ ἠτοίμασεν καὶ ἀπεκάλυψεν ἡμῖν ὁ Θεὸς διὰ τοῦ Πνεύματος αὐτοῦ, τοῦ ἐνοικοῦντος ἐν ἡμῖν.*

თარგმანში გამოყენებულია III პირი ირიბი ობიექტის აღსანიშნავად, დედანში II პირი(ἡμῖν). წყვეტილის ფორმები ქართულისა ბერძნულში, შესაბამისად, I აორისტი(ἠτοίμασεν καὶ ἀπεκάλυψεν-განუმზადა და გამოუცხადა), ხოლო II კავშირებითის დაემკვდროს ნათესაობითი ბრუნვის მიმღეობა *ἐνοικοῦντος*, რომელიც მიემართება წმინდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასს, სულიწმიდას. შეინიშნება შესაბამისობაც, მატებაც და პერიფრაზიც.

ხოლო სხუათა მათ წესთა გალობითა და განგებითა და დღესასწაულთა საეკლესიოთა არა არს საგნებელ ესევეთარისა მის, რამეთუ ყოველნი იგი სახენი ესევეთართა განგებულნი სულსა შინა მისსა არიან და თანამკვდრ არს მშვედობად სამებისა წმიდისა. 2.12

*ἐν ᾧ οἱ ὅλῃ τὸ πλήρωμα τῆς Τριάδος κατοικοῦν.*

ოქსირდება განსხვავებული ტექსტიც და პერიფრაზიც.

ჭეშმარიტად ტკბილ არს უღელი უფლისაჲ და ტვრთი მისი სუბუქ და მცირე, თუ ვინმე გულსმოდგინებაჲ აჩუენოს, არარაჲ არს დამაბრკოლებელ სათნოყოფად უფლისა. 4.7

*ὁρᾶς, ὡς οὐδὲν φορτικόν, ἢ ἀδύνατον ἡμῖν ἐνομοθέται· εἰκότως οὖν ἔλεγεν ὁ Κύριος· Ὁ ζῆλος μου χρεστός, καὶ φορτίον μου ἔλαφπὸν ἐστίν.*

არის განსხვავებული ტექსტიც და იგივეობრივიც.

ბედი წარმართთა მიერ თქუმულ არს, რომელთა იგი არა ჰრწამს ცხოველი ღმერთი, არამედ ჰმსახურებენ კერპთა და ვარსკულავთა თაყუანის-სცემენ. 15.1

*Τύχη μὲν παρὰ τοῖς Ἕλλησιν ἐρρέθη, ἥτις ἐστὶν ἀπρονόητος τοῦ κόσμου διοίκησις.*

ბერძნულის პასიური ფორმის ფარდად ქართულში აღწერილობითი ფორმაა(ἐρρέθη-თქუმულ არს), შენარჩუნებულია წინდებულიანი ფორმაც(παρὰ τοῖς Ἕλλησιν-წარმართთა მიერ) ხოლო დაკლებული ადგილი ნიშნავს სამყაროს შეუცნობლობას

აღდგენილი მონაკვეთები:

რად არს [მა]მონად იგი სიცრუვისად? XI

*Τὴ ἐστὶν ὁ μαμωνᾶς τῆς ἀδικίας.*

რად არს ბედი ანუ ჯუარსა ქრისტეანეთაგან აღსარებად ბედისად? XV

*Τὴ ἐστὶ τύχη, καὶ εἰ ἔξῃστι Χριστιανὸν ὁμολογεῖν τύχην.*

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ თარგმანი ყველა სემანტიკური და ლექსიკური მნიშვნელობებით მსგავსია დედნისა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია ერთი ენიდან მეორე ენაზე შინაარსის გადატანისას. წინამდებარე თხზულება არ არის ფილოსოფიური- დოგმატური ხასიათისა, ამიტომ სიტყვის პოლისემატურობა აქ ნაკლებად საგულისხმოა.

მთარგმნელი გაურბის ორიგინალისაგან განსხვავებული ფორმის შემოტანას, მაგრამ როცა ეს საჭიროა ემოციური ხაზგასმისა ან ენობრივი ნორმების სხვაობების გამო, ამას აკეთებს ისე, სათქმელიც ზუსტად გადმოაქვს და ქართული ენის ბუნებასაც კარგად წარმოაჩენს. ინტენსიურად იყენებს ბერძნული ენისათვის დამახასიათებელ მიმღეობურ და ინფინიტივურ კონსტრუქციებს, აღწერილობით და წინდებულებიან ფორმებს, ართრონს. ჩვენ ვფიქრობთ, იგი ელინოფილური პრეციზიური მთარგმნელობითი პრაქტიკის მიმდევარი უნდა იყოს.

ავტორი

თხზულების ავტორი არის წმ. ანასტასი ანტიოქიელი, იგივე ანასტასი სინელი. VI-VII საუკუნეებისათვის სინას მთის მოღვაწეთა შორის დასახელებულია სამი ანასტასი ანასტასი I ანტიოქიის პატრიარქი, ანასტასი II, ასევე ანტიოქიის პატრიარქი და მესამე ღირსი ანასტასი, სინელი იღუმენი. ჩვენ ვფიქრობთ, წინამდებარე თხზულების ავტორი ეს უკანასკნელი უნდა იყოს.

იგი, სავარაუდოდ, VII საუკუნის დასაწყისში დაბადებულა. წარმოშობით კიპრელი იყო, ქალაქ ამაფუნტიდან. სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში მაშინ მისულა, როცა იქ წინამძღვარი იოანე კლემაქსი, კიბისაღმწერელი იყო. მის მონასტრულ მოღვაწეობას დაემთხვა მშფოთვარე მოვლენები VII საუკუნისა: სპარსთა და არაბთა შემოსევები, და ასევე დოგმატიკური უთანხმოებანი, რომელშიც წმ. ანასტასიც ინტენსიურად იღებდა მონაწილეობას, რაც, ძირითადად, მონოფიზიტობისა და მონოთელიტობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. მან მართლმადიდებლური მოძღვრების ქადაგებით მოიარა ეგვიპტე, პალესტინა და არაბეთი. მის გარდაცვალებას ვარაუდობენ VII საუკუნის ბოლოს, ან VIII საუკუნის დასაწყისისათვის.

როგორც საეკლესიო მწერლის, მისი მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი ყოფილა იგი არის ავტორი ცნობილი საღვთისმეტყველო დოგმატიკური თხზულებისა, რომელიც ქართულ ენაზე ცნობილია, როგორც „წინამძღვარი“ (თუმცა მკვლევარი კორნელი კეკელიძე არ მიიჩნევდა, რომ ეს თხზულება კონკრეტულად ამ ავტორს მიეკუთვნებოდა. კეკელიძე 1975: 12)

სულ სხვა ხასიათს ატარებს მისი მეორე თხზულება - „კითხვა-მიგებანი“, რომელიც მოცულობით უფრო მეტია, ვიდრე პირველი. იგი გამოქვეყნებულია პატროლოგიის 89-ე ტომში (312-824), მოიცავს 154 კითხვა-პასუხს და გამოყოფს ფართო სპექტრს პრობლემებისას: დოგმატურს, ეგზეგეტიკურს, ასკეტიკურს ... , მაგრამ ძირითადი აქცენტები ზნეობრივ-მორალურ მხარეზე კეთდება. ჩვენი თხზულება აქედან მხოლოდ 16 კითხვა-მიგებას წარმოადგენს.

წმ. ტიმოთე ალექსანდრიელის კითხვა-მიგებითი თხზულება

## ენობრივი ანალიზი

თხზულება, მართალია, ნათარგმნია XI საუკუნეში, მაგრამ თითქმის არ ამჟღავნებს ამდროისათვის ნიშანდობლივ გრამატიკული ნორმებისადმი მერყეობას.

აქმოშლილია ემფატიკური სიკუდილის ჟამსა 2.2; წვალებისგან 9.2.

არასწორი ფორმა: დღესა შუისასა 8.1.

ამოვარდნილია ბგერა: იშუთ 12.2.

S2 O3-სათვის: ზედმეტია-- ვჰპოებ 15.2.

ასიმილაცია: უშჯულო 11.2; საშჯელსა 14.2.

ერთდროულად გვხვდება: ლოცვაჲ და ლოცუაჲ 9.1; კათაკმეველი 4.1 და კათაკუმეველი 1.1

პარონომაზია: გულს აქუნდეს გულისთქუმაჲ 12.2

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართებისათვის:

პრეპოზიციური წყობა: კათაკმეველი ყრმაჲ 1.1; ეშმაკეული ვინმე 2.1; თუსთა მისთა 2.1; წმიდაჲ ნათლისღებაჲ 2.1; არაწმიდისა მისგან სულისა 2.2; წმიდისა ნათლისღებისა 2.2; სიკუდილის ჟამსა 2.2; განსრულებული მორწმუნე 3.1; წმიდათა საიდუმლოთაჲ 3.1; კათაკმეველი ვინმე 4.1; კათაკმეველმან დედაკაცმან 6.1; სსუათა მწვალებელთასა 9.1; საღუთოდსა შესაწირავისსა 9.2; წმიდაჲ აღესებაჲ 10.1 და ა.შ.

პოსტპოზიციური წყობა: წლისა შუდისა 1.1; კაცი სრული 1.1; ჟამ რაოდენმე 5.2; უთმინობითა თქუენითა 5.2; სახელი თუსი 6.1; წესსა დედათასა 7.1; ტვრთვაჲ საზრდელისაჲცა და სასუმელისაჲ 8.2; თავისუფალყოფაჲ მისი 10.1; მიღებაჲ ზეთისაჲ 10.2; დისა მისისა 11.1; დღეთა შუდუელისათა 13.2 უთმინობითა თქუენითა 13.2; დაცვაჲ თავისა თუსისაჲ 15.1 და ა.შ.

შერეული წყობა: დღესა ნათლისღებისა მისისა 6.1; ჩუეულებითი წესი დედათაჲ 6.1; ზიარებაჲ ცოდვათა უცხოთაჲ 11.2 და ა.შ.

ბერძნისებები:

ა) აღწერილობითი ფორმები: ჯერ არს ყოფად მისთვის 1.1--

*τί όφείλει γίνεσθαι περι αυτῆς*; ნათლისცემაჲ ჯერ არს 1.2-- *Φωτισθῆναι όφείλει*; ვერ ძალ-უც მიღებაჲ 2.2—*ού δυναται λαβείν*; ჳუებულ იქმნეს ცნობისაგან 4.1 -- *γένεται έκ φρονός*; ვერშემძლებელ იყოს აღსაარებაჲ 4.1 -- *μη δύνηται ... όμολογήσαι*; მოქენე იყენენ 4.1; ჯერ არს ნათლისღებაჲ 6.1 -- *όφείλει φωτισθῆναι*; ჯერ არსა ...

მარხვად და არა სუმაღ ღვინსად 8.1 *ὀφείλει νηστεῖσαι καὶ μὴ πινεῖν οἶνοι;* განკსნად უღირს 8.1; უკმს ჳუმევაად 8.2 -- *ὀφείλει καταλαβεῖν;* უკმს ლოცუაად 9.1 -- *ὀφείλει ... εὐχεσθαι;* აღსთქუმიდეს შენანებასა და სივლტოლასა წვალებისგან 9.2 *ἐπαγγέλλωνται μετανοεῖν καὶ ἐκφεύγειν τὴν αἵρεσιν;* თავისუფალყოფაად 10.1; ფლობილყოფაად 10.2; მიღებაად ... სამართალ არს 10.2; შეუღლვად ქორწილისა 11.1 - *τὸ ζεῖναι γάμοι;* ქმნად ჟამისწირვისა 11.1 - *ἡ προσφορὰν ποιῆσαι;* უკმს ... ზიარებაად 11.2 *ὀφείλει ... κοινωνεῖν* და ა.შ.

ცხადია, მეშველზმნებად ქართულში ძირითადად მოხმობილია ზმნები ჯერ არს, ენებოს, ძალ-უც, კმა არს, უღირს, უკმს, აქუნდეს, იქმნეს. ძველ ბერძნულში *οφειλει, χρη, δει, δυναται, ποιη.* სახელად ნაწილად გეხვედება სხვადასხვა ბრუნვაში დასმული სახელზმნები.

პასიური კონსტრუქციები: დაემთხოს 1.2; იგუემებოდის 3.1; 15.1; განემორებით 5.2; 13.2; განგცადნეს 5.2; განწმდეს 6.2; გამოხნდების 15.2 და ა.შ.

ბ) წინდებულიანი კონსტრუქციები: არაწმიდისა მისგან სულისა 2.2 - *ἀπὸ τοῦ ἀκαθάρτου πνεύματος;* ეშმაკისაგა იგუემებოდის 3.1; ჳუებულ იქმნეს ცნობისაგან 4.1 *γίνεται ἐκ φρονός;* არაწმიდისა სულისაგან 4.2 - *ὑπὸ πνεύματος ἀκαθάρτου ;* სიმდაბლესა შინა და უძღურებასა 8.2 *ἐν ταπεινώσει ἐστὶ καὶ ἀσθeneia;* ფრიადისაგან სნეულებისა 10.1 *ἀπὸ τῆς πολλῆς ἀσθeneias;* ამის მიზეზისათვის 12.2 *διὰ τῆς προφάσεως ταύτης;* საშჯელსა შთავარდეს 14.2 *ὑπὸ κρῖμα πέση* და ა.შ.

გ) ართრონი: ვინმე კათაკმეველი 2.1; მისგან სულისა 2.2; საიდუმლოსა რასმე 3.2; სარწმუნობისა თვისა 4.1; სახელი თვისი 6.1; სამღდელთაგანსა ვისმე 9.1; უძღურსა მას 10.2; ქორწინებაად იგი 11.1; მის წირვისასა 14.2; საქმესა მაგას 15.2 და ა.შ.

კომპოზიციები: ვერშემძლებელ 4.1; თავისუფალყოფაად 10.1; ფლობილყოფაად 10.2; თანამიყოლაად 11.1; სულმოკლექმნილმან 14.2.

როგორც ვხედავთ, თხზულება, ენობრივი თვალსაზრისით, გამართულია ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით, ხოლო თარგმანის თვალსაზრისით, იგი აბსოლუტურად კალკირებულია ძველი ბერძნულიდან.

ქართული ტექსტი მთლიანად იდენტურია ბერძნული ორიგინალისა:

**უკუეთუ კათაკმეველი ყრმაჲ, ვითარ წლისა შუდისა, რომელ არს კაცი სრული, დაემთხვოს სადმე ჟამისწირვასა და ეზიაროს, რაჲ ჯერ არს ყოფად მისთვის. 1.1**  
*Ἐὰν παῖδον κατηχούμενον, ὡς ἐτῶν ἑπτὰ, ἢ ἀνθρώπου τέλειος εὐκαιρήση που προσφορᾶς γινομένης, καὶ ἀγνοῶν μεταλάβῃ, τί ὀφείλει γίνεσθαι περὶ αὐτοῦ.*

სიტყვა კათაკმეველი გადმოცემულია მიმდევობით *κατηχούμενον*, ქართულ ტექსტში არ არის სიტყვა *ἀγνοῶν*, რაც ნიშნავს გაუცნობიერებლობას. ზმნები ქართულშიც და ბერძნულშიც კავშირებითის კილოთი არის გადმოცემული. ზუსტად კალკირებულია ბოლო წინადადება რაჲ ჯერ არს ყოფად მისთვის - *τί ὀφείλει γίνεσθαι περὶ αὐτοῦ*. ყოფა საწყისს შეესაბამება ასევე საწყისი საშუალებებითისა *γίνεσθαι*, რომელიც უნდა იყოს *γινωσκω* ზმნიდან და ამ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს გადაწყვეტას, განსაზღვრას.

**ნათლისცემად ჯერ არს, რამეთუ ღმრთისა მიერ წოდებულ არს. 1.2**  
*Φατισθῆναι ὀφείλει παρὰ Θεοῦ γὰρ κέκληται.*

საწყისი ზუსტად არის გადმოტანილი საწყისითვე(ნათლისცემად - *Φατισθῆναι*), აწმყო დროის ზმნაც, ასევე (*ὀφείλει*(*οφειλω* ზმნიდან აუცილებლობას, საჭიროებას ნიშნავს) -ჯერ არს). აზრი, ქართულში(ბერძნულშიც) დამოკიდებული წინადადების მეშვეობით არის გადანაწილებული, თუმცა წინდებულებიანი ფორმისა და ვნებითი გვარის კომბინაცია შენარჩუნებულია. უფო მეტიც, ამ შემთხვევაში ბერძნულის პირიან ფორმას ანაცვლებს ზოგადად ბერძნული ენის კალკი აღწერილობითი ფორმა - *κέκληται* - წოდებულ არს.

**უკუეთუ ეშმაკეული ვინმე კათაკმეველი იყოს და ენებოს მას, ანუ თვსთა მისთა, რადთა მიიღოს მან წმიდაჲ ნათლისღებაჲ, უკმსა მას მიღებაჲ, ანუ არა, უფროდსდა, უკუეთუ მიახდეს სიკუდილ? 2.1**

*Ἐὰν δαιμονιζόμενους κατεχούμενος ἦ, καὶ θελήσῃ αὐτὸς, ἢ οἱ ἴδιοι αὐτοῦ, ἵνα λάβῃ τὸ ἄγιον βάπτισμα ὀφείλει λαβεῖν ἢ οὐ, καὶ μάλιστα ἐὰν περὶ τὸν θάνατόν ἐστιν.*

ზუსტად არის გადმოტანილი შინაარსი მიმდევობისა *δαιμονιζόμενους*(*δαιμονιαω* ზმნიდან, რაც შეპყრობილობას, მძვინვარებას ნიშნავს) ეშმაკეულით, დანარჩენი თარგმანიც ზედმიწევნით ზუსტია სიტყვათაწყობითაც კი. მაგრამ, როცა, ასე ვთქვათ, კოპირება შეუძლებელია,

მთარგმნელი უარს ამბობს სიტყვებისა და ფრაზების ზუსტ გადმოტანაზე. წინდებულიანი ფორმა *περί τὸν θάνατόν ἐστιν*, რაც სიკვდილის წინაშე ყოფნას, სიკვდილის დროს გულისხმობს, ოსტატურად არის გადმოთარგმნილი ფრაზით - მიახდეს სიკუდილ.

**უკუეთუ ეშმაკეული არა განწმდეს არაწმიდისა მისგან სულისა, ვერ ძალ-უც მიღებად წმიდისა ნათლისღებისაჲ, ხოლო სიკუდილისა ჟამსა ნათელ-იცემის. 2.2**

*Ἐὰν ὁ δαιμονιζόμενος μὴ καθαρισθῆ ἀπὸ τοῦ ἀκαθάρτου πνεύματος, οὐ δύναται λαβεῖν τὸ ἅγιον βάπτισμα, περὶ δὲ τὴν ἔξοδον βαπτίζεται.*

ენებითი გვარის ზმნა ამავე გვარით არის მოცემული დეედანშიც(განწმდეს - *καθαρισθῆ*, ზუსტად არის კალკირებული წინდებულიანი კონსტრუქცია(არაწმიდისა მისგან სულისა - *ἀπὸ τοῦ ἀκαθάρτου πνεύματος*), ასევე აღწერილობითი ფორმა დამხმარე ზმნითა და საწყისით(ვერ ძალ-უც მიღებად - *οὐ δύναται λαβεῖν*), პასიური ფორმა(ნათელ-იცემის - *βαπτίζεται*),

**უკუეთუ ვინმე განსრულებული მორწმუნე ეშმაკისაგან იგუემებოდის, უცმსა ზიარებაჲ წმიდათა საიდუმლოთაჲ, ანუ არა? 3.1**

*Ἐὰν πιστός τις ἂν δαιμονίζεται, ὀφείλει μεταλαβεῖν τῶν ἁγίων μυστηρίων, ἢ οὐ.*

განსრულებულის შესაბამისი ბერძნულ ვარიანტში არ გვხვდება. მთარგმნელს საინტერესოდ გადმოაქვს აზრი პასიური ფორმის ზმნიდან ხოლმეობითის ფორმით - *δαιμονίζεται* - ეშმაკისაგან იგუემებოდის, მეორე წინადადება ყველა გრამატიკული თუ შინაარსობრივი კატეგორიებით, ზედმიწევნით იდენტურია.

**უკუეთუ არა აღიარებდეს საიდუმლოსა რასმე, არცრას სხუებრ ვითამე ჰგმობდეს ეზიარებოდედ, გარნა ნუ დღითიდღედ, რამეთუ კმა არს მისთვის კვრიაკითი კვრიაკედმდე. 3.2**

*Ἐὰν μὴ ἐξαγορεύῃ τὸ μυστήριον, μετε ἄλλως πως βλασφημῆ. μεταλαμβάνετω μὴ μέντοι καθ' ἑκάστην. Ἄρκει γὰρ αὐτῶν κατὰ καιροὺς μόνον.*

ქართულ ვარიანტს ბერძნული ავსებს სიტყვით *βλασφημῆ*, რაც მკრეხელობას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ მთელი ტექსტი დედანში და, აქედან გამომდინარე, თარგმანშიც, გამართულია კავშირებითი კილოთი. *ἐξαγορεύῃ ἐξαγορευω* ზმნიდან უფრო განცხადებას, ცნობებას, გახმოვანებას გულისხმობს, მთარგმნელის მიერ იგი ჩანაცვლებულია აღიარების შინაარსით. ბერძნულის ბრძანებითი კილო ბრძანებითი კილოთივე არის მოცემული ქართულშიც, ოღონდ, რატომღაც, მრავლობითი

რიცხვის ფორმით(μεταλαμβάνεται -ეზიარებოდედ). დედანში არ არის სიტყვა დღითიდღედ, καθ' ἐκάστην უფრო ზოგადი შინაარსისაა და ნიშნავს ყოველთვის.

**უკუეთუ კათაკმეველი ვინმე ჳუებულ იქმნეს ცნობისაგან და ვერშემძლებელ იყოს აღსაარებად სარწმუნოებისა თვისისა, და მოქენე იყვენ თვისნი მისნი, რაჲ მიეცეს მას წმიდაჲ ნათლისღებაჲ, ვიდრეღა ცოცხალ არს, რაჲ ჯერ არს ქმნად მისთვის? 4.1**  
*Ἐάν τις κατεχούμενος, ἢ ἀσθεὴς, γίνεται ἐκ φρενός, καὶ μὴ δύναται ἑαυτὸς ὁμολογῆσαι τὴν πίστιν, καὶ παρακαλῶσιν οἱ ἴδιοι αὐτοῦ, ἵνα λάβῃ τὸ ἄγιον βάπτισμα, ἕως ἄρτι . ὀφείλει λαβεῖν, ἢ οὐ.*

ქართულში არ არის ἢ ἀσθεὴς. ასევე საინტერესო აზრობრივი ექვივალენტია აღწერილობითი ფორმა თარგმანისა ჳუებულ იქმნეს ცნობისაგან ბერძნულის აღწერილობითი ფორმისა *γίνεται ἐκ φρενός, γιγνομαι* ზმნა ამ შემთხვევაში გაცდენას, გადაცდენას, გასვლას უნდა ნიშნავდეს. მართალია, ბერძნულში, ამ შემთხვევისათვის, ზმნა პირიანი ფორმითაა გადმოცემული(δύναται), ქართულის ვერშემძლებელ იყოს მაინც ბერძნული ენიდან გადმოტანილი ფორმაა. იგივე ითქმის შემდეგი წინადადების ზმნებზეც(παρακαλῶσιν - მოქენე იყვენ). ქართულში ვნებითი გვართ წარმოდგენილი მიცემა ზმნის სანაცვლოდ ბერძნულში მოქმედებითი გვართს მიღება ზმნა(λάβη) ფიქსირდება. ისევე აღწერილობითი ფორმით გვეკვლინება თარგმანში დედნისეული ზმნა(ცოცხალ არს - ἄρτι), ხოლო შემდეგ განსხვავებული ტექსტი მოდის, ქართულში ასევე ზოგადად კალკირებული - ჯერ არს ქმნად.

**მიღებაჲ ჯერ არს ნათლისღებისაჲ, არათუ იგუემებოდის იგი არაწმიდისა სულისაგან. 4.2**

*Ὄφείλει λαβεῖν, ἔαν μὴ ὑπὸ πνεύματος ἀκαθάρτου πειράζῃται.*

მეორე წინადადება ზედმიწევნითი თარგმანია.

**უკუეთუ საწოლთა ურთიერთას ზიარებად მოსრულ იყვენ ცოლ-ქმარნი ღამე, და იქმნეს ჟამისწირვაჲ, უღირსა ზიარებაჲ, ანუ არა. 5.1**

*Ἐάν γυνή συγγένηται μετὰ ἀνδρὸς αὐτῆς τὴν νύκτα, ἢ ἀνὴρ μετὰ γυναικός, καὶ γίνεται μὴ ἴξιν, ὀφείλουσι μεταλαβεῖν, ἢ οὐ.*

პირველ წინადადებაში აღინიშნება მეტაფორაზი, რაც იშვიათი მოვლენაა ამ თარგმანისთვის. ფიქსირდება განსხვავებული ტექსტიც მეორე წინადადებაში ქართული თარგმანისა და მეოთხე წინადადებაში ბერძნული დედნისა, ხოლო ქართულის ბოლო წინადადებაში შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილში



შეტანილია ეწვის, განსჯის აზრობრივი ნიუანსი - უღირსა ზიარებად. იგი ბერძნულ ვარიანტში მრავლობითი რიცხვითაა(ὀφείλουσι μεταλαβειν).

არა უღირს კელისკელ, ვინაფთვან ჳმობს მოციქული, ვითარმედ, ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნათუ შეთქუმით ჟამ რაოდენმე, რადთა მოიცალოთ ლოცვად და კუალად ურთიერთასვე იყვენით, რადთა არა განგცადნეს თქუენ უთმინობითა თქუენითა. 5.2

*Οὐκ ὀφείλουσι, τοῦ Ἀποστόλου βοῶντος· Μὴ ἀποστερεῖτε ἀλλήλους, εἰ μὴ τι ἂν ἐκ συμφῶν ου πρὸς καιρὸν, ἵνα σχολάσητε τῇ προσευχῇ. καὶ πάλιν ἐπὶ τὸ αὐτὸ συνέρχεσθε, ἵνα μὴ πειράσῃ ὑμᾶς ὁ Σατανᾶς διὰ τὴν ἀκρασίαν ὑμῶν.*

კელისკელ ძველბერძნულში ვარიანტში არ არის. ბერძნულის მიმდებობა ისევე ზმნაა თარგმანში(βοῶντος - ჳმობს).

პავლე მოციქული ასწავლის კორინთელებს: „ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნა თუ შეთქუმით რადმე, ჟამ რავდენმე, რადთა მოიცალოთ ლოცვად და მარხვად; და კუალად ურთიერთასვე იყვენით, რადთა არა განგცადნეს თქუენ ეშმაკმან უთმინობითა თქუენითა. (პავლე, I კორინთ.,7,5)

უკუეთუ კათაკმეველმან დედაკაცმან დაწეროს სახელი თვისი, ვითარმედ ნათელს-იღებს და დღესა ნათლისღებისა მისისა შეემთხვოს მას ჩუეულებითი წესი დედათად, ჯერ არსა მისდა ნათლისღებად მას დღესა შინა, ანუ დრო-ცემად, და თუ რაოდენ ჟამ საჯმარ არს დროებად? 6.1

*Ἐὰν γυνὴ κατεχουμένη δέδωκε τὸ ὄνομα αὐτῆς, ἵνα φωτισθῇ, καὶ περὶ τὴν ἡμέραν τοῦ βαπτίσματος γέγοιεν αὐτῇ τὸ κατ' ἔθος τῶν γυναικῶν. ὀφείλει φωτισθῆναι αὐτῇ τῇ ἡμέρᾳ, ἢ ὑπερθέσθαι, καὶ πόσον ὑπερθέσθαι.*

მეტად გასაგებად და კონკრეტულად არის გადმოტანილი მთარგმნელის მიერ დროის აზრობრივი იდენტობა ὑπερθέσθαι (*υπερθεω* - გაცდენა, აცილება, აცდენა, გადავლა, გასვლა) ზმნასთან - დრო-ცემად, დროებად გადმოცემულია ამ სიტყვით, ვნებითის ინფინიტივით, ხოლო დაწერის შესაბამისია *δέδωκε*(*δοκεω*) - ჩვენებას, წარმოდგენას ნიშნავს. ზუსტად არის გადმოტანილი *γέγοιεν*(*γυγισμαι*) ზმნის შინაარსიც(შემთხვოს). თარგმანში ჩამატებულია აღწერილობითი ფორმა საჯმარ არს. დედანში არ არის აგრეთვე სიტყვა წესი.

დროებად სათანადო არს, ვიდრემდის განწმდეს. 6.2

*Ἐπερθέσθαι ὀφείλει, ἕως οὗ καθαρισθῇ.*

ამჯერად, *ὀφείλει* პირიანი ზმნის შინაარსი კიდევ ერთი აუცილებლობის გამომხატველი ქართული სიტყვით ივსება - სათანადო არს. მეორე წინადადებაში არ არის *ὅ* უარყოფითი ნაწილაკი, თუმცა ამით შინაარსში არაფერი იცვლება.

**უკუეთუ დედაკაცი მოსრულ იყოს წესსა დედათასა, უკმსა ზიარებად საიდუმლოთა, ანუ არა. 7.1**

*Ἐὰν γυνὴ ἴδῃ τὸ κατ' ἔθος τῶν γυναικείων αὐτῆς, ὀφείλει προσέρχασθαι τοῖς μυστηρίοις αὐτῆς τῆς ἡμέρας, ἢ οὐ.*

ქართულში არ არის *τῆς ἡμέρας*-დღეს. ზიარების აღმნიშვნელი მეორე სინტაგმა ფიქსირდება ბერძნულ დედაში - *προσέρχασθαι τοῖς μυστηρίοις* - ზიარებად საიდუმლოთა.

**არა უკმს, ვიდრემდის არა განწმდეს. 7.2**

*Ὅτι ὀφείλει, ἕως ὅτι καθαιρισθῆ.*

ამ შემთხვევაში უკვე ჩნდება თარგმანში *ὅ* უარყოფითი ნაწილაკი.

უკუეთუ შვეს დედაკაცმან წმიდად აღვსებასა, ჯერ არსა მისგან მარხვად და არა სუმად ღვინსად, ანუ განკსნად უღირს ღვინსა და მარხვისად დღესა მას შუისასა. 8.1

*Γυνὴ ἐὰν γεινήσῃ, τὸ Πάσχα ὀφείλει νηστεῦσαι καὶ μὴ πινεῖν οἶνον, ἢ ἀπολύεται τῆς νηστείας, καὶ τοῦ μὴ πινεῖν οἶνον, διὰ τὸ γεινήσθαι.*

ბერძნულში არის *διὰ τὸ γεινήσθαι* - შობის გამო, ქართულში დღესა შუისასა. ქართული ენის გრამტიკის თვალსაზრისით, აქ შეცდომაა პირიანი ფორმაა ბრუნვის ფორმით მოცემული. წესით, უნდა იყოს დღესა შობისასა. აქვეა შეუთანხმებლობის შემთხვევა მსაზღვრელ-საზღვრულისა ბრუნვაშიც - წმიდად აღვსებასა. ზუსტად არის გადმოტანილი საწყისები აღწერილობით ფორმაში, ოღონდ ჩამატებულია ჩვენებითი ნაცვალსახელი(მისგან). ასევე ზუსტია საშუალ - მოქმედებითის ზმნის *ἀπολύεται* (*απολυω*) შინაარსი თარგმანის საწყისთან - განკსნად. სხვადასხვა აზრები ფიქსირდება დედნისა და თარგმანის ბოლო წინადადებებში. პირველ შემთხვევაში არის მიზეზის პრიმატი - *διὰ τὸ γεινήσθαι* (შობის გამო), ხოლო მეორე შემთხვევაში დროის ფაქტორია წინ წამოწეული - დღესა მას შუისასა.

**მარხვად დამდაბლებისათვის მოპოვნებულ იქმნა კორცთადას. აწ, უკუე, უკუეთუ კორცნი სიმდაბლესა შინა იყვნენ და უძლურებასა, უკმს ცუმეგად, რაოდენ ძალედვას, ტვრთვად საზრდელისადაცა და სასუმელისადა. 8.2**

*Ἡ νηστεία ἐπεινήθη διὰ τὸ σῶμα ταπεινῶσαι. Εἰ οὖν τὸ σῶμα ἐν ταπεινώσει ἐστὶ καὶ ἀσθενεία, ὀφείλει καταλαβεῖν, καθὼς βούλεται καὶ δύναται βαστάσαι, τροφῆς καὶ ποτοῦ*

საინტერესოა აღწერილობითი ფორმების(და არა მარტო აღწერილობითი ფორმების) ვარიაციები ბერძნულ დედანში და მერე მისი გამოსატყულება თარგმანში, რომელიც არც ამჯერად ღალატობს კალკირების უკვე დიდი ხნის ნაცად პრაქტიკას და სრულიად უცხო ენიდან მშობლიური ენისათვის ასატანად და სრულიად გასაგებად გადმოაქვს შესაბამისობანი *ἐπεινήθη... ταπεινῶσαι* - დამდაბლებისათვის მოპოვებულ იქმნა. ზუსტია: კორცნი სიმდაბლესა შინა იყვნენ და უძღურებასა - *τὸ σῶμα ἐν ταπεινώσει ἐστὶ καὶ ἀσθενεία*. საინტერესო ჩანაცვლებაა უკმს კუმევა - *ὀφείλει καταλαβεῖν*. ქართულში დაკლებულია საშუალებებითი ფორმა *βούλεται*(*βουλεω* - რჩევა, განზრახვა, გადაწყვეტა).

უკუეთუ უკმს სამღვდლოთაგანსა ვისმე ლოცუად მუნ ყოფასა არიანოზთა, ანუ სხუათა მწვალებელთასა, ანუ არარად ევნების მას, სადაცა სამე ყოს მან ლოცვად, რომელ არს უამისწირვად? 9.1

*Εἰ ὀφείλει κληρικὸς εὐχεσθαι παρόντων Ἀρρείανων, ἢ ἄλλων αἵρετικῶν, εἰ οὐδὲν αὐτὸν βλάπτει, ὅταν αὐτὸς ποιῇ τὴν εὐχήν, ἦγουν τὴν προσφορὰν.*

შედგენილ შემასმენელს ამ შემთხვევაში ასეთი სახე აქვს: უკმს... ლოცუად - *ὀφείλει... εὐχεσθαι*, ანუ, სახელადი ნაწილი ბერძნულ ვარიანტში საწყისია. ზუსტი გრამატიკული და აზრობრივი ადეკვატია ზმნა ევნების - *βλάπτει*, ხოლო დედნის დროის ზმნიხედა *ὅταν*, თარგმანში ადგილისა(სადაცა).

უამსა საღუთოდსა შესაწირავისასა დიაკვანი კმობს უწინარეს ამბორისყოფასა, უზიარებელნი ვიდოდეთ. არა უღირს უკუე მუნ ყოფად, არათუ აღსტქუმიდეს შენანებასა და სივლტოლასა წვალებისაგან. 9.2

*Ἐν τῇ θείᾳ ἀναφορᾷ ὁ διάκονος προσφωνεῖ πρὸ τοῦ ἀσπασμοῦ, Οἱ ἀκοινῶνστοι περιπατήσατε. Οὐκ ὀφείλουσιν οὖν παρῆναι, εἰ μὴ ἂν ἐπαγγέλλωνται μετανοεῖν καὶ ἐκφεύγειν τὴν αἴρεσιν.*

დროის შინაარსი ორიგინალში აღნიშნული არ არის, მაგრამ პირველი და მეორე წინადადება სიტყვათა რიგითაც კი იდენტურია ორიგინალისა. ბერძნულის II პირის მრავლობითი ქართულში I პირის მრავლობითითაა გადმოცემული მეორე წინადადებაში, ხოლო მესამე წინადადების შედგენილი შემასმენლი ზმნური ნაწილი დედანში მრავლობითია, თარგმანში მხოლოდითი (*ὀφείλουσιν* - უღირს). იგივე ითქმის შემდეგ წინადადების ზმნებზეც(*ἐπαγγέλλωνται* -აღსტქუმიდეს).

სავარაუდოდ, შინაარსიდან გამომდინარე, ამ ორი ტექსტის სუბიექტი ერთი უნდა იყოს.

უკუეთუ ვინმე უძლურ იყოს და ყოველითურთ დამდნარ ფრიადისაგან სნეულებისა და მოიწიოს წმიდაა აღვსებაა, უეჭუელად უკმსა მარხვაა, ანუ თავისუფალყოფაა მისი. ჯერ არს მღვდელისაგან რაი იკუმევედეს, რაისაცა ძალ-ედვას, ანუ ზეთისაცა და ღვინისა, ფრიადისათვს უძლურებისა მისისა. 10.1

*Ἐάν τις ἢ ἀσθενῶν καὶ ἔκτακεις πάνυ ἀπὸ τῆς πολλῆς ἀσθενείας, καὶ ἔλθῃ τὸ ἅγιον Πάσχα· πάντως ὀφείλει νηστεῦσαι, ἢ ἀπολύει αὐτὸν ὁ κληρικὸς λαμβάνειν, οὐ δύναται, ἢ καὶ ἔλαιον καὶ οἶνον, διὰ τὴν πολλὴν αὐτοῦ ἀσθενείαν.*

პირველი წინადადება ზუსტად არის გადმოთარგმნილი, ოღონდ მასში არ არის ზმნა, რაც ამ ენისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენაა, და იგი, როგორც წესი, ქართულ თარგმანში ჩამატებულია. ასეა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც(იყოს). ზუსტი შინაარსობრივი ექვივალენტია მოძებნილი ἔλθῃ(ερχομαι) ზმნისათვის მოიწიოს. (πάντως(ყველას) ნაცვლად ქართულშია სიტყვა უეჭუელად. ზმნას ἀπολύει(აπολυω) ამჯერად კომპოზიტი, მისი ზედმიწევნითი შინაარსი თარგმნის თავისუფალყოფაა, რაც, თავისთავად ასევე ბერძნული ენის კალკია. მეოთხე წინადადება ქართულში გაგრძობილია, ბოლო წინადადება კი ზუსტი თარგმანი.

ფლობილყოფაა ჯერ არს მისი მიღებისათვს საზრდელისა და სასუმელთა, რომლისაა ოდენ ძალ-ედვას ტვრთვაა უძლურსა მას, რამეთუ მიღებაა ზეთისაა სრულიად განლეულისა მისგან ფრიად სამართალ არს. 10.2

*Ἀπολύεσθαι ὀφείλει μεταλαμβάνειν καὶ τῆς τροφῆς καὶ τοῦ ποτοῦ ὁ ἀσθενῶν, πρὸς ὃ δύναται βαστάσαι. Τὸ γὰρ μεταλαμβάνειν ἐλαίου τὸν ἄπαξ ἔκτακέντα, δίκαιόν ἐστιν.*

ზმნის საწყისის ἀπολύεσθαι(აπολυω) თარგმანი კიდევ ახალი სახით გვევლინება ფლობილყოფაა(რა თქმა უნდა, ეს კომპოზიტიც, ზოგადად ბერძნული კალკია). ზუსტი შინაარსობრივი და გრამატიკული თარგმანია ძალ-ედვას ტვრთვაა - δύναται βαστάσαι. ქართულში არ არის ἄπαξ, სამაგიეროდ ჩამატებულია ვითარების ზმნიზედა ფრიად. ზედმიწევნით არის გადმოთარგმნილი მიმღეობის ἔκτακέντα(εκτηκω) შინაარსი განლეულისა. ასევე ზუსტია გრამატიკული პარალელებიც: μεταλαμβάνειν ἐλαίου - მიღებაა ზეთისაა, δίκαιόν ἐστιν - სამართალ არს.

უკუეთუ ვინმე მიხადოს მღვდელსა შეუღლვად ქორწილისა, ხოლო ესმეს მას, ვითარმედ უშჯულო არს ქორწინება იგი, და ვითარ იგი არს ქორწინებით შეყოფად ცოლისდისა შემდგომად სიკუდილისა დისა მისისა, უკმსა თანამიყოლად მღვდელსა და ქმნაა ჟამისწირვისა. 11.1

*Εἰς τὸ ζεῦξαι γάμον ἔαν καλέση τις κληρικὸν, ἀκούσῃ δὲ τὸν γάμον παράνομον, ἢ θειογαμίαν, ἡγοῦν ἀδελφὴν τελευτησάσης γυναικὸς τὴν μέλλουσαν ζεῦγισθαι, εἰ ὀφείλει ἀκολουθῆσαι ὁ κληρικὸς, ἢ προσφορὰν ποιῆσαι.*

ზმნის მიჯადოს შესაბამისი დედანში არის *καλέση(καλεω)* და მოწოდებას, გამოწვევას ნიშნავს, ვფიქრობთ, თარგმანი იდენტურია. პირველ წინადადებაში სიტყვათა რიგი სხვადასხვაა ამ ორი მონაკვეთისა ქართულში ქვემდებარე, შემასმენელი და ირიბი დამატება დგას წინადადების თავში, ბერძნულში - ჯერ მიზნის გარემოება და მერე წინადადების მთავარი წევრები. ქართული ვითარებით ბრუნვის ფორმას დედანში წინდებულებიანი ფორმა შეესაბამება(შეუღლვად - *εἰς τὸ ζεῦξαι*). ბერძნულის პირდაპირი დამატება ქართულში მთელი დამოუკიდებელი წინადადებაა ამავე სახისა(*τὸν γάμον παράνομον* - ვითარმედ უშჯულო არს ქორწინება), საინტერესოა შემდეგი წინადადების თარგმანი: იგი გავრცობილია - ქორწინებით შეყოფად ცოლისდისა შემდგომად სიკუდილისა დისა მისისა - *ἀδελφὴν τελευτησάσης γυναικὸς τὴν μέλλουσαν ζεῦγισθαι*. აქ გამკვეთრებულია დროის ნიშანი. *μέλλουσαν(μελλω)* ნიშნავს განზრახვას, დაპირებას(დააპირა), რაც ქართულ ტექსტში არ ჩანს, მაგრამ იგი უნდა შეეფარდებოდეს საწყისს შეყოფად. კარგადაა მოძებნილი ზუსტი ადეკვატი საწყისისა *ἀκολουθῆσαι* - თანამიყოლად, ასევე კალკირებულია ფრაზა - ქმნაა ჟამისწირვისა - *προσφορὰν ποιῆσαι*.

ერთგზის ვთქუთ, ვითარმედ, უკუეთუ ესმეს მღვდელსა უშჯულო ქორწილი, ვინადაცა უკუეთუ უშჯულო იყოს ქორწილი, არა უკმს მღვდელსა ზიარება ცოდვათა უცხოთა. 11.1

*Ἐπαξ εἶπατε· Ἐὰν ἀκούσῃ ὁ κληρικὸς τὸν γάμον παράνομον. Εἰ οὖν ὁ γάμος παράνομός ἐστιν, οὐκ ὀφείλει ὁ κληρικὸς κοινωνεῖν ἀμαρτίαις ἀλλοτρίαις.*

ეს ორიტექსტობრივი მონაკვეთი აბსოლუტურად იდენტურია ერთმანეთისა ყველა მორფოლოგიური და სინტაქსური, ლექსიკურ ფრაზეოლოგიური და სტილისტური კატეგორიებით.

უკუეთუ უცნებით დაბრკოლებილმან ერისკაცმან ჰკითხოს მღვდელსა, ჯერ არს რაფთა უბრძანოს მას ზიარებაჲ, ანუ არა. 12.1

*Ἐὰν ὀνειρασθῆις ὁ λαϊκὸς ἐρωτήσῃ κληρικόν, εἰ ὀφείλει ἐπιτρέψαι αὐτῷ κοινωνῆσαι, ἦ οὐ.*

ქართულის უცნებს აკონკრეტებს ბერძნული *ὀνειρασθῆις*, რაც ძილსაც ნიშნავს და მოხვეწებასაც. სიტყვა დაბრკოლებული ახალი შინაარსის შემომტანია წინადადებაში, იგი ბერძნულში არ არის. ასევე მთარგმნელისეული გავრცობა დაქ დაკონკრეტებაა სიტყვა ერისკაცი, დედანში მისი შესაბამისია *ὁ λαϊκὸς*, მისი ქართული მნიშვნელობა დაახლოებით, ასეთი იქნება შეცდომილი, ავხორცი. საწყისი *ἐπιτρέψαι, ἐπιστρέπω* ზმნიდან, სხვა მრავალ მნიშვნელობასთან ერთად ნების დართვას, დაშვებასაც ნიშნავს, და, აქედან გამომდინარე, თარგმანის ზმნა უბრძანოს, ზუსტად ასახავს ავტორისეული ვარიანტის სიზუსტეს. ასევე ზუსტადაა გადმოცემული დედნის საწყისი, რაც თარგმანშიც საწყისია: *κοινωνῆσαι* - ზიარებაჲ.

უკუეთუ გულს აქუნდეს გულისთქუმაჲ დედაკაცისაჲ, არა ჯერ არს, ხოლო უკუეთუ განსცდიდეს მას სატანა, რაფთა ამის მიზეზისათვის უცხო იქმნეს იგი ზიარებისაგან საღმრთოთა საიდუმლოთაჲსა. იშუთ სამე ქმნილად და საჭიროდ სადმე, ჯერ არს ზიარებაჲ, ვინაფთაჲ არა დასცხრების განმცდელი ბრძოლად ჟამსა მას, რომელსა ჯერ იყოს ზიარებაჲ. 12.2

*Εἰ μὲν ὑπόκειται ἐπιθυμία γυναικὸς, οὐκ ὀφείλει. εἰ δὲ ὁ Σατανᾶς πειράζει αὐτὸν, ἵνα διὰ τῆς προφάσεως ταύτης ἀλλοτριῶται τῆς κοινωνίας τῶν Θείων μυστηρίων, ὀφείλει κοινωνῆσαι. Ἐπεὶ οὐ παύσεται ὁ πειράζων κατ' ἐκείνον τὸν καιρὸν, ὅτε ὀφείλει κοινωνεῖν, ἐπιθέμενος αὐτῷ.*

გულს აქუნდეს გულისთქუმაჲ (*ὑπόκειται ἐπιθυμία*) საინტერესო ადეკვატია დედნისა. პასიური ფორმა *ὑπόκειται, υποκειμαι* შინაარსობრივად სხვა მრავალ მნიშვნელობასთან ერთად ქონას, დებას გულისხმობს და იგი ქართულში აღწერილობითად არის გადმოცემული. უნდა ითქვას, რომ მთარგმნელს იგი მეტად გამომხატველად გადმოუტანია. უცხო იქმნეს აღწერილობითი ფორმა ზმნის პასიური ფორმით გვევლინება ორიგინალში - *ἀλλοτριῶται*. აღინიშნება მატება (იშუთ სამე ქმნილად და საჭიროდ სადმე) და კლება (*ἐπιθέμενος αὐτῷ*). ისევ, საშუალ-ვნებითის აწმყოს ზმნა ბერძნულისა ვნებითი გვარის ზმნითა და უწყვეტელის ხოლმეობითითაა გადმოსული ქართულში, შინაარსი იგივეა (*παύσεται* - დასცხრების).

რაოდენი შეკრულ არიან ურთიერთას ზიარებითა ქორწილისადთა, რომელთა დღეთა შუადღულისათა უკმს განყენებად ურთიერთას შეყოფისა ზიარებისა და რომელთა აქუს ცელმწიფებად? 13.1

*Τοὺς ζευγυσμένους εἰς γάμου κοινωνίαν, περὶ ποίων ἡμερῶν τῆς ἐβδομάδος παρατίθεσθαι χρὴ ἀπέχεσθαι τῆς πρὸς ἀλλήλους κοινωνίας, καὶ ποίας ἔχειν ἐπ' ἔξουσία*

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბერძნულის მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის მიმდებარე ქართულში ასევე მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვითა და შედგენილი შემასმენლით არის მოწოდებული (*Τοὺς ζευγυσμένους* - რაოდენი შეკრულ არიან). ბერძნულის წინდებულის ფორმა ქართულში მოქმედებითი ბრუნვით გადმოდის (*εἰς γάμου κοινωνίαν* - ზიარებითა ქორწილისადთა), და ჩამატებულია სიტყვა ურთიერთას. ქართულში არ ჩანს საწყის *παρατίθεσθαι* (*παρατιθημι* გადადება) მნიშვნელობის სიტყვა, სამაგიეროდ ზუსტი გრამატიკული და აზრობრივი იდენტურობით არის გადმოტანილი *χρὴ ἀπέχεσθαι* - უკმს განყენებად. შემდეგში კი ბერძნულის ინფინიტივური კონსტრუქცია წინდებულისათვის ქართულში უკვე ზმნაა (*ἔχειν ἐπ' ἔξουσία* - აქუს ცელმწიფებად).

რომელი პირველ ვთქუ, მას აწცა ვიტყუ. მოციქული იტყუს, ნუ განემორებითო ურთიერთას, გარნა შეთქუმით ჟამსა ოდენმე, რაფთა მოიცალოთ ლოცვად და კუალად ურთიერთასვე იყვენით, რაფთა არა განგცადნეს სატანა უთმინოებითა თქუენითა, ხოლო საჭიროდ სათანადო არს განემორებად ურთიერთას შაბათსა კურიაკესა, ვინაფთგან მათ შინა შეიწირვის სულიერი იგი მსხუერპლი ღმრთისა. 13.2 *Προείρηκα καὶ νῦν λέγω· ὁ Απόστολος λέγει· Μὴ ἀποστερεῖτε ἀλλήλους, εἰ μὴ τι ἀν ἐκ συμφώνου πρὸς καιρὸν, ἵνα σχολάσητε τῇ προσευχῇ, καὶ πάλιν ἐπὶ τὸ αὐτὸ ἦτε, ἵνα μὴ πειράξῃ ὑμᾶς ὁ Σατανᾶς διὰ τὴν ἀκρασίαν ὑμῶν. Ἐξ ἀνάγκης δὲ τὸ Σάββατον καὶ τὴν Κυριακὴν ἀπέχεσθαι δεῖ, διὰ τὸ ἐν αὐταῖς τὴν πνευματικὴν θυσίαν ἀναφέρεισθαι τῷ Κυρίῳ.*

პირველი წინადადება ქართულისა ბერძნულში ერთი სიტყვაა - *προείρηκα* (*προαγορευω*) და შინაარსი იგივეობრივია. ქართული მომავალი დრო დედანში ახლანდელია (ვიტყუ - *λέγω*). სიტყვათა წყობა ქართულისა მაქსიმალურად მისდევს ბერძნულისას, რაც ერთი ძირითადი ნიშანია თარგმანსა და დედანს შორის დამოკიდებულებისა ამ კონკრეტული შემთხვევისათვის. საჭიროების, აუცილებლობის ორმაგი აღნიშვნა თარგმანშიც ფიქსირდება (საჭიროდ სათანადო არს - *ἀνάγκης ... δεῖ*), ამ წინადადებაში უკვე სიტყვათა რიგი არეულია დედანთან

მიმართების თვალსაზრისით. ქართულის ვნებითის ფორმას შეიწირვის ემთხვევა med-pass-ის ἀναφέρεσθαι. კალკირებულია წინდებული უკუდებულით(ἐν αὐταῖς - მათ შინა). ქართულის ქვემდებარე ბერძნულში პირდაპირი დამატებაა, ხოლო ბერძნულის ირიბი დამატება ქართულში უბრალო დამატება. ეს, ბოლო წინადადებაში.

**უკუეთუ უცნობოქმნილმან ვინმე შეიმთხვოს რადმე სასიკუდინომ, ანუ შთაიგდოს თავი თვისი, იქმნებისა მისთვის ჟამისწირვად, ანუ არა. 14.1**

*Ἐάν τις μὴ ἔχῃων ἑαυτὸν, χειρίσῃται, ἢ κρημνίσῃ ἑαυτὸν, εἰ γίνεται προσφορὰ, ἢ οὐ.*

საინტერესო სიტყვაა უცნობოქმნილი, რომელიც ბერძნულში ასეა წარმოდგენილი: *μὴ ἔχῃων ἑαυτὸν* და ბუკვალურად საკუთარი თავის, პიროვნების, ცნობიერების არქონას მოიაზრებს თავისთავში. თარგმანი გავრცობილია - შეიმთხვოს რადმე სასიკუდინომ, მას შეესაბამება ორიგინალში პასიური ზმნა *χειρίσῃται* (*χειρίζω*), რაც ხელმძღვანელობას, მართვას ნიშნავს, ბუკვალურად არის თარგმნილი ფრაზა - შთაიგდოს თავი თვისი - *ἢ κρημνίσῃ ἑαυτὸν*, კალკირებულია ბოლო წინადადებაც ნაცვალსახელის დამატებით(ესეც, ზოგადად ბერძნული ენის კალკია) - იქმნებისა მისთვის ჟამისწირვად - *γίνεται προσφορὰ*.

განხილვად უკვს მდღელსა. უკუეთუ ჭეშმარიტად უცნობო იყო, რაჟამს ქმნა მან საქმე იგი, რამეთუ მრავალგზის [თვისნი] მის მომკუდრისანი წადიერ არიან ქმნასა მისთვის მის წირვისასა, ამისთვის ტყოიან შესაწევნელად მისადა, იტყვან, ვითარმედ არა ყოფილ არს ცნობასა. ხოლო იყვის ოდესმე, რომელ განმცდელობისაგან კაცთადა და სხვსა რადმე ჭირისაგან სულმოკლექმნილმან ვითმე ქმნილმან ქმნის ესე. და მაშინ არა ჯერ არს ჟამისწირვისა ქმნად მისთვის. რამეთუ თუთმკლველი არს თავისა თვისისად, ვინადაც უკვს მდღელსა ფრიადითა გამოწულილვითა გამოძიებად ამისი, რადთა არა საშჯელსა შთაგარდეს. 14.2

*Ἐπὲρ τοῦ αὐτοῦ διακρίναι ὀφείλει ὁ κληρικὸς, τὸ ἀληθὲς ἐκφρευῆς ἄν, πεποίηκε τοῦτο. Πολ λάκις γὰρ οἱ διαφέροντες τῷ πεποιθῶτι, θέλοντες τυχεῖν τῆς προσφορᾶς καὶ τῆς ὑπὲρ αὐτὸν εὐχῆς, καταψεύδονται, καὶ λέγουσιν, ὅτι οὐκ εἶχεν ἑαυτὸν· ἐνίστε δὲ ἀπὸ ἐπερείας ἀνθρ ὡπων ἢ ἄλλως πως ἀπὸ ὀλιγαρίας πεποιηκέναι τοῦτο. Οὐ χρή προσφορὰν ἐπάνω αὐτῷ γενέσθαι· αὐτοφονευτῆς γὰρ ἑαυτοῦ ἐστι. Δεῖ οὖν πάντως τὸν κληρικὸν μετὰ ἀκριβίας ἐρευνηῆσαι, ἵνα μὴ ὑπὸ κρίμα πέσῃ.*

ქართულში არ არის მიზნის ზმნიზედა *Ἐπὲρ τοῦ αὐτοῦ*, ზუსტი თარგმანია შეღვენილი შემასმენელი - განხილვად უკვს - *διακρίναι ὀφείλει*.



საინტერესოა, რომ ბერძნული ენის ქვემდებარე, ამ შემთხვევისათვის, ქართულში ირიბ დამატებად განიხილება. მოგეხსენებათ, ქართულში ასეთი ტიპის ზმნებს ინვერსიულ გარდაუვალ ზმნებს უწოდებენ.

ქართულის მესამე წინადადებაში ვამჩნევთ ნაცვალსახელების ჭარბ გამოყენებას, ვიდრე ბერძნულის ამავე წინადადებაში. ვითარების ზმნიზება მრავალგზის შესაბამისია ამავე სახის ზმნიზედის *πολλάκις*, რისი მნიშვნელობაც არის ხშირად. მაგრამ საინტერესოა შემდეგი სახეცვლილება ამ ორ ტექსტს შორის -[თუნდი] მის მომკუდრისანი - *οἱ διαφέρουτες τῶν πεποιθότι*.

მრავლობითი რიცხვის მიმდებარე *διαφέρουτες* აღებულია *διαφερω* ზმნიდან და განბნევას, გაფანტვას გულისხმობს. მთარგმნელმა მასში ნათესავეების შინაარსი ჩადო. ისევე, ბერძნულში მიმდებარეობა და საწყისით მოცემული მოქმედება ქართულში ზმნითა და ასევე საწყისით გადმოდის: წადიერ არიან ქმნასა - *θέλουτες τυχεῖν*, მაგრამ დედანში დამატებულია მიღწევის ემოცია(*τυχεῖν*), სამაგიეროდ, ქართული გავრცობილია(შესაწევნელად მისდა). . ზუსტი ემოციური და აზრობრივი თარგმანია, როგორც უკვე აღვნიშნეთ,

არა ყოფილ არს ცნობასა - *οὐκ εἶχεν ἑαυτόν*. მონაკვეთის, განმცდებლობისაგან კაცთაჲსა შინაარსი დედანში უფრო გასაგები და ხელშესახებია - *ἐπερείας ἀνθρώπων*, დაახლოებით, კაცთა მავნებლობას, ბოროტებას გულისხმობს. პერიფრაზია სხვა რაღსმე ჭირისაგან ბერძნულის *ἀπὸ ὀλιγαρίας*, რაც, დაახლოებით, ზიზღს, უგულვებელყოფას ნიშნავს, ხოლო ორმაგი მიმდებარე სულმოკლექმნილმან ვითმე ქმნილმან ბერძნულში საერთოდ არ არის, მისი perf.inf. *πεποιηκέναι* თარგმანში პირიანი ზმნაა ქმნის. ქართულში გამკვეთრებულია უკუქცევითობის შინაარსი ორმაგი აღნიშვნით - თვთმკველი არს თავისა თვისისა(*αὐτοφεινευτής γὰρ ἑαυτοῦ ἐστι*). ზედმიწევნითია გამოწულილვითა გამოძიებად - *μετὰ ἀκριβίας ἐρευνῆσαι*, და ბოლოს, კლასიკური ბერძნული ფრაზეოლოგიური კალკი, მეტად ხშირად გამოყენებული ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაშიც - საშჯელსა შთავარდეს - *ὑπὸ κρίμα πέση*.

უკუეთუ ვისიმე ცოლი ფრიად იგუემებოდის ბოროტისა სულისაგან და რკინითა შეკრულ იყოს, ხოლო ქმარი მისი იტყოდის, ვითარმედ ვერ ძალ-უც ვგრეთ დაცვაჲ თავისა თვისისა და ენებოს მოყვანებაჲ სხვსაჲ, ჯერ არსა მისა, რადთა მიიყვანოს სხუაჲ, ანუ არა. 15.1

*Ἐάν τινος γυνη πνευματιᾶ, ὥστε καὶ σίδηρα φορεῖν, ὁ δὲ ἀνὴρ λέγει, ὅτι Οὐ δύναμαι ἐγκρατεῦεσθαι καὶ θέλει λαβεῖν ἄλλην· ὀφείλει λαβεῖν ἑτέραν, ἢ οὐ.*

თარგმანი გავრცობილია პირველსავე წინადადებაში, აქ არ არის შედარების ნიუანსი და არის სინტაქსური თანწყობა ბერძნულის ქვეწყობის სანაცვლოდ. აქვე ფიქსირდება სუბიექტის III პირი, განსხვავებით დედნის I პირისაგან(ძალ-უც - *δύναμαι*), რაც არცთუ მცირე შინაარსობრივ აღრულებას იწვევს ტექსტის გაგებისათვის. ფრიად იგუემებოდის ბერძნულში ერთი სიტყვაა - *πνευματιᾶ*. ხოლო შეკრული გადმოცემულია საწყისით *φορεῖν*, რაც ტარებას ნიშნავს. *ἐγκρατεῦσθαι*(თავის შეკავება, თავის ფლობა), თავის დაცვად არის გადმოტანილი. *λαβεῖν* საწყისი ამჯერად მოყვანას გულისხმობს.

**მრუშებად გამოჩნდების საქმესა მაგას შინა, და თუ რაჲ მიუგო მაგისთვის, არა ვჰპოებ. 15.2**

*Μοιχεία μεσολαβεί τῷ πράγματι· καὶ περὶ τούτου τί ἀποκρίνεσθαι οὐκ ἔχω, ἢ ἐφευρίσκω. 1 5.2*

ზმნა *μεσολαβεί* (*μεσολαβῶ*) შინაარსობრივად უფრო გადაკეთას, გაწყვეტას ნიშნავს, მაგრამ მთარგმნელის მიერ მოტანილი გამოჩნდების ზმნა აზრობრივად სრულიად ლეგიტიმური ჩანს ამ კონკრეტული შემთხვევისათვის. თავისთავად ბერძნული ენის კალკია საქმესა მაგას შინა, რომელიც ამჯერად დედანში მიცემითი ბრუნვის ფორმით გვევლინება(*τῷ πράγματι*). სამაგიეროდ, მეორე წინადადება იგივეობრივია დედნისა, ოღონდ ტრადიციული ინფინიტივით, რომელიც ქართულში, როგორც წესი, ზმნით გადმოიცემა მიუგო - *ἀποκρίνεσθαι*. ქართულში არ არის გადმოტანილი გამოთქმა *οὐκ ἔχω*, რაც, დაახლოებით, არქონას გულისხმობს.

ამრიგად, თარგმანი ზედმიწევნით იდენტურია ორიგინალისა. იგი წარმოადგენს დედანსა და მხატვრულ თარგმანს შორის ეკვივალენტურობის ფორმალურ-სტრუქტურულ ტიპს და საუკეთესო მაგალითია ელინოფილური მთარგმნელობითი პრაქტიკისა.

## დასკვნა

ამრიგად, ორივე თხზულება, ლინგვისტური თვალსაზრისით, მიეკუთვნება ქართული ენის ისტორიის გარდამავალ პერიოდს. პირველი თხზულება უფრო მეტად ამჟღავნებს ძველქართული გრამატიკული ნორმების მიმართ მერყეობას, ვიდრე მეორე. თუმცა, უნდა ითქვას, ეს არც ერთ ტექსტში მკვეთრი და თვისობრივი არ არის, ორივე თხზულება კონსერვატიულია.

ორივე თხზულება შინაარსობრივი, ფრაზეოლოგიური, სტილისტური და სახეობრივი ნიშნებით ტიპურია ძველი ქართული ლიტერატურისა, რომელიც, თავისთავად, მძლავრ გავლენას განიცდის ძველი ბერძნული ლიტერატურისას.

აქვე დაბეჭდვით ვიტყვი იმასაც, რომ ორივე თხზულება არის კომპილაცია ციტატებისა და პერიფრაზებისა ძველი აღთქმიდან, ახალი აღთქმიდან, ეკლესიის მამების თხზულებებიდან (იოანე ოქროპირისა და, ჩვენ ვფიქრობთ, III საუკუნის სასულიერო მოღვაწე დიონისე ალექსანდრიელისა) განსაკუთრებით, პავლეს ეპისტოლეებიდან.

რაც შეეხება თარგმანის სპეციფიკას: პირველი თხზულება არის სინთეზი თარგმანისა და ორიგინალს შორის ეკვივალენტურობის ორი, ფორმალურ-სტრუქტურული და დინამიკური, მოდულაციურ-ადაპტური ტიპისა, ხოლო მეორე - ცალსახად ფორმალურ-სტრუქტურული ტიპისა.

კალკები ძირითადად ვლინდება სინტაქსის მიხედვით, წინადადებათა და სიტყვათა წყობით, კომპოზიტებით, ინფინიტივური და მიმდებარე, წინდებულებიანი და პასიური კონსტრუქციებით, აღწერილობითი ფორმებისა და ართრონის, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ჭარბი ხმარებით, ხოლო მორფოლოგიურად და სიტყვათწარმოებით არა, ნაკლებად აღინიშნება ბერძნული ენისათვის მეტად დამახასიათებელი ზმნის კლებაც.

მთარგმნელი, პირველ შემთხვევაში, უცნობია, და ჩვენ, თარგმანის ხასიათიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ იგი ეფრემ მცირის ელინოფილური მთარგმნელობითი სკოლის წარმომადგენელი უნდა იყოს. მეორე შემთხვევაში, მთარგმნელი არის არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირის უშუალო მოწაფე და მისი პრეციზიული მთარგმნელობითი პრაქტიკის ღირსეული გამგრძელებელი.

ანასტასი სანატრელისა პატრიარქისა დიდისა ანტიოქისა, და კირილე  
ალექსანდრიელისა, განწესება სარწმუნოებისა და კითხვა-მიგება  
ღმრთისმეტყველებისათვის

ენობრივი ანალიზი

თხზულება გადაწერილია XVIII საუკუნეში, ეს კი, მოგვსენებათ, არის დასასრული პერიოდისა, რომელიც ქართული ენის ისტორიის საშუალო, გარდამავალ ხანად იწოდება სპეციალურ ლიტერატურაში.

ცხადია, ტექსტი ამჟღავნებს მთელ რიგ ენობრივ თავისებურებებს ამ დროისათვის დამახასიათებელს, მაგრამ, საბოლოო ჟამში, მოსალოდნელზე მეტად სისტემურია და წესებს დაქვემდებარებული ძველი ქართული ენის მიმართაც.

ფონეტიკური მოვლენები:

ასიმილაცია: უნადგან 32.1(მაგრამ გვხვდება უნათგან 35.1); შჯულისა 47.2; შეაცთენს 56.2; საბრჭენი 89.2; ვსცთით 93.2; უზეშთაეს 96.1; 96.2; შჭამდეს 96.2;

რედუქცია: საყდრისა 31.2; მღვდლისა 100.2

$S_2O_3$  ის ნიშნებისათვის:

აკლია: ნებაეს 36.2; დაჯაშ 92.2; მადლობდეს 100.2; 99.2; მომადლოს 99.2;

ხედმეტია: აღვსდგებით 40.2; ჰყოფს 49.2; ვსცნობდეთ 72.1; ვსცნობთ 72.2; ვსცთით 93.2; აღვსდგი 94.2; განზრახვაჰყოს 105.2; აღთქმასა ჰყოფდეს 105.2; განსწმედს 90.2

მოშლილია ზმნისწინი: ამაღლდა 30.1; ამაღლდეს 99.2;

უ-ს ენაცვლება ვ: სიკედილი 35.2; ჯვარცმა 35.1; კაცთმოყვარებისათვის 35.1; შევიყვარე 47.2; ჩვენისა 59.2; ჩვენდა 62.1; 65.2; მოგვანიჭებს 66.1; სატანჯველისა 64.2; სიყვარულისათვის 68.2; სოფლის მოყვარებისა 36.2; გუყვარდეს 69.2; შეყვაროთ 70.1; მოგვცემს 73.2; მოყვასისა 75.2; მოგვანიჭოს 89.2; წინაწარმეტყველმან 95.2; ქვეშე 96.2; თქვა 96.2; აქვნდეს 96.2; თაყვანისცემდეს 99.2; ზვარაკი 99.2; მსხვერპლი 99.2; ჯვარს ეცვა 100.2; ქველისმოქმედებათა 100.2; ჩვენთათვის 100.2...

არაწესისამებრ იხმარება ვ: უთარცა11.1; უტყუო 11.1; უნადგან 32.1; უწყით 32.1; უდრე 35.2; თავ თვისი 72.1; ცოდუსქმნისაგან 88.2; ცოდუსა 88.2; შულ 89.2; 90.2; ლოცუთა 91.2; დაკლუსა 100.2; შეგვეწეჯან 65.2; უსმენდეთ 101.2; დაკლუსა 99.2...

იგი უი კომპლექსს ენაცვლება ინკლუზივ-ექსკლუზივში:

განგუშარტე 37.1; აღგუტქვა 60.2; გუყვარდეს 67.2; გუყვარს 68.2; გუბრძანებს 69.1; მიგუყვანებენ 61.2; დაგუფაროს 95.2...

უ-ს ენაცვლებს ვი ბგერათკომპლექსი: ეშმაკისათვის 34.2; მისთათვის 34.2; კაცთმოყვარებისათვის 35.1; ესეუთართათვის 35.2; აღუსვლელობისათვის 43.1; მოშორებისათვის 47.1; რასათვის 54.1; ამისთვის 65.2; მადლისათვის 66.2; სიყვარულისათვის 68.2; მტერთათვისცა 73.1; თვისისა 76.2; თვისსა 87.2; თვისითა 90.2; თვისისათვის 95.2; ჩვენთვის 96.2; ჩვენთასა 96.2; საიდუმლოსათვის 101.2;

დაკარგულია დ: უნივთო 4.2; კაცებაცა 17.1; სარწმუნოება 59.2; უფროს 70.1; რათა 90.2; 94.2; წინაწარმეტყველმან 94.2; უსისხლოსა 96.2;

დაკარგულია ემფატიკური ა:

გადანაცვლებულია ბგერა: შესვლად 36.2; მისვლა 76.2; წვრთნა 79.2;

დაკარგულია ბგერა: საღმთო 60.1; აღთქმულთა 67.2; გითქმოდეს 75.2; განაბრწყინოს 89.2; აღთქმა 100.2; სულთქუმით 101.2; კუმევა 76.2;

დაკარგულია ნარიანი მრავლობითის ნიშანი ზმნაში: გუხსნეს 18.2; აღუარეს 35.2.

გაჩენილია აწმყოს ახალი ფორმა: დაისჯება 58.2

ორმაგად არის აღნიშნული მრავლობითი რიცხვი: გუყვარსთ 74.1

გაჩენილია ბგერა: ცხოვრებისა 100.2; მღვდლისა 100.2

ბერძნიზმები:

წინდებულიანი კონსტრუქციები: ცათა შინა, ალაგთა შინა, ქვეყანასა ზედა 5.2; ყოველსავე შინა 10.2; ქრისტესა შინა 16.1; ჯოჯოხეთსა შინა 15.1; სოინს შინა 28.1; წინაშე საყდრისა 31.2; წერილთა შინა 58.1; ყოველისმპყრობელობასა შინა 62.2; კაცთმოყვარებასა შინა 62.2; სახარებასა შინა 62.2; ცხოვრებასა შინა 62.2; საპყრობილეთა შინა 79.2; ამათ შინა 96.1; მას შინა 101.2; კაცსა ზედა 103.1; ცოდვასა შინა 104.1; მწუხარებასა შინა 104.1; რისხვასა შინა 104.2 და ა.შ.

მიმდებური და აღწერილობითი ფორმები: არს დამბადებელი 2.2; ცხოველ არს 7.1; კაც იქმნა 12.2; მჯდომარე არს 20.2; ტყვე იყვნეს 24.2; განსჯა არსა 33.1; მოქმედ არს 33.2; მეოს არიან 33.2; აღთქმა ყვეს 33.2; იწყეს ... აღსრულება 33.2; ბოროტ არსო 34.2; განმზადებულ არს 34.2; მოშიშ არიან 35.2; შედგომილ არიან 35.2; არს განვრდომა 37.2; წარსაწყმედელად მიეცემიან 37.2; უწყია სინანულად და აღთქმა უქნია 42.2; გარდაცვალებულ არს 42.2; იქმნების ცოდვა 48.1; წინააღმდგომ არს 46.2; განფრთხობა უკმს 54.2; ჯერ არს რწმუნება 56.2; უტყუარ არიან 56.2; ჯერ არს ქონებად 62.1; მორწმუნე ვართ 65.2; ზარტყხილ-გვეოფს 67.2; მექონე ვართ 68.2; ჯერ

არს სიყვარული 71.1; ჯერ არს შეყვარებად 71.2; ზეგარდმო არს 71.2; თანა-აც  
აღსარება 74.2; თანამდებ არს 74.2; ქმნა ქორწილისა 74.2; არიან ... მოქმედებანი 79.1;  
შემძლებელ ვართ 88.1; თანაშემწე ექმნას 87.2; ძალ-ედვას 87.2; ზიარად ...  
წარმოაჩინებს 89.2; ძლიერ-ჰყოფს 89.2; ოჯერ იქმნებიან 89.2; გვენებოს აღსრულება  
93.1; უმჯობეს არს 94.1; ჯერ არს ... მოსმენა 97.1; უკმს დოგმა 102.1; მიტვევებ  
...შეცოდებად 103.2; ღირს ვიქმნე 105.2; აღთქმასაცა ჰყოფდეს 105.2 და ა.შ.

კალკირებული ფრაზები:

შთაგდა ... ჯოჯოხეთად 23.2; განვალს ამიერ სოფლით 33.2; წარსაწყმედელად  
მიეცემიან 35.2; სასუფეველად აღუსვლელობისათვის 43.1; პირი უფლისა მიიქცევს  
მათგან 87.1; სასჯელსა იგი არა შევიდეს 96.2; შთააგდოს მიიმესა ცოდვასა შინა  
103.1; მიტვევებ მე შეცოდებად 103.2; შთავარდეს კაცი იწროებასა ... შინა 104.1;  
შთავარდეს განსაცდელსა 105.2.

პირის ნაცვალსახელთა ჭარბი ხმარება:

მოყვასი შენი 70.1; საქმე იგი 70.1; შეცოდებანი თქვენნი 71.2; დედასა შენსა 73.1;  
ღმერთი შენი 73.2; მოყვასისა შენისასა 73.1; ცხოვნებისა თვისისა 84.2; ჰელნი  
თქვენნი 94.2; გველისა მისგან 99.2; მეუფება მისი 99.2; სოფელსა ამას 3.2;  
საუკუნოსა მას 4.2;

პრეპოზიციური წყობა: თვით უფალი 2.2; ჩვენებრივ ანაგები 4.1; სახემიუღებელი  
უნივთო წმიდა სული 4.2; წმიდათა ანგელოზთაგან 6.2; სიტყვისა მქონებელი 7.2;სამი  
გვამი 8.1; სამთა ღვთაებრივთა გვამთაგან 11.1; მეორე გვამი 11.2; უბიწოსა  
ქალწულისა 13.2; განწორციელებულსა ძესა 15.1; რაოდენნი წელნი 21.1;  
ოცდაათცამეტი წელი 21.2; უხრწელი გვამი 23.1; განდობილმან სულმან 25.1;  
თუთუელთა საქმეთა 30.2; გლახაკთა ხვაიშნითა 33.2; შუღნი მომაკვდინებელნი  
ცოდვანი 34.1; მომაკვდინებელი ცოდვა 52.1; მცირედნი ცოდვანი 53.2; ძველი წერილი  
57.2; მოსალოდებელისა წყალობისა 60.2; კეთილნი იგი საქმენი 61.1; კეთილის  
მომნიჭებელი 63.2; საუკუნესა ცხორებასა 64.2; კეთილნი საქმენი 65.1; უხვ ნიჭი 66.2;  
დაუსრულებელისა სახიერებისა 67.2;

მარხვისა პყრობა 74.2; სულიერნი კეთილმოქმედებანი 80.1; შუღნი ნაყოფიერნი  
მადლნი 89.1; ვითარითა ფიქრითა 99.1; წმიდა ეკლესია 101.2 და ა.შ.

პოსტპოზიციური წყობა: ღმერთი ჩვენი 2.2; გვამნი წმიდისა სამებისანი 10.2;

კორცნი კაცობრივნი 12.2; მცხნელი ჩვენი 15.2; იანვარს ექვსსა 18.1; სულთათვის  
მამამთავართა 24.2; სულმან ქრისტესმან 26.1; სული ყოვლადწმიდა 28.2; სჯული

შენი 44.1; სული შემუსრული და გული დამდაბლებული 44.1; წყალობა ჩენი 63.2; კეთილმოქმედებითა ჩენითა 65.2; მოყვას ჩენდა 69.1; სახე და ხატი ღვთისა 69.2; მოყვასი შენი 70.1; ჳმევა საზრდელისა 74.2; ნაყოფნი სულისა წმიდისანი 78.1; მტერნი კაცთანი 81.1; წინააღმდეგომნი სულისა წმიდისანი 84.1; მახე ეშმაკისა 88.2 და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ნაცვალსახელთა ურთიერთმიმართების მიხედვით, ტექსტი ამჟღავნებს მიდრეკილებას ახალი ნორმისადმი, კერძოდ, პრეპოზიციური წყობისადმი.

მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ანასტასი პატრიარქისა ანტიოქისა  
სიტყუად კითხვა-მიგებითი საღმრთოსა გულისკმისყოფისათუს

ენობრივი ანალიზი

თხზულება გადაწერილია XVIII საუკუნის შუა წლებში, იგი, ისევე როგორც წინა ხელნაწერი, ენობრივი თვალსაზრისით მიეკუთვნება ე.წ. საშუალო ქართულს. მასში მახასიათებელია გარდამავალი ქართულისათვის თვისობრივი მოვლენები, მაგრამ ტექსტი გამოირჩევა ენობრივი საშუალებების გამოყენების სიმწკობრითა და ერთგვაროვნებით, ანუ, ნაკლებად გვხვდება პარალელური ფორმები.

რედუქცია: რომლისა 1.1

ბგერის დაკარგვა: ღთაებისასა 4.2; ღთაებისათუს 11.1; ღთისა 15.2... , მაგრამ აქვე გვხვდება - ნება ღმრთისა 15.1

ასიმილაცია: უხესთაეს 5.2; უნადგან

ჟ-ს ენაცვლება ვ: გვამოვნებითა 6.2; 7.2;...

არაწესისამებრ იხმარება ვ:

ბგერის გადანაცვლება: სამღთო 15.2; 16.2;...; მისვლა 16.2

ბგერის დაკარგვა: თითეულისა 13.1

ბგერის გაჩენა: ცხორება 16.2

აკლია ირიბი ობიექტის ნიშანი: ნებაეს 16.2

ნაცვალსახელის პრეპოზიციური წყობა: რომლისა სარწმუნოებისა 1.1; ერთსა ბუნებასა 3.2; ყოვლის შემძლებელი 5.2; ერთი ღმერთი 9.2; სხუსა შემტკიცებისა 10.2; რაოდენთა გვამოვნებასა 11.1; მამისა უშობელობა 13.2; ძისა შობილება 13.2; სულისა წმიდისა გამიმაველობა 13.2; რაოდენთა ბუნებათა 14.1; ქრისტეს განჯორციელებისა განგებისათუს 14.1; ოთხთა ბუნებათა 14.2; სამღთო საქმე 16.1; ყოველთა კაცთა 16.2; კაცობრივი საქმე 18.2; ერთსა გვამოვნებასა 19.2; სამღთოთა ბუნებითა 20.2; უთარითა ზიარებითა 21.1.

პოსტპოზიციური წყობა: არსება უმიზეზო 5.2; მიზეზი ყოველთა 5.2; უხეშთაეს ბუნებისა 5.2; პირება თანაარსი 12.2; ხატი ბუნებისა 12.2; განთუსება თითეულისა 13.1; ნება ღმრთისა 15.1; ნება კაცებისა 17.1; მსგავსნი ამისნი 18.2; გვამოვნებისა მისისათა 21.2



ვხედავთ, რომ ახალი ფორმა, პრეპოზიციური, უფრო მრავლად არის წარმოდგენილი გადამწერის მიერ.

წმ. ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლო“

უკუეთუ ვისმე ჰნებაგს ცხორებაჲ, პირველ ყოვლისა, ჯერ არს, რაჲთა აქუნდეს მართალი სარწმუნოებაჲ. 1.

1. *Εἴ τις θέλει σωθῆναι, πρὸ πάντων χρὴ αὐτῷ τὴν καθολικὴν κρατῆσαι πίστιν.*

2. *Τῷ θέλοντι σωθῆναι πρὸ πάντων ἀνάγκη τὴν καθολικὴν πίστιν κατέχειν.*

3. *Ὅστις ἂν βούληται σωθῆναι, πρὸ πάντων χρὴ κρατεῖν τὴν καθολικὴν πίστιν.*

4. *Εἴ τις βούλοιτο σωθῆναι, πρὸ πάντων αὐτῷ χρεῖα κρατῆσαι τὴν ὀρθόδοξον πίστιν.*

პირველ შემთხვევაში, საწყისი *σωθῆναι*(*საჯა*), რაც ხსნას ნიშნავს, ქართულში გადმოტანილია, როგორც „ცხორებაჲ“, კალკია *χρῆ* - ჯერ არს, რომელსაც ქართულში მოსდევს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, ხოლო ბერძნულში საწყისი(*κρατῆσαι*), და ეს(ბერძნულის აღწერილობითი ფორმის ჩანაცვლება ქართულში დამოკიდებული წინადადებით) ერთი ძირითადი ტენდენციაა ბერძნულ-ქართული ტექსტების ურთიერთმიმართებისათვის.

მეორე შემთხვევაში, უკვე ქართულის ზმნა ორიგინალში გამოსატულია მიცემითი ბრუნვის მიმღებობით(*Τῷ θέλοντι*).

მესამე შემთხვევაში, შინაარსობრივად შეცვლილია ზმნა, საშუალ- ვნებითის ფორმით გადმოცემული *βούληται*(*ბოულეუა*) უფრო განზრახვას, ბჭობას, ფიქრს, გადაწყვეტას გულისხმობს.

ხოლო მესამე შემთხვევაში, იგივე ზმნა უკვე ბერძნულის ნატვრითი კილოს ფორმით გვევლინება - *βούλοιτο*.

აქედან სამ შემთხვევაში ტექსტში ჩართულია უკუქცევითი ნაცვალსახელი.

ეს მონაკვეთი თარგმანისა ყველაზე მეტად იდენტურია პირველი შემთხვევისა.

რომელი იგი არათუ ვინმე განუხრწნელად და შეუგინებელად დაჰმარხოს, უეჭუელად წარწყმდეს. 2.

1. *ἢν εἰ μὴ τις ὑγιῆ καὶ ἀμωμον τηρήσειε, πάσης ἀμφιβολίας ἐκτὸς εἰς τὸν αἰῶνα ἀπολείται.*

2. *ἢν εἰ μὴ τις ἀκεραῖαν καὶ ἀπαράθραυστον συντηρήσειεν, ἀνὰμφιβόλως εἰς τὸν αἰῶνα ἀπολείται.*

3. *ἢν εἰ μὴ εἷς ἕκαστος σώαν καὶ ἀμώμητον τηρήσῃ, ἀνευ δισταγμοῦ εἰς τὸν αἰῶνα ἀπολείται.*

4. *ἢν ἔαν μὴ τις ἀμόλυντον καὶ ἀφθορον τηρήσῃ, αἰώνιον εὐρήσει τὴν ἀπώλειαν.*

ვნებითი გვარის ზმნა წარმდგეს შესაბამისი სამ შემთხვევაში ორიგინალში არის ასევე საშუალ-ვნებითის *ἀπολείται*, ხოლო ქართულში საერთოდ არ არის საუკუნოდ (*εἰς τὸν αἰῶνα*). ბერძნულ ვარიანტებში არის სინონიმები (*ἀνάμφιβόλως, δισταγμου...*), ხოლო მეოთხე შემთხვევაში შემოტანილია ახალი სიტყვა *ἐρήσει*, რაც მომავალი დროით მოპოვებას, აღმოჩენას ნიშნავს. საერთოდ, მეოთხე შემთხვევა გამოირჩევა თავისი ტერმინოლოგიური განსხვავებულობით წინა სამი შემთხვევისაგან.

ქართულ ტექსტთან ყველაზე იდენტური მეორე შემთხვევაა. ხოლო მართალი სარწმუნოება ესე არს, რაფთა ერთსა ღმერთსა სამებით და სამებასა ერთარსებით ვჰმსახურებდეთ: არა შევრევდეთ გუამოვნებასა, არცა განვჰყოფდეთ არსებასა. 3.

1. Πίστις δὲ καθολικὴ αὕτη ἐστίν, ἵνα ἓνα Θεὸν ἐν Τριάδι, καὶ Τριάδα ἐν μονάδι σέβωμεν, μὴτε συγχέοντες τὰ πρόσωπα, μὴτε τὴν οὐσίαν διαροῦντες.

2. Αὕτη δὲ ἐστὶν ἡ καθολικὴ πίστις, ἓνα Θεὸν ἐν Τριάδι, καὶ Τριάδα ἐν μονάδι σέβειν ἡμᾶς, μὴτε τὰ πρόσωπα συγχέοντας, μὴτε τὴν οὐσίαν διαροῦντας.

3. Πίστις δὲ ἡ καθολικὴ αὕτη ἐστίν, ἵνα ἓνα Θεὸν ἐν Τριάδι, καὶ Τριάδα ἐν μονάδι σεβώμεθα, μὴτε συγχέοντες τὰς ὑποστάσεις, μὴτε τὴν οὐσίαν διαχωρίζοντες.

4. Πίστις οὖν ἡ ὀρθόδοξος αὕτη ἐστίν, ἵνα ἓνα Θεὸν ἐν Τριάδι, καὶ Τριάδα ἐν μονάδι σέβωμεν, μὴτε συγχέοντες τὰς ὑποστάσεις, μὴτε τὴν οὐσίαν διαιροῦντες.

ქართული თარგმანისათვის (და არა მარტო თარგმანისათვის) დამახასიათებელი კალკები უგულვებელყოფილია ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით და წინდებულებიანი კონსტრუქცია მოქმედებითი ბრუნვის უბრალო დამატებით არის მოწოდებული (*ἐν Τριάδι..., ἐν μονάδι* - სამებით..., ერთარსებით). მაგრამ აქვეა კალკები მრავლობითი რიცხვის მიმღებებისა, რომლებიც ქართულში ზმნებით გადმოიცემა (*συγχέοντες, διαροῦντες* - შევრევდეთ, განვჰყოფდეთ). ეს პირველ შემთხვევაში.

მეორე შემთხვევაში, იგივე მიმღებები მრავლობითი რიცხვის ბრალდებითი ბრუნვითა წარმოდგენილი, ხოლო ზმნა აწმყოს საწყისითა და I პირის ნაცხვალსახელითაა ასევე ბრალდებითის მრავლობით რიცხვში (*σέβειν ἡμᾶς* - ვჰმსახურებდეთ).

მესამე შემთხვევაში ახალი სინონიმური საწყისი შემოდის *διαχωρίζοντες*.

სინონიმებად ვლინდება გვამოვნების, პირის აღმნიშვნელი აღმნიშვნელი *τό πρόσωπον(I, II)* და *ἡ ὑπόστασις(III, I)*, ხოლო არსების აღმნიშვნელი ყველა შემთხვევაში ერთია - *η οὐσία*.

ქართული ყველაზე მეტად მსგავსია პირველი და მეოთხე შემთხვევებისა.

რამეთუ სხუად არს გუამოვნებაჲ მამისა და სხუად არს ძისა და სხუად სულისა წმიდისა. 4.

1. *Ἄλλη γάρ ἐστὶν ἡ τοῦ Πατρὸς ὑπόστασις, ἄλλη τοῦ Υἱοῦ, καὶ ἄλλη τοῦ ἁγίου Πνεύματος.*

2. *Ἄλλο γάρ ἐστὶ τὸ τοῦ Πατρὸς πρόσωπον, ἄλλο τὸ τοῦ Υἱοῦ, ἄλλο τὸ τοῦ ἁγίου Πνεύματος.*

3. *Ἄλλη γάρ ἐστὶν ἡ ὑπόστασις τοῦ Πατρὸς, ἄλλη τοῦ Υἱοῦ, ἄλλη τοῦ ἁγίου Πνεύματος.* 4. *Ἄλλη γάρ ὑπόστασις τοῦ Πατρὸς, ἄλλη τοῦ Υἱοῦ, ἄλλη τοῦ ἁγίου Πνεύματος.*

ქართული თარგმანი აბსოლუტურად იდენტურია ბერძნულის ოთხივე ვარიანტისა, და ეს ლოგიკურიცაა ეს წინადადებები ღოგმტიკაა.

ხოლო ღმრთეებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთ არს: ერთი ძლიერებაჲ, ერთი კელმწიფებაჲ, ერთი მეუფებაჲ, სწორი დიდებაჲ, სწორი დიდებულებაჲ და საუკუნო. 5.

1. *Ἄλλὰ Πατρὸς καὶ Υἱοῦ, καὶ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶ θεότης, ἴση δόξα, συνδιακονίζουσα ἡ μεγαλειότης.*

2. *Ἄλλὰ τοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος μία ἐστὶ θεότης, ἴση δόξα, συναΐδιος μεγαλειότης.*

3. *Ἄλλὰ Πατρὸς, καὶ Υἱοῦ, καὶ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶν ἡ θεότης, μία ἐστὶν ἡ δόξα, συναΐδιος ἡ μεγαλειότης.*

4. *Ἄλλὰ τοῦ Πατρὸς, καὶ τοῦ Υἱοῦ, καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶν ἡ θεότης, ἔν τὸ κρᾶτος, μία ἐξουσία, μία βασιλεία, ἴση ἡ δόξα, ἴση ἡ μεγαλωσύνη καὶ αἰώνιος.*

ქართულში ღმრთეებაჲ საგანგებოდ არის გამოყოფილი და ხაზგასმული, განსაზღვრებაა მაშინ, როცა იგი დედანში ჩამონათვალში მოხვდა.

ქართული თარგმანი ყველაზე მეტად ემთხვევა IV ვარიანტს.

ვითარი არს მამაჲ, ეგევითარივე არს ძე, ეგევითარივე არს სული წმიდაჲ. 6.

1. *Ὁμοῖος ὁ Πατήρ, τοιοῦτος καὶ ὁ Υἱός, τοιοῦτον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον.*

2. 3. 4. *Ὁμοῖος ὁ Πατήρ, τοιοῦτος ὁ Υἱός, τοιοῦτον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον.*

აქაც წმინდა წყლის ღოგმატიკაა მოცემული და ქართული იმეორებს ორიგინალის ოთხივე ვარიანტს.

დაუბადებელი მამა, დაუბადებელი ძე, დაუბადებელი სული წმიდა, არამედ არა სამნი დაბადებულნი, არამედ ერთი დაუბადებელი. 7.

ყოვლისა მპყრობელი მამა, ყოვლისა მპყრობელი ძე, ყოვლისა მპყრობელი სული წმიდა. არამედ არა სამნი ყოვლისა მპყრობულნი, არამედ ერთი ყოვლისა მპყრობელი. 8.

საუკუნოდ მამა, საუკუნოდ ძე, საუკუნოდ სული წმიდა. არამედ არა სამნი საუკუნონი, არამედ ერთი საუკუნოდ. 9.

1. *Αἰώνιος ὁ Πατήρ, αἰώνιος ὁ Υἱὸς, αἰώνιον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Καὶ ὁμῶς οὐ τρεῖς αἰῶνοι, ἀλλ' εἷς αἰώνιος.*

3. *Αἰώνιος ὁ Πατήρ, αἰώνιος ὁ Υἱὸς, αἰώνιον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Πλὴν οὐ τρεῖς αἰῶνοι, ἀλλ' εἷς αἰώνιος.*

4. *Αἰώνιος ὁ Πατήρ, αἰώνιος ὁ Υἱὸς, αἰώνιον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. καὶ οὐ τρεῖς αἰῶνοι, ἀλλ' εἷς αἰώνιος.*

თვითონ ბერძნული ტექსტები არიან ერთნაირნი, და შესაბამისად, ქართულიც ზუსტად იმეორებს მათ.

ყოვლადძლიერი მამა, ყოვლადძლიერი ძე, ყოვლადძლიერი სული წმიდა. არამედ არა სამნი ყოვლადძლიერნი, ერთი ყოვლადძლიერი. 10.

1. *Ὁμοίως παντοκράτωρ ὁ Πατήρ, παντοκράτωρ ὁ Υἱὸς, παντοκράτωρ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον, καὶ ὁμῶς οὐ τρεῖς παντοκράτορες, ἀλλ' εἷς παντοκράτωρ.*

2. *Ὁμίως παντοδύναμος ὁ Πατήρ, παντοδύναμος ὁ Υἱὸς, παντοδύναμον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον, οὐ μὴν τρεῖς παντοδύναμοι, ἀλλ' εἷς παντοδύναμος.*

3. *Ὁμοίως παντοδύναμος ὁ Πατήρ, παντοδύναμος ὁ Υἱὸς, καὶ παντοδύναμον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. πλὴν οὐ τρεῖς παντοδύναμοι, ἀλλ' εἷς παντοδύναμος.*

4. *Παντοκράτωρ ὁ Πατήρ, παντοκράτωρ ὁ Υἱὸς, παντοκράτωρ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. καὶ οὐ τρεῖς παντοκράτορες, ἀλλ' εἷς παντοκράτωρ.*

სიტყვა ყოვლადძლიერი პირველსა და მეოთხე შემთხვევაში, გადმოცემულია, როგორც *παντοκράτωρ*, ხოლო მეორესა და მესამე შემთხვევაში როგორც *παντοδύναμος*.

ესრეთ ღმერთი მამა, ღმერთი ძე, ღმერთი სული წმიდა. არამედ არა სამნი ღმერთნი, არამედ ერთი ღმერთი. 11.

1. Οὕτω Θεὸς ὁ Πατὴρ, Θεὸς ὁ Υἱὸς, Θεὸς τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. ἀλλ' ὁμως οὐ τρεῖς Θεοὶ, ἀλλ' εἷς Θεός.
2. Οὕτω καὶ Θεὸς ὁ Πατὴρ, Θεὸς ὁ Υἱὸς, Θεὸς τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. οὐ μὴν τρεῖς Θεοὶ, ἀλλ' εἷς Θεός.
3. Οὕτω Θεὸς ὁ Πατὴρ. Θεὸς ὁ Υἱὸς, Θεὸς τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. πλὴν οὐ τρεῖς Θεοὶ, ἀλλ' εἷς Θεός.
4. Οὕτω Θεὸς ὁ Πατὴρ, Θεὸς ὁ Υἱὸς, Θεὸς τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον, καὶ οὐ τρεῖς Θεοὶ, ἀλλ' εἷς ἐστὶ Θεός.

ქართული ვარიანტი ბუკვალურად მსგავსია დედნის მეოთხე ვარიანტისა.

უფალი მამა, უფალი ძე, უფალი სული წმიდა. არამედ არა სამნი უფალნი, არამედ ერთი უფალი. 12.

1. Ὡσαύτως Κύριος ὁ Πατὴρ, Κύριος ὁ Υἱὸς, Κύριος τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον, καὶ ὁμως οὐ τρεῖς κύριοι, ἀλλ' εἷς ἐστὶ Κύριος.
2. Οὕτω Κύριος ὁ Πατὴρ, Κύριος ὁ Υἱὸς, Κύριος τὸ Πνεῦμα - τὸ ἅγιον. οὐ μὴν τρεῖς κύριοι, ἀλλ' εἷς Κύριος.
3. Ὁμοίως Κύριος ὁ Πατὴρ, Κύριος ὁ Υἱὸς, Κύριον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. πλὴν οὐ τρεῖς κύριοι, ἀλλ' εἷς ἐστὶ Κύριος.
4. Κύριος ὁ Πατὴρ, Κύριος ὁ Υἱὸς, Κύριος τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον, καὶ οὐ τρεῖς κύριοι, ἀλλ' εἷς ἐστὶ Κύριος.

ქართულში არ არის განზოგდება Ὡσαύτως, Οὕτω - როგორც, როგორიც, და Ὁμοίως - მსგავსად.

და ვითარცა თითოეულად თვითოეულისა გუამოგნებისა ღმერთად და უფლად აღსარებისა ჭეშმარიტად ქრისტიანობად ვიტყვთ, ეგრეთვე სამთა ღმერთთა და სამთა უფალთა თქუმასა არა თავს-ვიდებთ, არამედ სრულიად განვიშორებთ. 13.

1. Ὅτι, ὡσπερ μονδικῶς ἐκάστην ὑπόστασιν Θεὸν καὶ Κύριον ὁμολογεῖν Χριστιανικῇ ἀληθείᾳ ἀναγκαζόμεθα, οὕτω τρεῖς Θεοὺς ἢ τρεῖς κυρίους λέγειν καθολικῇ εὐσεβείᾳ κωλύμεθα.
2. ἐπεὶ καθὼς ἕκαστον τῶν προσώπων Θεὸν ἢ Κύριον ὁμολογεῖν ὑπὸ τῆς Χριστιανικῆς ἀληθείας ἀναγκαζόμεθα, οὕτω καὶ τρεῖς Θεοὺς ἢ κυρίους λέγειν ἢ καθολικῇ θρησκείᾳ κωλύει.
3. Ὅτι ὡς ἰδίᾳ μίαν ἐκάστην ὑπόστασιν, Θεὸν καὶ Κύριον ὁμολογεῖν τῇ Χριστιανικῇ ἀληθείᾳ βιαζόμεθα. οὕτω τρεῖς Θεοὺς ἢ τρεῖς κυρίους λέγειν, τῇ καθολικῇ ἀληθείᾳ κολυόμεθα.
4. Καὶ ὡσπερ μονδικῶς μίαν ἐκάστην ὑπόστασιν Θεὸν καὶ Κύριον ὁμολογεῖν Χριστιανικῇ ἀληθείᾳ συνηγοροῦμεν, οὕτω τρεῖς Θεοὺς ἢ τρεῖς κυρίους λέγειν οὐ συναινοῦμεν, ἀλλὰ παντελῶς ἀπαγορεύομεν.

პირველ შემთხვევაში, ინფინიტივი საწყისითვეა გადმოსული და პირველი პირის მრ. რიცხვის საშუალ-ვნებითი ზმნა ასევე ზმნით(*ὁμολογῶν ... ἀναγκαζόμεθα* - აღსარებისა ... ვიტყვთ), ოღონდ ქართულში ნაკლებად ჩანს ამ ბერძნული ზმნის აუცილებლობის ხასიათი. სამაგიეროდ, შემდეგ გავრცობილია და გამკვეთრებულია უარყოფის შინაარსი.

მეორე შემთხვევაში, სიტყვა *θησκεία* უფრო კონკრეტულია რელიგიური თვალსაზრისით და ღვთისმსახურებას ნიშნავს. *ὑπὸ* წინდებული, რაც ნათესაობით ბრუნვასთან მიერ, ქვეშ შინაარსით იხმარება, ქართულში მხოლოდ ვითარებითი ბრუნვით გამოიხატა.

მესამე შემთხვევაში კიდევ უფრო გამძაფრებულია *βιαζόμεθα(βιαζώ)* ზმნით იმპერატიული იმპულსი აღსარება ზმნისა.

მეოთხე შემთხვევაშიც განსხვავებულად არის გამოხატული ნების დართვა უარყოფის აზრი(*συνήγοροῦμεν -ἀπαγορεύομεν*).

ქართულშიც და ოთხსავე შემთხვევაშიც საწყისი თქუმა საწყისითვეა(*λέγειν*). იგი ყველაზე მეტად ეთანხმება IV ვარიანტს.

რამეთუ მამაჲ არავისგან არს შექმნულ, არცა დაბადებულ, არცა შობილ. 14.

1. *Ὁ Πατήρ ὑπ' οὐδενός ἐστι πεποιημένος, οὔτε δεδευουργημένος, οὔτε γεγεννημένος.*
2. *Ὁ Πατήρ τοῖσιν ὑπ' οὐδενός οὔτε πεποιήται, οὔτε ἔκτισται, οὔτε γεγέννηται.*
3. *Ὁ Πατήρ ἀπ' οὐδενός ἐστιν, οὔτε μὴν κτιστός, οὔτε ποιητός, οὐδὲ γεννητός.*
4. *Πατήρ γὰρ παρ' οὐδενός ἐστι ποιητός, οὐ κτιστός, ἀλλ' ἀγέννητος.*

მხოლოდ მეორე შემთხვევაშია საშუალ-ვნებითი გვარის ზმნებით გადმოცემული მოქმედება, დანარჩენ სამ შემთხვევაში კი მიმდევობით. ასევეა ქართულშიც. იგი უფრო კონკრეტულად I შემთხვევას ეთანადება.

ქე მამისაგან მხოლოდსა არს არა შექმნილ, არცა დაბადებით, არამედ შობით. 15.

1. *Ὁ Υἱὸς ἀπὸ μόνου τοῦ Πατρὸς ἐστιν οὐ πεποιημένος, οὐδὲ δεδημιουργημένος, ἀλλὰ γεγεννημένος.*
2. *Μόνος Υἱὸς παρὰ τοῦ Πατρὸς μόνου ἐστὶν οὐ ποιηθεὶς, οὐ κτισθεὶς, ἀλλὰ γεννηθεὶς.*
3. *Ὁ Υἱὸς ἀπὸ τοῦ Πατρὸς μόνου ἐστιν, οὐ ποιητός, οὐ κτιστός, ἀλλὰ γεννητός.*
4. *Ὁ Υἱὸς ἀπὸ τοῦ Πατρὸς ἐστιν οὐ ποιητός, οὐ κτιστός, ἀλλὰ γεννητός.*

ქართული თარგმანის ეს მონაკვეთი იმეორებს ბერძნულის პირველ ვარიანტს. პირველსა და მეორე შემთხვევებში მიმდევობები საშუალ-ვნებითისა და ვნებითი გვარის ფორმებითაა მოცემული დედანში, ხოლო გრამატიკული დროები პირველი

შემთხვევისთვის ახლანდელია, ხოლო მეორესათვის აორისტი, ქართულისათვის წყვეტილი.

სული წმიდაა - მამისაგან და ძისა, არა შექმნილი, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით. 16.

1. *Τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον ἀπὸ τοῦ Πατρὸς οὐ πεποιημένον, οὔτε δεδημιουργημένον, οὔτε γεγενημένον, ἀλλ' ἐκπορευτόν.*

2. *Τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον παρὰ Πατρὸς καὶ Υἱοῦ οὐ ποιηθέν, οὐ κτισθέν, οὐ γεννηθέν, ἀλλ' ἐκπορευόμενον.*

3. *Τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον ἀπὸ τοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ οὐ ποιητόν, οὐ κτιστόν, οὐδὲ γεννητόν, ἀλλ' ἐκπορευτόν.*

4. *Τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον ἀπὸ τοῦ Πατρὸς ἐστὶν οὐ ποιητόν, οὐ κτιστόν, οὐ γεννητόν, ἀλλ' ἐκπορευτόν.*

და აი, ის ცნობილი მონაკვეთი ამ თხზულებისა, სადაც, კათოლიკური პრიმატით, სული წმიდის მამისაგან და ძისაგან გამომავლობაზეა ლაპარაკი, რაც მეორე და მესამე ვარიანტში აღინიშნება.

პირველ სამ შემთხვევაში დამხმარე ზმნა არ არის.

ქართულში მოქმედებები ამჯერად მოქმედებითი ბრუნვის საწყისებითაა გადმოსული, ხოლო ბერძნულში იგივე მოქმედებები საშუაალ-ვნებითისა და ვნებითი გვარის ახლანდელი დროისა და აორისტის მიმდევობების ბრალდებითი ბრუნვის ფორმებითაა გამოხატული.

ერთი უკუე არს მამაა, არა სამნი მამანი, ერთი ძე, არა სამნი ძენი, ერთი სული წმიდაა, არა სამნი სულნი წმიდანი. 17.

1. *Εἷς οὖν ἐστὶ Πατὴρ, οὐ τρεῖς πατέρες. εἷς Υἱὸς, οὐ τρεῖς υἱοί. ἓν Πνεῦμα ἅγιον, οὐ τρία πνεύματα ἅγια.*

2. *Εἷς τοῖνον Πατὴρ, οὐ τρεῖς πατέρες, εἷς ὁ Υἱὸς, οὐ τρεῖς υἱοί, ἓν Πνεῦμα ἅγιον, οὐ τρία πνεύματα ἅγια.*

3. *Εἷς οὖν ὁ Πατὴρ, οὐ τρεῖς πατέρες, εἷς Υἱὸς, οὐ τρεῖς υἱοί. ἓν Πνεῦμα ἅγιον, οὐ τρία πνεύματα τὰ ἅγια.*

4. *Εἷς λοιπὸν ὁ Πατὴρ, οὐ τρεῖς πατέρες, εἷς Υἱὸς, οὐ τρεῖς υἱοί. ἓν Πνεῦμα ἅγιον, οὐ τρία πνεύματα ἅγια.*

სიტყვას უკუე პირველსა და მესამე შემთხვევაში შეესაბამება *οὖν*, ხოლო მეორე შემთხვევაში *τοῖνον*, მეოთხეში კი - *λοιπὸν* .



და ამას სამეხასა შინა არავინ არს პირველი, გინა უკუანადსკნელი. არავინ არს დიდი, გინა მცირე, არამედ ყოვლითურთ სამნივე ესე გუამოვნებანი საუკუნო არიან და სწორ. 18.

1. *Καὶ ἐν ταύτῃ τῇ Τριάδι οὐδὲν πρῶτον ἢ ὕστερον, οὐδὲν μείζον ἢ ἔλαττον, ἀλλ' ὅλαι αἱ τρεῖς ὑποστάσεις συνδιαιωσίζουσαι ἑαυταῖς εἰσι καὶ ἴσαι.*

2. *Ἄλλ' ἐν ταύτῃ τῇ Τριάδι οὐδὲν πρότερον ἢ ὕστερον, οὐδὲν μείζον ἢ ἔλαττον, ἀλλὰ τρία πρόσωπα συναῖδια ἑαυτοῖς ἐστί, καὶ διὰ πάντων ἴσα.*

3. *Καὶ ἐν ταύτῃ τῇ Τριάδι οὐδὲν πρότερον ἢ ὕστερον, οὐδὲν μείζον ἢ ἔλαττον, ἀλλὰ πᾶσαι αἱ τρεῖς ὑποστάσεις συναῖδιοί εἰσιν ἑαυταῖς καὶ ἴσαι.*

4. *Καὶ ἐν ταύτῃ τῇ Τριάδι οὐδεὶς πρῶτος ἢ ἔσχατος, οὐδεὶς μέγας ἢ μικρός. ἀλλὰ αἱ τρεῖς ὑποστάσεις αἰώνιοι τέ εἰσι καὶ ἴσαι εἰς πάντα, ὡς προείρηται.*

ამ შემთხვევაში, ისევე როგორც უმრავლეს შემთხვევაში, ოთხივე ვარიანტიდან კალკირებულია წინდებულიანი ფორმა - *ἐν ταύτῃ τῇ Τριάδι* - ამას სამეხასა შინა. ქართული ემსგავსება უფრო IV ვარიანტს, ოღონდ მასში არ არის *ὡς προείρηται*, რაც წინასწარ თქმას ნიშნავს.

ესრეთ ყოვლითურთ, ვითარცა ზემოთქმულ არს, სამეხაჲ ერთარსებით და ერთარსებაჲ სამებით იდიდებდინ. 19.

1. *Οὕτως, ἵνα διὰ πάντων, ὡσπερ ἤδη προείρηται, καὶ Τριάς ἐν μονάδι, καὶ μονὰς ἐν Τριάδι λατρεύηται.*

2. *Οὕτως ὡς κατὰ πάντα, καθὼς ἤδη εἶπομεν, καὶ τὴν Τριάδα ἐν τῇ μονάδι, καὶ τὴν μονάδα ἐν τῇ Τριάδι σέβειν ἡμᾶς.*

3. *Ὅστε κατὰ πάντα (καθὼς εἶρηται) καὶ τὴν μονάδα ἐν Τριάδι, καὶ τὴν Τριάδα ἐν μονάδι σέβεσθαι δεῖ.*

4. *Μονάδα γοῦν ἐν Τριάδι, καὶ Τριάδα ἐν μονάδι πᾶσ Χριστιανὸς εὐσεβείσθω.*

ვნებითი გვარის ზმნის ბრძანებითის ფორმა ქართულისა იდიდებდინ ამავე გვარით არის მოცემული *λατρεύηται*, მაგრამ შინაარსობრივად უფრო მსახურებას, თავის დახრას მოიაზრებს თავისთავში. ეს პირველ შემთხვევაში.

მეორე შემთხვევაში, იგივე ზმნა საწყისითა და პირველი პირის მრ. რ-ის ბრალდებითი ბრუნვის ნაცვალსახელით არის მოცემული (*σέβειν ἡμᾶς*).

მესამე შემთხვევაში ეს შინაარსი უფრო იმპერატიულია ვნებითის საწყისითა და დამხმარე ზმნით გამოიხატება, ხოლო მეოთხე შემთხვევაში საერთოდ ბრძანებითის ფორმაა გამოყენებული (*εὐσεβείσθω*).

ქართული უფრო ჰგავს პირველ ვარიანტს.

და რომელსაცა ჰნებავს ცხორებაჲ წმიდისა სამებისათჳს, ესრეთ დიდებისმეტყუელებდინ. 20.

1. *Ὁ θέλων οὖν σωθῆναι, οὕτω περὶ τῆς ἀγίας Τριάδος νοεῖτω.*
2. *Ὁ βουλόμενος τοῖνον σωθῆναι, οὕτω περὶ τῆς Τριάδος φρονεῖτω.*
3. *Ὁ γοῦν βουλόμενος σωθῆναι, οὕτω περὶ Τριάδος φρονεῖτω.*
4. *καὶ οὕτω περὶ τῆς ἀγίας καὶ ζῳποιοῦ καὶ ὁμοουσίου τριάδος δοξαζέτω.*

ისევ მიმღეობა ბერძნულისა ქართულში ზმნით გვევლინება(θέλων - ჰნებავს), წინდებული *περὶ* ამავე შინაარსითაა კალკირებული ნათესაობითი ბრუნვით(სამებისათჳს), ხოლო ბრძანებითის ფორმა *νοεῖτω(νοεω)* შეცნობას, მოაზრებას გულისხმობს. ეს პირველ შემთხვევაში.

მეორე და მესამე შემთხვევაში მიმღეობა უკვე საშუაალ-ვნებითის გვართ არის მოცემული (*βουλόμενος*), ხოლო ბრძანებითის ფორმა *φρονεῖτω* ასევე მოფიქრებას, მოაზრებას, ზრუნვის ქონას, მცდელობას ნიშნავს.

მეოთხე შემთხვევაში საერთოდ არ არის „რომელსაცა ჰნებავს“, თუმცა წინადადების ბოლო სიტყვა ზუსტად ემთხვევა ქართულისას - *δοξαζέτω*.

თარგმანი უფრო ამჟღავნებს I ვარიანტისადმი მსგავსებას.

ეგრეთვე ჯერ არს ჩუენდა საუკუნოჲსა ცხორებისა და უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს განჯორციელებაჲ მტკიცე სარწმუნოება არს. 21.

1. *Ἀλλ' ἀναγκαῖον δὲ ἐστὶ πρὸς αἰώνιαν σωτηρίαν, ἵνα καὶ τὴν ἐνανθρώπησιν τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ βεβαίως πιστεύῃ.*
2. *Ἀναγκαῖον δὲ πρὸς τὴν αἰώνον σωτηρίαν, καὶ τὴν τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ σάρκωσιν πιστῶς κατέχειν.*
3. *Πλὴν ἀναγκαῖον ἐστὶ πρὸς τὴν αἰώνιον σωτηρίαν, ὅπως καὶ τὴν ἐνσάρκωσιν τοῦ Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ ὀρθῶς πιστεύσῃ.*
4. *Ἀναγκαῖον δὲ ἐστὶ καὶ τὴν σάρκωσιν τοῦ Υἱοῦ τοῦ Θεοῦ καὶ Σωτῆρος ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ ὀρθῶς πιστεύειν.*

ოთხივე ვარიანტიდან კალკირებულია აღწერილობითი ფორმა ჯერ არს, ორიგინალის ტექსტის ორ შემთხვევაში სიტყვა რწმენის შესაბამისი პირიანი ზმნაა(I და III), ხოლო ორიგინალში იგი შედგენილი შემასმენელია, ანუ, ერთ წინადადებაში ორი შედგენილი შემასმენელია. ამ ტექსტისათვის ტენდენციაა ის, რომ სემანტიკურად ცხოვრება და ხსნა ანალოგიური ცნებებია. განჯორციელების ფარდი დედანში ორი სიტყვაა(*ἐνανθρώπησιν* და *ἐνσάρκωσιν*), ასევე მტკიცის ფარდია

βεβαίως და ὀρθῶς. სიტყვა მაცხოვარი მხოლოდმეთხე ვარიანტში ფიქსირდება - Σωτήρος, ანუ, ეს შინაარსი ორჯერ მარტო ქართულ ვარიანტში გვხვდება.

ქართულის ეს მონაკვეთი უფრო შეესაბამება დედნის პირველ ვარიანტს.

უკუე მართალი სარწმუნოებად, რადთა გურწმენეს და აღვიარებდეთ, ვითარმედ უფალი ჩუენი, იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, ღმერთი და კაცი არს. 22.

1. Ἔστιν οὖν πίστις ὀρθή, ἵνα πιστεύωμεν καὶ ὁμολογῶμεν, ὅτι ὁ Κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστός, ὁ τοῦ Θεοῦ Υἱός, Θεὸς καὶ ἄνθρωπος ἔστι.

2. Ἔστι τοίνυν βεβαία πίστις, ἵνα πιστεύωμεν καὶ ὁμολογῶμεν τὸν Κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστὸν τὸν Υἱὸν τοῦ Θεοῦ, Θεὸν καὶ ἄνθρωπον εἶναι.

3. Ἔστι γὰρ πίστις ὀρθή, ἵνα πιστεύωμεν καὶ ὁμολογῶμεν, ὅτι ὁ Κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστὸς ὁ Υἱὸς τοῦ Θεοῦ, Θεὸς καὶ ἄνθρωπος ἔστι.

4. Ἔστι γοῦν ἡ πίστις ὀρθή, ἵνα πιστεύωμεν καὶ ὁμολογῶμεν, ὅτι ὁ Κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστὸς ὁ τοῦ Θεοῦ Υἱός, Θεὸς καὶ ἄνθρωπος ἔστι.

თვითონ ბერძნული ვარიანტები სიტყვასიტყვით იმეორებენ ერთმანეთს. მხოლოდ მეორე ვარიანტში არის ყოფნა ზმნა ინფინიტივით(εἶναι).

ღმერთი დაუბადებელი არსებისაგან მამისა, პირველსაუკუნეთა მამისაგან შობილი და კაცი ხილული არსებისაგან დედისა, უკანადასკნელთა ჟამთა ცხორებისათვის ჩუენისა ქუეყანასა ზედა შობილი. 23

1. Θεὸς ἔστιν ἐκ τῆς οὐσίας τοῦ Πατρὸς , πρὸ αἰώνων γεννηθεὶς καὶ ἄνθρωπος ἔστιν ἐκ τῆς οὐσίας τῆς μετρὸς, ἐν χρόνῳ γεννηθεὶς.

2. Θεὸν ἐκ τῆς οὐσίας τοῦ Θεοῦ, πρὸ τῶν αἰώνων γεννηθέντα.

3. Θεὸς ἐκ τῆς οὐσίας τοῦ Πατρὸς πρὸ αἰώνων γεννηθεὶς, καὶ ἄνθρωπος ἐκ τῆς οὐσίας τῆς Μετρὸς ἐν τῷ αἰῶνι τεχθεὶς.

4. Θεὸς ἔστιν ἐκ τῆς οὐσίας Πατρὸς ἄνθρωπος ἔστιν ἐκ τῆς οὐσίας τῆς Μετρὸς

თარგმანი გაერცობილია, დედნისეულ არც ერთ ვარიანტში არ არის სიტყვა დაუბადებელი, არც - ხილული, არც - უკანადასკნელთ ჟამთა ცხორებისათვის ჩუენისა, ხოლო ქუეყანასა ზედა შობილი პერიფრაზია - ἐν χρόνῳ γεννηθεὶς, რაც დროში შობილს ნიშნავს. მეორე და მეოთხე შემთხვევაში ეს საერთოდ არ არის აღნიშნული, ხოლო მესამე შემთხვევის ἐν τῷ αἰῶνι τεχθεὶς მარადისობაში შობილობას უფრო მოიაზრებს.

თარგმანი უფრო ეთანხმება ორიგინალის I შემთხვევის ტექსტს.

სრული ღმერთი და სრული კაცი სულისაგან სიტყურისა და ჳორცისაგან კაცობრივისა აგებული. 24

1. *Τέλειος Θεός, και τέλειος άνθρωπος, εκ ψυχῆς λογικῆς και ἀνθρωπίνης σαρκὸς ὑποστάς.*
2. *τέλειον Θεὸν και τέλειον ἄνθρωπον, εκ ψυχῆς λογικῆς και ἀνθρωπίνης σαρκὸς ὑφειστώτα.*
3. *Τέλειος Θεὸς και τέλειος ἄνθρωπος, εκ ψυχῆς λογικῆς και ἀνθρωπίνης σαρκὸς ὑφιστάμενος.*
4. *Και τέλειος Θεὸς ὢν, γέγονε τέλειος ἄνθρωπος ... εκ ψυχῆς λογικῆς και ἀνθρωπίνης σαρκὸς οὐσιωθεῖς.*

საინტერესოა, რომ *ὑποστάς* და *οὐσιωθεῖς* მიმღებობია ზმნებიდან, მაგრამ, როგორც არსებითი სახელები, ისინი სულაც არ ახმარება სინონიმური მნიშვნელობებით, თეოლოგიური თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული სიდიდეებია პირველი ნიშნავს პიროვნებას, გვამოვნებას, რომელიც სამია, ხოლო მეორე ერთს არსებას.

**სწორი მამისა ღმრთეებითა და უმრწემესი მამისა კაცებითა. 25**

1. *Ἰσος τῷ Πατρὶ κατὰ τὴν Θεότητα, ἡττων τοῦ Πατρὸς κατὰ τὴν ἀνθρωπότητα.*
2. *Ἰσον τῷ Πατρὶ κατὰ τὴν Θεότητα, ἐλάττωνα τοῦ Πατρὸς κατὰ τὴν ἀνθρωπότητα.*
3. *Ἰσος τῷ Πατρὶ κατὰ τὴν Θεότητα, ἐλάττων τοῦ Πατρὸς κατὰ τὴν ἀνθρωπότητα.*
4. *Ἰσος οὖν ἔστι τῷ Πατρὶ κατὰ τὴν Θεότητα, ἐλάττων δὲ τοῦ Πατρὸς κατὰ τὴν ἀνθρωπότητα.*

ქართული ტექსტი ერთდროულად ემთხვევა ბერძნულის I, II და III ვარიანტებს. მეოთხესაგან განსხვავდება იმით, რომ მასში არ არის ზმნა.

და ჭეშმარიტად არს ღმერთი და კაცი ჭეშმარიტი, არამედ არა ორნი, არამედ ერთი არს ქრისტე. 26

1. *Ὁς, εἰ και Θεὸς ὑπάρχει και ἄνθρωπος. ὁμως οὐ δύο, ἀλλ' εἷς ἔστι Χριστός.*
2. *Ὁς, εἰ και Θεὸς ἔστι και ἄνθρωπος, οὐ μὴ δύο, ἀλλ' εἷς ἔστι Χριστός.*
3. *Ὁς, εἰ και Θεὸς και ἄνθρωπος ἔστιν, οὐ δύο ὁμως, ἀλλ' εἷς ἔστι Χριστός.*
4. *Και ὄντως ἀληθινὸς ὑπάρχει Θεὸς και ἄνθρωπος. ὁμως οὐ δύο, ἀλλ' εἷς ἔστιν ὁ Χριστός.*

ქართული ტექსტობრივი მონაკვეთი უფრო მსგავსია ბერძნულის შესაბამისი IV ვარიანტისა.

ხოლო ერთი იესო ქრისტე არა შეიცვალა ჳორცად, არამედ ამაღლდა ღმრთისა. 27

1. *εἷς δὲ οὐ τροπῇ Θεότητος εἰς σάρκα, ἀλλὰ προσλήψει ἀνθρωπότητος εἰς Θεότητα.*
2. *εἷς δὲ, οὐ τῆς Θεότητος μεταβληθείσης εἰς σάρκα, ἀλλὰ τῆς ἀνθρωπότητος ὑπὸ τοῦ Θεοῦ προσληφθείσης.*

3. *Εἰς δὲ οὐ τροπῆ τῆς Θεότητος εἰς σάρκα, ἀλλὰ προσλήψει τῆς ἀνθρωπότητος εἰς Θεόν.*

4. *Εἰς δὲ οὐ τραπέισα ἢ σὰρξ, ἀλλὰ ἀναληφθεῖσα εἰς τὸν Θεόν.*

პირველსა და მესამე შემთხვევებში, გამოტოვებულია ზმნა და შეცვლის შინაარსს იტვირთებს *εἰς* მიმართულების გამომხატველი წინდებული, და ასევე სიტყვა *τροπῆ*, რაც სახეს, ჩვეულებას, თვისებას აღნიშნავს. პირველ შემთხვევაში ღმრთეება და კაცება სიტყვათწარმოებითად ერთნაირია.

მეორე შემთხვევაში შეცვლის ნიშნით უკვე უპირო ზმნა, მიმღეობა ნათესაობით ბრუნვაში გამოიყენება *μεταβληθείσης(μεταβαλλω)*, და იგი მართლაც შეცვლას ნიშნავს.

მეოთხე შემთხვევაშიც მიმღეობები და წინდებულია მოქმედების გადმოსაცემად. ამადღდა ღმრთისა - პირველ შემთხვევაში პირიანი ზმნა(*προσλήψει - προσλαμβάνω*) წინდებულთან(*εἰς*) გამოხატავს მიმართულებას.

მეორე შემთხვევაში იგი ნათესაობითი ბრუნვის მიმღეობითაა (*προσληφθείσης*) მოწოდებული, ხოლო მესამე შემთხვევაში წინა შემთხვევის მიმღეობა უკვე პირიანი ზმნაა(*προσλήψει*), მსგავსად პირველი შემთხვევისა, ხოლო მეოთხე ვარიანტში ისევ მიმღეობაა მოქმედებისათვის(*ἀναληφθεῖσα*).

ყოველიურთ არა შერევნითა ბუნებათაჲთა, არამედ შეერთებითა გუამოვნებისაჲთა, რამეთუ სული სიტყური და ჳორცნი ერთი კაცი არს. ეგრეთვე ღმერთი და კაცი ერთი ქრისტე არს. 28

1. *Εἰς καθόλου οὐ συγχύσει φύσεων, ἀλλ' ἐνώσει ὑποστάσεων, ὡςπερ γὰρ ψυχὴ λογικὴ καὶ σὰρξ εἰς ἔστιν ἄνθρωπος, οὕτω Θεὸς καὶ ἄνθρωπος εἰς ἔστι Χριστὸς*

2. *εἰς παντελῶς , οὐ φურμῶ τῆς οὐσίας, ἀλλὰ τῆ τοῦ προσώπου ἐνότητι. "Ὅςπερ γὰρ ἡ λογικὴ ψυχὴ καὶ ἡ σὰρξ εἰς ἔστιν ἄνθρωπος, οὕτω καὶ ὁ Θεὸς καὶ ἄνθρωπος εἰς ἔστι Χριστός.*

3. *Εἰς πάντως οὐ συγχύσει τῆς οὐσίας, ἀλλ' ἐνότητι τῆς ὑποστάσεως.*

*Καὶ γὰρ ὡς ἡ ψυχὴ λογικὴ καὶ ἡ σὰρξ εἰς ἔστιν ἄνθρωπος, οὕτω καὶ ὁ θεάνθρωπος εἰς ἔστι Χριστός.*

ღმერთი და მამა ყოვლისა მპყრობელი 30 1. τὸν Θεὸν καὶ Πατρὸς τὸν παντοκράτορος  
ღმერთი და სრული კაცი იხ. „სრული ღმერთი ...“

ღმერთი დაუბადებელი არსებისაგან მამისა 23

1. Θεὸς ἐστὶν ἐκ τῆς οὐσίας τοῦ Πατρὸς

2. Θεὸν ἐκ τῆς οὐσίας τοῦ Θεοῦ

3. Θεὸς ἐκ τῆς οὐσίας τοῦ Πατρὸς

4. Θεὸς ἐστὶν ἐκ τῆς οὐσίας Πατρὸς

ღმერთი სამებით იხ. „ერთი ღმერთი სამებით“

ღმერთი მამა 11 1. 2. 3. 4. Θεὸς ὁ Πατὴρ

ღმერთი სული წმიდა 11 1. 2. 3. 4. Θεὸς τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον

ღმერთი ძე 11 1. 2. 3. 4. Θεὸς ὁ Υἱὸς

ღმრთეებად იხ. „სწორი მამისა ღმრთეებითა“

ღმრთეებისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ერთყოფა 5

1. Πατρὸς, καὶ Υἱοῦ, καὶ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶ Θεότης

2. τοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος μία ἐστὶ Θεότης

3. Πατρὸς, καὶ Υἱοῦ, καὶ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶν ἡ Θεότης

4. τοῦ Πατρὸς, καὶ τοῦ Υἱοῦ, καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶν ἡ Θεότης

ღმრთისა და კაცისა ერთ ქრისტე ყოფა 28 1. Θεὸς καὶ ἄνθρωπος εἷς ἐστὶ Χριστὸς

2. ὁ Θεὸς καὶ ἄνθρωπος εἷς ἐστὶ Χριστὸς

3. θεᾶνθρωπος εἷς ἐστὶ Χριστός

4. Θεὸς καὶ ἄνθρωπος εἷς ἐστὶν ὁ Χριστός

ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს განკორციელებისა მტკიცე

სარწმუნოება ყოფა იხ. „უფლისა და ღმრთისა და  
მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს განკორციელებისა ...“

ჟ

ყოველთა კაცთა აღდგომა ჳორცითა 31

1. ἄνθρωποι ἀναστήσονται σὺν τοῖς ἑαυτῶν σώμασιν
2. οἱ ἄνθρωποι ἀναστήσονται μετὰ τῶν ἰδίων σωμάτων
3. οἱ ἄνθρωποι ἀναστήσονται μετὰ τῶν σωμάτων αὐτῶν,
4. πάντες οἱ ἀπ' αἰῶνος κεκοιμημένοι ἄνθρωποι ἀναστήσονται

ყოვლადღლიერი იხ. „ერთი ყოვლადღლიერი“

ყოვლადღლიერი მამაჲ 10 1. 4. παντοκράτορ ὁ Πατήρ, 2. 3. 4. παντοδύναμος ὁ Πατήρ

ყოვლადღლიერი სული წმიდაჲ 10 1. 4. παντοκράτωρ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον

2. 3. 4. παντοδύναμον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον

ყოვლადღლიერი ძე 10 1. 4. παντοκράτωρ ὁ Υἱὸς, 2. 3. 4. παντοδύναμος ὁ Υἱὸς

ყოვლადღლიერნი იხ. „არა სამნი ყოვლადღლიერნი“

ყოვლითურთ 28 1. εἰς καθόλου 2. εἰς παντελῶς 3. εἰς πάντελεως

იხ. „ესრეთ ყოვლითურთ“

ყოვლითურთ ამათ სამთა გუამოვნებათა საუკუნო ყოფა და სწორ 18

1. ὅλοι αἱ τρεῖς ὑποστάσεις συνδιασινίζουσαι ἑαυταῖς εἰσι καὶ ἴσαι
2. τρία πρόσωπα συναῖδια ἑαυτοῖς ἔστι, καὶ διὰ πάντων ἴσα
3. πᾶσαι αἱ τρεῖς ὑποστάσεις συναῖδιοι εἰσιν ἑαυταῖς καὶ ἴσαι
4. αἱ τρεῖς ὑποστάσεις αἰωσιὸί τέ εἰσι καὶ ἴσαι εἰς πάντα

ყოვლისა იხ. „პირველ ყოვლისა“

ყოვლისა მპყრობელი იხ. „ერთი ყოვლისა მპყრობელი“; „ღმერთი და მამაჲ ...“

ყოვლისა მპყრობელი მამაჲ 8

ყოვლისა მპყრობელი სული წმიდაჲ 8

ყოვლისა მპყრობელი ძე 8

ყოვლისა მპყრობელნი იხ. „არა სამნი ყოვლისა მპყრობელნი“

ყოფა 3; 6; 18 1. 2. 3. 4. ἔστιν იხ. „ვითარცა ზემოთქუმულ ყოფა“; „სულისა სიტყვრისა  
...“; „უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს ...“;

„ღმერთ და კაც ყოფა“ „ღმრთისა და კაცისა ერთ ...“; „ჯერ ყოფა...“  
ყოფა არა შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით იხ.

„სული წმიდისა მამისაგან ყოფა არა შექმნით ...“  
ყოფა არა შექმნილ, არცა დაბადებით, არამედ შობით იხ. „ძისა მამისაგან  
მხოლოდსა ყოფა ...”

ყოფა განშჯად იხ. „მოსლვა ყოფა განშჯად”  
ყოფა და სწორ იხ. „ყოვლითურთ სამთავე ამათ გუამოვნებათა საუკუნო ყოფა ...”  
ყოფა პირველისა, გინა უკუანასკნელისა იხ. „ამას სამებასა შინა არავისა ყოფა ...”  
ყოფა ქრისტესა იხ. „ერთ ყოფა ქრისტესა”  
ყოფა ღმრთისა იხ. „ყოფა ღმრთისა ... ”

## უ

შეერთებითა გუამოვნებისაჲთა 28 1. ἐνώσει ὑποστάσεων 2. τῆ τοῦ προσώπου ἐνότητι  
3. ἐνότητι τῆς ὑποστάσεως 4. ἐνώσει τὸ καθ' ὑπόστασιν

შერევნა გუამოვნებისა იხ. „არა შერევნა გუამოვნებისა”

შერევნითა ბუნებათაჲთა იხ. „არა შერევნითა ...”

შეუგინებელად 2 1. ἀμαμιν, 2. ἀπαράθραυστον, 3. ἀμύμητον, 4. ἀφθονον

შეუგინებელად 32 1, 2, 3 βεβαίως 4. ἀμύμητον

შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით იხ. „სული

წმიდისა მამისაგან ყოფა არა შექმნით ...”

შექმნილ, არცა დაბადებით, არამედ შობით იხ. „ძისა მამისაგან მხოლოდსა ყოფა  
არა შექმნილ ...”

შექმნულ ყოფა, არცა დაბადებულ, არცა შობილ იხ. „მამისა არავისგან შექმნულ  
ყოფა, არცა დაბადებულ ...”

შეცვლა კორცად იხ. „არა შეცვლა ...”

შთაჯდომა ჯოჯოხეთად 29 1. 2. κατελθὼς εἰς τὸν ἄδην 3. κατήλθει εἰς ἄδου

შინა არავისა ყოფა პირველისა, გინა უკუანასკნელისა იხ. „ამას სამებასა შინა  
არავისა ყოფა პირველისა, ...”

შობით იხ. „ძისა მამისაგან მხოლოდსა ყოფა არა შექმნილ ...”

შობით, არამედ გამოსლვით იხ. „სული წმიდისა მამისაგან ყოფა არა შექმნით,  
არცა დაბადებით ...”

შობილ იხ. „მამისა არავისგან შექმნულ ყოფა, არცა დაბადებულ ...”

შობილი იხ. „პირველსაუკუნეთა ...”; „ქუეყანასა ზედა შობილი”

## ჩ

ჩუენდა იხ. „ჯერ ყოფა ...”

ჩუენდა საუკუნოდსა ცხორებისა იხ. „ჯერ ყოფა ჩუენდა საუკუნოდსა ცხორებისა”

ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა იხ. „უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა”

ჩუენისა იხ. „ცხორებისათვის ჩუენისა”

ჩუენისა იესუ ქრისტეს განკორციელებისა მტკიცე სარწმუნოება ყოფა იხ.

„უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა ...”

ჩუენისა ცხორებისათვის იხ. „ვნება ჩუენისა ...”

## ც

ცეცხლსა საუკუნესა 31 1. εις πῦρ αἰώνιον 2. 3. εις τὸ πῦρ τὸ αἰώνιον

4. εις αἰωνίου· κολάσεως

ცხორებად 1 1. 2. 3. 4. σωθῆναι, იხ. „ჩუენისა ცხორებისათვის”; „ჯერ ყოფა

ჩუენდა საუკუნოდსა ცხორებისა”

ცხორებად საუკუნოდ იხ. „წარსლვა ცხორებასა საუკუნოსა”

ცხორებად წმიდისა სამებისათვის, ესრეთ დიდებისმეტყუელებად იხ. „ვნება

ცხორებისა წმიდისა სამებისათვის ...”

ცხორებისა ვერ ძალ-დება 1. σωθῆναι οὐ δύνησεται 2. οὐχ .οἷός τε ἔσται σωθῆναι.

3. σωθῆναι οὐ δύνησεται. 4. σωθῆναι οὐ δύναται 32

ცხორებისათვის იხ. „ვნება ჩუენისა ...”

ცხორებისათვის ჩუენისა 23

ცხოველი 30 1,2,3,4 ζῶντας

## ძ

ძალ-დება იხ. „ცხორებისა ვერ...“

ქე 6 1. 2. 3. 4. ὁ Ἰῶς, იხ. „დაუბადებელი ქე“; „ერთი ქე“; „საუკუნოდ ქე“; „სხუა ყოფა ძისა“; „უფალი ქე“; „ღმერთი ქე“; „ყოველადქლიერი ქე“; „ყოველისა მპყრობელი ქე“; „არა სამნი ძენი“

ქე ღმრთისაჲ იხ. „უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ქე ღმრთისა“

ძისა და სულისა წმიდისა ერთ ყოფა იხ. „ღმრთეებისა მამისა და ძისა და წმიდისა წმიდისა სულისა ერთ ყოფა“

ძისა მამისაგან მხოლოდსა ყოფა არა შექმნილ, არცა დაბადებით, არამედ შობით 15

1. Ὁ Ἰῶς ἀπὸ μόνου τοῦ Πατρὸς ἐστὶν οὐ πεποιημένος, οὐδὲ δεδημιουργημένος, ἀλλὰ γεγεννημένος
2. Μόνος Ἰῶς παρὰ τοῦ Πατρὸς μόνου ἐστὶν οὐ ποιηθεὶς, οὐ κτισθεὶς, ἀλλὰ γεννηθεὶς
3. Ὁ Ἰῶς ἀπὸ τοῦ Πατρὸς μόνου ἐστὶν, οὐ ποιητὸς, οὐ κτιστὸς, ἀλλὰ γεννητὸς
4. Ὁ Ἰῶς ἀπὸ τοῦ Πατρὸς ἐστὶν οὐ ποιητὸς, οὐ κτιστὸς, ἀλλὰ γεννητὸς

ძლიერება იხ. „ერთი ძლიერებაჲ“

¶

წარსლება ცხორებასა საუკუნესა 31

1. εἰσελεύσονται εἰς ξαῖν αἰῶνιον 2. εἰς τὴν αἰῶνιον ἀπελεύσονται ξαῖν

3. πορεύσονται εἰς ζαῖν αἰῶνιον 4. πορεύσονται εἰς αἰωνίους κολασεις

წარწყმელა 2

1. 2. 3. εἰς τὸν αἰῶνα ἀπολείται,

4. αἰῶνον ἐνήσει τὴν ἀπάλειαν

წმიდაჲ სამებაჲ, ესრეთ დიდებისმეტყუელება იხ. „ნებება ცხორებისა წმიდისა სამებისათჳს ...“

წმიდაჲ 32

წმიდაჲ მოციქულნი 32

‡

ჭეშმარიტად ქრისტიანობად თქუმა 13 1. Χριστιανική ἀλεθεία ἀναγκαζόμεθα  
 2. ὑπὸ τῆς Χριστιανικῆς ἀλεθείας ἀναγκαζόμεθα  
 3. τῆ Χριστιανικῆ ἀληθείᾳ βιαζόμεθα  
 4. Χριστιανική ἀληθείᾳ συηγοροῦμεν

ჭეშმარიტად ყოფა ღმრთისა 26 4. ὄντως ἀληθινὸς ὑπάρχει Θεὸς

ჭეშმარიტი იხ. „კაცი ჭეშმარიტი“

**ბ**

ხილული არსებისაგან დედისა იხ. „კაცი ხილული ...“

ხოლო 1 1. 2. 3. 4. ἀλλὰ, 2 1. 2. 3. δὲ, 4. οὖν

**ჟ**

ჯერ ყოფა ჩუენდა 21 1. 2. 3. 4. ἀναγκαῖον

ჯოჯოხეთად იხ. „შთაჯდომა ჯოჯოხეთად“

**კ**

კორცისაგან კაცობრივისა 24 1. 2. 3. 4. ἐκ ... ἀνθρωπίνης σαρκὸς

კორცად იხ. „ქრისტესა არა შეცვლა...“

კორცითა იხ. ყოველთა კაცთა აღდგომა...“

კორცთასა ერთ კაც ყოფა იხ. „სულისა სიტყურისა ...“

იმის გამო, რომ შეიძლება დაინტერესებული კომპეტენტური პირისათვის მოცემული ძველბერძნული ორიგინალის ტექსტოლოგიური ტენდენციები უფრო საინტერესო ყოფილიყო, ჩვენ გადავწყვიტეთ თარგმანის ტერმინების ბერძნული შესატყვისობები უცვლელი სახით გადმოგვეტანა.



ხელნაწერის აღწერილობა: A-627, ქალაქი, 15/16, ტყავადაკრული, 416ფ.,  
ბოლო აკლია, მხედრული, 1758-60 წწ-ში  
მზეჭაბუკ ორბელიანის მიერ.

ანასტასი სანატრელისა პატრიარქისა დიდისა ანტიოქისა, და კირილე ალექსანდრიელისა,  
განწესება სარწმუნოებისა და კითხვა-მიგება ღმრთისმეტყველებისათვის

(6v) კითხვა: რომლისა სარწმუნოებისა ხარ? 1.1

მიგება: ქრისტიანე ვარ. 1.2

კითხვა: რად არს ქრისტიანე? 2.1

მიგება: რომელიცა ღმრთისა თანა, და მართლმორწმუნეობით ცხონდების, და კეთილ  
სახედ(7r) იქცევის. 2.2

კითხვა: ღმრთისმეტყველებისათვის რაოდენსა ბუნებასა აღიარებ? 3.1

მიგება: ერთსა ბუნებასა აღვარებ. 3.2

კითხვა: რომელსა? 4.1

მიგება: ღთაებისასა. 4.2

კითხვა: რად არს ღმერთი? 5.1

მიგება: ღმერთი არს არსება უმიზეზო და მიზეზი ყოველთა. ესე იგი არს ყოვლადძლიერი  
და ყოვლისა შემქმნელი და ყოვლისა მიზეზისა და ბუნებისა და უზეშთაეს ბუნებისა.  
5.2

კითხვა: ვითარ იცნობების მამა ძისაგან? 6.1

მიგება: გვამოვნებითა, უნადგან მამა არს უშობელი. 6.2

კითხვა: ვითარ იცნობების ძე მამისაგან? 7.1

მიგება: გვამოვნებისაგან, უნადგან ძე არს შობილი. 7.2

კითხვა: ვითარ იცნობებისა სულიწმიდა მამისა და ძისაგან. 8.1

მიგება: გვამობნებრ, უნადგან(7r) არს გამომავალი. 8.2

კითხვა: ვითარ გრწამს? 9.1

მიგება: მრწამს ერთი ღმერთი მამა და ერთი ღმერთი მისგან შობილი ძე და ერთი ღმერთი სული წმინდა მამისაგან გამომავალი. 9.2

კითხვა: რად არს არსება? 10.1

მიგება: არსება არს თვთ თავთ თვისით მყოფ, და არა მოქნე სხვსა შემტკიცებისა. 10.2

კითხვა: რაოდენსა გვამოვნებასა აღიარებ ღთაებისათუს? 11.1

მიგება: სამსა აღვარებ გვამოვნებასა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა. 11.1

კითხვა: რად არს გვამოვნება? 12.1

მიგება: პირება თანაარსი, ხატი ბუნებისა, ხოლო პირებათა ვიტყვთ ღმრთისათუს უსხეულოთა და უფეროთა. 12.2

კითხვა: რად არს განთვსება თითულისა სამთა მათ გვამოვნებათა და შეერთება? 13.1

(8r)მიგება: განთვსება არს მამისა უშობელობა, და ძისა შობილება, და სულისა წმიდისა გამომავლობა, ხოლო შეერთება მათ ღთაება და მეუფება. 13.2

კითხვა: ქრისტეს განვორციელებისა განგებისათუს რაოდენთა ბუნებათა აღიარებ? 14.1

მიგება: ორთა ბუნებათა აღვარებ, ერთსა მას ღმრთაებისასა და მეორესა კაცებისასა. 14.2

კითხვა: რად არს ნება ღმრთისა? 15.1

მიგება: ნება ღთისა არს, რომელმან განწმიდნა კეთროვანი, ხოლო ჯერ უნს უწყებად ჩუენდაცა ქრისტესა ნებისა მისისა, და საქმიც მის საღმთოსა, ვთარ იგი კეთროვანსა მას რქვა, მნებავს, განწმიდენი. 15.2

კითხვა: რად არს საღმთო საქმე? 16.1

მიგება: ესე არს(8v) საღმთო, რამეთუ ყოველთა კაცთა ნებავს ცხორება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მისვლა. 16.2

კითხვა: რად არს ნება კაცებისა? 17.1

მიგება: ნება კაცებისა არს, რომელმან ითხოვა სმად, ვითარცა იგი ჯვარსა ზედა. 17.2

კითხვა: რა არს საქმე კაცობრივ? 18.1

მიგება: კაცობრივ საქმე არს, რომელი ვლოდა გზათა და დასვრა და სხვანი მსგავსნი ამისნი. 18.2

კითხვა: რაოდენსა გვამოვნებასა აღიარებ განვორციელებისათუს? 19.1

მიგება: ერთსა გვამოვნებასა აღვარებ, რამეთუ იგივე ერთი არს ძე ღმრთისა და ძე ქალწულისა. 19.2

კითხვა: ვითარ ეზიარების ძე მამასა და სულსა წმიდასა? 20.1

მიგება: ზიარ უკვე მათდა არს ძე სამღთოთა ბუნებითა, ჳნადგან სრული ღმერთი არს.  
20.2

კითხვა: ჳთარი(9r)თა ჳიარებითა ეზიარების კაცთა? 21.1

მიგება: ბუნებითა მით გვაძოვნებისა მისისათა, ჳნადგან და კაციცა არს სრული. 21.2

კითხვა: რასათჳს განჯორციელდა ძე და არა მამა, გინათუ სული წმინდა. 22.1

მიგება: რათა დაიცვას მან თჳთება იგი გვაძოვნებისა თჳსისა და რათა იყოს იგი ვითარცა  
ცათა შინა ძედ და ეგრწეთვე ძედ ქვეყანასაცა ჳედა, ამინ. 22.2

ხელნაწერის აღწერილობა: s- 2406, XVIII, 90 ფ., 10,5/16, ქაღალდი,

ტყავადაკრული ტვიფრული ყდა, მხედრული,  
დაწერილია ტიმოთე გაბაშვილის ხელით,  
ასოები მთავრული, სათაურები ნუსხა-ხუცურით,  
სინგურით, I თავს აკლია, დაუწერელია მთელი  
რიგი ფურცლებისა.

მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ანასტასი პატრიარქისა ანტიოქისა სიტყუად კითხვა-  
მიგებითი საღმრთოსა გულისჯმისყოფისათჳს

კითხვა: ვინ დაგბადა შენ? 1.1

მიგება: ღმერთმან დამბადა მე. 1.2

კითხვა: ვინ არს ღმერთი? 2.1

მიგება: ესე არს ღმერთი, ჩუენი დამბადებელი, რომელმან შექმნა ცანი და ქვეყანა და არს  
მფარველ და მეურნე, ჳთარცა თვით უფალი, დამპყრობელი არსთა. 2.2

კითხვა: რასათჳს დაგვბადა, ანუ რასათჳს გვფარავს ჩუენ? 3.1

მიგება: ამისთვის, რათა ვიცნობდე დაბადებულთა მიერ დამბადებელსა, მიყუარდეს და  
ემსახურებდე სოფელსა ამას და საუკუნოსა მას(122v) და ამისთვის სასუფეველისა მკუდრად  
გამოეშნდებოდე. 3.2

კითხვა: ღმერთსა ჩუენებრივ ანაგები და გვარი აქვს ანუ არა? 4.1

მიგება: არა, არამედ ერთი რამე უცხო და სხეულმიუღებელი უნივთო წმიდა სული არს.

4.2

კითხვა: სადა არს ღმერთი? 5.1

მიგება: ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და ყოველთა ალაგთა შინა და აღმავსებელი ყოველისავე. 5.2

კითხვა: რასათუს უმეტესად ცათა შინა უტყუთ ღმერთსა? 6.1

მიგება: ამისთვის, რამეთუ ცათა შინა ცხადად იხილვების წმიდათა ანგელოზთაგან. 6.2

კითხვა: რაოდენად ითქმინ ღმერთი? 7.1

მიგება: ერთად ითქმის ღმერთი, რამეთუ ესე აღვარები ჭეშმარიტ არს, არამედ უნდგან ცხოველ არს ღმერთი სიტყვისა მქონებელი და სულისა წმიდისა, ამისთვის (123r) სამგვამოვნად აღირების წმიდა სამება. 7.2

კითხვა: უკეთუ სამი გვარი არს, რასათვის სამი ერთი ღმერთი არს და არა სამნივე? 8.1

მიგება: ამისთვის, რამეთუ აქვს ერთი ბუნება ღვთაებრივი. 8.2

კითხვა: რომელ არს უფროეს, მამა, ანუ ძე, ანუ სული წმიდა? 9.1

მიგება: რამეთუ არა არს მათ შორის უფროს-უმცროსობა, ამისთვის, რამეთუ სამნივე გვამნი ურთიერთს შორის დატევილი არიან, ღვთაებრივ გვამნი იგი საუკუნენი. 9.2

კითხვა: რომელთა უძლიერეს უტყუთ, ანუ რომელთა უბრძნეს, ანუ რომელთა უმეტეს სესიერ? 10.1

მიგება: ესე გვამნი წმიდისა სამებისანი, სამნი ყოველსავე შინა სისრულესა, თანასწორ არიან და არა არს მათ შორის განსხვავება. 10.2

კითხვა: სამთა ღვთაებრივთა გვამთაგან, რომელი გვამი(123v)განკაცნა? 11.1

მიგება: მეორე გვამი, რომელ არს ძე. 11.2

კითხვა: რამე ჰყო განკაცებითა? 12.1

მიგება: მიიღო სული და ჳორცნი კაცობრივნი და ყოველითავე კაც იქმნა, თუნიერ ცოდვისა. 12.2

კითხვა: ვისგან მიიღო? 13.1

მიგება: უბიწოსა ქალწულისა მარიამისგან და ღვთისმშობელისა, სულისა მიერ წმიდისა. 13.2

კითხვა: ვინ იყო ქალწული მარიამ? 14.1

მიგება: ტომი წინაწარმეტყუელისა დავითისი, რომლისაგან იშვა უფალი და ეწოდა იესო, რომელი ითარგმანების მაცხოვარი. 14.2

კითხვა: განკორციელებულსა ძესა ღმრთისასა რა ეწოდა? 15.1

მიგება: იესო ქრისტე, მკნეელი ჩუენი, ჳესმარიტი ღმერთი და ჳეშმარიტი კაცი. 15.2

კითხვა: ამას ქრისტესა შინა ღმრთაებაც არის და კაცებაცა? 16.1

მიგება: ჰე, ჰეშმარიტად. ამისთვის ორი ბუნება, შეერთებული ღმრთისა და კაცისა მიიღების, და ერთი ბუნებაცა სიტყვსა ღმრთისა, განკორციელებული, წმიდისა კირილესებრ, გვამისა ერთობისათვის. 16.2

**კითხვა:** რასათვის განკაცნა? 17.1

მიგება: რათა გვიკისნეს სიკვდილისა და ჯოჯოხეთისაგან სიკვდილითა თვისითა და ღირს გვეოს შესვლად სასუფეველად. 17.2

**კითხვა:** რომელსა დღესა გამოეცხადა იესო ქრისტე მოგვთა? 18.1

მიგება: იანვარს ექვსსა. 18.2

**კითხვა:** რომელსა დღესა ნათელს-ილო ქრისტემან? 19.1

მიგება: მოგვთა ხილვისა შემდგომად ოცდაათისა წლისამან ნათელს-ილო კუალად იანვარსა ექვსსა და ამის შემდგომად სახარება სასუფეველისა უქადაგა, და ჯვ(126)არსა დაემსჭვალა და აღდგა მკვდრეთით და ამადღა ზეცას. 19.2

**კითხვა:** აწ სადამე არს განკორციელებული იესო ქრისტე? 20.1

მიგება: ღთაებრ ყოველგანვე არს აღმავსებელი ყოველთა და კაცობრივ ზეცას მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, და ქვეყანასა ზედა წმიდასა შინა ზიარებასა საიდუმლოთასა. 20.2

**კითხვა:** რაოდენნი წელნი ადასრულნა ქუეყანასა ზედან? 21.1

მიგება: ადასრულნა ქუეყანასა ზედა ოცდაათცამეტი წელიწადი და სამი თვე. 21.1

**კითხვა:** რომელსა დღესა დამოეკიდა ჯვარსა და მოკვდა? 22.1

მიგება: წმიდასა და ღიღსა პარასკევსა. 22.2

**კითხვა:** რაჟამს იესო ქრისტე მოკვდა და უხრწნელი გვაში მისი საფლავად დადგეს განღობილი(127), სული მისი სად წარცდა? 23.1

მიგება: შთაქდა განღობილი ჯოჯოხეთად. 23.2

**კითხვა:** რასათვის შთავიდა ჯოჯოხეთად? 24.1

მიგება: სულთათვის მამადმთავართა და წინაწარმეტყველთა და მართალთა სულებისა, რომელთა ჰრწმენეს მათდა დასახსნელად და რომელნიცა ტყვე იყვნეს ეშმაკისა მიერ. 24.2

**კითხვა:** განღობილმან სულმან ქრისტესმან მეუფემან ჯოჯოხეთსა შინა მყოფნი ყოველნი დაიხსნა, ანუ არა ყოველნი? 25.1

მიგება: არა, არამედ მორწმუნენი და მომლოდნენი ქრისტეს მოსლვისანი 25.2

**კითხვა:** რაჟამს სულმან ქრისტესმან განათავისუფლნა ჯოჯოხეთით სულნი, ამის შემდგომად სად წარვიდა? 26.1

მიგება: თუსთა კორცთავე შორის მიიქცა, სადა მდებარე იყო წმიდა და უხრწნელი გვაში მისი (128) და კუალად ცხოველი, ვითარცა ღმერთი, აღდგა მკვდრეთით. 26.2

**კითხვა:** რომელსა დღესა აღდგა? 27.1

მიგება: შემდგომად სიკვდილისა მესამესა დღესა აღდგა განთიად ერთშაბათისა და გამოეცხადა მარიამს და მოციქულთა. 27.2

**კითხვა:** რომელსა დღესა ამაღლდა? 28.1

მიგება: აღდგომითგან მეორმოცესა დღესა ამაღლდა და შემდგომად მეათისა დღისა სიონს შინა გარდამოუვლინა სული ყოვლადწმიდა. 28.2

**კითხვა:** სიტყვსა ღმრთისა გარდამოსლვა ქალწულისა მარიამისგან, განწორციელება, ჯვარცმა, სიკვდილი და დაფლვა ნებსით იყო თუ არა? 29.1

მიგება: ჰე, ნებსით იყვნეს ესენი, რამეთუ თავს იხსნა სახიერებით კაცთმოყვარებისათვის და საღმრთოთა კორცთა მიუშვებდა ბუნებისა სჯულთაებრ. 29.2

**კითხვა:** აწ ამისათვის უწყით სიტყვად და მეორედ (129) მოსლვისათა, ცხადად მოვალს იესო ქრისტე, ანუ არა? 30.1

მიგება: ჰე, ჭეშმარიტად ცხადად მომავალ არს ჟამთა დასასრულთა გამოძიებად და მიგებად თუთეულთა საქმეთა, რომელნი ქმნეს სოფელსა შინა. 30.2

**კითხვა:** ყოველნივე იხილვენ კაცობრივ მეუფესა ქრისტესა, ანუ არა? 31.1

მიგება: ჭეშმარიტად იხილვენ განკაცებულსა სიტყვასა ღმრთისასა და თვითცა მითვე კორციოთა აღდგებიან, რომელნი აქა ემოსნეს და წარდგებიან შიშითა დიდითა წინაშე საყდრისა ქრისტესისა. 31.2

**კითხვა:** შემდგომად განსჯისა სადა წარვლენ? 32.1

მიგება: ცოდვილნი ჯოჯოხეთად, ცეცხლად საუკუნოდ გამოუწსნელად, და მართალნი აღვლენ საუკუნოდ სასუფეველად და ხილვა პირისა ღმრთისა ეხარების. 32.2

**კითხვა:** მეორედ მოსლვისა განსჯისა სამართალი (130) უნათგან ეგრეთ არს მართალთათვის და ცოდვილთათვის, აწ პირველი მეორედ მოსლვისა სულთათვის განსჯა არსაა, ანუ არა? 33.1

მიგება: არს ჭეშმარიტად. რაჟამს სული კაცისა განვალს ამიერ სოფლით, უთარისაცა მოქმედ არს, ეგრეთ მიეგება კეთილი, ანუ ბოროტი, რამეთუ მართალნი და ღირსნი და წმიდანი მსწრაფლ სულთა სასუფეველად აღვლენ და მეოხ არიან ჩვენთვის და ითხოვენ სოფლისათვის მშუდობასა, და რომელთაცა სცოდეს, არამედ მიიქცენ სინანულად და აღუარეს სულიერსა მოძღვარსა და აღთქმა ყვეს ცოდვათა მათთა და განწესებული კანონიცა შეიტკბეს დადებული მოძღვრისაგან, შესტირნეს და მჭურვალედ ევედრნეს მოწყალესა, ხოლო იწყეს კანონისაცა გულისმოდგინედ აღსრულება, გარნა უდრე კანონისა აღსრულებადმდე ეწია სიკუდილი (131) და ვერ უსწრო კანონისა სრულად აღსრულებასა, ესეუთარნი მყის სასუფეველად ვერ აღვალს, არამედ აქეთგან წმიდათა ეკლესიათა ვედრებითა და წმიდისა მსხვერპლისა შეწირუთა მღვდელმთავათაგან და მღვდელთა თუსთა

და მეგობართა ქველისსაქმითა და გლახაკთა ხვაიშნითა და მრავლითა კაცთმოყვარებითა ღმრთისადთა აღვალს სასუფეველად. 33.2

**კითხვა:** ხოლო რომელთა შუდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი სცოდეს, ანუ სრულიად, ანუ მოკლებით და ესენი აღუარნეს მოძღვარსა და აღთქმანიცა ყვნეს, გარნა კუალად მათვე ცოდვათა შინა აღერინეს და ეგვეითართა უცნაურად შეემთხვა საწყალობელად სიკვდილი? 34.1

**მიგება:** შიმე, ვითარცა თქვა ესევეითართათვს წინაწარმეტყველმან: სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არსო, იგინი მსწრაფლ ეშმაკთა მიერ წარისხმიან და ჯ(132)ოჯოხეთად ბნელად გარესენელად მიიწევან, სადღა არღა არს გამოკსნა მუნით და მიეცეს საუკუნესა სატანჯველსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის, სადა მატლი მათი არა მოაკლდეს და ცეცხლი არა დაშრტეს, რამეთუ ესევეითართათვს მსხვერპლისა შეწირვა და მღვდელთაგან მართლმადიდებელთა მიცვალებულთა თანა მოკსენება მამათაგან არა გუსწავიეს, არამედ დაუტოებთ ესევეითართა განუსაზღვრებელსა მოწყალებასა და კაცთმოყვარებასა ღვთისა თანა. 34.2

**კითხვა:** ვინათგან ძემან ღმრთისამან ჯერ-იჩინა ჯვარცმა და სიკვდილი და დათხევა სისხლისა კაცთმოყვარებისათვის, რასათვს ყოველნი ქრისტიანენი სასუფეველსა არა აღვლენ? 35.1

**მიგება:** ამისთვის, რამეთუ არა ყოველთა ნებავს გულითა სასუფეველი და არა მოშიშ არიან ბრძანებისა ღმრთ(133)ისა, არამედ თვისსა ნებასა და ეშმაკის და სოფლის მოყვარებისა შედგომილ არიან და ამათ ესევეითართათვის დაეყენებიან შესვლად სასუფეველად. 35.2

**კითხვა:** რომელნი არიან იგინი, რომელნიც დასჯად და წარსაწყმედელად მიეცემიან? 36.1

**მიგება:** იგინი არიან, რომელნიცა ღმერთსა მძიმედ შესცოდებენ და ამისა შემდგომად უნანელად მოკედებიან. 36.2

**კითხვა:** თუ რად არს წარწყმედა, განგვმარტე. 37.1

**მიგება:** ესე არს განვრდომა ხილვისაგან პირისა ღმრთისა სასუფეველად და ჯოჯოხეთს ეშმაკისთანა საუკუნო სატანჯველი. 37.2

**კითხვა:** რაოდენსა ჟამსა იყოფებიან სატანჯველსა შინა? 38.1

**მიგება:** სამარადისო და ვიდრე უკუნითი უკუნისამდე. 38.2

**კითხვა:** რომელნიცა ჯოჯოხეთსა წარვლენ, სულით წარვლენ ანუ ჳორციით? 39.1

**მიგება:** (134)ჟამადმდე მეორედ მოსლვისა სულითა წარვლენ, ხოლო ჟამსა მეორედ მოსლვისასა სულით და ჳორციით. 39.2

**კითხვა:** ჟამთა მეორედ მოსლვისათა ყოველნივე კაცნი სწორედ აღღებებიან, ანუ არა? 40.1

მიგება: ყოველნივე სწორებით აღვსდგებით, არამედ წმიდანი შვენიერი იქმნებიან და დიდებულნი, ხოლო ცოდვილნი დუხჭირნი და დაბნელებულნი. 40.2

**კითხვა:** ვინცა ღირსებით გარდავლის სოფელსა ღმრთისა სათნოსა ცხორებასა აღასრულებს, იგი სამარადისოდ სად წარვაღს? 41.1

მიგება: სასუფეველსა აღვაღს და სამარადისოდ იხილავს ცხადად და ყოველთა წმიდათა თანა იხარებს. 41.2

**კითხვა:** ვინცა კეთილსა ქრისტიანობასა შინა მიიცვალება, სული მისი სად წარვაღს? 42.1

მიგება: უკუეთუ სად გარდაუვდია თავისისა ცოდვების(135) ვალი კანონითა: ესევეთარი მსწრაფლ აღვაღს სასუფეველად და უკუეთუ თვისითა ცოდვათა კანონი და სინანული ვერ აღუსრულებია, და წადილი აღსრულებისა ჰქონებია, და უწყია სინანულად და აღთქმა უქნია ცოდვათა და კანონისა აღსრულებადმდე გარდაცვალებულ არს, ესევეთარნი ღმრთისა მოწყალებისა რაღსამე აღავსა იმყოფებიან და ჰგებენ წყალობისმოყვარე ღმერთი. ხოლო აქეთგან წმიდათა ეკლესიათა მოხსენებითა მსხვერპლისა შეწირვითა და ქველი საქმითა მოყვასთათა და მეგობართათა კუალად მრავალი მოწყალება ღმრთისა აგებს მამულისათვის სასუფეველსა წმიდათა თანა. 42.2

**კითხვა:** სასუფეველად აღუსვლელობისათვის სულისა ვითარი სინანული აღასრულოს კაცმან სოფლად ცხორებასა თვისისა. 43.1

მიგება: მრავალი საკანონო ჯერ არს, რათა გარდაივადოს სატანჯველთა ჯორ(136)ცთათა ქველის საქმითა და მოწყალებითა, მარხვითა და ლოცვითა და შენდობისა მიღებითა. 43.2

**კითხვა:** რამე უნდა ყოს კაცმან მოშორებისათვის სასუფეველისა? 44.1

მიგება: განშორება ცოდვათაგან და ქმნა კეთილისა, ვითარცა თქვა წინაწარმეტყველმან:ცოდვა მოკძულე და მოკმაგე, ხოლო სჯული შენი შევიყვარე და ამისა შემდგომად მჭურვალედ ვედრება ღმრთისა დიდისა სიმდაბლითა. ესევეთარნი სასუფეველს კუალად სასოებენ, ვითარცა ითქვა, სული შემუსრული და გული დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხოს. 44.2

**კითხვა:** რა არს ცოდვა? 45.1

მიგება: რომელიცა საქმე საძაგელ არს წინაშე ღმრთისა და განამწარებს მას. 45.2

**კითხვა:** ვითარ იქმს კაცი ცოდვასა? 46.1

მიგება: ესეუთარად: რამეთუ რასაცა ღმერთი უბრძანებს და ამცნებს, მას არა ჰყოფს და რომელსაცა ღმერთი დააყენებს და (137) წინააღმდეგომ არს ღმრთისა დამ მას ჰყოფს. 46.2

**კითხვა:** რომელითგან დააყენებს ღმერთი, ანუ იმა ცოდვასა რა ეწოდების? 47.1

მიგება: საქმიერი ცოდვა, ესე იგი არს გარდამავლობად შჯულისა. 47.2

**კითხვა:** რაოდენისა მიზეზითა იქმნების ცოდვა? 48.1



მიგება: სამითა ამით: ფიქრითა, სიტყვითა, საქმითა. 48.2

კითხვა: სიტყვით და საქმით ცოდვა აღვლად იქმნების, ესე უწყი მე, არამედ ფიქრითა ვთარ იქმნების, ესე მაუწყე მე. 49.1

მიგება: და უფროსად ფიქრით იქმნების ცოდვა, არამედ არს ორგვარად: პირველად, რაჟამს ინებებდეს და სწადდესა რამე საქმე და ფიქრობდეს მას(138); მეორედ, რაჟამს მრავალჟამს იწვართნის და ზედადსხედა იგემონებდეს ავთა რათმე ფიქრთა. 49.2

კითხვა: რაჟამს უნებლიეთ ბოროტი ფიქრი მოუკდეს გულსა კაცისასა და არა ნებსით სცოდავს, ანუ არა? 50.1

მიგება: უკეთუ მკნედ ეცადოს ფიქრისა მის განსდევნასა, მადლსა და ღვაწლსაცა დიდსა მოიგებს, და უკეთუ მცირედ დაშვრეს მათისა განდევნისათვის, ესე აღუაროს მოძღვარსა, რამეტუ არამკნე იყო მათისა განდევნისათვის. 50.2

კითხვა: რომელნი ცოდვანი არიან წინააღმდგომნი ღმრთისანი და შესაწუხებელნი მისნი? 51.1

მიგება: რამეთუ არიან დიდნი მომაკვდინებელნი ცოდვანი. 51.2

კითხვა: თუ რასა ეწოდების მომაკვდინებელი ცოდვა? 52.1

მიგება: ამას ეწოდება, რომელნიცა ღმრთისაგან განგვაშორებენ და ღმრთისმოყვარებასა განკლ(139)იან ჩვენგან და ეს ჯოჯოხეთისა მკუდრად გამოგვაჩენენ. 52.2

კითხვა: რომელნი არიან იგი ცოდვანი, რომელნიცა არა არიან მომაკვდინებელნი, არამედ მცირედნი. 53.1

მიგება: რამეთუ არიან მცირედნი შესანდობელნი ცოდვანი, სხვანი არა მომაკვდინებელნი, ვინათგან მცირედნი ცოდვანი არიან და შესანდობლადცა მცირედნი. 53.2

კითხვა: რასათვის დაშვრეს კაცი მათს განშორებასა. 54.1

მიგება: ჭეშმარიტად დიდად განფრთხობა უკმს კაცსა ამათისა განგდებისათვის, ამისთვის, რამეთუ ღმრთისა საწყენი არიან და განმაგრილებელნი ღმრთისმოყვარებისანი და მომაშადებელნი ცოდვათა მომაკვდინებელთანი. 54.2

კითხვა: რაოდენნი ღვაწლნი და სათნოებანი არიან, რომელნიცა სამარადისოდ მიეგოს კაცსა შობისათვის სასუფეველისა ცათასა. 55.1

მიგება: (141)სამნი არიან ესე: საეწმუნოება, სასოება, სიყვარული. 55.2

კითხვა: რად არს სარწმუნოება? 56.1

მიგება: სარწმუნოება არს ღმრთისაგან მომადლებული ბრწყინვალება სულისა ჩვენისა, რომელიცა მტკიცედ ჯერ არს რწმუნება, რაოდენსაცა წმიდა ეკლესია ჩვენი აღიარებს, რამეთუ ეკლესიასა გამოუცხადა ღმერთმან საღმრთოთა წერილთა მიერ და არავს შეაცთენს, არამედ ნანდვლ უტყუარ არიან და უკეთუ ეჭვთ და ნაცილად ჰგონებდეს სარწმუნოებასა დიდად და მომაკვდინებლად შესცოდებს ღმერთსა. 56.2

**კითხვა:** რა არს საღმრთო წერილი? 57.1

**მიგება:** საღმრთო წერილი არიან, რომელთაცა სამშვნველი ყოვლისა მპყრობელისა აუწ(141)ყებს და აღაწერინებს წერილთა, რომელ არს ძველი წერილი-დაბადება, და ახალი სახარება და სამოციქულო, რამეთუ ესენი არიან კანონნი სარწმუნოებისანი. 57.2

**კითხვა:** უკეთუ სრულიად ვერ ირწმუნოს კაცმან, რაოდენნი საღმრთოა წერილთა შინა არს და ეკლესია აღიარებს, ესევეთარი დაისჯების, ანუ არა? 58.1

**მიგება:** ჰე, ჭეშმარიტად, დაისჯება ესევეთარი, ვნცა მცირედსაცა წერილისა სარწმუნოებისსა გარდამავალ იქმნება და ანუ აქვდეს ეჭვ რამე, ესე ეკმარების წარსაწმედელად სულისა. 58.2

**კითხვა:** სასოებისათვის იტყოდი, თუ რამე არს. 60.1

**მიგება:** სასოება არს ღმრთისაგან მინიჭება წყალობისა სასუფეველისა მიცემისა და იმედებულობა დაუსრულებელისა დიდებისა და კუალად ნიჭი მოსალოდებელისა წყალობისა, რომელიცა აღგუთქვა და მოველით მას. 60.2

**კითხვა:** (142) რომელნი არიან კეთილნი იგი საქმენი, რომელთაცა ღმრთისაგან ვსასოებთ. 61.1

**მიგება:** საუკუნონი ნიჭნი კეთილნი და იგინი, რომელნიცა მიგკვანებენ ცხოვრებასა საუკუნოსა. 61.2

**კითხვა:** სასოება რასაში ჯერ არს ქონებად ჩვენდა, ანუ რაოდენნი არიან? 62.1

**მიგება:** ოთხად განვყოფთ: ღთის ყოვლისმპყრობელობასა შინა; მოწყალებით კაცთმოყვარებასა შინა; დაუსრულებელად სახიერებასა შინა; ჩვენსა სასოებით და სარწმუნოებით ცხოვრებასა შინა. 62.2

**კითხვა:** ამათ ოთხთა სიტყვათა შინა რასათვის გვაქვდეს სარწმუნოებითი სასოება? 63.1

**მიგება:** ყოვლისმპყრობელობასა შინა ამისთვის, რამეთუ ძალ-უც მოცემად ჩვენდა(143); სახიერებასა შინა ამისთვის, კეთილის მომნიჭებელ არს და მოწყალებისათვის ესრეთ, რამეთუ უნებს წყალობა ჩვენი; და მორწმუნეობით ამისთვის, რამეთუ მიზეზით სარწმუნოებისათა მოგვანიჭებს მოწყალებათა ამათ. 63.2

**კითხვა:** თუ რასათვის ღმერთი მოგვანიჭებს საუკუნესა ცხოვრებასა და ნუ აქა სოფელსა ამას შეგვძენს კეთილთა? 64.1

**მიგება:** იესოს ქრისტეს სატანჯველისა და საკურველისა სიმდაბლისა მადლისათვის, ვნათგან გვრწამს და ვსასოებთ. 64.2

**კითხვა:** თუ კეთილნი საქმენი გვარგებენ ჩვენ რასმე? 65.1

**მიგება:** კეთილნი საქმენი დიდად შეგვწევან ამისთვის, რამეთუ მისისა სატანჯველისა მორწმუნე ვართ და ვსასოებთ და მოველით აღთქმულთა(144) მათ კეთილთა და დაუსრულებელსა დიდებასა, კეთილმოქმედებითა ჩვენითა მოგვებთა მისთვის სამარადისოდ

მკურვალთა გულითა ულოცუდეთ და შეესხნდეთ ლოცვასაცა სამეუფოსა მამო ჩვენოსა.  
65.2

**კითხვა:** რად არს სიყვარული? 66.1

მიგება: პირველად სიყვარული ღვთისა დანერგილი გულსა შინა მორწმუნეთასა, ესე არს უხუ ნიჭი და წყალობა ღვთისა. ჯერ არს რათა გიყვარდეს ღმერთი უმეტესად ყოვლისავე, რაოდენი რა კვლგეწიფების, ყოვლითა სულითა და ძალითა შენითა და სიყვარულისათვის ღვთისა მოყვასიცა შენი შეიყვარო. 66.2

**კითხვა:** გამოაცხადე, თუ უთარ გუყვარდეს ღმერთი. 67.1

მიგება: ესრეთ, უთარმედ ღმერთი არათუ მხოლოდ სასუფეველისა მოცემისათვის გუყვარდეს, მხოლოდ რომელი აღგუთქვა და ზარტეხილ-გუყოფს(145) ჯოჯოხეთისათვის, არამედ ჯერ არს შეყვარებად ღვთისა დაუსრულებელისა სახიერებისა მისისათვის. 67.2

**კითხვა:** ვითარ შეყვაროთ ღმერთი უფროს ყოვლისა. 68.1

მიგება: ჯერ არს შევიყვაროთ ღმერთი უფროს ყოვლისავე და ამისა შემდგომად უფროს თავისგანცა ჩვენისა და ყოვლისავე, რისიცა მქონე ვართ, და გუყვარს უმეტესად. ჯერ არს აღირჩიოს დატევება და მოძულეება მათი, ვიდრე დატევება სიყვარულისა ღვთისა, შეცოდებისა მისისა ქმნა. 68.2

**კითხვა:** ვინა არს მოყვას ჩვენდა, რომლისა სიყვარულსა გუბრძანებს? 69.1

მიგება: იგინი არიან, რომელნიცა ქრისტეანედ იწოდებიან და ზიარ არიან სარწმუნოებისა ჩვენისა, სახე და ხატი ღვთისა და შენთანა აღმავალი სასუფეველად. 69.2

**კითხვა:** თუ უთარ ითქმის, შეიყვარო მოყვასი შენი, უთარცა თავ თვისი. 70.1

მიგება: ესე არს, ვითარმედ, რაოდენნი შენთვის გინებს კეთილი(146)სა დაქმე იგი, მოყვასისაცა გენებოს და რაოდენნი არაკეთილნი საქმენი შენთვის არა გენებოს, იგიცა არცა მოყვასთათვის გენებოს. 70.2

**კითხვა:** მტერთათვისცა ჯერ არს სიყვარული, ანუ არა? 71.1

მიგება: ჰე, ჭეშმარიტად. მტერიცა ჯერ არს შეყვარებად, ვითარცა ბრძანა უფალმან: გიყვარდენ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუნთა და უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მიგიტევნეს შეცოდებანი თქუნენი. და რამეთუ მოყვასთა და მეგობართა და კეთილისყოფელთა ჩვენთათვის სიყვარული მსოფლიო არს და არარას სასყიდელსა მოგვცემს ჩვენ, ხოლო მტერთა და მოძულეთათვის სიყვარული ზეგარდმო და სიყვარულისათვის ღვთისა ვყოფთ და არს სასყიდელისა და ფრიადისა მადლისა მომნიჭებელი. 71.2

**კითხვა:** ვითარ ვსცნობდეთ სიყვარულსა ღვთისა და მ(147)ოყვასთასა, ჭეშმარიტად გუყვარსთ თუ არა? 72.1

მიგება: ღვთისა და ეკლესიის ბრძანების დამარხუთა ვსცნობთ. 72.2

კითხვა: რაოდენნი არიან მცნებანი ღვთისანი? 73.1

მიგება: არიან აონი:

მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იცოდე სხვა ღმერთი თუნიერ ჩემსა.

არა ჰფუცო სახელი ღმრთისა შენისა.

დაიმარხე დღე კურიაკე და დღესასწაული.

პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.

არა კაც კლა.

არა იპარო.

არა იმრუშო.

არა ცილი სწამო და ცრუდ უმოწმო.

არა გული გითქმოდე ცოლისა მოყვასისა შენისასა.

არა იმძლავრო რაოდენი რაჲ არს მოყვასისა შენისა. 73.2

კითხვა: რაოდენნი არიან ბრძანებანი ეკლესიისანი და (148) რომელნი? 74.1

მიგება: ექვსნი არიან და ესე:

წმიდასა კურიაკესა და საუფლოთა დღეთა მისვლა ეკლესიად და მჭურვალედ შევერდომა და დუმილით მოსმენა მსხვერპლისა საიდუმლოსა.

წმიდათა ორმეოცთა დიდთა მარხვათა დღეთა შინა ერთგზის კმევა საზრდელისა კმელისა რასამე და სხვათა დღეთა ოთხშაბათ-პარასკევისათა ეგრეთვე მარხვა, თუნიერ აღდგომისა შემდგომად ერგასისთა დღესასწაულისა, და სხვათაცა მარხვათა განწესებულთაებრ მარხვსა პყრობა.

უკეთუ წელიწადსა შინა მრავალგზის მოძღვარსა არ აღუაროს ოთხთა მათ მარხვათა წელიწადისათა, თანა-აც აღსარება ცოდვათა.

ვნებათა კურიაკესა დიდთა მარხვათასა თანამდებ არს ზიარება ქრისტეს საიდუმლოთა.

უწესოსა ჟამსა არა ქმნა ქორწილისა, ესე იგი არს ქრისტეს შობითგან უდრე ნათლისღებადმდე და ორშაბათით დიდმარხვთ, უდრეთ მას კურიაკედმდე. 74.2

კითხვა: რაოდენნი არიან საუფლონი ძაღნი? 75.1

მიგება: ოთხნი და ესენი: სიბრძნე, სიმართლე, ზომიერება, ძლიერება. 75.2

კითხვა: რაოდენნი არიან მცნებანი სახარებისანი? 76.1

მიგება: სამნი: ნებისით სიგლახაკე, სამარადისო უბიწოება, ჭეშმარიტი მორჩილება. 76.2

კითხვა(150): რაოდენნი არიან ნიჭნი სულისა წმიდისანი? 77.1

მიგება: შუდნი და ესენი: სიბრძნე, გულისკმისყოფელობა, წვრთნა, სიმკნე, მეცნიერება, ღმრთისმსახურება, შიში ღვთისა. 77.2

კითხვა: რაოდენნი არიან ნაყოფნი სულისა წმიდისანი? 78.1

მიგება: ათორმეტნი და ესენი: სიყვარული, სიხარული, მშუდობა, მოთმინება, სახიერება, სულგრძელება, (151) სიმშუდე, სარწმუნოება, ბრწყინვალება სულისა, ქალწულება, მრგვლიად შეწირვა ესე იგი არს ყოვლად და სრულიად გულითა კეთილითა ქმნა კეთილისა საქმისა, პატიოსნება. 78.2

**კითხვა:** რაოდენნი არიან ჳორციელნი კეთილის მოქმედებანი? 79.1

მიგება: შუდნი და ესენი: ჳმევა მშიერთა, სმევა მწყურვალთა, შემოსა შიშველთა, უცხოთა შეწყნარება, სნეულთა მოხილვა, ტყვეთა და საპყრობილეთა შინა ნუგეშისცემა. 79.2

**კითხვა:** (152)რაოდენნი არიან სულიერნი კეთილისმოქმედებანი? 80.1

მიგება: ექვსნი და ესენი: ეჭვთ მყოფთა სწავლებით მხილება, უმეცართა სწავლება, ცოდვლთა შერისხვა, შეცოდებულთა შენდობა, ჳირთ სულგრძელობითა მოთმენა, ვედრება ღვთისა ცოცხალთათვის და მიცვალებულთა. 80.2

**კითხვა:** რაოდენნი არიან მტერნი კაცთანი? 81.1

მიგება: სამნი ეშმაკი, სოფელი და ჳორცი. 81.2

**კითხვა:** რაოდენნი არიან მომაკვდინებელნი ცოდვანი? 82.1

მიგება: შუდნი: ამპარტავენება, ანგარება, სიძვა, მრისხანება, ნაყროვანება, შური, უღებება. 82.2

**კითხვა:** ამათნი წინააღმდეგომნი კეთილნი რაოდენნი და რომელნი არიან? 83.1

მიგება: სიმდაბლე, მოწყალება, მოთმინება, მარხვა, სიყვარული, სიმჳნე, სიწმიდე. 83.2

**კითხვა:** რაოდენნი ცოდვანი არიან წინააღმდეგომნი(154)სულისა წმიდისანი? 84.1

მიგება: ექვსნი და ესენი: სასოწარკვეთილება, თუნერ კეთილისა მოქმედებისა და ბოროტთა დაცადებისა სასოება ცხოვნებისა თვისისა, ჳეშმარტისა სარწმუნოებისა ბოროტად ცნობა, შური სხვისა კეთილსა ზედა, მყოვარ ეამ დაყოვნება ცოდვასა შინა, სიკვდილი უნანელად. 84.2

**კითხვა:** რაოდენნი არიან ცოდვანი ესევთარნი, რომელნი მოაწევენ რისხვასა ღვთისასა კაცთა ზედა? 85.1

მიგება: ოთხნი და ესენი: ნებსით კაცისკვლა, მამათმავლობა ბუნებისგარეგანი ცოდვაჲ, მძლავრება და უსამართლოება გლახაკთა ზედა, მუშაკთა სასყიდლისა არა მიცემა. 85.2

**კითხვა:** რაოდენთა ჳერ არს ჳსენებად სამარადისოდ? 86.1

მიგება: ოთხთა ამათ: სიკვდილი, განკითხვა საშინელი, ჳოჯოხეთად შთასლვა, სამოთხით გამოჳკვება.

ხოლო ჳერ არს, რათა ამათ ოთხთა სამარადისოდ იწერთნიდეს და ზედასა ზედან სულიერსა მოძღვარსა აღუარებდეს, საკანონოთა გარდიჳდიდეს დაუყოვნებელად და სამარადისოდ ილოცვიდეს და არა მიხედვდეს და ებაძებოდეს ბოროტთა უეთმე კაცთა და მათთანა ცხოვრებასა თვისსა შეუსწორებდეს. 86.2

**კითხვა:** რომელი არიან იგი ცოდვანი, რომელთათვის პირი უფლისა მიიქცევის მათგან ზიართა მას უსჯულოებისათა? 87.1

**მიგება:** ხუთნი და ესენი: რომელმან სხვათა ასწავოს ქმნა ცოდვისა, რომელსა სთნდეს სხვისი ცოდვანი, რომელმან არა დააყენოს სხვა ცოდვსქმნისაგან, უკეთუ ძალ-ედვას; რომელი თანაშემწე ექმნას ცოდვსა ქმნასა ზედა, რომელმან ბოროტად ქცევა თვისი სხვათა უჩვენოს. 87.2

**კითხვა:** ძალითა ჩვენითა შემძლებელ ვართ მოშორებასა ცოდვათაგან და კეთილისმოქმედებასა, ანუ არა? 88.1

**მიგება:** ჰე, ჩვენ ძლით იქმნების, არამედ ჯერ არს, რათა ვევედრებოდეთ უფალსა, რათა მოგვანიჭოს შეწევნა განშორებად ბოროტთა და მიგებად კეთილისა, რათა მტკიცე ზეგარდმო მადლი მოანიჭოს სულთა ჩვენთა, დაბნელებული სული ჩვენი განაბრწყინოს და მადლით [შვილ] ღმრთისად და მკუდრ სასუფეველისა გამოგვაჩინოს, და განგვაშოროს საშინელი მ(157)ახე ეშმაკისა - შუღნი იგი მომაკვდინებელნი ცოდვანი, რათა არა დავშთეთ განშორვებული ღმრთისაგან და დავეტევნეთ შეწევნისაგან მისისა. 88.2

**კითხვა:** რაოდენნი არიან საიდუმლონი ქრისტეს ეკლესიისანი? 89.1

**მიგება:** შუღნი ნაყოფიერნი მადლნი ზეგარდმონი:

პირველად ნათლისღება, რამეთუ ესე, არამედ მის ... მისგან განსწმედს, არამედ ქრისტეანე ჰყოფს; ცხება წმიდისა მირონისა, რამეთუ ესე სრული ქრისტეანედ და ცხებით შულ სასუფეველისად გამოაჩინებს; ზიარება საიდუმლოთა ქრისტესთა სულსა განსწმედს და ძედ სასუფეველისად და ზიარად უფლისად წარმოაჩინებს; აღსარება განსწმედელ არს, რომელი ვქმენით შემდგომად ნათლისღებისა და რამეთუ საბრძენი ეშმაკისანი ამის მიერ დაიკსნებიან და ოკერ იქმნებიან და არს საღბუნ ძლიერ წყლ(158)ულების ცოდვათა ჩვენთასა; ზეთისა კურთხეულისა წმიდისა ცხებასულისა სიკვდილისაგან იკსნის და მოატყევეს კორციელადცა სიმრთელესა; კვლთდასხმა საღმრთოსა მადლისაგან ძლიერ-ჰყოფს სულსა, რათა მდგდელმოქმედებითა თვისითა განსწმედდეს სულითა წმიდითა სულთა მოქენეთათა; ქორწინებისა საიდუმლო მადლსა ანიჭებს კაცთა, რათა ურთიერთარს მცველ იყვნენ ბოროტისა და კუალად სხმად შულთა, რათა აღზარდონ შიშსა შინა ღმრთისას, მშუღობასა სიყვარულსა და წესსა ქრისტეანეთასა. 89.2

**კითხვა:** სათხოველი ჩვენი უთარ მოულოთ? 90.1

**მიგება:** ქენებითა ღმრთისაგან, ლოცვითა და ვედრებითა. 90.2

**კითხვა:** ლოცვა და ვედრება ვალი არს, ანუ არა? 91.1

**მიგება:** ჰე, ჭეშმარიტად, ვალიდ-აც ... ლო(159)ცვა და ვედრება. 91.2

**კითხვა:** სამარადისოდ ჯერ არს ლოცვა, ანუ არა? 92.1

მიგება: მეუფე ქრისტე იტყვს წმიდასა სახარებასა შინა, მარადის ილოცვედით და ნუ დასცხრებით ლოცვსგანაო. 92.2

**კითხვა:** ვითარ ვყოთ, რაჟამს გვენებოს აღსრულება მცნებისა უფლისა ? 93.1

მიგება: ჯერ არს, რათა საქმესა და სიტყვასა ჩვენსა სადიდებელად ღმრთისა უკმოდეთ და გამოვეძიებდეთ, თუ დღესა მას რაოდენგზის ვსცით სიტყვთ ანუ საქმით, რათა ესრეთ გამოძიებითა აღუარებდეთ დღითიდღეთა ცოდვათა და არა ჯერ არს არა ჟამი და დღე უქმად და განურჩევლად გარდავლა თუნიერ ლოცვისა და კეთილთა რათმე საქმეთა. 93.2

**კითხვა:** რომელსა ჟამსა უმჯობეს არს ლოცვა? 94.1

მიგება: თავსა თვისისათვის საიდუმლოდ ლოცვა, ვითარცა თქვა უფალმან: დაჯაშ კარი შენი და ილო(160)ცე მამისა შენისა მიმართ. ესე ვითარნი და სხვანი ფსალმუნებანი, მუკლთადრეკა და ცრემლითა აღზავებულნი ლოცვანი, უმეტეს ღამე, განწესებულა, ვითარცა თქვა წინასწარმეტყველმან : შუაღამე აღვსდგი აღსარებად შენდა და კუალად: ღამესა არიპყრენით ჳელნი თქუენნი წმიდად უფლისა მიმართ, და უფალმან სახარებასა შინა: ილოცვედით და იღვიძებდით, რათა არა შეხვდეთ განსაცდელსა, ხოლო ეკლესიისა განწესებული ლოცვანი თვსთავე ჟამთა შინა ილოცვებოდნენ. 94.2

**კითხვა:** ვითარ განვეკრძალნეთ ვერეთ, რათა ლოცვთა სათხოველი ჩვენი შეისმინოს უფალმან? 95.1

მიგება: სარწმუნოებითა მტკიცითა, დიდად მკურვალედ სასოებითა, გონებისა განწმედითა და სულგრძელებითა, და მეოხად მოვაგვლენდეთ ყოვლადწმიდასა დედასა ღვთისასა შუამდგომე(161)სა და მეოხსა ჩვენთვის და შესავედრებელსა სულთა ჩვენთასა, და ამისა შემდგომად ყოველთა წუთსაცა მოვიტყენებდეთ სასოებითა მტკიცითა, რათა მეოხებითა ხსენებისა სახელისა მათისათა დაგუფაროს და მოგვანიჭოს სარწმუნოებითა სათხოველი ჩვენი. 95.2

**კითხვა:** რაოდენსა ეკლესია საყოველთაოდ ლოცვათა შესწირავს ამათ შინა, რომელი უზეშთაეს არს? 96.1

მიგება: ყოველთა ეკლესიისა ლოცვათა და შესაწირავთა წმიდისა და უსისხლოსა მსხვერპლისა შეწირვა უმაღლეს არს და უზეშთაეს. ჳორცისა და სისხლისა ქრისტესისა პურისა და ღვინისა სახესა ქვეშე, ვითარცა თქვა უფალმან სერობასა, ვითარმედ ამას ჳყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა და რომელი შჭამდეს ჳორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა აქვნდეს ცხოვრება სა(162)უკუნო და სასჯელსა იგი არა შეუდეს. 96.2

**კითხვა:** რომელსა ჟამსა ჯერ არს საიდუმლოსა წირვისა მოსმენა? 97.1

მიგება: ყოველსა კურიაკესა და საუფლოთა დღეთა თანამდევართ, და უკეთუ სხვათაცა დღეთა ისმენდი, კეთილსა იქმ. 97.2

**კითხვა:** ვითარ ჯერ არს მოსმენა წმიდისა ჟამისწირვისა? 98.1

მიგება: დიდისა კრძალვით და გონებისა განუბნეველობითა, შიშითა და მჭურვალთა სასოებითა და რათა არარად დაიდვას სხვა გულსა თვისსა, არამედ ამას იღვწიდეს, რათა ერთ-იქმნეს მღვდელისათანა ზიართა ღოცვასა და მადლსა ზეგარდმოსა. 98.2

**კითხვა:** ვითარითა ფიქრითა ჯერ არს დგომა ჟამსა წმიდისა წირვისასა? 99.1

მიგება: რათა თაყვანისცემდეს და მადლობდეს (163) საკურველისა მისთვის საიდუმლოსა და გამოსახვდეს ჟამსა მას, ოდეს მოსე ძელსა ზედა ამადლებითა გველისათა ისრაელნი მიხედვითა მისითა მოსრუსაგან განიკურნებოდეს, რომელიცა სახე იყო საიდუმლოსა ამას უჭეშმარიტესითა ამით მიხედვითა კორციითა ზვარაკისა მის წმიდისა დაკლვისა ქრისტესითა ძელსა ზედა, ვითარცა კენილი და შემუსრული გველისა მისგან სატანისა მიხედვიდეს რა საღმრთოსა ტრაპეზსა, კურნებასა ითხოვდეს სულთა და კორცთათვის და კუალად ცოცხალთათვის და მიცვალებულთათვის, რამეთუ არს შესაწირავ და უსისხლო მსხვერპლი აღთქმა ახალი, რამეთუ ვითარცა ძველსა სჯულსა ზვარაკი შეიწირვოდა კაცთა ცხოვრებისათვის, რამეთუ იგი ამას მოასწავებდა და შევსწირავთ უმანკოსა ტარიგსა ქრისტესა კორცსა და სისხლსა მისსა, ბრძანებითა ღმრთისათა და სიტყ(164)ვითა მღვდელისათა შეიცვალება პურისა და სახესა და ღვინისა სახესა ქვეშე, ხოლო ამას შევსწირავთ ღმრთისა მამისა წინაშე და ემოქნეობთ ღოცვით, რათა საიდუმლოთა ამით უმეტესად ამადლდეს მეუფება მისი და ღთაება ჩვენზედა, რათა გვხსნეს ჩვენ ცოდვითა ჩვენთაგან ხილულისა ამის ძისა მსხვერპლისა ხილვითა და მიღებითა შეგვაერთოს და გვხსნეს გარემოცულნი თითოსახეთა სოფლისა საცთურთა და ეშმაკისა საბრტყეთაგან, და რათა მიცვალებულთა შენდობა მომადლოს და ღირს-ყოს სასუფეველსა თვისსა. 99.2

**კითხვა:** წმიდა ჟამისწირვა რავდენ ნაწილად განიყოფვის და განუყოფელთა მათ ნაწილთა შორის ვთარ უკმს კაცთა დგომა? 100.1

მიგება: რამეთუ განიყოფვს ოთხ ნაწილად წირვა: (165) პირველი ნაწილი წირვისა არს დაწყებითგან პურისა და ღვინისა შეერთებადმდე ამათ ჟამთა შინა სინანულით და სულთქმით ჯერ არს დგომა ეკლესიასა შინა.

მეორე ნაწილი წირვისა არს პურისა და ღვინისა შეერთებითგან და განწმედით, უზეშთაესი ჟამი არს შინა განცუფრებულისა საკურველისა მის საიდუმლოსათვის, თანამდებ არს, რათა სურვილით მადლობდეს და სიმდაბლით თაყვანისცემდეს უფალსა ღმერთსა.

მესამე ნაწილი წირვისა, რაჟამს შეერთებულსა კორცსა და სისხლსა მიიღებს მღვდელი, ამათ ჟამთა სიყვარული ტკბილისა ქრისტესისა, რომელმან არა დაგუტუნა ჩვენ და არათუ მხოლოდ ჯვარს-ეცვა და მოკვდა სიყვარულისათვის ჩვენისა, არამედ დღითიდღე დაგვო კორცი და სისხლი თვისი საჭ(166)მლად, ტაბლა იგი ცხოვრებისა სისხლითა თვისითა განზავა და დაფარულსა საიდუმლოსა განკორციელებულსა ძესა ღმრთისასა ვხედავთ პურისა და ღვინისა სახესა ქვეშე და ვართ მსგავს [ქერობითა].



მეოთხე ნაწილი წირვისა არს სიწმიდით მიღებითგან მღვდლისა, უდრე დასასრულადმდე წირვისა, მაშინ დიდად მადლობად აღიძვროდეს და პირთა მიწათა შეასწორებდეს, თაყვანისცემდეს ესოდენთა ქველისმოქმედებათა ჩვენთათვის და ღოცვასაცა მას სამეუფოსა შესწირვიდეს მამაო ჩვენოსა. 100.2

**კითხვა:** რაჲ არს წმიდა ეკლესია და რასათვის წარვალთ მუნ. 101.1

**მიგება:** წმიდა ეკლესია სახლი არს ღვთისა და საყოფელი დიდებისა მისისა. ამისთვის მი(167)ვსწრაფვით მუნ, რათა უსმენდეთ საიდუმლოთა და მიუღებდეთცა და ულოცვიდეთ მას შინა ჳორცთა ჩვენთა შეწევნისათვის. 101.2

**კითხვა:** ვითარ უკმს კაცთა ღოგმა ეკლესიასა შინა და ანუ უნცა არამდუმარედ დგას, არამედ მოვალს განგრძობულისა გულითა მივალს საჩვენებელად, ამისთვის რასა იტყვი და მრავალმეტყველებ. 102.1

**მიგება:** ეკლესიასა შინა მისრული ქრისტეანე, ჯერ არს, რათა დგეს მღუმრიად, კრძალვითა და დუმილითა, უკეთუ არა ესეთ ყოს, ღმერთსა დიდად შესცოდებს და რისხვასა მისსა მიიღებს მადლისა წილ. 102.2

**კითხვა:** რაჲამს კაცსა ზედა ეშმაკისა საცთური მოიწიოს და შთააგდოს მძიმესა ცოდვასა შინა, რაჲმე უნდა ყოს. 103.1

**მიგება:** მსწრაფლ ჯერ არს განფრთხობა და მოქ(168)ცევა ცოდვისა მისგან, ევედრებოდის უფალსა და იტყოდის: ნუ გარემიქცევ პირსა შენსა მონისა შენისაგან, და: უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე და ნურცა რისხვითა შენითა მსწავლი მე, და კუალად იტყოდის მიწყალესა და სხვათა სულიერთა ფსალმუნთა, სულთქმითა და შემუსრვლითა გულითა და კუალად ევედრებოდის და იტყოდის: ნუ მიტყვებ შეცოდებად შენდამი უფალო, ღმერთო ჩემო, პირისაგან უგუნურებისა ჩემისა, მიჳსენ მე და ყოს სულთქმა და აღიღოს კანონი სულიერისაგან მოძღვრისა თვისისა. 103.2

**კითხვა:** უკეთუ შთავარდეს კაცი იწროებასა და შეწუხებასა შინა, რაჲმე ჰყოს? 104.1

**მიგება:** ეგვეითარისა ჯერ არს, რათა დიდისა მოთმინებით და სულგრძელებით მოითმენ(160)დეს მწუხარებათა და მადლობდეს უფალსა და თქვას: უფალო, მე უმეტესისა მწუხარებისა და ტანჯვსა ღირს ვარ, ესენი არათუ კმა არიან ჩემდა, არამედ ცოდვათა ჩემთათვის კანონად მოუთვალავ, მოუთმენ სიყვარულისათვის შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი, რომელმან რისხვასა შინა მოიხვნი წყალობა და კუალად [უსწრაფოს] რისხვასა შენსა მრავალმოწყალეებამან შენმან და იტყოდით ვედრებით ფსალმუნსა: რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, და რად შემადრწუნებ მე, ესევედ ღმერთსა და აღუარო მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და იტყოდის სხვასაცა ფსალმუნსა: თმენით დაუთმე უფალსა და მომხედნა მე და ისმინა ღოცვისა ჩემისა და აღმომიყვანა მღვიმისაგან გლახაკობისა. 104.2

**კითხვა:** რაჲამს ქრისტეანე აღდ[გ]ეს ძილისაგან(170), რა ჯერ არს. 105.1

მიგება: ქრისტეანე, აღდგომილი ძილისაგან, განიფრთხოს რა ძილით, მადლობა შესწიროს უფალსა და განზრახვა ჰყოს, რათა ძილით აღდგომისა და მწუხრისა ჟამსა ძილისასა თაყვანისცემა შესწიროს დამბადებელსა, რათა დღისი და ღამისად სიკვდილი არა ეწიოს მსწრაფლ და უნანელად განუდეს ამიერ სოფლით. ამისთვის ჟამსა ძილით აღდგომისასა სამსა და უმრავლესსა თაყვანისცემასა და მუკლთდრეკით ვედრებასა აღავლენდეს სახიერისა მეუფისა და მადლობით ვედრებოდის და ითხოვდის, რამეთუ ჩვენთანა იყავ ჭირთაგან მიკსენ მე დღევრძელობით განმაძღვე და მიჩვენე მაცხოვარება შენი ,მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რათა მათ დღემრავლობისა ჟამთა შენანებასა ღირს ვიქმნე ცოდვათა ჩემთასა უნაჲ(171) აღთქმასაცა ჰყოფდეს განთიად და მიმწუხრ, რაოდენ ძალედვას და მეცნიერ იყოს ილოცვიდეს რათა არა შევარდეს განსაცდელსა, არამედ მკურვალთა მით ვედრებითა მისითა ჭირთაგან იკსნეს და მწუხარებათა მადლითა და კაცთმოყვარებითა ღვთისათა, ამინ. განსრულდა სადიდებელად ღთისა, ამინ. 105.2

იმის გამო, რომ ამ ბოლო ორ ხელნაწერს თავისი ძველბერძნული ორიგინალი არ მოეპოვება (ყოველი შემთხვევისათვის, ჯერჯერობით მაინც) და არ ხერხდება მათი მთლიანი, კომპლექსური ანალიზი, ჩვენ ისინი დანართში გადავიტანეთ.